



**საქართველოს  
უზენაესი სასამართლოს  
მნიშვნელოვანი  
განმარტებანი**

**საქართველოს უზენაესი სასამართლო**  
სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება

თბილისი  
2016



**IMPORTANT  
DECISIONS  
OF THE SUPREME COURT  
OF GEORGIA**

**The Supreme Court Of Georgia  
Court Practice Research and Generalization Department**

Tbilisi

2016

კრებული შეადგინა და დაამუშავა

**თამთა მეშველაშვილი**

კრებულზე მუშაობდნენ:

**ლიანა ლომიძე**

**თამთა მეშველაშვილი**

**რუსუდან ჭანტურიძე**

**ზაზა ჯაფარიძე**

**სანდრო ჯორჯენაძე**

კრებულის რედაქტორი

**სანდრო ჯორჯენაძე**

სტილისტი

**ეკა ზაზაშვილი**

ტიქნიკური რედაქტორი და ყდის დიზაინი

**მარიკა მაღალაშვილი**

The Collection was compiled and elaborated by

**Tamta Meshvelashvili**

The Collection was elaborated by:

**Rusudan Chanturidze**

**Liana Lomidze**

**Tamta Meshvelashvili**

**Zaza Japaridze**

**Sandro Jorbenadze**

Editor

**Sandro Jorbenadze**

Style Editor

**Eka Zazashvili**

Graphics Editor and Design

**Marika Maghalashvili**

© Supreme Court of Georgia 2016

## წი ნ ა თ ქ მ ა

იურისპრუდენციის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია სასამართლო პრაქტიკა. სამოსამართლო სამართლის (სასამართლო გადაწყვეტილებების/განჩინებების/განაჩენების) საფუძველზე ცალკეული სამართლებრივი აქტის განმარტების განსხვავებული ხედვით წარმოჩენაა შესაძლებელი. თანამედროვე სამართლებრივ რეალობაში, სამართლებრივი ნორმის დატვირთვა აბსოლუტურად არაფუნქციური ხდება, თუ მან პრაქტიკული თვალსაზრისით განვითარება ვერ ჰპოვა. სასამართლო პრეცედენტებია სწორედ ცალკეული სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაციის საუკეთესო საშუალება.

ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკაა ის საკითხი, რომელიც თითოეული იურისტი-სთვის საქმიანობის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს, რათა განსაზღვროს სასამართლოში საჩივრის შეტანის რისკი და პერსპექტივა. სწორედ პრაქტიკულ მაგალითებზე დაფუძნებითაა შესაძლებელი სამართლებრივი ინსტიტუტების განვითარების ცალკეულ საკითხებზე ყურადღების გამახვილება.

სამართლებრივი ნორმის მონესრიგების საკითხთან დაკავშირებით პრაქტიკის განვითარება შესაძლოა საკანონმდებლო ცვლილების საფუძველი გახდეს.

კრებულში თავმოყრილი მნიშვნელოვანი განმარტებანი განხილული სამართლებრივი ნორმის მცირე კომენტარს წარმოადგენს. იმის დადგენა, თუ სად გადის ზღვარი, ქმედების განხორციელების თავისუფლებასა და მის ფარგლებს შორის, სწორედ კონკრეტული მაგალითების განხილვის საფუძველზეა შესაძლებელი.

კრებულის მიზანია იმ უმნიშვნელოვანესი სასამართლო განმარტებების მკითხველისთვის წარმოჩენა, რომლებიც სამართლის სხვადასხვა ნორმებთან მიმართებით ერთგვაროვან პრაქტიკას ჰქმნიან, რითაც ნორმის პრაქტიკული რეალიზაციის დანახვაა შესაძლებელი.

კრებულში შესულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც განთავსებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე (<http://www.supremecourt.ge/ganmartebebi/>) და მიღებულია 2016 წლის 15 მაისამდე. გარდა ამისა, დამატებულია სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც ასეთად იქნა მიჩნეული კრებულის შემდგენლების მიერ. კრებული აერთიანებს იმ გადაწყვეტილებებსაც, რომლებიც 2015 წლამდე არ გამოქვეყნებულა.

გადაწყვეტილებები/განჩინებები/განაჩენები დალაგებულია თემატურად, რაც მნიშვნელოვნად გაუიოლებს დაინტერესებულ პირს სასურველ საკითხზე მათ მოძიებას.

**სანდრო ჯორბენაძე**

სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა  
და განზოგადების განყოფილების უფროსი  
თბილისი, 2016 წლის ნოემბერი

## P R E F A C E

One of the basis of the development of jurisprudence is the judicial practice. On the foundation of the judicial law (court decisions / rulings / judgments), it is available to define single legal act in a different way. In modern legal reality, to burden legal norm becomes absolutely dysfunctional, if he failed in development in practical terms. Judicial practice is the best way of interpretation of a single legal norm.

Common judicial practice is that issue, which represents an important stage for every lawyer practical activities, in order to determine the risk and perspective of the appeal complaint in the court. That is why on the basis of the practical examples, it is possible to focus on the specific issues of the legal institutions.

The development of the practice related to the settlement of the issue of the legal provision may become the basis for the legislative change.

Important explanations included in this collection is a small comment on the definitions of the legal norm. To determine where the boundaries lies between the freedom of action and its limits, is based on the discussion of the specific examples.

The goal of the collection is to highlight those most important interpretations of the court judgments for readers, which make a single practice to the different legal norms and brings to the practical implementation of the norm.

The collection includes those important decisions of the Supreme Court of Georgia, which are published at the Supreme Court web-site (<http://www.supremecourt.ge/ganmartebebi/>) and are made before May 15, 2016. Moreover, there are added other important decisions, which are invoked as such by the authors of the collection. The collection brings together those decisions as well, which were not published until 2015.

Court decisions / rulings / judgments are sorted by subject, which makes much easier for an interested person to find them on the desired issue.

**Sandro Jorbenadze**

Head of the Court Practice Research and Generalization Department

November, 2016, Tbilisi.

# საკიბელი

## საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებები სამოქალაქო საქმეებზე

### სამოქალაქო კოდექსი

#### სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი

პირადი არაქონებრივი უფლებები, სიტყვისა და გამოსატყვის, აგრეთვე პრესის თავისუფლება ..... 19

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი
- „სიტყვისა და გამოსატყვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი

#### გარიგებანი

ხელშეკრულების ბუნდოვანი გამონათქვამების განმარტება ..... 20

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 334-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 338-ე მუხლი

#### უფლების განხორციელება

კრედიტორისა და მოვალის ურთიერთობებში კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების მოვალეობის დარღვევის შედეგად კრედიტორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენება ..... 23

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი

#### ქონება, მფლობელობა, საკუთრება

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოსარგებლის უფლებები, ამ უკანასკნელის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის დანგრევის შემთხვევაში ..... 25

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 171-ე მუხლი

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა ..... 26

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლი

#### აუცილებელი გზა, თმენის ვალდებულება

ელექტროგადამცემი ხაზით სარგებლობისათვის კომპენსაციის განსაზღვრის წესი და მოცულობა ..... 27

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლი
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბერი №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-15 მუხლი

#### საკუთრების შექმნა

საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, როგორც მესამე პირთა დაცვის საშუალება ..... 29

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი

**საკუთრების უფლების მიტოვება ..... 31**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 184-ე მუხლი

**მოდრავი ნივთის შეძენისას საკუთრების უფლების წარმოშობისა და უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთზე ნასყიდობის ხელშეკრულების დადების სამართლებრივი შედეგები ..... 32**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 489-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 491-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი

**ბირაჰნობა**

**დაგირავებული ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლისას გირავნობის შენარჩუნება და ამ შემთხვევაში გამოსაყენებელი ნორმები ..... 34**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 274-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლი

**იპოთეკა**

**იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის ფარგლები ..... 35**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 308-ე მუხლი

**საჯარო რეესტრი**

**საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ბოლო ჩანაწერის მნიშვნელობა ..... 36**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი
- „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლი

**უძრავი ნივთის გასხვისების ფორმა**

**უძრავ ნივთზე უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, როგორც გარიგების ფორმა ..... 38**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლი

**უძრავი ნივთის გასხვისება ინტერნეტ აუქციონით ..... 39**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლი

**ვალდებულების პირობათა განსაზღვრა სამართლიანობის საფუძველზე**

**უფლებათა კეთილსინდისიერი განხორციელება ..... 40**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 325-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი

**ხელშეკრულებიდან გასვლა**

**ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, მიუღებელი შემოსავლის სახით, დამდგარი ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ასპექტები ..... 41**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი

**ვალდებულების შესრულება**

**მტკიცებულებათა შეფასების არა მარტო პროცესუალური, არამედ მატერიალურსამართლებრივი კრიტერიუმები ..... 45**



– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლი	
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი	
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი	
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლი	
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლი	
– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი	
<b>არაუფლებამოსილი პირის მიმართ ვალდებულების შესრულება .....</b>	<b>47</b>
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლი	
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლი	
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი	
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი	
<b>მოვალის მიერ ვადის გადაცილება</b>	
<b>სესხის ხელშეკრულების ფარგლებში საპროცენტო სარგებლისა და ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ურთიერთმიმართება .....</b>	<b>50</b>
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი	
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლი	
<b>ზიანის ანაზღაურების მოვალეობა</b>	
<b>ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის .....</b>	<b>51</b>
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი	
<b>ვალდებულების შესრულების მიღება</b>	
<b>მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება და კრედიტორის მიერ ამ შესრულების მიღების ფაქტის დადასტურება .....</b>	<b>52</b>
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი	
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 431-ე მუხლი	
<b>ქირაჲ და იჯარა</b>	
<b>ქირაჲვისა და იჯარის ხელშეკრულებების გამიჯვნა .....</b>	<b>53</b>
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლი	
<b>ნარღობა</b>	
<b>ნარღობის ხელშეკრულებისა და გადახარჯვის ანაზღაურება .....</b>	<b>54</b>
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლი	
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 638-ე მუხლი	
<b>დაზღვევა</b>	
<b>ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მზღვეველზე გადაცემის ფარგლები .....</b>	<b>56</b>
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი	
<b>მესამე პირის სასარგებლოდ დადებული სიცოცხლის დაზღვევისას რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურება .....</b>	<b>57</b>
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი	
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლი	
<b>ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა</b>	
<b>ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის მფლობელობიდან საერთო საკუთრების გამოთხოვის საფუძვლები და ამ საკითხზე ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილება .....</b>	<b>59</b>
– „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი	
– „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლი	

<b>კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი</b>	
<b>საზიარო უფლების გაუქმების სამართლებრივი ასპექტები .....</b>	<b>60</b>
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლი	
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი	
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 964-ე მუხლი	
<b>დელიქტური ვალდებულებანი</b>	
<b>ზიანის მიმყენებლის მშობლების მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრება .....</b>	<b>62</b>
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 995-ე მუხლი	
<b>სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი</b>	
<b>ზიანისათვის სატრანსპორტო საშუალების მფლობელის</b>	
<b>სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა .....</b>	<b>63</b>
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი	
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი	
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი	
<b>სანარმოო ტრავმის შედეგად მარჩენალის დაღუპვით</b>	
<b>მიყენებული ზიანის ანაზღაურება .....</b>	<b>64</b>
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლი	
<b>ინტელექტუალური სამართალი</b>	
<b>საავტორო უფლების დარღვევის აღკვეთა,</b>	
<b>პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა .....</b>	<b>65</b>
– „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი	
– „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი	
– „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოების დაცვის ბერნის კონვენციის“ მე-2 მუხლი	
– „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი	
<b>სასაქონლო ნიშნების გამოყენებასთან დაკავშირებულ დავაში სასაქონლო</b>	
<b>ნიშანზე განსაკუთრებული უფლების წარმოშობასა და საქონლის</b>	
<b>კონტრაფაქციულობის დასადასტურებლად მხარეთა შორის</b>	
<b>მტკიცების ტვირთის გადანაწილება .....</b>	<b>68</b>
– „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი	
<b>სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა .....</b>	<b>71</b>
– „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლი	
– „პარიზის კონვენციის“ მე-6 <sup>septies</sup> მუხლის (1) პუნქტი	
<b>გავშვთა უფლებების დაცვა; მიუხედავად და მზრუნველობა</b>	
<b>არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა .....</b>	<b>75</b>
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლი	
– „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლი	
<b>არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნება .....</b>	<b>77</b>
– „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის 5 ოქტომბრის ჰააგის კონვენციის მე-3 მუხლი	
– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1305 <sup>1</sup> -1305 <sup>3</sup> მუხლები	
<b>უკანონოდ გადაადგილებული ბავშვის დაბრუნება .....</b>	<b>79</b>
– „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის 25 ოქტომბრის ჰააგის კონვენციის მე-3 მუხლი	
– „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის 25 ოქტომბრის ჰააგის კონვენციის მე-13 მუხლი	
<b>არასრულწლოვნის საქართველოში ყოფნის მართლზომიერება .....</b>	<b>81</b>
– „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის 25 ოქტომბრის ჰააგის კონვენციის“ მე-3 მუხლი	

- „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-8 მუხლი

## **სამკვიდროს მიღება**

**სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება ..... 82**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლი

## **შრომის სამართალი**

**სამუშაოდან განთავისუფლება ..... 83**

- საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი

**სამუშაოდან განთავისუფლება ..... 86**

- საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლი
- საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლი
- საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი

## **საკორპორაციო სამართალი**

**კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის პირადი პასუხისმგებლობა ..... 89**

- „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი
- „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი

**დივიდენდის სამართლებრივი ბუნება ..... 92**

- „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლი
- „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლი

## **სამოქალაქო საპროცესო სამართალი**

### **უფლებების სასამართლო წესით დაცვა**

**სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვა ..... 94**

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი

### **შეჯიბრებითობის პრინციპი**

**სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივად მოსარჩელისაგან განსხვავებულად შეფასების შესაძლებლობა და ამ შესაძლებლობის რეალიზების პირობებში ორივე მხარის ინტერესების დაცვის აუცილებლობა ..... 95**

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლი

### **პროცესის ხარჯები**

**სასამართლო ხარჯების, როგორც დამოუკიდებელი დავის საგნის არსებობა ..... 97**

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლი

### **წარმომადგენლობა სასამართლოში**

**სამოქალაქო საქმის განხილვაში ორდერის საფუძველზე მონაწილე ადვოკატის უფლებამოსილების ფარგლები ..... 99**

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლი

- „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი

**სასამართლო მტკიცებულება**

**სარკინიგზო გადაზიდვებისას ტვირთის დაყოვნებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხის გადასაწყვეტად დასაშვები მტკიცებულებები ..... 100**

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი
- საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 52-ე მუხლი
- „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ 433-ე მუხლი

**პირადი შეხვედრისას განხორციელებული საუბრის ფარული აუდიოჩანაწერის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევა ..... 101**

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლი
- საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი
- საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი

**მამად აღიარება საპროცესო-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე ..... 103**

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1195-ე მუხლი

**სარჩელის უზრუნველყოფა**

**სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა და მიზანი ..... 105**

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი

**სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ..... 105**

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი

**დაუსწრებელი გადაწყვეტილება**

**აპელანტის მონინალმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობისას სასამართლოს მიერ შესაფასებელი გარემოებები ..... 108**

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup>-ე მუხლი

**მოპასუხის მიერ შესაგებლის შეუტანლობის მოტივით გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების კანონიერება ..... 108**

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup>-ე მუხლი

**აპელაციის ეტაპზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის გამოყენების მიზანშეწონილობა ..... 111**

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup>-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი

**გადაწყვეტილების ასლის ჩაბარება**

**გადაწყვეტილების ასლის მხარეებისათვის ჩაბარების ვალდებულება ..... 112**

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლი

**დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე**

**სარჩელის განხილვის გამართივებული წესი**

**გამართივებული წარმოებით საქმის განხილვის თაობაზე საპროცესო დოკუმენტებში აღნიშვნისა და კანონით დადგენილი შემჭიდროებული ვადების დაცვის სავალდებულობა ..... 113**

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>19</sup>-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>20</sup>-ე მუხლი

**ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა**

**სააპელაციო სასამართლოში**

**სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხულ მონმეთა ჩვენებების სამოქალაქო საქმეზე მტკიცებულებად მიჩნევა და სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი მტკიცებულებების გამოთხოვა ..... 114**

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 382-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლი

## **საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებები ადმინისტრაციულ საქმეებზე**

### **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი**

**ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა ..... 117**

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლი

### **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა**

**მინის ქონების გადასახადის დავალიანების გამო ქონებაზე**

**ყადაღის დადების მართლზომიერება ..... 118**

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლი
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლი
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 87-ე მუხლი

**კანონიერი ნდობა ..... 120**

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლი

**დავის მხარეების იდენტიფიკაცია ..... 121**

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლი

### **ადმინისტრაციული ორგანოს ვასუსისმგებლობა**

**ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირათათვის დევნილის სტატუსის მინიჭება ..... 123**

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი
- „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი

### **ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მესამე პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვა**

**აღმჭურველი აქტის ბათილად გამოცხადება ..... 125**

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლი

### **ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი**

#### **განსჯადობა**

**ინტელექტუალური საკუთრების შესახებ დავების განსჯადობა ..... 127**

- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლი
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლი

#### **არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში სამართალდარღვევისათვის**

**პასუხისმგებელი სუბიექტის უფლებამონაცვლედ მიჩნევა ..... 128**

- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლი

#### **ვალდებულების შესრულების და ხელშეკრულების**

**მოქმედების ვადების გაშიჯვნა ..... 129**

- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლი



<b>დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის განსჯადობა, მაშინ როდესაც ძირითადი სასარჩელო მოთხოვნა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს წარმოადგენს .....</b>	<b>131</b>
– საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი	
<b>საერთო განსჯადობა .....</b>	<b>133</b>
– საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი	
– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი	
<b>ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნა</b>	
<b>„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სახელმწიფო სავალო ვალდებულებების დაფარვა .....</b>	<b>134</b>
– საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლი	
– საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი	
<b>სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის და ახალი აქტის გამოცემის დავალების წინაპირობები .....</b>	<b>135</b>
– საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი	
<b>სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება ადმინისტრაციულ ორგანოში .....</b>	<b>138</b>
– ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი	
<b>ადმინისტრაციული სამართალდარღვევა</b>	
<b>უნებართვო მშენებლობისთვის დაჯარიმება .....</b>	<b>140</b>
– საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8 მუხლი	
<b>დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება .....</b>	<b>141</b>
– საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 29-ე მუხლი	
– საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლი	
<b>სამართალდარღვევის განმეორებითად მიჩნევა .....</b>	<b>143</b>
– საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 39-ე მუხლი	
<b>კონკრეტული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სუბიექტი .....</b>	<b>144</b>
– საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129 <sup>1</sup> -ე მუხლი	
<b>სოციალური ღირებულება (შრომა და კომპენსაცია)</b>	
<b>მშობიარობის გამო დახმარების გაცემა .....</b>	<b>146</b>
– საქართველოს შრომის კოდექსის 29-ე მუხლი	
– საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლი	
– საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 <sup>1</sup> მუხლი	
– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლი	
<b>ორსული საჯარო მოსამსახურის სამსახურიდან განთავისუფლება .....</b>	<b>147</b>
– საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლი	
– საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლი	
– „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 111-ე მუხლი	
<b>საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კომპენსაციის გაანგარიშება .....</b>	<b>149</b>
– „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლი	
– „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი	
<b>საჯარო სამსახურში დასაქმებული ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებული ადვოკატის სამსახურებრივი შეუთავსებლობა .....</b>	<b>151</b>

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 64-ე მუხლი
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 104-ე მუხლი

## **საჯარო რეესტრი**

<b>მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია .....</b>	<b>154</b>
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლი	
<b>მიწის ნაკვეთების საზღვრების გადაფარვა .....</b>	<b>155</b>
- „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი	
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლი	
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლი	
<b>საჯარო რეესტრში ყადაღის რეგისტრაცია .....</b>	<b>156</b>
- „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი	
<b>რეგისტრაციის საფუძვლად არსებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ბათილად ცნობა ინვესტორების რეგისტრაციის ძალადაკარგულად გამოცხადებას .....</b>	<b>158</b>
- „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლი	
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლი	
<b>საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების ხელმისაწვდომობა; ზიანის ანაზღაურების წარმოშობისათვის აუცილებელი პირობები .....</b>	<b>160</b>
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი	
<b>საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ტერიტორიული სამსახურების გადანყვეტილების (მათ შორის, საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ გადანყვეტილების) კონტროლის/გადამონშემების შესაძლებლობა .....</b>	<b>163</b>
- „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლი	
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლი	

## **იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები**

<b>იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭება .....</b>	<b>167</b>
- „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი	
<b>„მუდმივი საცხოვრებელი ადგილის“ დეფინიცია .....</b>	<b>168</b>
- „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-4 მუხლები	
<b>იძულებით გადაადგილებული პირების მიერ საარსებო შემწეობის დანიშვნაზე წერილობითი თანხმობის წარდგენა .....</b>	<b>169</b>
- „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების მე-11 მუხლი .....	169

## **საგადასახადო სამართალი**

<b>საგადასახადო პასუხისმგებლობის დაკისრების კანონიერება .....</b>	<b>170</b>
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლი	
<b>საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვის შემთხვევაში საგადასახადო ვალდებულების დაკისრებისა და გათავისუფლება .....</b>	<b>171</b>
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლი	
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლი	
<b>საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის სამართალდარღვევის ადგილზე შედგენის ვალდებულება .....</b>	<b>172</b>
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლი	
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლი	

**სააღსრულებო სამართალი  
(სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე)**

**სააღსრულებო ფურცლის მოქმედების ნაწილობრივ შეჩერება ..... 174**

- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლი
- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 82<sup>1</sup>-ე მუხლი

**იძულებითი აღსრულების დაუშვებლობის პირობები ..... 176**

- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლი
- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი
- „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი

**სააღსრულებო საფასურის დაკისრება ..... 177**

- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი

**საჯარო აუქციონზე შეძენილ უძრავ ქონებაზე  
გირავნობის (იპოთეკის) გადასვლა ..... 179**

- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლი
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 85-ე მუხლი

**საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია ..... 180**

- „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლი
- „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი  
ბანმარტაბები სისხლის სამართლის საქმეებზე**

**სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები  
სისხლის სამართლის კანონის უკუქალა**

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის  
გადასინჯვისას სასამართლოს უფლებამოსილება ..... 182**

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლი

**სასჯელის დანიშვნა**

**განაჩენთა ერთობლიობისას წინა განაჩენით დანიშნული  
დამატებითი სასჯელის ბოლო განაჩენისათვის მიმატება ..... 183**

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი

**პირობითი მსჯავრი**

**არასრულწლოვნის დაცვის საერთაშორისო სამართლის  
საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების უპირატესობა ..... 184**

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 64-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 316-ე მუხლი
- საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი

**დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ**

**ბინის ხელშეუხებლობის დარღვევასა და ფსიქიკურ იძულებას  
შორის ზღვარის გავლება ..... 185**

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლი

**საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული**

**დიდი ოდენობით ჩადენილი თაღლითობის კვალიფიკაცია და  
მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკა ..... 187**

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლი



<b>თაღლითობის მცდელობასა და დამთავრებულ თაღლითობას შორის ზღვარის გავლება .....</b>	<b>189</b>
– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლი	
– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლი	
<b>თაღლითობისა და მოტყუებით ქონებრივი დაზიანების საფუძველზე მსჯავრდების შემთხვევების განსხვავება .....</b>	<b>190</b>
– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლი	
– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლი	
<b>ნასამართლელი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება .....</b>	<b>191</b>
– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238 <sup>1</sup> -ე მუხლი	
<b>წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი ხულიგნობა .....</b>	<b>193</b>
– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლი	
– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლი	
<b>ნარკოტიკული დანაშაული</b>	
<b>ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღება .....</b>	<b>194</b>
– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი	
– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლი	
<b>ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა, შენახვა, გასაღების დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებების ერთმანეთისგან განსხვავება .....</b>	<b>194</b>
– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი	
<b>ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების (მარიხუანა) უკანონოდ მოხმარებისათვის სასჯელის განსაზღვრის წესი .....</b>	<b>195</b>
– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი	
<b>ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ურთიერთმიმართება .....</b>	<b>197</b>
– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი	
<b>დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ</b>	
<b>თვითნებობის გამიჯვნა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისაგან .....</b>	<b>198</b>
– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლი	
<b>ყალბი დასკვნის გაცემისა და ყალბი დოკუმენტის დამზადების დანაშაულებებს შორის განსხვავება .....</b>	<b>200</b>
– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლი	
– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლი	
– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლი	
<b>დოკუმენტის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება</b>	
<b>პირადობის მონაშობის ან სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცების კანონით გათვალისწინებული ნიშნები .....</b>	<b>201</b>
– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 363-ე მუხლი	
<b>დანაშაულის შეუტყობინებლობის სუბიექტთა წრის განსაზღვრა .....</b>	<b>202</b>
– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლი	
– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლი	
<b>მონმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა .....</b>	<b>203</b>
– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371 <sup>1</sup> -ე მუხლი	

## **სისხლის სამართლის პროცესი**

### **პირის დაზარალებულად ცნობა**

**არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის დაზარალებულად ცნობა ..... 205**

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლი (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია)
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლი

### **მტკიცებულება**

**ირიბი ჩვენება; „დაუსწრებელი მოწმის ჩვენება“;**

**მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი ..... 207**

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლი

### **აკეატი**

**საუარესოდ შებრუნება ..... 209**

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლი

### **კასაცი**

**უტყუარი და პირდაპირი ხასიათის მტკიცებულებების არარსებობის გამო,**

**გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და საქმის შეწყვეტა ..... 210**

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (20.02.1998 წლის რედაქცია) 561-ე მუხლი

### **ახლად გამოვლენილი გარემოებები**

**ახლად გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით**

**საკასაციო საჩივრის განხილვის ფარგლები ..... 211**

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-300 მუხლი

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ფარგლები ..... 212**

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-310 მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლი

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის**

**მოთხოვნის უფლებამოსილ პირთა წრე ..... 213**

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლი
- საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას**

**„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული**

**შელავათების მსჯავრდებულთა მიმართ გავრცელება/გამოყენება ..... 214**

- „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი

# საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებები სამოქალაქო საქმეებზე

## სამოქალაქო კოდექსი

### სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი

#### პირადი არაქონებრივი უფლებები, სიტყვისა და გამოხატვის, აგრეთვე პრესის თავისუფლება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი
- „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1278-1298-2011 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba7.pdf>).

განხილული სამოქალაქო საქმე ეხება ა. ფ-ის სარჩელს, რომლითაც მან მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე შპს გაზეთ „ა-დ-ის“ მიმართ და მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება იმ საფუძველით, რომ მოპასუხე გაზეთში მის შესახებ გამოქვეყნდა ცილისმწამებლური წერილი, რამაც შელახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. თბილისის საქალაქო სასამართლოს და შემდეგ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ა. ფ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 3000 ლარის ოდენობით. უზენაესმა სასამართლომ, იხელმძღვანელა რა საქართველოს კონსტიტუციისა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით, აგრეთვე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დააკმაყოფილა, შპს გაზეთ „ა-დ-ის“ სარჩელი. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს, მისი განვითარებისა და პროგრესის თვითრეალიზების მთავარ პირობას, ამიტომ დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ იშვიათად შეიძლება აღმოჩნდეს აუცილებელი. ასეთი აუცილებლობის ფარგლები კიდევ უფრო მცირდება, როცა საქმე პრესის თავისუფლებას ეხება, ვინაიდან პრესის თავისუფლებას ძალიან მაღალი ღირებულება გააჩნია დემოკრატიულ საზოგადოებაში და მისი შეზღუდვაც განსაკუთრებულ გამართლებას მოითხოვს. ასეთია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. ამ პრაქტიკით დადგენილ სტანდარტებს შეესაბამება ასევე საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“.

უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ცილისწამების განსაზღვრისათვის აუცილებელი პირობაა ფაქტისა და მოსაზრების (აზრის) გამიჯვნა, ვინაიდან „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მიხედვით, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და შესაბამისად, შეფასებითი მსჯელობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ცილისწამებად. განსახილველ საქმეში უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო წერილში მითითებული გამონათქვამები მხოლოდ მისი ავტორის მოსაზრებების გავრცელებას ემსახურებოდა, რომელიც ასახავდა ამ უკანასკნელის სუბიექტურ დამოკიდებულებას მოსარჩელის პიროვნების მიმართ და არ შეიცავდა კონკრეტული ფაქტე-

ბის მტკიცების პრეტენზიას. ანუ ეს იყო მხოლოდ მოპასუხის სუბიექტური აზრი (მსჯელობა, თვალსაზრისი) და არა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ფაქტების დამტკიცების მცდელობა, ამიტომ იგი არ შეიძლება მიჩნეულიყო ცილისწამებად. უზენაესმა სასამართლომ ასევე განმარტა, რომ როდესაც კერძო პირები მოღვაწეობენ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების სფეროში და მონაწილეობას იღებენ ამ საკითხების საჯარო განხილვაში პრესისა თუ მასმედიის სხვა საშუალებებით, კრიტიკისადმი მათ მეტი მოთმინება მოეთხოვებათ. ამიტომ, საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე დებატებში მონაწილეობის დროს კერძო პირის მიმართ შეურაცხმყოფელი ტერმინების გამოყენება შესაძლებელია არ იქნეს მიჩნეული ცილისწამებად. განსახილველ საქმეში უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან მოსარჩელე მოღვაწეობდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების სფეროში და მონაწილეობას იღებდა ამ საკითხებზე გამართულ საჯარო დისკუსიებში, ამიტომ მას კრიტიკისადმი მეტი მოთმინება მოეთხოვებოდა. აქედან გამომდინარე, უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ცალკე აღებული სადავო გამონათქვამები, შესაძლოა შეურაცხმყოფელიც ყოფილიყო, მაგრამ საგაზეთო სტატიის მთელი კონტექსტის გათვალისწინებით, ეს გამონათქვამები უნდა შეფასებულიყო როგორც საზოგადოებრივი ინტერესის მქონე თემატიკაზე საჯარო დისკუსიის დროს მოპასუხის მიერ საკუთარი შეხედულების მკვეთრი (უხეში) ფორმით გამოხატვა. ასეთი გამოხატვის მიმართ კი მოსარჩელეს თმენის მეტი ვალდებულება გააჩნდა, ამიტომ ეს გამოხატვა ექცეოდა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში და გამორიცხავდა გაზეთის პასუხისმგებლობას.

## გარიგებანი

### ხელშეკრულების ბუნდოვანი გამონათქვამების განმარტება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 334-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 338-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-1144-1090-2014 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n77-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

განხილული სამოქალაქო საქმე შეეხება ი. ს-ის სარჩელს, რომლითაც მოსარჩელემ მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე სს „ს. ბ-ის“ მიმართ და მოითხოვა, საიჯარო ქირისა და პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრება. სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლად მითითებულია, რომ მხარეებს შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც საიჯარო ქირა განისაზღვრა ყოველთვიურად 3714 აშშ დოლარით. მოგვიანებით, მხარეები შეთანხმდნენ ერთი წლის განმავლობაში ანუ, 2010 წლის 1 აპრილამდე საიჯარო ქირის 3000 აშშ დოლარამდე შემცირების თაობაზე. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ 2010 წლის 1 აპრილიდან მოპასუხეს უნდა გადაეხადა კვლავინდებურად 3714 აშშ დოლარი, ის კი, იხდიდა მხოლოდ 3000 აშშ დოლარს. 2011 წლის მაისში მხარეთა შორის ხელშეკრულება შეწყდა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაზედაც საკასაციო საჩივარი წარადგინა აპელანტმა (მოსარჩელე).

უზენაესმა სასამართლომ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე, 334-ე და 338-ე მუხლებით განმარტა, რომ ხელშეკრულებათა განმარტების სპეციფიკა განპირობებულია ურთიერთობათა ორმხრივი (მრავალმხრივი) ხასიათით, დისპოზიციური ნორმების გამოყენებით, სავაჭრო და საქმიანი ჩვეულებებითა და ტრადიციებით, მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობაში ჩამოყალიბებული პრაქტიკით, იმპერატიული ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინების აუცილებლობით და ა.შ.

ხელშეკრულება არის მხარეთა მიერ მიღწეული კონსენსუსის შედეგი, რომელიც, სამართლებრივი თვალსაზრისით, იწვევს მხარეთა მიმართ უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას მათივე ნების საფუძველზე. ხელშეკრულების არსებობისათვის აუცილებელია ორი ან მეტი ნების თანხვედრა, რაც იწვევს მხარეთა საერთო ნების დადგენის აუცილებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარსის, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაში მდგომარეობს. სასამართლო მხარეთა ნამდვილ ნებას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმარტების პროცესში წარმოიშობა ხელშეკრულების ტექსტში გადმოცემულ დებულებათა შორის წინააღმდეგობა ან შეუსაბამობა.

ყველა იმ გარიგებაში, რომლებშიც ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღებაზე, არცთუ იშვიათად იბადება კითხვა, სწორად გაიგო თუ არა მეორე მხარემ ის, რისი თქმაც ნების გამომვლენ პირს სურდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გარიგებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ორი მხარე – ნების გამომვლენი და ნების მიმღები – მონაწილეობს, აშკარა გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამოვლენილი ნების სწორად გაგებას მეორე მხარის მიერ. მრავალი გარემოებით შეიძლება იყოს გამონკვეთი, რომ ის, რაც იგულისხმა ნების გამომვლენმა, სხვაგვარად გაიგო მისმა მიმღებმა. აქედან წარმოიშობა გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი, რომელიც საჭიროებს სწორად გადაწყვეტას. ამ კონფლიქტის გადაწყვეტის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს ნების გამოვლენის განმარტება.

ნების გამოვლენის განმარტება ემსგავსება კანონის განმარტებას: ორივე შემთხვევაში ხდება ბუნდოვანი, საეჭვო აზრის დაზუსტება. მაგრამ თუ კანონის განმარტებას ზოგადი ხასიათი აქვს, ე.ი. სავალდებულოა და გამოიყენება ყველას მიმართ და მიზნად ისახავს კანონის ბუნდოვანი ადგილების ერთიანი გაგების უზრუნველყოფას, გარიგების (ხელშეკრულების) განმარტების მიზანი უფრო ვიწროა – გარიგების (ხელშეკრულების) მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობის გარკვევა. ამიტომ ასეთ განმარტებას ძალა აქვს მხოლოდ გარიგების მონაწილეებისათვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ცხადია, რომ ეს „გონივრული განსჯა“ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს.

ხელშეკრულების განმარტების დროს სასამართლო ორ მნიშვნელოვან საკითხს წყვეტს: სასამართლოს ევალება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში გაკეთებული გამონათქვამების დაზუსტება, ხოლო მეორე მხრივ, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ხელშეკრულებაში ღიად დარჩენილი ადგილების ე.წ. ხარვეზების შევსებას ახორციელებს.

„ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტება“ და „ხელშეკრულების შევსებითი განმარტება“ განსხვავებული ცნებებია. სხვადასხვანაირი, ორაზროვანი და მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დაზუსტების აუცილებლობას ადგილი აქვს, როდესაც მხარე



რეები ხელშეკრულების გამონათქვამების მიღმა არსებულ მნიშვნელობებზე დავობენ. ხოლო ხელშეკრულების შევსებით განმარტებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მხარეებს ხელშეკრულების ტექსტში გამორჩენილი აქვთ ცალკეულ საკითხთა მონესრიგება ან ხელშეკრულების პირობები გარკვეული ხარვეზებითაა მოცემული.

ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტების დროს უნდა დადგინდეს მხარის შინაგანი ნების შესაბამისობა მის გამომხატულებასთან. ხელშეკრულების განმარტების მიზანი მისი შინაარსის დადგენაა. განმარტებას შეიძლება საჭიროებდეს, როგორც მთელი ხელშეკრულება, ასევე მისი რომელიმე ნაწილი ან თუნდაც რომელიმე პუნქტი (პირობა). ხელშეკრულების პირობები იმგვარად უნდა იქნეს განმარტებული, რომ ყველა მათგანს მიეცეს მნიშვნელობა და არა რომელიმე მათგანს ნაერთვას ძალა.

ხელშეკრულების გამონათქვამების სხვადასხვანაირობა გულისხმობს, რომ ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამები შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს გაგებული. გამონათქვამთა საგულდაგულო შერჩევის მიუხედავად, დოკუმენტი ყოველთვის ერთნაირად ვერ იქნება აღქმული მისი ნამკითხველების მიერ. გამონათქვამების შინაარსის დადგენა უნდა მოხდეს ხელშეკრულების საერთო ტექსტით ან ხელშეკრულების იმ ნაწილებით, რომლებიც განსამარტავ გამონათქვამებს შეიცავენ.

ხელშეკრულების განმარტების საფუძვლებთან დაკავშირებით საინტერესოა ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი პრინციპების (დებულებების) 5:101-5:107 მუხლების დანაწესები, კერძოდ, ხელშეკრულება უნდა განიმარტოს მხარეთა საერთო ნების შესაბამისად იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი განსხვავდება სიტყვასიტყვითი მნიშვნელობისაგან. მხარეთა საერთო ნების დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, განმარტების კრიტერიუმად მიიჩნევა ხელშეკრულების მხარეთა მსგავსი გონივრული აზროვნების მქონე პირთა შეფასება მოცემულ გარემოებებში. ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამი (პირობა) უნდა განიმარტოს იმ მთლიანი ხელშეკრულების ჭრილში, რომელშიც ისინი არის მოცემული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გარიგების განმარტების შესახებ 52-ე მუხლის გარდა, მოიცავს ასევე ნორმებს, რომლებიც ხელშეკრულებათა განმარტების საკითხებს აწესრიგებს, მაგალითად, 338-ე მუხლი, რომლის ძალითაც, ხელშეკრულებაში ურთიერთგამომრიცხველი ან მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ გამონათქვამს, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება ხელშეკრულების შინაარსს.

## უფლების განხორციელება

### კრედიტორისა და მოვალის ურთიერთობებში კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების მოვალეობის დარღვევის შედეგად კრედიტორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1338-1376-2014 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n81-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო, ბოროტად გამოიყენა თუ არა კრედიტორმა (კომერციულმა ბანკმა) სესხის ხელშეკრულებით მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის უფლება მესამე პირისაგან (სხვა კომერციული ბანკისგან) აღნიშნული ვალდებულების შესრულების შეთავაზების უპასუხოდ დატოვებით, რითაც მოსარჩელეს მიადგა მნიშვნელოვანი ქონებრივი დანაკლისი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კრედიტორის (ბანკის) ქმედების მართლზომიერების შეფასების გზამკვლევეს წარმოადგენს იმ ალტერნატივის შეფასება, რაც მესამე პირის (სხვა ბანკის) წერილით იქნა შეთავაზებული კრედიტორისათვის. სახელდობრ, პირველ რიგში, უნდა გარკვეულიყო კრედიტორისათვის მიწოდებული შეთავაზების მიზნობრიობა და რეალურობა (სანდოობა), გამომდინარე იქიდან, რომ ხელშეკრულ მხარეთა შორის, მით უფრო, საკრედიტო დანესებულებასა და კლიენტს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის დამყარება ყოველთვის უკავშირდება პრეზუმფციას, რომ ვალდებულება შესრულდება დადგენილი წესის დაცვით.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, გასათვალისწინებელი იყო ის ვითარება, რომ საკრედიტო დანესებულება, რომლისგანაც მიიღო კრედიტორმა შეთავაზება ვალდებულების შესრულების შესახებ, წარმოადგენდა ქართულ საკრედიტო სივრცეში დამკვიდრებულ, რენომირებულ იურიდიულ პირს და არა გაურკვევლი რეპუტაციის მქონე პირს, რომლის წინადადებაც, შესაძლოა, აღქმულიყო ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაციისათვის ხელშემშლის ანდა აღსრულების გაჭიანურების მცდელობად; ხოლო რაც შეეხება თავად შეთავაზების წერილს, მისი შინაარსით ერთმნიშვნელოვნად ვლინდებოდა ერთი საკრედიტო დანესებულების მზადყოფნა სრულად დაფარულიყო მეორე საკრედიტო დანესებულების მიმართ არსებული მოვალის დავალიანება. ამრიგად, შეთავაზება იყო რეალური და კონკრეტული მიზნის მქონე, კერძოდ, მიზნად ისახავდა ბანკის წინაშე მოვალის ფულადი ვალდებულების შესრულებას და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თავიდან აცილებას. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. იგი თანამედროვე სამართლის, ფილოსოფიისა და ბიზნესის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია.

კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილ-

სინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტი. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ მხარეს, გარდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა, ევალება ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაც, ანუ კონტრაჰენტის პატივისცემის ინტერესების გათვალისწინება და დაცვა. ამ მოთხოვნის დარღვევა კი არა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში, არამედ სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა და ძირითადი ვალდებულებების შესრულების შემდგომ ეტაპზეც შესაძლებელია პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი გახდეს.

საკასაციო პალატის განმარტებით, კეთილსინდისიერების ზემოაღნიშნული ფუნქციებიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში, კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მცირე ხელშეწყობაზე, როდესაც მოვალეს კრედიტორის მხრიდან ესაჭიროება ასეთი ხელშეწყობა მასზე ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის.

საკასაციო პალატის განმარტებით, სადავო შემთხვევაში კრედიტორის ქმედება იმით იყო მოტივირებული, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაცია განაპირობა მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევამ და სესხის გადაუხდელობამ, რაც, კრედიტორის განმარტებით, გამორიცხავდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არსებობას. საკასაციო პალატამ ზემოაღნიშნული განმარტება არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ ის ვითარება, რომ მესამე პირმა კრედიტორს შესთავაზა დავალიანების სრულად დაფარვა, რაც თავის მხრივ, გამორიცხავდა უძრავი ქონების რეალიზაციის გზით კრედიტორის დაკმაყოფილების უკიდურესი ზომის გამოყენებას, თეორიულადაც კი, გამორიცხავს კრედიტორის პოზიციის მართებულობას.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება, მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა (სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად) საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ისეთ პირობებში, როდესაც კრედიტორი ქონების აუქციონზე რეალიზაციის განმაპირობებელ გარემოებად მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევასა და შესაბამისად, სესხის გადაუხდელობას მიიჩნევს, ხოლო თავის მხრივ, მოვალე კრედიტორის ამ გადაწყვეტილებით მიღებულ ზიანზე აპელირებს, სასამართლოს შეფასების საგანია იყო თუ არა კონკრეტულ სიტუაციაში კრედიტორის ქმედება ნაკარნახევი ობიექტური აუცილებლობით და თუ არ იყო, მიადგა თუ არა ზიანი მოვალეს კრედიტორის ამგვარი ქმედებით.

საკასაციო პალატის განმარტებით, სადავო არ არის, რომ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაირღვა, ხოლო ბანკის მოლოდინი ხელშეკრულების გაფორმების მიმართ მდგომარეობდა მის ჯეროვან შესრულებაში, თუმცა საქმის გარემოებათა ერთობლიობაში შეფასებით ბანკის ქმედება ვერ იქნება მიჩნეული კეთილსინდისიერ ქმედებად, რამეთუ ბანკის ინტერესი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ფულადი ვალდებულების შესრულებაში მდგომარეობდა და, იმ პირობებში, როდესაც ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ მას წერილობით მიენოდა შეთავაზება, იმის მიუხედავად, იქნებოდა იგი წარმოდგენილი საბანკო გარანტიის თუ სამოქალაქო კოდექ-



სით გათვალისწინებული სხვა ფორმით, ბანკს, როგორც საკრედიტო დაწესებულებას, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ევალეზობდა გულისხმიერი დამოკიდებულება გამოეჩინა და საბანკო დავალიანების დაფარვის რამოდენიმე ვარიანტიდან ამოერჩია ყველაზე ხელსაყრელი და, ამავდროულად, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი. შეთავაზების წერილი, მართალია, პირდაპირ არ ავალდებულებდა ბანკს შეენყვიტა მოვალის მიერ საკრედიტო ვალდებულების დარღვევის გამო დაწყებული, კანონითა და მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული სააღსრულებო პროცედურები, თუმცა მოცემულ შემთხვევაში საკრედიტო დაწესებულების მართლზომიერი ქცევის განმსაზღვრელი იყო სახელმშეკრულებო ურთიერთობის მონაწილის კეთილსინდისიერებისა და მეორე მონაწილის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება და არა მარტოდენ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის უფლება. მით უფრო, რომ იპოთეკის საგნების რეალიზაციით მოთხოვნის დაკმაყოფილების მიმართ კრედიტორის უპირატესი ინტერესი გამოკვეთილი არ იყო, რადგანაც მას შეეძლო რეალიზაციისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი პროცედურებისა და დამატებითი ხარჯების გვერდის ავლით, უფრო მოკლე დროში დაეკმაყოფილებინა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირისაგან ფულადი ვალდებულების შესრულებაზე შეთავაზების მიღებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ საქმეზე დადგენილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები იძლევა ლოგიკური და თანმიმდევრული ვარაუდის საფუძველს, რომ ბანკის მხრიდან უძრავი ნივთების იძულებით აუქციონზე რეალიზაციის, როგორც კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უკიდურესი ფორმის, გამოყენება შეფასდეს უფლების ბოროტად გამოყენებად, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლთან.

### ქონება, მფლობელობა, საკუთრება

**„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოსარგებლის უფლებები, ამ უკანასკნელის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის დანგრევის შემთხვევაში**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 171-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-266-250-2011 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba16.pdf>).

აღნიშნული სამოქალაქო საქმე ეხებოდა გ. ტ-ძის სარჩელს, რომლითაც იგი მოითხოვდა კანონით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ იმ საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობას, რომელიც წარსულში მის სარგებლობაში იმყოფებოდა, ამჟამად კი დანგრეული იყო და საკუთრების უფლებით ირიცხებოდა მოპასუნის სახელზე.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი იყო იმ საკითხის გარკვევა, თუ რისი უფლება გააჩნდა მოსარგებლეს

მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის დანგრევის შემთხვევაში. საკასაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან. ამავე კოდექსის 171-ე მუხლის თანახმად კი, ნივთზე საკუთრების უფლება ვრცელდება ასევე ამ ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილებზედაც. ხსენებული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საცხოვრებელი სადგომი წარმოადგენს მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს. კონკრეტული ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით, საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლე წარმოადგენს იმ პირს, ვისაც კანონით დადგენილი გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, აქვს მესაკუთრედ ცნობის უფლება. მითითებული კანონით განსაზღვრული მოსარგებლის უფლება ვრცელდება დათმობის გარიგების საფუძველზე, მის სარგებლობაში არსებულ საცხოვრებელ სადგომზე და, შესაბამისად, იმ მიწის ნაკვეთზე, რომელზედაც უშუალოდ იდგა ეს საცხოვრებელი სადგომი (და არა მიმდებარე ტერიტორია). ამდენად, იმ საცხოვრებელი სადგომის დანგრევა, რომელზედაც მხარეს გააჩნდა მოსარგებლის უფლება არ იწვევს იმ უფლების მოსპობას, რომელიც მას გააჩნია იმ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც მყარად იყო დაკავშირებული საცხოვრებელი სადგომი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის უფლება ვრცელდებოდა დანგრეული საცხოვრებელი სადგომის მიწის ნაკვეთის (რომელზედაც უშუალოდ მდებარეობდა სადავო სახლი) შესაბამის წილზე.**

## უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

### – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-899-857-2013 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

მოცემულ საქმეზე მოსარჩელე შპს „კ.“ მოითხოვდა შპს „შ. და კ-ს“ დაკისრებოდა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტებისათვის სს „ი-ს ვ-ს“ 2010-2011 წლების საბუღალტრო-ფინანსური დოკუმენტაციის სრულად გადაცემის ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ მოთხოვნაზე ვრცელდებოდა სამოქალაქო კოდექსის 115-ე და 160-ე მუხლები.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლი ეხება კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნას, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ მფლობელს, რომელსაც არ გააჩნდა ფლობის უფლება, მაგრამ ამ ფაქტის მიმართ ის კეთილსინდისიერია, ჩამოერთვა მფლობელობა. ამ შემთხვევაში, მას სამი წლის განმავლობაში შეუძლია ახალ მფლობელს ნივთის უკან დაბრუნება მოსთხოვოს. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა ახალ მფლობელს აქვს მფლობელობის უკეთესი უფლება. მფლობელობის უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკეთესი უფლების მქონე პირის მიმართაც, თუკი მან ნივთი მოიპოვა ძალადობის ან მოტყუების გზით. აღნიშნული მუხლი იცავს კეთილსინდისიერი მფლობელის უფლებას, ანუ მფლობელის, რომელსაც არ გააჩნდა მფლობელობის კანონიერი (სახელშეკრულებო) საფუძველი. განსახილველი ნორმა მიგვითითებს კეთილსინდისიერი მფლობელისაგან „მფლობელობის ჩამორთმევაზე“. მი-

თითებული ნორმის მიხედვით ახალ მფლობელს (მათ შორის მფლობელობის უკეთესი უფლების მქონე პირს) შეუძლია, ვინდიკაციის და არა თვითნებობის საფუძველზე დაიბრუნოს ნივთი. კეთილსინდისიერი მფლობელი ვერ მოითხოვს მფლობელობის დაბრუნებას უკეთესი უფლების მქონე პირისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უკეთესი უფლების მქონე პირმა ნივთი მოიპოვა ძალადობის ან მოტყუების გზით (იხ. განჩინება №ას-524-493-2012 – <http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

ამ განმარტების საფუძველზე, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლი სადავო ურთიერთობაზე არ ვრცელდება, რადგან შპს „კ“ და შპს „შ. და კ.“ წარმოადგენენ სს „ი-ს ვ-ს“ საბუღალტრო-ფინანსური დოკუმენტაციის მართლზომიერ მფლობელებს და ამ დოკუმენტების წვდომასთან გააჩნიათ ერთნაირი უფლებრივი მდგომარეობა; ამასთან გასათვალისწინებელია, რომ შპს „კ“ სარჩელით არ ითხოვს ამ დოკუმენტების მისთვის მფლობელობაში გადაცემას. ამ უკანასკნელის მიზანს (კანონიერ ინტერესს) წარმოადგენს ინფორმაციის მოპოვება მისი სიზუსტის შემოწმების მიზნით.

## აუცილებელი გზა, თმინის ვალდებულება

### ელექტროგადამცემი ხაზით სარგებლობისათვის კომპენსაციის განსაზღვრის წესი და მოცულობა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლი
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბერი №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-15 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-803-762-2013 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n74-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

მოცემული დავის ფარგლებში შპს „ა-ი“ მოითხოვდა სს „ე.პ.ჯ.-სათვის“ მისი კუთვნილი 5 კმ სიგრძის 6 კვტ. ელექტროხაზით სარგებლობისათვის კომპენსაციის დაკისრებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, დავის სწორად გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია დადგინდეს ელექტროგადამცემი ხაზით სარგებლობისათვის მესაკუთრეს რა ოდენობის საკომპენსაციო თანხა ეკუთვნის, ეს საკომპენსაციო თანხა მოიცავს თუ არა ამ სახის მოვლა-პატრონობის ხარჯებს და ვის ეკისრება გადახდა.

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას და დამატებით განმარტა, რომ ე.წ. ელ. ენერჯის ქსელის სარგებლობის გამო თმინის ვალდებულების გადასახდელი საკომპენსაციო თანხა მოიცავს ასევე ყველა იმ ხარჯს, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს სხვისი კუთვნილი ელექტროენერჯის გატარებაზე განეულ მომსახურებას. ამ კონტექსტის გათვალისწინებით ლიცენზიატისა და არალიცენზიატი მფლობელის ელ. ქსელით სარგებლობასთან დაკავშირებული ურთიერთობა განსხვავდება იმით, რომ ლიცენზიანტი მფლობელისათვის ტარიფს ადგენს სემეკი, ხოლო არალიცენზიანტის საკუთრებაში არსებული ელ. ქსელით სხვა პირის სარ-

გებლობის შემთხვევაში, წარმოიშობა საკომპენსაციო თანხის მოთხოვნა, რაც რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საკომპენსაციო თანხა მოიცავს ყველა იმ ხარჯს, რამაც შეიძლება გაამართლოს თმენის ვალდებულება.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბერი №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად პირი, რომელიც არ არის განაწილების ლიცენზიატი, მაგრამ ფლობს ელექტროენერჯის ქსელს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ვალდებულია, სხვა მომხმარებელთა ელექტროენერჯით მომარაგების მიზნით, ითმინოს მისი ქსელით სარგებლობა და გაატაროს ელექტროენერჯია. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ელექტროენერჯის გატარებისა და ქსელით სარგებლობის თმენისათვის კომპენსაცია გაიცემა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად; ამდენად, განსახილველი წესები ელექტროენერჯის გატარებისა და ქსელით სარგებლობის თმენისათვის კომპენსაციის გამოთვლისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსზე მიუთითებენ. პირდაპირ ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არ არის, რაც კანონის ანალოგიით გამოყენების საფუძველია.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმას წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილი. ამ ნორმის შესაბამისად, კომპენსაციას ექვემდებარება ისეთი ქონებრივი დანაკლისი, რომლის მიზეზიც არის საკუთრების უფლების ან მფლობელობის შეზღუდვა, რაც განპირობებულია ობიექტური აუცილებლობით. შესაბამისად, კომპენსაციის ოდენობის დადგენისათვის მნიშვნელოვანია, გაირკვეს ამ შეზღუდვის ფარგლები და ის ინტერესი, რაც მესაკუთრეს ან მფლობელს ექნებოდა ამ შეზღუდვის არარსებობის პირობებში. ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია არა კონკრეტული მესაკუთრის ინტერესის სუბიექტური აღქმა, არამედ შესაბამისი მიწის ნაკვეთის საშუალო მესაკუთრის ინტერესი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ გარემოებებში, უნდა გაირკვეს არა ზოგადად სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის წინაპირობები, არამედ ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით ელექტროენერჯის გატარებაზე თმენის ვალდებულებიდან გამომდინარე, საშუალო მესაკუთრის ინტერესი ამ შეზღუდვის არ არსებობის შემთხვევაში. საშუალო მესაკუთრის ინტერესის დაკმაყოფილების ერთგვარ ნიმუშს წარმოადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული წესები. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველი დავა ეხებოდა არალიცენზიატი მესაკუთრის უფლებებს, მითითებული სამართლებრივი აქტი შეიძლება გამოვიყენოთ არა როგორც პირდაპირი გამოყენების წყარო, არამედ როგორც სახელმძღვანელო.



## საკუთრების შექმნა

### საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, როგორც მესამე პირთა დაცვის საშუალება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-189-182-2013 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n61-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

მოცემულ საქმეზე მოსარჩელე მ. მ-ა მოითხოვდა ა. ყ-სთან 2008 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებისა და ა. ყ-სა და კ. ბ-ს შორის იმავე ბინაზე 2009 წლის 14 აგვისტოს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას, ასევე საკუთრების უფლების აღდგენას. პირველ ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მოსარჩელის პოზიცია ემყარებოდა იმ გარემოებებს, რომ ა. ყ-მ გააყალბა ნასყიდობის ხელშეკრულება, მ. მ-ს არ გამოუვლენია უძრავი ქონების გასხვისების ნება, რის გამოც ა. ყ. უკანონოდ აღირიცხა სადავო ბინის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში. მეორე ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კი, მოსარჩელე უთითებდა შემძენის არაკეთილსინდისიერებაზე. მოსარჩელის განმარტებით, შემძენს უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე.

საქმეში არსებული ა. ყ-ს მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, ვინაიდან დადასტურდა გარიგების სიყალბე, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მ. მ-სა და ა. ყ-ს შორის დაიდო უცილოდ ბათილი, არარა გარიგება, რომელიც არ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ შედეგს, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისათვის კი, აუცილებელია, რომ გამყიდველი წარმოადგენდეს ნივთის მესაკუთრეს.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ საკუთრების უფლების შინაარსს, რაც ვლინდება მესაკუთრის უფლებაში, განახორციელოს სრული ბატონობა ნივთზე და თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს იგი, არ უნდა შეექმნას საფრთხე. მესაკუთრეს არ უნდა ანუხებდეს მუდმივი შიში იმისა, რომ მისი ამგვარი უფლება შესაძლოა ერთ დღესაც მისი ნებისგან დამოუკიდებლად გაუქმდეს ან საერთოდ გაქრეს. აქედან გამომდინარე, კანონმდებელმა შემოგვთავაზა საკუთრების უფლების იმგვარი მოწესრიგება, რომლითაც მეტნაკლებად დაცულია სამოქალაქო ბრუნვის ყველა მონაწილის უფლება.

საკასაციო სასამართლომ, ამასთანავე, განმარტა, რომ უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის წესს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი განსაზღვრავს, რომლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ მ. მ-სა და ა. ყ-ს შორის ფაქტიურად არ დადებულა მ. მ-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისების ხელშეკრულება, ლოგიკურია, ა. ყ-ს მხოლოდ საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრაცია ვერ აქცევდა ნამდვილ მესაკუთრედ, თუმცა საკასაციო პალატის განმარტებით, საჯარო რეესტრის უმთავრესი დანიშნულებაა სწორად ასახოს რეგისტრაციას დაქვემდებარებული ყოველგვარი უფლება, მათ შორის საკუთრების უფლება და მათი მდგომარეობა. საჯაროობის პრინციპი კი გულისხმობს იმას, რომ რეგისტრაციის მომენტიდან იქნეს ამგვარი უფლება იურიდიულ ძალას მესამე პირებისათვის. კანონმდებლობა

უშვებს საჯარო რეესტრის სისწორის პრეზუმფციას, რაც ნიშნავს იმას, რომ მესამე პირებისათვის რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. ამდენად საჯარო რეესტრი, ერთი მხრივ, სამოქალაქო ბრუნვის გარანტიის ფუნქციას ასრულებს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი სრულ კონსენსუსშია სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებულ ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპთან. კონფლიქტი წარმოიშობა მაშინ, როდესაც რეესტრში რეგისტრირებული უფლება არ შეესაბამება ამ უფლების ნამდვილ შინაარსს, ხოლო მესამე პირისათვის ეს ფაქტი უცნობია.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ასეთ ვითარებაში გადაწყვეტია, თუ ვის უნდა მიენიჭოს უპირატესობა – მესაკუთრეს თუ შემძენს და რა შემთხვევაში თითოეულს. ანუ იცავს თუ არა მსგავს სიტუაციაში შემძენს რომელიმე ნორმა, რაც დააბრკოლებდა სარჩელის დაკმაყოფილებას: მესამე პირთა დაცვის გარანტიები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლში, რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციას, როგორც მესამე პირთა დაცვის საშუალებას, ამასთან, უშვებს საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უფლებაში ხარვეზის შესაძლებლობას, თუმცა, მიუხედავად ამისა, იცავს ისეთ შემძენს, რომელიც ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. შემძენის ინტერესების დაცვის გარანტიებს შეიცავს ასევე სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი, რომლის მე-2 ნაწილის მიხედვით, იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა. საკასაციო პალატის განმარტებით, აღნიშნული კონფლიქტი კანონმდებელმა სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლების მიხედვით, შემძენის სასარგებლოდ გადაწყვიტა, რაც ნიშნავს იმას, რომ მესაკუთრეს აქვს უფლება, შესაბამისი საზღაური მოითხოვოს არამართლზომიერი გამსხვისებლის მიმართ, ხოლო კეთილსინდისიერ შემძენს უნარჩუნდება საკუთრების უფლება.

მოცემულ საქმეზე საკასაციო პალატამ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომელიც არანამდვილი უფლების რეგისტრაციის დროს პრობლემის გადაწყვეტას ზოგადსამართლებრივ პრინციპს – თანაბარი მოპყრობის პრინციპს ემყარებოდა. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კეთილსინდისიერება უკავშირდება სუბიექტურ ფაქტორს და არა ობიექტურს. ამასთან, კეთილსინდისიერება არსებობს უფლების წარმოშობამდე. სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 187-ე მუხლების შედარების გზით დასტურდება, რომ მოძრავი ნივთების შემთხვევაში, შემძენის კეთილსინდისიერების შემოწმების არეალი უფრო ფართოა ვიდრე უძრავი ნივთების შემთხვევაში. მოძრავი და უძრავი ნივთების გასხვისების წესიდან გამომდინარე კი, საქმე არ გვაქვს კანონის ხარვეზთან, ასევე სახეზე არ არის არსობრივად ერთნაირის მიმართ არათანაბარი მოპყრობა.

საჯარო რეესტრის უსწორობის ცოდნასთან მიმართებით, პალატამ განმარტა, რომ უფლების შემძენს ტვირთად აწევს არა ყოველგვარი უზუსტო მონაცემის ცოდნა, არამედ მხოლოდ ისეთის, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს უფლების შეძენის ნამდვილობას. ჩანაწერის უზუსტობის ცოდნა ნიშნავს იმ გარემოებათა ცოდნას, რის გამოც ჩანაწერია უზუსტო, თავის მხრივ, შემძენს არ უნდა მოეთხოვოს იმაზე მეტის ცოდნა, რაც გონივრულ შესაძლებლობებს სცილდება.

## საკუთრების უფლების მიტოვება

### – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 184-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-688-654-2015 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

სამოქალაქო საქმე შეეხება ა. ბ-ის სარჩელს, რომლითაც მოსარჩელემ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ცალმხრივი გარიგების (უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვება) ბათილად ცნობა და უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აღდგენა.

სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებული იქნა შემდეგი: მოსარჩელის მიმართ დაიწყო სისხლისამართლებრივი დევნა და 2011 წლის 19 ოქტომბრის დადგენილებით იგი ბრალდებულად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა გირაო – 100 000 ლარი. ამ თანხის გადახდამდე, 2011 წლის 21 ნოემბერს, მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრს და მიატოვა მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება. მიტოვებულ ქონებაზე მესაკუთრედ დარეგისტრირდა სახელმწიფო. 2011 წლის 30 დეკემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და ბრალდებულ მოსარჩელეს შორის. ეს უკანასკნელი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარი. ამავე განაჩენით გაუქმდა გირაო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების მიტოვების შესახებ გამოვლენილი ნება არ იყო ნამდვილი, რადგანაც ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს მხრიდან იძულებას, რასაც ადასტურებენ გირაოს გამოყენების, საკუთრების მიტოვებისა და საპროცესო შეთანხმების დადების გარემოებები და ფაქტიურად დროში მათი თანხვედრა. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებითაც.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხის მიერ გასაჩივრდა აპელაციის წესით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც გასაჩივრდა საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

ზემოაღნიშნული განჩინებით, საკასაციო პალატამ განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი და მიუთითა, რომ უძრავ ნივთზე საკუთრების მიტოვება, განხორციელებულად ჩაითვლება და იმ შემთხვევაში, როცა უფლებამოსილი პირის, მოსარჩელის (მესაკუთის) მიერ გამოვლენილი ცალმხრივი ნება, სამართლებრივად ნამდვილი იქნებოდა, რაც თავისთავად გულისხმობს ნების გამოვლენის თავისუფლების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი პირობების დაცვას. მოცემულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ეტაპზე მოსარჩელის მიერ გარეგნულად გამოვლენილი ნება არ ასახავდა მის ნამდვილ შინაგან ნებას და ცალსახად ნაკლის მქონედ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც იგი

გამოვლენილი იყო არა საკუთრების მიტოვების, არამედ მოსალოდნელი სასჯელის შემსუბუქების მიზნით. ასეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლეოდა ის, რომ იგი (მოსარჩელე) 2011 წლის 19 ოქტომბრის დადგენილებით ცნობილი იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და აღკვეთის ღონისძიების სახით მის მიმართ გამოყენებული იქნა შეუსაბამოდ მაღალი გირაო – 100 000 ლარი, რომელიც თითქმის 10-ჯერ აღემატებოდა ამ დანაშაულისათვის სხვა შემთხვევებში გამოყენებული გირაოს საშუალო ოდენობას – 10085 ლარს. გარდა ამისა, ამ ნორმის სანქციით სასჯელის ერთ-ერთ სახედ გათვალისწინებულია ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. სწორედ პატიმრობის შეფარდების შიში იყო ის ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომელმაც მოსარჩელე აიძულა მიეღო ქონების მიტოვების გადაწყვეტილება. ამ დასკვნას ამყარებდა ის გარემოებაც, რომ ქონების მიტოვებისა და ამ ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში აღრიცხვის შემდეგ, 2011 წლის 30 დეკემბერს, განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და ბრალდებულს (მოსარჩელე) ა. ბ-ს შორის. ეს უკანასკნელი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარი. ამავე განაჩენით გაუქმდა გირაო. ამრიგად, სახეზე იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული იძულება, რაც ანიჭებდა მოსარჩელეს მის მიერ გამოვლენილი ნების ბათილობის მოთხოვნის უფლებას.

### **მოძრავი ნივთის შეძენისას საკუთრების უფლების წარმოშობისა და უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთზე ნასყიდობის ხელშეკრულების დადების სამართლებრივი შედეგები**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 489-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 491-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-658-625-2014 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n69-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებები იყო შემდეგი: დ. გ-მ დ. ბ-საგან შეიძინა ავტომანქანა, რომელიც შემდგომ გ. დ-ს მიჰყიდა. სსიპ შემოსავლების სამსახურმა აღნიშნული ავტომანქანა გ. დ-ს ჩამოართვა იმ მიზეზით, რომ ავტომანქანა ირიცხებოდა დ. ბ-ის სახელზე, რომელსაც შემოსავლების სამსახურის მიმართ დავალიანება გააჩნდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლით რეგულირებულია მოძრავი ნივთის შეძენის წესი და დადგენილია, რომ საკუთრების გადასაცემად აუცილებელია მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. ნორმის მე-2 ნაწილით კანონმდებელი ამომწურავად ადგენს საკუთრების გადაცემის იურიდიული შედეგის დადგომისათვის თუ რა განიხილება ნივთის გადაცემად. ასეთად კი, მიჩნეულია შემდეგი: შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლო-



ბელობაში; არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად; მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნასყიდობის საგანზე უფლებრივი ნაკლის არსებობის გარკვევის მიზნით, უნდა დადგინდეს, სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ ავტომატურად დაყადაღების დროისათვის დ. ბ-ი იყო თუ არა მოძრავი ნივთის მესაკუთრე.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს, ვინაიდან მხარეთა შორის სადავო არ არის ის გარემოება, რომ ავტომატურად დ. ბ-მ მფლობელობაში გადასცა დ. გ-ს, ხოლო დ. გ-მ – გ. დ-ს. ასევე დადგენილია ნივთის ღირებულების გადახდის ფაქტი, რაც უდავოდ მოწმობს, რომ დ. ბ-ს, მას შემდეგ, რაც ნივთი დ. გ-ს გადასცა, ამ ნივთზე საკუთრების უფლება აღარ გააჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში ნივთი კვლავ დ. ბ-ს სახელზე ირიცხებოდა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები ამომწურავადაა დადგენილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის სამართლებრივ რეჟიმს. ამავე კოდექსის 186-ე-197-ე მუხლებით განსაზღვრულია რა მოძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის საფუძვლები, ეს წესები თანაბრად ვრცელდება ყველა მოძრავ ნივთზე და იგი არ ადგენს მოძრავ ნივთზე საკუთრების შესაძენად სავალდებულო რეგისტრაციას. რეგისტრაციის განხორციელება არ წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივ აქტს, იგი მხოლოდ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძველს ქმნის და თავისი არსით ადმინისტრაციული სამართლის სფეროს განეკუთვნება (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-914-954-2011 – <http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

საკასაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 489-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტა, რომ ნორმის მიზნებიდან გამომდინარე, ნასყიდობის საგანზე მესამე პირის უფლებად შეიძლება განვიხილოთ ყველა სანივთო უფლება; მავალდებულებელი უფლებები, რომლებიც შეძენის წინააღმდეგაა მიმართული; საჯარო სამართლებრივი შეზღუდვები, მათ შორის გამყიდველის იმგვარი ვალდებულებები, რაც ამ ნივთის დაყადაღების საფრთხეს წარმოშობს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ დ. ბ-სა და დ. გ-ს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას, ან 2009 წლის 21 ივლისს, გ. დ-ის მიერ ავტომობილის შეძენის დროისათვის, ნივთზე სსიპ შემოსავლების სამსახურს პრეტენზია გააჩნდა, ანუ ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროისათვის ნივთზე უფლებრივი ნაკლის არსებობა დადგენილი არ იყო.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 491-ე მუხლით განმტკიცებულია მყიდველის უფლება, ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა, თუმცა, ნასყიდობის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ამ უფლების რეალიზაციისათვის კანონითვეა დადგენილი მისი გამოყენების წინაპირობები. ნორმის თანახმად, მყიდველს შეუძლია ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა 352-ე მუხლის მიხედვით. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების თანმდევი შედეგის – მხარეთა ორმხრივი რესტიტუციისათვის, მოსარჩელემ უნდა მიუთითოს და დაამტკიცოს ა) მოპასუხის მიერ ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევისა და ბ) ვალდებულების შესრულების თაობაზე კრედიტორის (მოსარჩელის) მიერ მოვალის გაფრთხილების ან მისთვის დამატებითი ვადის დაწესების ფაქტი

(სამოქალაქო კოდექსის 405.1 მუხლი). სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის (განსაზღვრავს რა ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგს) გამოყენება კი დაიშვება მხოლოდ ამავე კოდექსის 405-ე მუხლთან ერთობლიობაში, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის წესისა და სავალდებულო პირობების მარეგულირებელ დანაწესს წარმოადგენს.

## პირაპროზა

### დაგირავებული ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლისას გირავნობის შენარჩუნება და ამ შემთხვევაში გამოსაყენებელი ნორმები

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 274-ე მუხლი.
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 8 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-743-699-2012 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba28.pdf>).

მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებები იყო შემდეგი: სს „ს. ბ-სა“ და რ. ს-ძეს შორის სესხის ხელშეკრულება გაფორმდა, რომელიც გირავნობით იყო უზრუნველყოფილი. დაიტივრთა რ. ს-ძის კუთვნილი ავტომანქანა. სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, რ. ს-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 14 წლით. იმავე განაჩენის საფუძველზე, რ. ს-ძეს სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამოერთვა ავტომანქანა, რომელიც, მოგვიანებით, უსასყიდლოდ გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. სს „ს. ბ-მ“ სასამართლოში სარჩელი აღძრა და მოითხოვა რ. ს-ძისათვის სესხის თანხის დაკისრება, ასევე დაგირავებული ავტომანქანის რეალიზაცია. სასამართლომ სარჩელი თანხის დაკისრების ნაწილში დააკმაყოფილა, ხოლო ავტომანქანის რეალიზაციის შესახებ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. სასამართლომ ანალოგიით გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 274-ე მუხლის მე-4 ნაწილი, ასევე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 77<sup>1</sup>-ე მუხლის მე-7 პუნქტი და მიიჩნია, რომ დაგირავებული ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლით გირავნობა შეწყდა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს როგორც ნებისმიერი სხვა პირი და სამოქალაქო სამართლის სხვა სუბიექტების ანალოგიური უფლება-მოვალეობებით სარგებლობს, ამდენად, თავისთავად ის ფაქტი, რომ დაგირავებული ქონების მესაკუთრე სახელმწიფო გახდა, გირავნობის შეწყვეტას არ ნიშნავს. საკასაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლზე და განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 274-ე მუხლის მე-4 ნაწილი საგამონაკლისო ნორმაა, რომელიც მოცემული დავის გადაწყვეტისას გამოყენებული არ უნდა ყოფილიყო. აღნიშნულს ცალსახად ადასტურებს 274-ე მუხლის სტრუქტურა, რომლის პირველი ნაწილი ადგენს ზოგად წესს, რომ დაგირავებული ქონების გასხვისებისას შემძენზე გირავნობით დატვირთული საკუთრება გადადის, ხოლო მე-4 ნაწილი ადგენს გამონაკლისს ამ წესში. გარდა ამისა, 274-ე მუხლის მე-4 ნაწილი მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმადაც ვერ ჩაითვლება. აღნიშნული ნორმა დაუტვირთავი საკუთრების გადაცემის წინაპირობად კონკრეტულ განსაკუთრებულ შემთხვე-

ვას – გირავნობის საგნის ჩვეულებრივ სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში გასხვისებას ადგენს, რაც სრულიად სხვა სფეროა, ვიდრე ქონების განაჩენის საფუძველზე სახელწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში კანონის ანალოგიის გამოყენება არ უნდა მომხდარიყო, რადგანაც, ზოგადი ნორმა, რომელიც მოცემულ დავასთან დაკავშირებულ საკითხსაც მოიცავს, სამოქალაქო კოდექსის 274-ე მუხლის პირველი ნაწილია, რომელიც ადგენს, რომ ჩვეულებრივ პირობებში, გირავნობის საგნის გასხვისებისას შემძენზე გირავნობით დატვირთული საკუთრება გადადის. „გასხვისება“ სამოქალაქო სამართალში არ გულისხმობს აუცილებლად ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ ეკვივალენტური ანაზღაურების მიღებას (მაგ. ნასყიდობა, გაცვლა), არამედ ქონების ახალ მესაკუთრეზე გადაცემას, მათ შორის უსასყიდლოდაც (მაგ. ჩუქება). რაც შეეხება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 77<sup>1</sup>-ე მუხლის მე-7 პუნქტს, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემული ნორმის ანალოგიით გამოყენება დაუშვებელია, რადგან სპეციალურ სამართლებრივ ურთიერთობას ანესრიგებს, გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ იგი არასწორადაც განმარტა, რადგანაც მითითებული ნორმიდან ის დასკვნა კი არ გამომდინარეობს, რომ სახელწიფოს საკუთრებაში დაუტვირთავი ქონება გადაეცემა, არამედ ის, რომ ქონების ნატურით გადაცემისას უქმდება საგადასახადო გირავნობის შემდეგ ქონებაზე რეგისტრირებული სანივთო გარიგება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით გირავნობის საგნის რეალიზაციის შესახებ სასარჩევლო მოთხოვნა დააკმაყოფილა.

## იპოთეკა

### იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის ფარგლები

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 308-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-285-269-2011 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba38.pdf>).

მითითებულ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ იპოთეკა, როგორც სანივთო-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც არსებობს იპოთეკარსა და იპოთეკის საგნის მესაკუთრეს შორის, ემსახურება ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შესრულებას, რომლის მონაწილეებიც არიან კრედიტორი (მოთხოვნის მფლობელი) და მოვალე. ამდენად, იპოთეკა აქცესორული უფლებაა და სამოქალაქო კოდექსის 153.1 მუხლის დანაწესის გათვალისწინებით იგი არც შეიძლება არსებობდეს იმ უფლების გარეშე, რომელთანაც დაკავშირებულია.

საყურადღებოა იპოთეკის წარმოშობისა და ძალაში შესვლის საკითხი. იპოთეკის ლეგიტიმურობა განისაზღვრება საჯარო რეესტრში ამ უფლების რეგისტრაციით. ამასთან, განსხვავებით ძველი რედაქციის იმპერატიული დათქმისაგან, მხარეთა შეთანხმებაზე და მოკიდებული, გარიგებაში აღინიშნება თუ არა უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, საჯარო რეესტრის ჩანაწერებში უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობის (მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების ღირებულება) მითითებას, სამართლებრივი დატვირთვა აქვს როგორც მესაკუთრისათვის, ასევე მესამე პირებისათვის, რომლებთან მიმართებაშიც, მოქმედებს საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. ვინაიდან იპოთეკა ძირითადი ვალდებულების შესრულებას ემსახურება, მხარეთა შეთანხმება უზრუნველყოფის მოცულობაზე გაგებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ ამ მოცულობის ფარგლებში უნდა მოხდეს სანივთო უფლების გამოყენება და მოთხოვნის აღსასრულებლად მიქცევა. ამგვარი განმარტება გამომდინარეობს თვით იპოთეკის ნორმატიული ბუნებიდან, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით. ანუ თანამდევნი მოთხოვნები, ისეთი როგორიცაა მაგალითად ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო ზიანის ანაზღაურება არ შეიძლება დაკმაყოფილდეს იპოთეკიდან, თუ მხარეებმა წინასწარ განსაზღვრეს უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა და იპოთეკის შინაარსი ამგვარ დათქმას არ ითვალისწინებდა. რაც შეეხება იპოთეკით დატვირთული უძრავის ნივთის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლების მიქცევას სხვა ხარჯებზე, როგორიცაა აღსრულებისა და სასამართლო ხარჯები, ამაზე პასუხს იძლევა სამოქალაქო კოდექსის 308-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლიდან მოთხოვნები უნდა დაიფაროს შემდეგი რიგითობით: პირველ რიგში ხარჯები, ხოლო შემდეგ კრედიტორის მოთხოვნა სრული ოდენობით. თუ ამონაგები თანხით სრულად არ იფარება ხარჯები, განსხვავების გადახდის ვალდებულება ეკისრება კრედიტორს. მოცემული ნორმის ანალიზიდან ცალსახად შეიძლება დავასკვნათ, რომ იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლიდან მოთხოვნები იფარება სასამართლო და სააღსრულებო ხარჯების დაფარვის შემდეგ, ხოლო თუ მხარეებმა გარიგებაში მიუთითეს უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა, მოთხოვნა იფარება მხოლოდ ამ ოდენობის გათვალისწინებით.

## საჯარო რეესტრი

### საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ბოლო ჩანაწერის მნიშვნელობა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი
- „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-340-325-2012 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/-n-58-ganmarteba.pdf>).

საკასაციო სასამართლომ უძრავი ქონების 1/2 ნაწილის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ საფუძველით, რომ საჯარო რეესტრში უძრავი ქონების მესაკუთრედ მოპასუხის რეგისტრაციის საფუძველის კანონიერება სარჩელის საგანს არ წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მიხედ-



ვით, რეესტრის ბოლო ჩანაწერი ძალას უკარგავს ადრინდელ ჩანაწერს. მოცემულ შემთხვევაში, 2010 წლის 6 ივნისს მოპასუხის სახელზე საჯარო რეესტრში განხორციელებულმა ჩანაწერმა ძალა დაუკარგა სადავო ქონებაზე მოსარჩელის ადრინდელ ჩანაწერს. შესაბამისად, ეს უკანასკნელი აღარ ითვლება ამ ქონების მესაკუთრედ. თავად მოსარჩელეც ვერ უარყოფს იმ გარემოებას, რომ იგი აღარ არის სადავო ქონების მესაკუთრე, ამიტომაც მოითხოვს სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობას და ამ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმებას. სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელის იურიდიული ინტერესი იმ სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენა იყო, რომელიც არსებობდა სადავო უძრავი ქონების მოპასუხის საკუთრებაში რეგისტრაციამდე.

სასამართლოს განმარტებით, თუ უძრავი ნივთის საკუთრების შესახებ საჯარო რეესტრში არსებული რეგისტრაცია ძალადაკარგულია ახალი რეგისტრაციით, მაშინ ამ უკანასკნელი რეგისტრაციის გაუქმება (ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად გამოცხადება) და რეგისტრაციამდე არსებული სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ წამოყენებულია მოთხოვნა რეგისტრაციის საფუძვლად არსებული სარეგისტრაციო (უფლების დამადასტურებელი) დოკუმენტის (სასამართლო გადაწყვეტილების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების და სხვა) გაუქმების თაობაზე, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის 1-ელი ნაწილისა და „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლისა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეს არა თუ არ ჰქონდა წამოყენებული მოთხოვნა მოპასუხის საკუთრებაში სადავო ქონების რეგისტრაციის საფუძვლად მითითებული სარეგისტრაციო დოკუმენტის – მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის გაუქმების თაობაზე, იგი არც კი მიუთითებდა ამ აქტის უკანონობაზე. მოსარჩელე მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძვლად მიიჩნევდა კომლიდან მისი გამოყოფის შესახებ სოფლის გამგეობის გადაწყვეტილების უკანონობას (მას კომლიდან გამოყოფის შესახებ განცხადებით გამგეობისათვის არ მიუმართავს).

საკასაციო პალატამ აღნიშნა შემდეგი: სარჩელის საგანს არ წარმოადგენს ...-ს რაიონის სოფელ ...-ის გამგეობის 1997 წლის 20 მარტის №29 გადაწყვეტილება მოსარჩელის ცალკე კომლად გამოყოფის შესახებ, შესაბამისად, სასამართლო არაა უფლებამოსილი იმსჯელოს ამ გადაწყვეტილების, ისევე როგორც მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის, კანონიერებაზე. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ...-ს რაიონის სოფელ ...-ის გამგეობის 1997 წლის 20 მარტის №29 გადაწყვეტილება წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ხოლო ...-ს რაიონის სოფელ ...-ის მიწის რეფორმის კომისიის მიერ გაცემული მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების №59/4 აქტი – ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას. ამ სამართლებრივი აქტების წინააღმდეგ აღძრული დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და, შესაბამისად, ასეთი დავა შეიძლება განხილულ იქნეს ადმინისტრაციული და არა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

## უძრავი ნივთის ბასხვისების ფორმა

### უძრავ ნივთზე უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, როგორც გარიგების ფორმა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 9 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-1529-1443-2012 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/-n.57-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

მოცემულ საქმეზე საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ უძრავი ნივთის ჩუქების წინარე ხელშეკრულება წარმოადგენდა ბათილ გარიგებას, იმ საფუძველით, რომ იგი კანონით დადგენილ ფორმას არ შეესაბამებოდა – არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, შესაბამისად, გარიგება არ წარმოშობდა სამართლებრივ შედეგებს. ამ გარემოების გათვალისწინებით, არც ხელშეკრულების მხარეს არ წარმოშობია მეორე მხარისათვის უძრავი ქონების გადაცემის ვალდებულება და როგორც თანამდევი შედეგი, უსაფუძვლო იყო ამ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გამო ხელშემკვრელი მხარისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება.

საკასაციო სასამართლომ, სარჩელში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა მიუთითებდა არა ჩუქების წინარე ხელშეკრულების დადებაზე, არამედ იკვეთებოდა გარიგების სასყიდლიანი სახე, რადგანაც მოსარჩელემ ი. გ-ს ვალდებულების აღიარების სანაცვლოდ შეუძინა სამოთახიანი ბინა ქ.თბილისში, ხოლო ი. გ-მ იკისრა ვალდებულება რ. გ-ს წინაშე, პირველი მოთხოვნისთანავე, მის სახელზე გაეფორმებინა ი. გ-ს სახელზე რიცხული უძრავი ნივთის ნაწილი, ვინაიდან, ი. გ-მ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...-ის“ დამფუძნებელთა რიგებში ყოფნაზე უარი განაცხადა იმ საფუძველით, რომ რ. გ-მ მას და მის ქალიშვილს უყიდა 70 კვ.მ ფართის სამოთახიანი ბინა თავისი სახსრებით და რეალურად უნდა მიეღო ოროთახიანი საცხოვრებელი ბინა.

სადავო შეთანხმების ჩუქების წინარე ხელშეკრულებად მიჩნევის შემთხვევაშიც კი, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, იგი აკმაყოფილებდა ამ ტიპის გარიგებისათვის კანონით დადგენილ ფორმას. გარიგების ფორმის მომწესრიგებელი ზოგადი დებულებები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 68-ე-71-ე მუხლებში. გარიგების ძირითადი ფორმებია ზეპირი და წერილობითი ფორმა, ხოლო წერილობითი გარიგება თავის მხრივ შეიძლება იყოს მარტივი ან რთული (სანოტარო) სახის. სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლი უძრავი ნივთის გადაცემისათვის ადგენს მხოლოდ წერილობით ფორმას. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის არც ერთი ნორმა არ განიხილავს უძრავი ნივთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, როგორც გარიგების ფორმას.

რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლის მე-2 ნაწილის დათქმას, რომლის მიხედვითაც უძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ხელშეკრულებით განსაზღვრული საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აღიარებს გადაცემით ჩუქებით ხელშეკრულებას, ანუ ჩუქების ხელშეკრულების დადებულად მიჩნევისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ მხარეთა შეთანხმება, აუცილებელია საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

## უძრავი ნივთის გასხვისება ინტერნეტ აუქციონით

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 მარტის განმარტება საქმეზე №ას-898-848-2015 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

სამოქალაქო საქმე შეეხება შპს „ი-ს“ სარჩელს შპს „გ-ს“ მიმართ, ქ. თ-ში, დ-ის გამზირზე, №...-ში მდებარე უძრავი ნივთის მესაკუთრედ ცნობისა და მოსარჩელის მიერ გადახდილი ქონების ღირებულებიდან 1,084,016,17 ლარის დაბრუნების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა მისი სააპელაციო წესით გასაჩივრების შედეგად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 09 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ივნისის განჩინება.

საკასაციო პალატამ მოცემული დავის გადაჭრის საკვანძო საკითხად სწორედ უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობის სამართლებრივი საფუძველების კვლევა მიიჩნია.

საკასაციო სასამართლომ მისთვის მინიჭებული ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი ფუნქციიდან და საქმის სამართლებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყურადღება გაამახვილა ხელშეკრულების დადების საკითხზე, იმსჯელა ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობის წინაპირობებზე, როგორცაა ნამდვილი ოფერტისა და ნამდვილი აქცეპტის არსებობა და კანონით გათვალისწინებული ფორმის დაცვა.

დავის სპეციფიკიდან გამომდინარე პასუხი გაეცა შეკითხვას: ონლაინ/ინტერნეტ აუქციონისას გამყიდველის მიერ გასაყიდი ნივთის შესახებ ინფორმაციის ინტერნეტ აუქციონში განთავსება წარმოადგენს (1) მოწვევას ოფერტზე თუ (2) ოფერტს, რომელიც შესაბამის პირობას/დათქმას შეიცავს: კერძოდ, შესაბამის მყიდველს შეუძლია შესასყიდი ფასის წარმოდგენა და ხელშეკრულებაც მასთან დაიდება, ვინც ყველაზე მაღალ შესასყიდ ფასს შესთავაზებს. შედარება მოხდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესაბამის სამართლებრივ მოწესრიგებასთანაც.

საკასაციო პალატამ იმსჯელა უძრავი ნივთის ნასყიდობის შეთანხმების ნამდვილობისათვის საჭირო ფორმის დაცვის მნიშვნელობაზე, რამეთუ უძრავ ნივთზე დადებული ვალდებულებითი გარიგების ფორმასავალდებულოობა ნათლად წარმოაჩინეს კანონმდებლის მიზანს – უძრავი ნივთების სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმში მოქცევით ხელი შეუწყოს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას.

ყურადღება იქნა აგრეთვე გამახვილებული პრაქტიკაში გავრცელებული ე.წ. ელექტრონული ხელშეკრულებების დადებისათვის აუცილებელი კომპონენტების დაცულობაზე და ელექტრონული ხელმოწერების გამოყენების არარსებობის პირობებში, მხარეთა შორის დამატებით ხელშეკრულების გაფორმების აუცილებლობაზე. ასევე, სამართლის სუბიექტთა ქცევის სამართლის ნორმითვე დამკვიდრებულ წესებზე – კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპებზე, ასევე Culpa in Contrahendo-ს ინსტიტუტზე.

## ვალდებულების პირობათა განსაზღვრა სამართლიანობის საფუძველზე

### უფლებათა კეთილსინდისიერი განხორციელება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 325-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-663-629-2015 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

სამოქალაქო საქმე შეეხება გ. ს-ს სარჩელს, რომლითაც მოსარჩელემ მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, სადაც ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთის (6%) შემცირება 4%-მდე.

სარჩელი ეფუძნებოდა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2010 წლის 2 ნოემბერს გ. ს-სა და შპს „...-ს“ შორის ნოტარიალურად გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც მოსარჩელემ ერთი წლის ვადით ისესხა 14 000 აშშ და სესხის სარგებლად განისაზღვრა თვეში 6 %-ი. 2011 წლის 31 ოქტომბერს, გ-სა ს-ს ნაწილობრივ შეასრულა ვალდებულება, გამსესხებელს (მოპასუხე) გადაუხადა საპროცენტო დავალიანება 5550 აშშ დოლარი და ძირითადი თანხის ნაწილი, 4450 აშშ დოლარი; დავალიანების ნაწილობრივ დაფარვის შემდეგ მას გადასახდელი დარჩა 9550 აშშ დოლარი. 2013 წლის 4 აპრილს ნოტარიუსმა გამსესხებლის მოთხოვნის საფუძველზე გასცა სააღსრულებო ფურცელი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების შესაბამისად და აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა განისაზღვრა 9550 აშშ დოლარით (ძირითადი თანხა) და 4614 აშშ დოლარით (დარიცხული პროცენტი).

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო წესით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 30 აპრილის გადანყვეტილებით გ. ს-ს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 20 ივნისის გადანყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადანყვეტილება. გ. ს-ს შეუმცირდა სესხის საპროცენტო განაკვეთი 4%-მდე და შპს „...-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 1320 აშშ დოლარის გადახდა. აღნიშნული გადანყვეტილება მოპასუხის (გამსესხებელი) მიერ გასაჩივრდა საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

საკასაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული განჩინებით განმარტა შემდეგი: ნებისმიერი დავის გადანყვეტისას, სასამართლო ხელმძღვანელობს დავის სამართლიანად გადანყვეტისა და მონაწილეთა ინტერესების დაცვის პრინციპით. სამოქალაქო სამართალში ურთიერთობის მონაწილეთა კეთილსინდისიერი ქცევაა პრეზუმირებული, რაც იმთავითვე გულისხმობს იმის ვარაუდს, რომ ისინი თავიანთ უფლებებს კეთილსინდისიერად ახორციელებენ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 8.3 მუხლი). „უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონის იმპერატიული ნორმები“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მესამე ნაწილი). შესაბამისად, მხარეთა უფლება თავისუფლად დადონ ხელშეკრულება და ასევე თავისუფლად განსაზღვრონ მისი შინაარსი, აბსოლუტური არ არის. სახელშეკრულებო დებულებების განსაზღვრის დროს ისინი ვალდებული არიან გაითვალისწინონ ზემოაღ-



ნიშნული. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში კასატორი (მოპასუხე, გამსესხებელი), რომელიც ეწევა სამენარმეო საქმიანობას, ეკონომიკურად უფრო ძლიერი მხარეა და უდავოა, რომ სწორედ მის მიერ იქნა განსაზღვრული სესხის სარგებელი – ყოველთვიური 6%. მართალია, ამ შეთავაზებას მოსარჩელე დაეთანხმა, მაგრამ ამით სამართლებრივი სურათი არ იცვლება, რადგანაც კასატორი მოქმედებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 325-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ქცევის წესის საწინააღმდეგოდ: „თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე“. მოცემულ შემთხვევაში, შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის აშკარა შეუსაბამობაა და კასატორი მოქმედებდა ცალსახად არაკეთილსინდისიერად: მის მიერ არ იქნა გათვალისწინებული ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთი და მოსალოდნელი რისკები და მან ბოროტად გამოიყენა საბაზრო ძალაუფლება. ყველა კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე ადამიანი სესხის წლიური სარგებლის 72%-ით განსაზღვრას საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებად შეაფასებდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ სარგებლის მართლზომიერების მტკიცების ტვირთი კასატორს აწევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 325-ე მუხლის პირველი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილების თანახმად, რაც მან ვერ დაამტკიცა. ამრიგად, მხარეთა შორის დადებული 2010 წლის 2 ნოემბრის ხელშეკრულების დებულება, რომლითაც კასატორმა სესხისათვის შეუსაბამოდ მაღალი სარგებელი განესაზღვრა, მაშინ როდესაც არ არსებობდა ასეთი მოქმედების ლეგიტიმური მიზანი, ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ღირებულებებს და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მიხედვით უცილოდ ბათილია, რაც ამ შემთხვევაში არ ინვევდა მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე.

## ხელშეკრულებიდან გასვლა

**ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, მიუღებელი შემოსავლის სახით, დამდგარი ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ასპექტები**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-459-438-2015 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n82-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

სამოქალაქო საქმე შეეხება შპს „M-ის“ სარჩელს, რომლითაც მოსარჩელემ მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე, შპს „ბ-ი პ-ის“ მიმართ და მოითხოვა: ა) ნას-

ყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი მშენებარე ფართის ღირებულების – 459,000 აშშ დოლარის; ბ) „ბეს“ ორმაგი ოდენობით – 20,000 აშშ დოლარის; გ) ზიანის სახით, მშენებარე ფართის ღირებულების გადასახდელად ბანკიდან მიღებული კრედიტის სარგებლის – 61,310 აშშ დოლარის; დ) ზიანის სახით, მიუღებელი შემოსავლის – 118,575 აშშ დოლარის (წელინადში 22,950 აშშ დოლარი, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თვეში – 1,912.5 აშშ დოლარი); ე) პირგასამტეხლოს – 41,310 აშშ დოლარისა და ვ) იმ შემოსავლის ანაზღაურების, რომელსაც მოპასუხე უსაფუძვლოდ იღებს მისი კუთვნილი ქონების გამოყენებით (გაქირავებით), გადახდის დაკისრება.

სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ მხარეებს შორის გაფორმდა უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე შპს „ბ-ი პ-ას“ მოსარჩელისათვის საკუთრებაში უნდა გადაეცა ქ. ...-ში, ...-ის ქ. №...-ში მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსის პირველ სართულზე, მე-6 და მე-8 ღერძებს შორის არსებული კომერციული ფართი (170მ<sup>2</sup>) ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით, რაზეც უნდა გაფორმებულიყო ძირითადი ხელშეკრულება. მოსარჩელის მითითებით, უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას, კომერციულ ფართს, პროექტის შესაბამისად, გააჩნდა შესასვლელები, როგორც ჭ-ის, ისე, ბ-ის ქუჩიდან, ფოიე – მე-5 და მე-6 ღერძებს შორის და ფოიეს ზევით მე-2-მე-3 სართულების დონეზე – ღია სივრცე, რაც კომერციული ფართის უნიკალურ მახასიათებელსა და მოსარჩელის მხრიდან ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების დადების მთავარ ინტერესს წარმოადგენდა. ამ ფართში მოსარჩელეს დაგეგმილი ჰქონდა ერთ-ერთი ბრენდის – „K-ის“ მიერ წარმოებული მამაკაცის ტანსაცმლით ვაჭრობის ექსკლუზიური, პრესტიჟული ობიექტის მონყოლა.

მოპასუხემ, კომერციული ფართის ფაქტობრივი მესაკუთრის (მოსარჩელის) თანხმობის გარეშე და მისივე ინტერესების საზიანოდ, გააუქმა ფართში შესასვლელი ბ-ის ქუჩიდან, აგრეთვე, გააუქმა საერთო სარგებლობის ფოიე და მის თავზე არსებული სივრცე, რითაც კომერციულმა ფართმა დაკარგა თავისი პირვანდელი სახე და დანიშნულება, პოტენციურ მომხმარებელს შეეზღუდა ობიექტში თავისუფლად მოხვედრის, გამოფენილი ნიმუშების დათვალიერების შესაძლებლობა და სარეკლამო სივრცე.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ ვერ მიიღო 459,000 აშშ დოლარის სარგებელი, რასაც მიიღებდა მინიმალური წლიური 5%-იანი საბანკო პროცენტის სახით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „M-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შპს „ბ-ი პ-ას“ შპს „M-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების საფასურის – 459,000 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს – 41,310 აშშ დოლარის გადახდა. სარჩელი მოთხოვნის დარჩენილ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო და საკასაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მიუღებელი შემოსავლის დაკისრებაზე უარის თქმისა და პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ამ ნაწილში, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს „ბ-ი პ-ას“ დაეკისრა შპს „M-ის“ სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის – 39,652,5 აშშ დოლარის გადახდა სარჩელის შეტანის მომენტისათვის, ხოლო სარჩელის აღძვრიდან – 2013 წლის 26 დეკემბრიდან ყოველთვიურად – 1,912,5 აშშ დოლარის ანაზღაურება გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ასევე, პირგასამტეხლოს – 28,917 აშშ დოლარის გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 07

ოქტომბრის გადაწყვეტილებით შეიცვალა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და შპს „ბ-ი პ-ას“ დაეკისრა შპს „M-ის“ სასარგებლოდ ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი მშენებარე ფართის ღირებულების – 459,000 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს – 28,917 აშშ დოლარის გადახდა.

საკასაციო პალატამ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დადგინილად მიიჩნია, რომ გამყიდველმა ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების გათვალისწინებით კომერციული ფართის მყიდველისათვის გადაცემა ვერ შეძლო, კერძოდ, უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების“ თანახმად, მოპასუხე ვალდებული იყო, მოსარჩელისათვის გადაეცა ნივთობრივად უნაკლო საგანი. ხელშეკრულების გაფორმების მიზანსა და მყიდველის ინტერესს კი, წარმოადგენდა ის, რომ უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას კომერციულ ფართს, პროექტის შესაბამისად, გააჩნდა შესასვლელები, როგორც ...-ის ისე, ...-ის ქუჩიდან, ფოიე მე-5 და მე-6 ღერძებს შორის და ამ ფოიეს ზევით (თავზე) 2-3 სართულების დონეზე ღია სივრცე, რაც კომერციული ფართის უნიკალური მახასიათებელი და მისი მხრიდან ხელშეკრულების დადების მთავარი ინტერესი იყო, ვინაიდან დაგეგმილი ჰქონდა კომერციულ ფართში ერთ-ერთი ბრენდის „K-ს“ მიერ წარმოებული მამაკაცის ტანსაცმლით ვაჭრობის ექსკლუზიური, პრესტიჟული ობიექტის მონყობა თუმცა, მისივე ინტერესების საზიანოდ, გაუქმდა ფართში შესასვლელი ...-ის ქუჩის მხრიდან, აგრეთვე, გაუქმდა საერთო სარგებლობის ფოიე და მის თავზე არსებული სივრცე მოპასუხის მიერ დამატებითი კომერციული ფართობის მონყობის გამო, შეიზღუდა ობიექტში პოტენციური მომხმარებლის თავისუფლად მოხვედრის შესაძლებლობა, სარეკლამო სივრცე. ამ ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 352-ე და 405-ე მუხლებით.

პირგასამტეხლოს დაკისრებისა და მეორე შემთხვევაში, მისი ოდენობის შემცირების მართლზომიერებასთან მიმართებაში, საკასაციო პალატამ პირველ რიგში, ყურადღება გამახვილა პირგასამტეხლოზე, როგორც ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვის მქონე მექანიზმზე, ასევე, განცდილი ზიანის ანაზღაურების მოქნილ ინსტრუმენტზე.

საკასაციო პალატის განმარტებით:

ქართულ კანონმდებლობაში **პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ**, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ, პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება.

**პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია** განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად.

საკასაციო პალატამ ერთიმეორისაგან **გამიჯნა კანონისმიერი და სახელშეკრულებო პირგასამტეხლო**.

პალატის განმარტებით, კანონისმიერად მიიჩნევა პირგასამტეხლო, რომელიც ნორმატიული აქტითაა დადგენილი. მაშასადამე, პირგასამტეხლოს კვალიფიკაციისათვის კანონ-

ნისმიერ ან სახელშეკრულებო პირგასამტეხლოდ – გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუ ვისი ნებით არის იგი წარმოშობილი (კანონმდებლის თუ მხარეთა შეთანხმებით).

მოცემულ საქმეზე ვინაიდან ხელშეკრულებაში არსებობდა ამგვარი წერილობითი ჩანაწერი საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პირგასამტეხლო. ამიტომ მისი მხარისათვის დაკისრება მართლო ზიერად მიიჩნია.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან მიმართებაში, საკასაციო პალატამ უპირველესად, შეაფასა ზიანის, როგორც მეორადი მოთხოვნის, წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლების არსებობა. საკასაციო პალატის განმარტებით ზიანი არის კანონით გათვალისწინებული ანაზღაურებადი სხვაობა „უნდა-ყოფილიყო“ და „არის მდგომარეობას“ შორის (სხვაობის ჰიპოთეზა) და ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატის განმარტების საგანი გახდა სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი. ასევე, 408-ე მუხლის პირველი ნაწილი.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ნორმით დადგენილ ზიანის ანაზღაურების, როგორც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულებაში, სწორედ იმ ფაქტობრივი მდგომარეობის აღდგენა იგულისხმება, რომელიც იარსებებდა, რომ არა ვალდებულების დარღვევა (Totalreparation-ის პრინციპი). ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად მაღალია მოვალის ბრალეულობის (განზრახვა თუ გაუფრთხილებლობა) ხარისხი ზიანის დადგომაში. თუმცა ეს წესი იზღუდება, თუ კრედიტორი თანაბრალეულია.

პალატის განმარტებით, სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე ანაზღაურებადი. ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისგან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება.

სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი მოვალეს ათავისუფლებს ისეთი რისკებისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ განცდილი ზიანი არის ხელშეკრულების დარღვევის ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი. ზიანის სავარაუდობა დგინდება გონივრულობის თვალსაზრისით და არ განისაზღვრება კონკრეტული ხელშეკრულების დამრღვევის სუბიექტური შესაძლებლობებით. მოვალემ ზიანი ყოველთვის უნდა აანაზღაუროს, მაგრამ ხელშეკრულებით ნაკისრი რისკის ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის ის არგუმენტი, რომ 459,000 აშშ დოლარის საკრედიტო დაწესებულებაში ანაზღაურებად განთავსების შემთხვევაში, იგი მიიღებდა შემოსავალს წლიურ 5%-ს პროცენტის სახით, საკასაციო პალატამ, ზიანის ანაზღაურების დაკისრების საკმარის საფუძვლად არ მიიჩნია და განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის, 411-ე, 412-ე მუხლების ამოსავალი დებულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მიუღებელი შემოსავალი, ანუ ანაცდური მოგება (lucrum cessans). სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, მიუღებლად მიიჩნევა შემოსავალი, რომელიც კრედიტორს არ მიუღია და რომელსაც იგი მიიღებდა მოვალეს რომ ვალდებულება ჯეროვნად შეესრულებინა. მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება.



მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს.

მოცემული საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ მყიდველს 459,000 აშშ დოლარი გადახდილი ჰქონდა უძრავი ქონების შეძენის მიზნით, შესაბამისად, მის ინტერესს წარმოადგენდა უძრავი ქონების შეძენა და არა ნასყიდობის საფასურის ბანკში ანაბარზე განთავსება და ამ გზით, სარგებლის მიღება. შესაბამისად, არ დადასტურდა მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანის დაკისრების სამართლებრივი საფუძველების არსებობა.

## ვალდებულების შესრულება

### მტკიცებულებათა შეფასების არა მარტო პროცესუალური, არამედ მატერიალურსამართლებრივი კრიტერიუმები

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-872-830-2013 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n70-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

მოცემულ დავაში ყურადსაღებია სასესხო ვალდებულების შესრულების საკითხი, რომელიც ეხება, კრედიტორის (ა. ა-ის) ნაცვლად, მესამე პირის მიერ (მ. ქ-ის) სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული ფულადი ვალდებულების მიღებას.

ამ დავაში საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ვალდებულების შესრულების სუბიექტურ და ობიექტურ კრიტერიუმებზე. აქედან გამომდინარე, დაისვა შემდეგი კითხვები: 1. მ. ქ-ის (მესამე პირის) მიმართ ვალდებულების შესრულებით ა. ა-ის (კრედიტორის) წინაშე ვალდებულება ითვლება თუ არა შესრულებულად და აღნიშნული გარემოება რამდენად დგინდება გასაჩივრებული გადანყვეტილებიდან; 2. სასამართლომ კანონის მოთხოვნათა დაცვით დაადგინა თუ არა ვალდებულების შესრულების ფაქტი.

დასმულ კითხვებს გაეცა უარყოფითი პასუხი, რადგან სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა კანონი, ასევე, არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 412-ე მუხლები).



საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლი ამავე კოდექსის 623-ე და 624-ე მუხლებით მოცემულ კონტექსტში, რამაც განაპირობა ნორმის არასწორი განმარტება, შესაბამისად, არასწორად დაადგინა ამ მუხლით გათვალისწინებული ფაქტობრივი შემადგენლობა (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილი); (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-951-989-2011 10 ნოემბერი, 2011 წელი – <http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს არაუფლებამოსილი პირის მიერ ზოგადად ვალდებულების შესრულების მიღების წესს, მაგრამ განსახილველი ნორმის განმარტებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ კონკრეტული ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ვალდებულების შესრულების თაობაზე კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები. კონკრეტულ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია სასესხო ვალდებულების შესრულების თავისებურებები, რომლებიც ვლინდება ვალდებულების შესრულების ფაქტის დადგენაში.

ამდენად, განსახილველი ნორმა უნდა განიმარტოს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით მოცემული ვალდებულების შესრულების თაობაზე შეთანხმების კონტექსტში, ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე და 624-ე მუხლებთან ერთობლიობაში.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. ა-მა (კრედიტორმა) თანხმობა გამოთქვა, ვალდებულების შესრულება მიეღო მ. ქ-ს (მესამე პირს), რითაც მათ შორის დაიდო დავალების ხელშეკრულება. საკასაციო სასამართლოში მსჯელობის საგანს წარმოადგენდა ის, თუ რამდენად შესაძლებელია მოწმეთა ჩვენებებით დადასტურდეს ზეპირი დავალების ხელშეკრულების ნამდვილობა. ამასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ კრედიტორსა და მესამე პირს შორის დავალების ხელშეკრულება ამ უკანასკნელის მიერ კონკრეტული ვალდებულების შესრულების მიღებაზე წარმოადგენს კრედიტორის თანხმობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დავალების ხელშეკრულების ნამდვილობა (რომელიც არ მოითხოვს სპეციალურ ფორმას), შეიძლება, დადასტურდეს მოწმეთა ჩვენებებით. აღნიშნული მოსაზრება განპირობებულია იმით, რომ სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა დასაშვებობის ინსტიტუტი დამოკიდებულია მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის შინაარსზე, ამ ნორმით გათვალისწინებული ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიულ აღწერილობაზე. სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა დაშვების ან ამორიცხვის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ნებართვებისა თუ აკრძალვების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია მატერიალური ნორმით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლის ნორმით განსაზღვრულ მაკვალიფიცირებელ ელემენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც, თუნდაც მოწმეთა ჩვენებებთან ერთობლივად, უტყუარად მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გარემოებებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ დავალების ხელშეკრულების დასადებად კანონი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლი) არ ითვალისწინებს სპეციალურ ფორმას ან განსაკუთრებულ წესს, ის შეიძლება, დაიდოს ზეპირადაც. მითითებული ნორმის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია, შეასრულოს მისთვის დავალდებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე.

ამდენად, ამ გარემოებების დადგენისათვის მოწმის ჩვენება წარმოადგენს დასაშვებ

მტკიცებულებას (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი), მაგრამ მ. ქ-ის ჩვენება, რაც შეიძლება საკმარისი იყოს ა. ა-თან დავალების ხელშეკრულების ნამდვილობის დასადასტურებლად, არ არის საკმარისი სასესხო ვალდებულების შესრულების ფაქტის დასადასტურებლად.

იმის გათვალისწინებით, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების შესრულების წესი, სადავო ურთიერთობის მიხედვით ეხება სასესხო ვალდებულების შესრულებას, მისი ნამდვილობა უნდა დადგინდეს სასესხო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მხარეები შეთანხმდნენ ვალდებულების შესრულების წესსა და ფორმაზე, რაც მათ უნდა გაეფორმებინათ მიღება-ჩაბარების აქტით.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ სესხის ხელშეკრულებაში მხარეები არ გაითვალისწინებდნენ ვალდებულების შესრულების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის შედგენას, სასესხო ურთიერთობების სამართლებრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, ზეპირი ფორმით სასესხო ვალდებულების შესრულების ნამდვილობისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები. მოწმეთა ჩვენებებთან ერთად აუცილებელია ისეთი მტკიცებულების არსებობა, რაც ერთობლივად მაღალი ალბათობით დაადასტურებდა სადავო ფაქტს (მაგალითად, უშუალოდ კრედიტორის წერილი, თუნდაც მესამე პირისადმი მიმართული, რომელშიც მითითებულია ინფორმაცია ვალდებულების შესრულების თაობაზე, ანდა კრედიტორის მოქმედებები, რომლებიც მიუთითებენ ვალდებულების მიღებაზე და სხვა).

ამდენად, სასესხო ვალდებულებების შესრულების თაობაზე წერილობითი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი) მოწმეების ჩვენება დასაშვებია მხოლოდ სხვა მტკიცებულებებთან ერთად. ეს თავისებურება განპირობებულია მატერიალურსამართლებრივი წესით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლით.

### არაუფლებამოსილი პირის მიმართ ვალდებულების შესრულება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ას-570-541-2015 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n84-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

სამოქალაქო საქმე შეეხება ნ. ა-ს სარჩელს, რომლითაც მოსარჩელემ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების: ლ. მ-ისა და მ. ნ-ის მიმართ და მოითხოვა, ნოტარიუს ლ. ბ-ის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის გაუქმება. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ 30.04.2012წ.-ს ნ. ა-ესა და ლ. მ-ეს შორის მ. ნ-ის შუამავლობით გაფორმდა სანოტარო აქტი „სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება“;

რომლის საფუძველზე ლ. მ-ემ, როგორც „იპოთეკარმა“ ნ. ა-ეს, როგორც „მესაკუთრეს“ სესხად გადასცა 5500 აშშ დოლარი, ორი თვის ვადით, 4% სარგებლის გადახდის პირობით. სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიცვირთა ნ. ა-ის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება. მხარეები შეთანხმდნენ, რომ საპროცენტო სარგებელს მოსარჩელე გადაიხდიდა შუამავალ – მ. ნ-თან. 26.02.2014წ.-ს ლ. მ-ის მოთხოვნით ნოტარიუსმა გასცა სააღსრულებო ფურცელი, რომელიშიც აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა განისაზღვრა შემდეგნაირად: სესხის ძირითადი თანხა 5500 აშშ დოლარი და პირგასამტეხლო 2013 წლის 01 აგვისტოდან 1800 აშშ დოლარი. მოსარჩელის განმარტებით, მას შუამავალ მ. ნ-ის მეშვეობით, გადახდილი აქვს როგორც სარგებელი, ისე, ძირითადი თანხა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. ა-ის სააპელაციო საჩივარი და შესაბამისად, სარჩელი დაკმაყოფილდა. გაუქმდა ნოტარიუსის მიერ 26.02.2014წ.-ს გაცემული სააღსრულებო ფურცელი. სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო იმ გარემოებას, რომ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება დაიდო შუამავლის მეშვეობით, ამასთან, 11 თვის განმავლობაში სესხის პროცენტს იღებდა და გამსესხებელს გადასცემდა შუამავალი. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მსესხებლისათვის სავარაუდო იყო, რომ შუამავალთან ვალდებულების შესრულებით, ვალდებულებას ასრულებდა კრედიტორთან. ამდენად, შუამავლის მიერ შესრულების მიღებით, შედეგები წარმოიშვა კრედიტორისათვის.

**მითითებულ გადაწყვეტილებაზე წარმოდგენილი ლ. მ-ის საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად საკასაციო პალატამ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ნ. ა-ს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.**

უზენაესმა სასამართლომ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლით განმარტა, რომ **განსახილველი ნორმა ითვალისწინებს უფლებამოსილი პირის მიმართ ვალდებულების შესრულებას, თუმცა, ნორმის სწორი განმარტების მიზნებისათვის პირველ რიგში, იგი, განხილული უნდა იქნეს მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის მომწესრიგებელი სპეციალურ ნორმებთან ერთობლიობაში.** ამგვარი მიდგომა განპირობებულია სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა დასაშვებობის ინსტიტუტის თავისებურებით, რომლის ამოსავალი დებულება იმაში მდგომარეობს, რომ მტკიცებულებათა დაშვების ან ამორიცხვის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ნებართვების თუ აკრძალვების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია მატერიალური ნორმით. იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულების შესრულების წესი სადავო ურთიერთობის მიხედვით ეხება სასესხო ვალდებულების შესრულებას, მისი ნამდვილობა უნდა დადგინდეს სასესხო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი წესების დაცვით. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ „სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება“ ფაფორმდა შუამავლის მეშვეობით, მოვალეს/მსესხებელს ნაკისრი ვალდებულება მაინც კრედიტორის/გამსესხებლის წინაშე უნდა შეესრულებინა, რადგან რაიმე მითითებას შუამავლისათვის ძირითადი თანხის გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება არ შეიცავდა, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა შესრულების მიღების ადრესატის განსაზღვრად. საკასაციო პალატის მიერ შუამავლისათვის თანხის გადახდაზე მოსარჩელის მითითება, კრედიტორის მიმართ ვალდებულების შესრულებად არ იქნა მიჩნეული და განიმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის თანახმად,

ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით. ყოველი კონკრეტული ქმედება ვალდებულებითი ურთიერთობის შემწყვეტ შესრულებად რომ ჩაითვალოს, აუცილებელია, მოვალემ კრედიტორის წინაშე ვალდებულება ზუსტად ისე შეასრულოს, როგორც ამაზე მხარეები შეთანხმდნენ და როგორი გონივრული მოლოდინიც ჰქონდა კრედიტორს, სახელდობრ, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი). კანონის აღნიშნული დანაწესი საერთოა როგორც ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილისათვის ისე, სახელშეკრულებო სამართლისათვის და ეხება სესხის ხელშეკრულების ყველა კომპონენტს, ყველა იმ მოვალეობებს, რომელიც წარმოიშობა სესხის ხელშეკრულების საფუძველზე.

მოცემულ გადაწყვეტილებაში, საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა ვალდებულების სუბიექტებსა და ვალდებულების შესრულების სუბიექტზე და განმარტა, რომ ვალდებულების სუბიექტები ყოველთვის არიან კრედიტორი და მოვალე, ვალდებულება კი მოვალის ნაცვლად შეიძლება შეასრულოს სხვა პირმა და შესრულება მიიღოს არა კრედიტორმა, არამედ სხვამ. როგორც წესი, მოვალე თვითონ ასრულებს ვალდებულებას, მაგრამ კრედიტორს შეიძლება შესრულება შესთავაზოს სხვა, მესამე პირმაც, რომელიც არ არის მოცემული ვალდებულებითი ურთიერთობის მონაწილე. ზოგჯერ კრედიტორისათვის სულერთია, თუ ვინ შეუსრულებს მას ვალდებულებას – მოვალე თუ მესამე პირი. მისთვის მთავარია, მიიღოს შესაბამისი დაკმაყოფილება (მაგალითად, დაუბრუნდეს ვალი).

**საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია არა მხოლოდ ის, თუ ვინ ასრულებს ვალდებულებას, არამედ ისიც, თუ ვის მიმართ ხდება შესრულება.** ზოგადი წესის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის თანახმად, მოვალე ვალდებულია შეუსრულოს ვალდებულება კრედიტორს ან იმ პირს, რომელიც კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამოსილია მიიღოს შესრულება.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, ვის მიმართაც მოვალემ უნდა შეასრულოს ვალდებულება. ასეთად, პირველ რიგში, ითვლება უშუალოდ კრედიტორი. ამასთან, ეს უკანასკნელი არ არის ერთადერთი პირი, რომლის მიმართაც შეიძლება შესრულდეს ვალდებულება. ეს შეიძლება იყოს კრედიტორის კანონისმიერი ან სახელშეკრულებო წარმომადგენელი. შესრულებაზე უფლებამოსილი პირი სასამართლო გადაწყვეტილებითაც შეიძლება განისაზღვროს.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მეტად მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს ვალდებულების შესრულება არაუფლებამოსილი პირის მიმართ. თუ ეს არ ხდება კრედიტორის თანხმობით, მოვალის მიერ ვალდებულება შესრულებულად არ ჩაითვლება. მოვალეს ვალდებულების დარღვევის გამო, დაეკისრება კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. თავის მხრივ, მოვალეს უფლება აქვს არაუფლებამოსილი პირის მიმართ განხორციელებული შესრულებისას, მოითხოვოს მისგან შესრულების უკან დაბრუნება არა რეგრესული მოთხოვნის, არამედ უსაფუძვლო გამდიდრების (სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი) საფუძველზე.



## მოპალის მიერ ვადის გადაცილება

### სესხის ხელშეკრულების ფარგლებში საპროცენტო სარგებლისა და ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ურთიერთმიმართება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-1701-1685-2011 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba29.pdf>).

მოცემულ საქმეზე დადგინდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ჰ. ს. დ-სა და გ. კ-ს შორის 2009 წლის 30 ივლისს დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სესხი განისაზღვრა 50 000 აშშ დოლარით, სამი თვის ვადით, ყოველთვიური 5%-იანი სარგებლით. მსესხებელმა ვალდებულება დადგენილ ვადაში არ შეასრულა, რის გამოც მოსარჩელემ მოითხოვა სესხის ძირითადი თანხის, სარჩელის აღძვრამდე საპროცენტო სარგებლისა და გადანყვეტილების აღსრულებამდე პირგასამტეხლოს სახით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის გადასახდელი თანხის 0,3%-ის გ. კ-თვის დაკისრება. მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ ცნო და აღნიშნა, რომ გადახდილი ჰქონდა 27 875 აშშ დოლარი, რომელიც უნდა გამოკლებოდა სესხის ძირითად თანხას. სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის პოზიცია არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ მის მიერ ყოველთვიურად გადახდილი თანხა შეესაბამებოდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ 5%-ს; ამდენად, სასამართლოს აზრით, გ. კ. 2010 წლის 30 სექტემბრამდე საპროცენტო სარგებელს იხდიდა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნული მტკიცება არ გაიზიარა და განმარტა, რომ სარგებლის (პროცენტის) გადახდის ვალდებულება, რომელიც მხარეებმა გაითვალისწინეს სესხის ხელშეკრულებისათვის, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 625-ე, 403-ე მუხლებზე და განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტი, რომელიც თავისი შინაარსით სარგებელია, განსხვავდება 403-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტისაგან, რომელიც ის ზიანია, რაც განიცადა კრედიტორმა ფულადი თანხის გადახდის ვალდებულების დარღვევის გამო; ამასთან, 403-ე მუხლით სარჩელის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: 1) მოვალეს შესასრულებელი უნდა ჰქონდეს ფულადი ვალდებულება; 2) ფულადი ვალდებულების შესრულების ვადა უნდა იყოს დარღვეული; 3) ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის უნდა არსებობდეს მხარეთა შეთანხმება პროცენტის თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში მოპასუხემ დაარღვია ვალდებულება, მაგრამ, ვინაიდან მხარეებს შორის არ არსებობდა შეთანხმება ვალდებულების დარღვევისას საპროცენტო სარგებლის გადახდის შესახებ, რაც, სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლიდან გამომდინარე, დამატებითი შეთანხმების საგანია, მოსარჩელის მოთხოვნა, რომ 2010 წლის ოქტომბრიდან სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე მოპასუხეს დაეკისროს სარგებელი – 50000 აშშ დოლარის 5%, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.



## ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

### ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის

#### – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-1156-1176-2011 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba37.pdf>).

აღნიშნული სამოქალაქო საქმე ეხებოდა ნ. ს-ძის სარჩელს, რომლითაც იგი მოპასუხისგან მოითხოვდა ხანძრის შედეგად ქონების განადგურებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაზე ვრცელდებოდა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემული ურთიერთობის თავისებურების გათვალისწინებით, არ არსებობდა მორალური ზიანის ანაზღაურების ნორმატიული საფუძველი, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველი დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი იყო ზემოთხსენებული ნორმით გათვალისწინებული მიზნის სწორად დადგენა. პალატის განმარტებით, კერძო სამართლით გათვალისწინებული სხვადასხვა ურთიერთობების შედეგად შეიძლება ადგილი ჰქონდეს მორალურ, სულიერ ტანჯვას, მაგრამ მისი ანაზღაურება დაიშვება მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, ე.ი. კანონი პირდაპირ ადგენს, თუ კონკრეტულად რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეიძლება მოითხოვოს დაზარალებულმა არაქონებრივი ზიანისათვის ანაზღაურება. ამდენად, კანონის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი.

ადამიანის ჯანმრთელობა წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაცულ ერთ-ერთ სიკეთეს, რომლის ხელყოფისათვის დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება. მითითებული ნორმით დადგენილი შედეგის აუცილებელ პირობას წამოადგენს ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფა, რის შედეგად დაზარალებულმა, ასევე განიცადა სულიერი ტანჯვა, ფსიქიკური სტრესი. ამდენად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება გათვალისწინებულია ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული სულიერი, ფსიქიკური ტანჯვის გამო და არა – ქონებრივი ზიანის გამო სულიერი ტანჯვით გამოწვეული ჯანმრთელობის მოშლის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, საცხოვრებელ სახლში გაჩენილ ხანძართან დაკავშირებული ფსიქოემოციური სტრესი და ხანძრის გამო გამოწვეული ისეთი უარყოფითი ფაქტორები, როგორცაა უბინაობა, გაუთვალისწინებელი ვალეები და ამ ფაქტორებით გამოწვეული ჯანმრთელობის გაუარესება, არ წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზემოხსენებული ნორმის მოქმედება უნდა გაგვევრცელებინა ნებისმიერი ქონებრივი ვალდებულების დარღვევისას განცდილი სულიერი ტანჯვის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებაზე, რაც ყოველად დაუშვებელია.

## ვალდებულების შესრულების მიღება

### მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება და კრედიტორის მიერ ამ შესრულების მიღების ფაქტის დადასტურება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 431-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 აპრილის განმარტება საქმეზე №ას-1541-1547-2011 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba19.pdf>).

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 429-ე-431-ე მუხლებში საუბარია ვალდებულების შესრულების მიღების ფორმებზე. კერძოდ, 429-ე მუხლის თანახმად, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ კრედიტორი ყოველთვის ვალდებულია, გასცეს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ამას მოვალე მოითხოვს. კანონში კრედიტორის მიმართ არსებობს ცალსახა დამოკიდებულება – იგი ავალდებულებს მოვალის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ასეთი დოკუმენტი, თუმცა კანონი ასეთივე მოთხოვნა არ არის მოვალის მიმართ. მას შეუძლია, არ გამოითხოვოს ასეთი საბუთი კრედიტორისაგან. ბუნებრივია, კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია ვალდებულებიდან გამომდინარე მხარეთა მდგომარეობით. ნორმაში მითითებული დოკუმენტის ფლობა აუცილებლობას წარმოადგენს მოვალისათვის, რადგან მან მხოლოდ ამ დოკუმენტით შეიძლება დაადასტუროს ვალდებულების შესრულება, რასაც ვერ ვიტყვით კრედიტორზე. მას არანაირი საჭიროება არ აქვს, ფლობდეს ამ დოკუმენტს არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი თვალსაზრისით. უფრო მეტიც, არაკეთილსინდისიერ კრედიტორს შეუძლია, ასეთი დოკუმენტის გაუცემლობის შემთხვევაში, განმეორებით მოითხოვოს ვალდებულების შესრულება. სწორედ, ამიტომ კანონი მას ავალდებულებს სათანადო დოკუმენტის გაცემას. პალატის განმარტებით, შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა დამოკიდებულია მოვალის სურვილზე. არსებობს უამრავი ფაქტორი, რამაც შესაძლოა განაპირობოს მოვალის მიერ ამ საბუთის მიუღებლობა, მაგალითად, მისი წინდაუხედაობა, პარტნიორის მიმართ გადამეტებული ნდობის არსებობა და ა.შ. საბოლოო ჯამში, ეს ფაქტორები უკავშირდება მხარის რისკს და მთლიანად განაპირობებს მისი პასუხისმგებლობის არსებობა-არარსებობის ფაქტს. იგივე შეიძლება ითქვას სამოქალაქო კოდექსის 431-ე მუხლზეც, რომლის თანახმად, მოვალეს შესრულების შესახებ დოკუმენტთან ერთად შეუძლია მოითხოვოს სავალო დოკუმენტის დაბრუნება ან გაუქმება. ასეთი დოკუმენტის გაცემის შეუძლებლობის შემთხვევაში კი, მოვალეს უფლება აქვს, მოითხოვოს ოფიციალურად დამონმებული ცნობა იმის თაობაზე, რომ ვალდებულება შეწყვეტილია. ყველა მითითებულ შემთხვევაში კანონი მოვალეს აღჭურავს მთელი რიგი უფლებებით, რათა შესძლოს ვალდებულების შესრულების და კრედიტორის მიერ ამ შესრულების მიღების ფაქტის დადასტურება. ამ უფლების გამოუყენლობა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს მის რისკს და შეუძლებელს ხდის ზემოთ მითითებული გარემოების დადასტურებას. ამრიგად, პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნულ ურთიერთობასთან მიმართებაში მხოლოდ მონმის ჩვენების საფუძველზე შეუძლებელია ვალდებულების შესრულების ფაქტის დადასტურება, მაგრამ ეს დასკვნა გამომდინარეობს არა 624-ე მუხლის შინაარსიდან, არამედ ზემოთ მითითებული ნორმებიდან.

## ქირავნობა და იჯარა

### ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებების გამიჯვნა

#### – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-738-700-2015 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

სამოქალაქო საქმე შეეხება ნ. გ-ძის სარჩელს, რომლითაც მოსარჩელემ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა იჯარის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო მოპასუხისათვის ხელშეკრულების დარჩენილი ვადის – 2013 წლის 7 აგვისტოდან 2022 წლის 18 დეკემბრამდე – გადაუხდე-ლი ქირის 702 291,74 აშშ დოლარის დაკისრება. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მითითებული იქნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 588-ე მუხლი.

სარჩელი ეფუძნებოდა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებას: მოსარჩელემ 2012 წლის 18 დეკემბერის იჯარის ხელშეკრულებით მოპასუხეს 10 წლით გადასცა უძრავი ქონება, რომელსაც მისი სარგებლობისათვის ყოველთვიურად უნდა გადაეხადა 6 250 აშშ დოლარი. მოპასუხემ 2013 წლის 6 ივნისის წერილით ისე შეწყვიტა იჯარის ხელშეკრულება, რომ მოსარჩელისათვის არ შეუთავაზებია ახალი გადახდისუნარიანი და ამ უკანასკნელისათვის მისაღები მოიჯარე, რითაც, მოსარჩელის პოზიციით, დაირღვა კანონის ის იმპერატიული დანაწესი, რასაც ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 588-ე მუხლის პირველი ნაწილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს შეფასებით, მხარეთა შორის ურთიერთობა თავისი შინაარსით, მიუხედავად იჯარაზე მითითებისა, წარმოადგენდა ქირავნობას და, შესაბამისად, დავა უნდა მოწესრიგებულიყო არა იჯარის, არამედ ქირავნობის მომწესრიგებელი ნორმებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხემ ხელშეკრულება ვადაზე ადრე, მართებულად მოშალა. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გაასჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოსარჩელემ (კასატორი) გაასაჩივრა საკასაციო წესით, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 დეკემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლომ თავისი განჩინებით განმარტა, რომ მიუხედავად იჯარისა და ქირავნობის მსგავსებისა მათ შორის არსებობს განსხვავება, რაც განაპირობებს საიჯარო ურთიერთობის ზოგიერთ ასპექტში განსხვავებულად მოწესრიგების აუცილებლობას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით ქირავნობის დროს კონკრეტული, ინდივიდუალურად განსაზღვრული, მოუხმარებადი ნივთი გადაეცემა დამქირავებელს სარგებლობაში, ხოლო იჯარის შემთხვევაში გადაეცემა ქონება, რომელიც, არა მარტო ნივთებს, არამედ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესაც აერთიანებს, ანუ იმ მოთხოვნებსა და

უფლებებს, რომლებიც მოიჯარეს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ნაყოფი (მატერი-ალური სარგებელი). იჯარის შემთხვევაში ნაყოფია ის შემოსავლები, რაც მეურნეობის სწორი გაძღოლის გზით მიიღება სამართლებრივი ურთიერთობის (იჯარის) საფუძველზე („იურიდიული ნაყოფი“). საქმის მასალებით დადგენილი იქნა, რომ მოპასუხეს სარგებლობაში გადაეცა კონკრეტული უძრავი ნივთი ისეთ მდგომარეობაში, რომელიც არ იძლეოდა ნაყოფის მიღების შესაძლებლობას; კერძოდ, მონინაალმდეგე მხარეს, საბანკო საქმიანობის მიზნით, ნივთის გამოყენება შეეძლო მას შემდეგ, რაც ის საკუთარი სახსრებით გადააკეთებდა, გაარემონტებდა და შესაბამისი ინვენტარით აღჭურავდა ნაქირავებ საგანს. აქედან გამომდინარე, კასატორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ დადებულია იჯარისა და არა ქირავნობის ხელშეკრულება, რადგანაც ბანკი ნივთს გამოიყენებდა ფილიალის გასახსნელად, რომლის შემდეგაც კომერციულ საქმიანობას განახორციელებდა, სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული.

## ნარდობა

### ნარდობის ხელშეკრულებისას გადახარჯვის ანაზღაურება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 638-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-888-834-2012 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/nardobisas-gadaxarjvis-anazgaureba.pdf>).

საკასაციო სასამართლომ მყარად განსაზღვრული ხარჯთაღრიცხვისას მენარდის სარჩელი სამშენებლო პროექტის კორექტირებით გამოწვეული გადახარჯვის ანაზღაურების თაობაზე არ დააკმაყოფილა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გადახარჯვის ანაზღაურების შესახებ სარჩელის საფუძვლიანობის შესამოწმებლად პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს: შეუძლია თუ არა მენარდეს გადახარჯვის ანაზღაურების მოთხოვნა და თუ შეუძლია, რა შემთხვევაში?

საერთო წესის მიხედვით, მენარდეს შეუძლია, მოითხოვოს მხოლოდ შეთანხმებული საზღაური. ამ წესიდან გამონაკლისს ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, მენარდეს შეუძლია მოითხოვოს გადახარჯვის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შემდეგი წინაპირობები: ა. მხარეები შეთანხმდნენ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით; ბ. მენარდემ მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვას მნიშვნელოვნად გადააჭარბა; გ. მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გათვალისწინება შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას; დ. მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ მენარდემ დაუყოვნებლივ შეატყობინა შემკვეთს. სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მისაღებად აუცილებელია, რომ ყველა ზემოაღნიშნული პირობა ერთდროულად არსებობდეს. ამასთან, უპირველესად, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, არსებობს თუ არა მხარეთა შეთანხმება შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ვინაიდან ზემოხსენებული ნორმა განსაზღვრავს სწორედ მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების სა-



მართლებრივ შედეგებს.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ხარჯთაღრიცხვა არის სპეციალური დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება ნარდობის ხელშეკრულების ფასის განსაზღვრისათვის რთული სამუშაოების შესრულებისას. ხარჯთაღრიცხვა შეიძლება იყოს მყარი (როცა ზუსტადაა განსაზღვრული საზღაურის ოდენობა, რომელიც შემკვეთმა უნდა გადაუხადოს მენარდეს შესრულებული სამუშაოსათვის) და მიახლოებითი (რომელიც სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს). თუ ხარჯთაღრიცხვა მიახლოებითია და მენარდე მას მნიშვნელოვნად გადააჭარბებს, აღნიშნულის თაობაზე მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს შემკვეთს. ასეთი ვალდებულების მენარდისათვის დაკისრების არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუკი მენარდე არ შეატყობინებს შემკვეთს ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდის შესახებ და გააგრძელებს სამუშაოს შესრულებას, შემდეგში იგი კარგავს უფლებას, შემკვეთისაგან მოითხოვოს ფასებს შორის სხვაობის ანაზღაურება. მას შემდეგ, რაც შემკვეთი მენარდისაგან მიიღებს შეტყობინებას მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბების შესახებ, მას შეუძლია, მოითხოვოს ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება, თუ იგი თანახმაა, გადაიხადოს გაზრდილი ანაზღაურება. იმ შემთხვევაში, თუ შემკვეთი არ მოისურვებს გაზრდილი ანაზღაურების გადახდას, მას შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გამო. მითითებული საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემკვეთი ვალდებულია, ანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მყარი ხარჯთაღრიცხვა სახეზეა მაშინ, როდესაც ზუსტადაა განსაზღვრული საზღაურის ოდენობა, რომელიც შემკვეთმა უნდა გადაუხადოს მენარდეს შესრულებული სამუშაოსათვის. მყარი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შემთხვევაში მენარდე გადახარჯვის ანაზღაურების მოთხოვნისას ვერ დაეყრდნობა სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლს, ვინაიდან ეს ნორმა განსაზღვრავს მიახლოებითი და არა მყარი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების სამართლებრივ შედეგებს. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მყარი ხარჯთაღრიცხვა, იგი არ ექვემდებარება გადასინჯვას, მიუხედავად მისი გადასინჯვის მოთხოვნის მიზეზისა. საერთო წესის მიხედვით, ვალდებულია უნდა შესრულდეს, რადაც არ უნდა დაუჯდეს ეს ვალდებულ პირს. თუ მოვალეს ვალდებულების შესრულება გაურთულდა ან მან დაკარგა ხელშეკრულების შესრულების ინტერესი, ეს მას არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან. მან თავად იკისრა ვალდებულების შესრულება და თავადვე უნდა ატაროს მისი შეუსრულებლობის რისკი. ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით (ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი). შეცვლილი გარემოებები ართულებს შესრულებას იმ დონემდე, რომ მისი შესრულების მოთხოვნა, როგორც გამართლებული საფუძველიც არ უნდა გააჩნდეს მეორე მხარეს, ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ სიკეთეთა სამართლიანი (ეკვივალენტური) გაცვლისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნებს, რაც შეიძლება, განპირობებული იყოს, როგორც შესრულების ღირებულების გაზრდით, ისე – მისი შემცირებით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მყარი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბების შემთხვევაში, მენარდეს შეუძლია, შემკვეთს მოსთხოვოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. თუ მენარდე ამ უფლებით არ ისარგებლებს და მაინც გააგრძელებს სამუშაოს შესრულებას, შემდეგში იგი კარგავს უფლებას, შემკვეთისაგან მოითხოვოს გადახარჯვის ანაზღაურება.

განსახილველ საქმეზე, ვინაიდან მხარეთა შორის მყარი ხარჯთაღრიცხვა იყო შეთანხმებული, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მითითება სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ მენარდეს შეეძლო, ესარ-



გებლა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით მინიჭებული უფლებით და მოეთხოვა ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. ასეთი უფლებით მას არ უსარგებლია. საწინააღმდეგო ვითარებაშიც კი, თუკი მიჩნეული იქნებოდა მხარეთა შორის მიახლოებით ხარჯთაღრიცხვაზე შეთანხმება ნამდვილად, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მენარდის მოთხოვნა გადახარჯვის ანაზღაურების თაობაზე დაუსაბუთებელი იყო, ვინაიდან არ არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი არსებითი წინაპირობა, კერძოდ, მოსარჩელე (მენარდე) ვალდებული იყო, მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებინა შემკვეთისათვის.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მშენებლობის პროექტის კორექტირებით გამოწვეული გადახარჯვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება მენარდეს, კერძოდ, მშენებლობის პროექტის კორექტირება ყოველთვის არ იწვევს მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდას. თეორიულად პროექტის კორექტირებამ შეიძლება გამოიწვიოს მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის, როგორც გაზრდა, ასევე, შემცირება, ისევე, როგორც შესაძლებელია ხარჯთაღრიცხვა არც შეიცვალოს. მენარდემ, უპირველესად, ის უნდა დაადასტუროს, რომ სწორედ პროექტის კორექტირებამ გააძვირა აშენების ღირებულება და შემკვეთი თანახმა იყო სამუშაოების გაგრძელებაზე გაძვირებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

გადახარჯვის ანაზღაურება შედის მენარდის და არა შემკვეთის ინტერესებში, ამიტომ კანონი სწორედ მენარდეს ავალდებულებს, დაუყოვნებლივ აცნობოს შემკვეთს მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ. ამ მოქმედებით მენარდე შემკვეთს ატყობინებს, რომ მას სურს, მიიღოს გადახარჯვის ანაზღაურება, თუ გადახარჯვის მიუხედავად, შემკვეთი მაინც მოისურვებს სამუშაოების დასრულებას. მენარდე მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს გადახარჯვის ანაზღაურებას, თუ აღნიშნულის თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ შემკვეთი მოითხოვს ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას გაზრდილი ხარჯთაღრიცხვით, ანუ იგი თანახმა იქნება გადახარჯვის ანაზღაურებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემკვეთს შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება, რა დროსაც იგი ვალდებული იქნება, აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მხოლოდ მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

## დაზღვევა

### ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მზღვეველზე გადაცემის ფარგლები

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-581-549-2011 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba27.pdf>).

მოცემულ საქმეზე დადგენილი იყო დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2006 წლის 27 ივნისს სს „ს.კ. ა.ბ-სა“ (მზღვეველი) და „ბ.ვ.შ.ა/ს-ს“ (დამზღვევი) შორის გაფორმდა ყირგიზული კომპანიისათვის მისაწოდებელი ტვირთის დაზღვევის ხელშეკრულება. ტვირთის გადაზიდვას ახორციელებდა შპს „ს რ-ა.“ 2006 წლის 13 სექტემბერს ბიშკეკში ჩასული ტვირთის ნაწილი დაზიანებული აღმოჩნდა.

ნდა. დაზიანების შედეგად გამოწვეული ზარალი მზღვეველმა დამზღვევეს აუნაზღაურა, ხოლო 2010 წლის 21 აპრილს მიმართა შპს „ს. რ“-ს გადახდილი სადაზღვევო თანხის ანაზღაურების მოთხოვნით, რაზეც შპს „ს. რ“-მ უარი განაცხადა, მოთხოვნის ხანდაზმულობის მოტივით. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა მზღვეველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გადაცემის გამიჯვნას რეგრესული ვალდებულებისაგან.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლზე და განმარტა, რომ აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს არა რეგრესულ ვალდებულებას, არამედ შესაძლებლობას, რა დროსაც მზღვეველზე გადადის იმ მოთხოვნის უფლება, რაც გააჩნია დამზღვევეს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ და ამ უფლების გადასვლა ხორციელდება მზღვეველის მიერ გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში. მოთხოვნის უფლების ასეთი გადასვლა ცნობილია „სუბროგაციის“ პრინციპის სახით. ამ შემთხვევაში მზღვეველი ცვლის ზიანის მიმყენებლის მიმართ მოთხოვნის უფლების მქონე დამზღვევეს. მოთხოვნის დათმობით არ ხდება არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის შეცვლა, არ იცვლება არც მოთხოვნა, რომელიც შესაბამისი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარეობს. მოთხოვნა ისეთივე მდგომარეობაში გადადის ახალ კრედიტორზე, როგორც იყო თავდაპირველი კრედიტორის ხელში. თუ აღმოჩნდება, რომ დამზღვევის მოთხოვნა ზიანის მიმყენებლის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე ხანდაზმულია, მაშინ ხანდაზმული იქნება მზღვეველის მოთხოვნაც. კრედიტორის შეცვლა ვალდებულებაში არ იწვევს ხანდაზმულობის ვადისა და მისი გამოთვლის წესის შეცვლას.

საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ მსგავს ვითარებაში მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით, რომლებიც არეგულირებენ დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებულ ურთიერთობას, კონკრეტულ შემთხვევაში კი, გამოყენებული უნდა ყოფილიყო გადაზიდვის მარეგულირებელი ნორმები, ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 699-ე მუხლზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი ხანდაზმული იყო.

### მესამე პირის სასარგებლოდ დადებული სიცოცხლის დაზღვევისას რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურება

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-663-624-2011 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba42.pdf>).

მითითებულ საქმეზე საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებისას სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი წარმოშობდა რეგრესული მოთხოვნის უფლებას.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლზე და განმარტა, რომ დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივი, სასყიდლიანი და რეალური ხელშეკრულებაა. ამასთან, დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივ მავალდებულებელი ხელშეკ-

რულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ დამზღვევი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო შენატანი, ხოლო მზღვეველი მოვალეა ანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი. დაზღვევის ხელშეკრულების საგანია მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა, ხოლო ის, თუ რა შეიძლება იყოს დაზღვევის ობიექტი, მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 820-ე–858-ე მუხლებში.

ვინაიდან დაზღვევა შესაძლო ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის საშუალებაა, იბადება შემდეგი კითხვა: სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შესაძლოა თუ არა დამზღვევს წარმოეშვას ორმაგი მოთხოვნის უფლება, თუ დამზღვევის ქონებას ან პიროვნებას მესამე პირმა მიაყენა ზიანი, ანუ სახეზეა დელიქტი. დასმულ კითხვაზე პასუხი დადებითად უნდა იქნეს გაცემული, თუმცა, სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი ორმაგი მოთხოვნის უფლების რეალიზაციის განსხვავებულ წესს გვთავაზობს, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის უნაზღაურებს დამზღვევს ზიანს. თუ დამზღვევი უარს იტყვის მესამე პირის მიმართ თავის მოთხოვნაზე ან მისი მოთხოვნის უზრუნველყოფის უფლებაზე, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება ზიანის იმ ოდენობით ანაზღაურების მოვალეობისაგან, რამდენიც მას შეეძლო მიეღო თავისი ხარჯების ასანაზღაურებლად უფლების განხორციელებასთან ან მოთხოვნის წაყენებასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა რეგრესული მოთხოვნის უფლებასთან, არამედ დელიქტურ ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლასთან, ხოლო თვით ვალდებულების არსი უცვლელი რჩება. ამასთან, დელიქტურ ვალდებულებაში დამზღვევის მზღვეველით შეცვლის აუცილებელი წინაპირობაა ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლის არსებობა და მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის სადაზღვევო თანხის გაცემა. ამდენად ზიანის დაზღვევის სამართლებრივ ურთიერთობაში, როდესაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომა გამოიწვია მესამე პირმა, გამოიყენება კრედიტორის ჩანაცვლების პრინციპი, რაც შესაძლოა ემსახურობდეს როგორც დაზღვეულის, ასევე მესამე პირის უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილებას.

საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლით მონესრიგებული ურთიერთობა კანონმდებლის მიერ განერილია არა დაზღვევის ხელშეკრულების ზოგად ნორმებში, არამედ სპეციალურ თავში, რომელიც ეხება ზიანის დაზღვევას. ამასთან, პირადი დაზღვევისათვის დამახასიათებელი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ სადაზღვევო შეფასება პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან პირის სიცოცხლე არ შეიძლება ანაზღაურებულ იქნეს რაიმე კომპენსაციით.

საკასაციო პალატის დასკვნით, სიცოცხლის დაზღვევის სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დაზღვეულ პირს წარმოეშობა ორმაგი მოთხოვნის უფლება, თუმცა მზღვეველს არა აქვს უფლება გასცეს სადაზღვევო საზღაური და შემდგომ ზიანის მიმყენებელს მოსთხოვოს ეს თანხა დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე. შესაბამისად, 832-ე მუხლი, როგორც სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმა განსახილველ შემთხვევაში ვერ იქნება გამოყენებული ანალოგიით, ვინაიდან ნორმის ამგვარი განმარტება არ გამომდინარეობს კანონის ობიექტური მიზნებიდან.

## ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა

### ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის მფლობელობიდან საერთო საკუთრების გამოთხოვის საფუძვლები და ამ საკითხზე ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილება

- „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი
- „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-1098-1029-2012 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba41.pdf>).

მოცემულ საქმეზე დადგენილი იყო დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: შპს „კ“ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „გ-ს“ წევრია და 1996 წლიდან ინდივიდუალურად ფლობს ამხანაგობის კუთვნილ არასაცხოვრებელ ფართს სარდაფთან ერთად. ამხანაგობის თავმჯდომარე მ. დ-მ სარჩელი აღძრა ამხანაგობის კუთვნილი უძრავი ქონების შპს „კ-ს“ მფლობელობიდან გამოთხოვის მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტზე და განმარტა, რომ მითითებული ნორმიდან გამომდინარე, თუ ამხანაგობის წევრი ამხანაგობის საერთო საკუთრებას „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე ანუ 2007 წლის 1 აგვისტომდე ფლობდა, საჭიროა ამხანაგობის კრების მოწვევა არსებული მდგომარეობის დასაფიქსირებლად. კრება ამგვარ მფლობელობას ან ლეგიტიმურად ცნობს, ან მიიღებს გადაწყვეტილებას ამხანაგობის წევრის მფლობელობიდან ქონების გამოთხოვის შესახებ. მხოლოდ ამგვარი გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი, ამხანაგობის წევრს სამეურნეო სათავსის მფლობელობა შეუწყდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის მიერ ფართის ფლობა არამართლზომიერად ვერ ჩაითვლება. მფლობელობის მართლზომიერების საკითხს ამხანაგობის წევრები წყვეტენ და მხოლოდ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ წარმოიშობა ამხანაგობის წევრის მფლობელობიდან ქონების გამოთხოვის მოთხოვნის უფლება. ამხანაგობის წევრების მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე კი პირი ქონების არამართლზომიერ მფლობელად ვერ ჩაითვლება.

საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილებანი ამომწურავადაა ჩამოთვლილი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლში. მართალია, ამხანაგობის თავმჯდომარე სასამართლოში ამხანაგობის სახელით გამოდის, მაგრამ, მითითებული მუხლიდან გამომდინარე, იგი არ განკარგავს ამხანაგობის საერთო ქონებას, არ იღებს გადაწყვეტილებას ამხანაგობის კუთვნილი ქონების მფლობელობაში გადაცემის ან გამოთხოვის შესახებ. ამ შემთხვევაში, ამხანაგობის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კრების გადაწყვეტილების შესრულებას და იგი უფლებამოსილია, მსგავსი საკითხების გადასაწყვეტად ამხანაგობის წევრთა კრება მოინვიოს, მაგრამ არ არის უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით სასამართლოში სარჩელი აღძრას. ამხანაგობის თავმჯდომარის მოთხოვნა სამართლებრივ საფუძველს მხოლოდ კრების გადაწყვეტილების არსებობის პირობებში იძენს.

ვინაიდან მოცემულ საქმეზე არ არსებობდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „გ-ს“ წევრების გადაწყვეტილება სადავო ფართზე შპს „კ-ს“ მფლობელობის შეწყვეტის თაობაზე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. დ-ს სარჩელი უსაფუძვლო იყო.



## კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი

### საზიარო უფლების გაუქმების სამართლებრივი ასპექტები

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლი;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 964-ე მუხლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1148-1094-2014 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n79-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

სამოქალაქო საქმე შეეხება უ. კ-ის სარჩელს, რომლითაც მოსარჩელემ მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე ბ. ლ-ის მიმართ და მოითხოვა, ქ. ...., ..... დასახლებაში მდებარე მხარეთა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი – 499.00მ<sup>2</sup>; შენობა-ნაგებობების საერთო ფართი – 212.60მ<sup>2</sup>; ს/კ:№.....) გასხვისების გზით, საზიარო უფლების გაუქმება. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ მხარეთა თანასაკუთრებაში არსებული სადავო უძრავი ნივთის 5/6 ეკუთვნის უ. კ-ს, ხოლო 1/6 – ბ. ლ-ს, რომელმაც ქონების წილი შეიძინა მოსარჩელის ძმის – მ. კ-საგან. ბ. ლ. და მ. კ. არ აძლევენ მოსარჩელეს კუთვნილი წილით სარგებლობის შესაძლებლობას. ქონების ნატურით გაყოფა კი, შეუძლებელია, რის გამოც, საზიარო უფლება უნდა გაუქმდეს უძრავი ნივთის რეალიზაციის გზით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელს ეთქვა უარი დაკმაყოფილებაზე, რაზედაც საკასაციო საჩივარი წარადგინა უ. კ-მ (მოსარჩელემ).

უზენაესმა სასამართლომ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 961-ე, 963-ე და 964-ე მუხლებით, განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: 1. საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება, დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2. ამგვარი დაყოფის შედეგად არ მცირდება ნივთის ღირებულება. როგორც პირველი, ასევე, მეორე კომპონენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ დადგეს ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი. ამასთან, ორივე შემთხვევაში, ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ასრულებდა გაყოფამდე. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობას, თუ იგი არ დაკარგავს თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას. ღირებულებაში ნივთის საბაზრო ღირებულება (ფასი) კი არ იგულისხმება, არამედ მოიაზრება მისი საგნობრივი (ფუნქციონალური) დანიშნულება, რომლის შემცირება ნივთის გაყოფამ არ უნდა გამოიწვიოს. ნატურით გასაყოფმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ის ასრულებს გაყოფამდე, ე.ი. არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა.

საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 964-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად, საზიარო უფლების გაუქმება ნივთის



აუქციონზე რეალიზაციის გზით არ წარმოადგენს მესაკუთრის უპირობო უფლებას. აღნიშნულ უფლებას მესაკუთრე იძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სარწმუნოდ დაადასტურებს ნივთის ნატურით გაყოფის შეუძლებლობას.

საკასაციო პალატა განმარტავს, იმისთვის, რომ სადავო უძრავი ქონება ერთგვაროვან ნაწილებად ნატურით გაიყოს, აუცილებელი იქნება სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, რაც შესაბამისი უწყებებიდან სპეციალურ ნებართვას საჭიროებს. აღნიშნული კი, ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს საზიარო საგნის ნატურით გაყოფის შეუძლებლობაზე.

ამდენად, საზიარო უფლების გაუქმება წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნას, რომლის დისპოზიციური უფლებამოსილება – შეარჩიოს საზიარო უფლების გაუქმების კონკრეტული საშუალება, შეზღუდულია მატერიალური კანონმდებლობით, კერძოდ, დაუშვებელია საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით, თუ შეუძლებელია ყველა თანამესაკუთრის საკუთრების უფლების ღირებულების შენარჩუნება საკუთარი იდეალური წილის შესაბამისად, მხოლოდ ერთი თანამესაკუთრის იდეალური წილის იმგვარი გამოყოფა, რომლითაც დაცულია ამ უკანასკნელის საზიარო საგნის გაყოფამდე არსებული მდგომარეობა (ღირებულება). საზიარო უფლების გაუქმებას, ნატურით გაყოფის გზით, სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის კონტექსტში ლეგიტიმურს არ ხდის, თუ დაცული და შენარჩუნებული არ არის სხვა თანამესაკუთრეთა იდეალური წილის მდგომარეობა (ღირებულება).

საზიარო უფლებიდან გამომდინარე, მოთხოვნის რეალიზაცია დამოკიდებულია ამ უფლების მფლობელ პირთა მდგომარეობასა და ინტერესებზე. საზიარო უფლების გაუქმება, ნატურით გაყოფისას, დასაშვებია საზიარო უფლების მონაწილეთა წილობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზიარო საგნის (საგნების) ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფა შესაძლებელია ღირებულების შემცირების გარეშე. მოცემულ საქმეზე დადგენილ იქნა, რომ საზიარო უძრავი ქონების ნატურით გაყოფა მესაკუთრეთა წილების შესაბამისად, მათი დანიშნულებისა და ღირებულების შემცირების გარეშე, თვისობრივი და კონსტრუქციული მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელია. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საფუძვლიანია მოსარჩელის მოთხოვნა საზიარო უფლების გაუქმებისა და საკუთრებაში კუთვნილი წილის კომპენსაციის მიღების თაობაზე და იგი მართებულად იქნა დაკმაყოფილებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

## დელიქტური ვალდებულებანი

### ზიანის მიმყენებლის მშობლების მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრება

#### – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 995-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-711-677-2015 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n86-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

უზენაესი სასამართლოს განხილვის საგანი იყო შეემონმებინა, დაზარალებულის სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები ზიანის მიმყენებლის მშობლების მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, ვინაიდან ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობა გამოორიცხა მისმა შეურაცხადობამ.

საკასაციო სასამართლოს კვლევისა და შეფასების საგანს წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 995-ე მუხლის განმარტების (2015 წლის 20 მარტის ცვლილებამდე არსებული რედაქციით) მართებულობა, რადგან სახეზე იყო ზიანის მიმყენებელი პირის მოქმედება, რომლის ბრალეულად მიჩნევა, გამოორიცხა მისი შეურაცხადობის გამო, რაც დადგენილია საქმეში არსებული მტკიცებულებებით.

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზიანის მიმყენებელი პირის მშობლების მიჩნევა ვალდებულ პირებად, რომელთაც უნდა განეხორციელებინათ საკუთარ შვილზე მეთვალყურეობა, არ გამომდინარეობდა საქმის მასალებიდან, რადგან არ დასტურდებოდა, რომ მშობლებმა არ გამოიჩინეს სათანადო ყურადღება შვილისადმი. შესაბამისად, ზოგადად, როცა დგება საკითხი ზიანის მიმყენებლის მშობლებისადმი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, სასამართლომ უნდა იმსჯელოს თუ რამდენად იყვნენ ვალდებული მშობლები მეთვალყურეობა გაენიათ შვილისათვის, რომელმაც ზიანი მიაყენა სხვას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 995-ე მუხლის მე-2 ნაწილის განმარტებისას, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირებად ზიანის მიმყენებლის მშობლების მისაჩნევად, სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია არა ფორმალურ-იურიდიული საფუძველი და მოხმობილ ნორმაში სიტყვის „ეკისრება“ იმგვარად განმარტება, რომ მეთვალყურეობა აუცილებლად ობიექტურად უნდა იყოს დაკისრებული მშობელზე, არამედ, მეთვალყურეობაზე სუბიექტურად ვალდებული პირის, განსახილველ დავაში, მშობლის მიერ თავის ვალდებულად მიჩნევა, რომ ქცევის ზედამხედველობის მოთხოვნილი სტანდარტი გონივრულად შეასრულოს, რათა დაცული და არიდებული იქნეს სხვა პირთა სიცოცხლისა და კეთილდღეობისათვის საფრთხის შექმნა, ზიანის მიყენება.

**სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი  
ზიანისათვის სატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო-  
სამართლებრივი პასუხისმგებლობა**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატის 2010 წლის 20 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-254-239-  
2010 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba15.pdf>).

აღნიშნული სამოქალაქო საქმე ეხებოდა ქ. ს-ის სარჩელს, რომლითაც იგი მოპასუხე-  
ბისაგან მოითხოვდა მისი კუთვნილი ავტომანქანისათვის ავტოსაგზაო შემთხვევის შე-  
დეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხე ლ.  
ნ-ის კუთვნილი ავტომობილი, რომელსაც მისი თანხმობით, თხოვების ხელშეკრულე-  
ბის საფუძველზე, მართავდა მოპასუხე ვ. ბ-შვილი, საგზაო მოძრაობის წესების დარ-  
ღვევით შეეჯახა მოსარჩელის კუთვნილ ავტომობილს და დააზიანა იგი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის  
მნიშვნელოვანი იყო იმ საკითხის გარკვევა, თუ ვინ მიიჩნევა სატრანსპორტო საშუალე-  
ბის მფლობელად და რა შემთხვევაში ეკისრება მას პასუხისმგებლობა სატრანსპორტო  
საშუალების ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ზიანისათვის.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილ-  
ზე და განმარტა, რომ აღნიშნული ნორმის მიზნებიდან გამომდინარე, სატრანსპორტო  
საშუალების მფლობელად მიიჩნევა პირი, რომელიც იურიდიული საფუძველით ახორ-  
ციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას. იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომელიც იყენებს  
სატრანსპორტო საშუალებას მისი მფლობელის ნებართვის გარეშე (არამართლზომიერ  
რი მფლობელი), სხვას მიაყენებს ზიანს ამ სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით,  
სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ პირს (არამართლზომიერ მფლობელს)  
და არა სატრანსპორტო საშუალების მფლობელს. ამასთან, მფლობელი ვალდებულია  
აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძ-  
ლებელი გახდა მისი ბრალის გამო. სხვა შემთხვევაა, როდესაც მფლობელის მიერ მო-  
სარჩებლისათვის სატრანსპორტო საშუალების გადაცემა მართლზომიერია და სატრან-  
სპორტო საშუალების ექსპლოატაციას მოჰყვება ზიანი. ასეთ დროს შესაძლებელია გა-  
მოყვით ორი შემთხვევა, როდესაც პასუხისმგებლობა ეკისრება სატრანსპორტო საშუ-  
ალების მფლობელს: კერძოდ, როდესაც მოსარჩებელე მფლობელის მიერ დაინიშნულია  
სატრანსპორტო საშუალების სამართავად, ან თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას  
გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება მომე-  
ტებული საფრთხის წყაროთი ზიანის მიყენების ინსტიტუტის თავისებურებას, რომლის  
შესაბამისად, სამოქალაქო პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს პირს (მფლობელს),  
რომელიც არ წარმოადგენს ზიანის მიმყენებელს, არ მიუძღვის ბრალი ზიანის დადგო-  
მაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ შემ-  
თხვევაში მოპასუხე ლ. ნ-ძე, როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი,  
მიჩნეულ უნდა ყოფილიყო ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირად.

საკასაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე არსებობდა მოპასუ-  
ხეთა სოლიდარული პასუხისმგებლობის საფუძველები. პალატამ განმარტა, რომ სატ-

რანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დაზარალებულ პირს არ ეკრძალება, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ერთობლივად წაუყენოს როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელს (სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის მესამე წინადადების საფუძველზე), ისე სატრანსპორტო საშუალების მოსარგებლეს, რომელიც ბრალეულად მოქმედებდა და ზიანის მიმყენებელია 992-ე მუხლის საფუძველზე. ამ შემთხვევაში სახეზეა მოვალეთა სიმრავლე ვალდებულებაში, ვალდებულებათა ერთიანობა, როდესაც ყოველ მოვალეს თავისი საკუთარი ვალდებულება აკისრია კრედიტორის წინაშე, მაგრამ ისინი ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, რომ ქმნის სოლიდარულ ვალდებულებას.

## საწარმოო ტრავმის შედეგად მარჩენალის დალუპვით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

### – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტება 2016 წლის 22 იანვრის საქმეზე №ას-789-746-2015 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n87-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

საკასაციო სასამართლოს კვლევისა და შეფასების საგანი იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლის საფუძველზე, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხისათვის დაკისრებული, გაზრდილი (გადაანგარიშებული) სარჩოს დაკისრების მართლობიერება.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მართებულად შეფასდეს, თუ როდემდე იქნებოდა ვალდებული მარჩენალი, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფი პირები, რომ არ დამდგარიყო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლის საფუძველზე, საწარმო – ზიანის მიმყენებელმა – სარჩოს მიცემის ვალდებულება უნდა შეასრულოს მანამდე, ვიდრე, საწარმოს ბრალით დაზარალებული თანამშრომელი იქნებოდა ვალდებული, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფნი, ანუ ეხადა სარჩო სარჩენი პირებისათვის.**

განსახილველ დავაში გარდაცვლილი მუშაკის მეუღლე ითხოვდა, რომ საწარმოს დაკისრებოდა 2011-2014 წლებში მიუღებელი სარჩოს ერთობლივი თანხა, ამ წლებში მოქმედი მემანქანის ხელფასის შესაბამისად. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მემანქანემ (დაბადების თარიღი – 1918 წ.) ტრავმა 1972 წლის 20 სექტემბერს მიიღო, ხოლო 1990 წელს 72 წლის ასაკში გარდაიცვალა.

უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო, პრეზუმირებულია, რომ მემანქანე იმუშავებდა საპენსიო ასაკამდე, რომელიც იმხანად მოქმედი შრომის კოდექსის (1973 წლის 28 ივნისის რედაქციით) მიხედვით, მამაკაცებისათვის 65 წელს შეადგენდა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, საწარმოს მიერ აღებული ვალდებულება, მისი ბრალით დამდგარი ზიანის ანაზღაურების ნაწილში, სრულდებოდა მარჩენალის სიცოცხლეში, როდესაც ამ უკანასკნელმა, საწარმოს ბრალით დაკარგა შრომის უნარი, და მისი გარდაცვალების შემდეგაც, მიუხედავად იმისა, რომ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში,

ცხადია, რომ 72 წლის ასაკში, ელმავლის მემანქანედ ვერ იმუშავებდა პირი.

საკასაციო სასამართლო აღარ ავითარებს მსჯელობას, გარკვეული კატეგორიის მუშაკთა შესაძლო ასაკობრივ შეზღუდვაზე, შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგან ამ ფაქტზე შედავება კასატორს არ წარმოუდგენია სასამართლო განხილვის არცერთ ეტაპზე.

## ინტელექტუალური სამართალი

### საავტორო უფლების დარღვევის აღკვეთა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა

- „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი
- „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი
- „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოების დაცვის ბერნის კონვენციის“ მე-2 მუხლი
- „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მარტის განმარტება საქმეზე №ას-924-874-2015 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

მოპასუხეებმა დაიქირავეს მესამე პირი და ავტორის (კასატორის) ნებართვის გარეშე შეცვალეს შენობის გარე დიზაინი, რომელიც კასატორის მიერ იყო შექმნილი.

საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა შენობის გარეფასადის რეკონსტრუქციის შედეგად დაირღვა თუ არა კასატორის საავტორო უფლება არქიტექტურულ ნაწარმოებზე და ექვემდებარება თუ არა ეს უფლება დაცვას.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ დიზაინის ავტორს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი იმით დაასაბუთა, რომ მიუხედავად ნაწარმოების ავტორის თანხმობის არარსებობისა, მოპასუხეებს არ უნდა დაკისრებოდათ პასუხისმგებლობა საავტორო უფლების დარღვევაში მათი ბრალეულობის დაუდგენლობის გამო, ამასთანავე, საკუთარი შეფასება სასამართლომ იმითაც გაამყარა, რომ ნაწარმოების თავდაპირველი ავტორის უფლების დაცვის თვალსაზრისით, ნივთისათვის პირვანდელი იერსახის აღდგენა გამოინწევდა შენობის გარეფასადის ახალი დიზაინის ავტორის უფლების დარღვევას.

საკასაციო პალატის განმარტებით, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს ავტორის საავტორო ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. კანონის რეგულირების ქვეშ კი, ექცევა არქიტექტურული ნაწარმოები, რომელიც განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე (მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი) და კანონის 6.1. მუხლის „თ“ ქვეპუნქტით განმარტებულია, რომ ხელოვნების ნაწარმოების ერთ-ერთი სახე სწორედ არქიტექტურული ნაწარმოებია. არქიტექტურული ნაწარმოების აღიარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, შეფასდეს საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებათა ფარგლები. „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოების დაცვის ბერნის კონვენციის“ თანახმად, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოები მოიცავს არქიტექტურულ



ნაწარმოებსაც და იგი სარგებლობს დაცვით კავშირის ყველა ქვეყანაში (მე-2 მუხლის (1) და (6) პუნქტები). საკითხს, კონკრეტულად თუ რა წარმოადგენს არქიტექტურულ ნაწარმოებს, განმარტავს „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, არქიტექტურული ნაწარმოებია არქიტექტურული პროექტის და არქიტექტურული ობიექტის სახით არსებული არქიტექტურული საქმიანობის შედეგი, რომელიც წარმოადგენს საავტორო უფლებათა ობიექტს. ის უდავო გარემოება, რომ კასატორმა დააპროექტა და დიზაინით გააფორმა ქ.თბილისში, ... მდებარე შენობა, წარმოშობს მოსარჩელის მტკიცების გაზიარების შესაძლებლობას, რომ კასატორი არქიტექტურული ნაწარმოების ავტორია. საავტორო უფლების ნამდვილობაზე მსჯელობისას პალატამ ყურადღება გაამახვილა მოპასუხე საწარმოს შესაგებებლზეც, რომლითაც მან სადავო გახადა უფლების მოსარჩელისადმი კუთვნილება და აღნიშნა, რომ ამ საკითხის გარკვევისათვის სავალდებულოა შეფასება მიეცეს იმას, მოსარჩელემ რა სტატუსით შექმნა დიზაინი, რადგანაც ნაწარმოების დამკვეთი იქნებოდა სახელმწიფო. საკასაციო პალატის განმარტებით, მოცემული დავის საგანი ავტორის არაქონებრივი უფლების დაცვაა და თუკი მოსარჩელის შემოქმედებას თუნდაც სამსახურებრივ ნაწარმოებად მივიჩნევდით, ეს გარემოება, სხვა წინაპირობების არსებობისას, ხელისშემშლელი ვერ იქნებოდა სარჩელის დაკმაყოფილებისათვის, რადგანაც „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი აქცენტს საავტორო ქონებრივ უფლებებზე აკეთებს და არ ადგენს რაიმე შეზღუდვას ავტორის არაქონებრივი უფლებების მიმართ.

„ბერნის კონვენციის“ 5.(2) მუხლის თანახმად, საავტორო უფლებებით სარგებლობა და მათი გამოყენება არ არის დაკავშირებული რაიმე ფორმალობის შესრულებაზე; ასეთი სარგებლობა და გამოყენება არ არის დამოკიდებული ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში დაცვის არსებობაზე. აქედან გამომდინარე, ამ კონვენციის დებულებების გარდა, დაცვის ფარგლები, ისევე როგორც ავტორის უფლებების დასაცავად მიიჩქებული ზიანის ანაზღაურების საშუალებები, რეგულირდება მხოლოდ იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა. საავტორო უფლების წარმოშობის თვალსაზრისით ანალოგიურ დებულებებს ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დანაწესებიც. საქართველოს კანონმდებლობა საავტორო უფლებათა დაცვას ნაწარმოების შექმნის მომენტს უკავშირებს და მისი ნამდვილობა ავტორის მხრიდან სხვა დამატებითი მოქმედების განხორციელებაზე არ არის დამოკიდებული („სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი).

სარჩელის ფაქტობრივ საფუძველს ავტორის ნებართვის გარეშე არქიტექტურულ ნაწარმოებზე განხორციელებული ცვლილების შედეგად ამ ნაწარმოების ავტორის უფლების დარღვევა წარმოადგენდა, შესაბამისად, სასამართლოს შემონმების საგანიც მითითებული ქმედების მართლზომიერებაა. „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი განსაზღვრავს არქიტექტურული ნაწარმოების ავტორის საავტორო უფლებების ჩამონათვალს და ადგენს, რომ მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ავტორს აქვს თავისი პროექტის გადაკეთების უფლება (მუხლი 13.2). ცვლილების შეტანის საკითხის დეტალურ რეგულაციას ითვალისწინებს ამავე კანონის 16.1 მუხლი, რომლის თანახმადაც, არქიტექტურული ობიექტის მესაკუთრე, რომელსაც განზრახული აქვს ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური ნიშნებისა და იერსახის შეცვლა, ვალდებულია მიიღოს არქიტექტურული პროექტის ავტორის ნებართვა ან მიიწვიოს იგი არქიტექტურულ ობიექტში ცვლილებების შეტანის მიზნით საპროექტო სამუშაოს შესასრულებლად. მოქმედი კანონმდებლობა განსაზღვრავს ავტორის უფლებათა დაცვის ქმედით მექანიზმებს და ადგენს გონივრულ ბალანსს ავტორის საავტორო უფლებათა და ქონების მესაკუთრის ინტერესებს შორის. „ბერნის კონვენციის“ მე-6 ბის მუხლის (1) პუნქტის თანახმად, ავტორის ქონებრივი უფლებებისგან დამოუკიდებლად

და აღნიშნული უფლებების გადაცემის შემდეგაც კი, ავტორს აქვს უფლება მოითხოვოს ნაწარმოების ავტორად აღიარება და წინ აღუდგეს ამ ნაწარმოების ნებისმიერ გაუკუღმართებას, დამახინჯებას, ან სხვაგვარ ცვლილებას, ასევე ამ ნაწარმოების ნებისმიერ სხვა შელახვას, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ავტორის ღირსებას ან რეპუტაციას. ანალოგიურ დათქმას შეიცავს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 17.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი. ასეთ შემთხვევაში, ეროვნული კანონმდებლობა ადგენს უფლების დაცვის წესსაც, კერძოდ, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის თანახმად, საავტორო უფლების მფლობელს უფლება აქვს დამრღვევისაგან მოითხოვოს უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და იმ მოქმედების აღკვეთა, რომელიც არღვევს უფლებას ან ქმნის მისი დარღვევის საფრთხეს, თუმცა, ნორმით განსაზღვრული შედეგის მიღწევისათვის შესამონმმებელ გარემოებათა წრეს წარმოადგენს: რეკონსტრუქციის შედეგად შეილახა თუ არა ნაწარმოების იერსახე, განხორციელდა თუ არა არქიტექტურულ ობიექტში ცვლილება და ამით ილახება თუ არა ავტორის უფლებები, კერძოდ, ადგება თუ არა ზიანი ავტორის ღირსებასა და რეპუტაციას. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კვლევისას ნაწილი ამ კუთხით არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას ავტორის უფლების რეალური დარღვევის თვალსაზრისით.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხე საზოგადოების შედაგება იმის თაობაზე, რომ მისთვის არ შეიძლებოდა ცნობილი ყოფილიყო მოსარჩელის საავტორო უფლების თაობაზე, რადგანაც კასატორმა ეს უფლება „საქპატენტში“ ნივთის რეკონსტრუქციის შემდეგ დაარეგისტრირა, ხოლო მისი ქმედება საჯარო მმართველობისადმი კანონიერი ნდობის პრინციპს ემყარება. მართალია, ამ თვალსაზრისით სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი საგაზეთო სტატია (არქიტექტურული ჟურნალი „ს-ის“ 22-ე ნომერი), ასევე, იპოთეკის სანივთო უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტი, თუმცა პალატამ, მოცემულ შემთხვევაში, არასწორად განმარტა კანონი. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების უმთავრესი საფუძველი პირის არაბრალეულობა იყო, სამოქალაქო კოდექსი კი, ამკვიდრებს მხოლოდ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრების საპირისპიროდ, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე დელიქტური ვალდებულება არ გვქონდა, შესაბამისად, ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის თაობაზე მსჯელობაც გაუმართლებელია. სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს ვალდებულების წარმოშობის საფუძველებს, რომელთაგან ერთ-ერთი „კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველია“, სწორედ ამგვარ კანონისმიერი ურთიერთობის ერთ-ერთ სპეციალურ სახესა და წინაპირობებს ამკვიდრებს საავტორო უფლებათა დამცავი საკანონმდებლო დანაწესები. საკასაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხე საწარმოს არგუმენტი იმის თაობაზე, რომ სარჩელის დაკმაყოფილებით ილახებოდა მისი, როგორც მესაკუთრის კონსტიტუციური უფლება, თავისუფლად ისარგებლოს საკუთრებით. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს საკუთრებით სარგებლობის შეზღუდვის ლეგალურ ფარგლებს და კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევა პროპორციულია თუ ეს ჩარევა განპირობებულია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით; შეზღუდვა კანონით პირდაპირაა განსაზღვრული და არ ირღვევა საკუთრების უფლების არსი. ამგვარი შემთხვევის კერძო გამოხატულებას სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული გამოთქმისი წარმოადგენს. კანონში მითითებულ მე-სამე პირად შეიძლება სწორედ საავტორო უფლების მქონე პირი მივიჩნიოთ, რომლის უფლებებიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონითაა დაცული. პალატამ სრულად გაიზიარა კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი არასწორად დაასაბუთა ახალი ავტორის უფლების დაცვით. ასეთ შემთხვევაში, გაურკვეველია, რა პრიორიტეტით ისარგებლა სააპელაციო პა-

ლატამ და როგორ განსაზღვრა იმ ავტორის საავტორო უფლების უპირატესობა, რომლის ნაწარმოებიც შესაძლოა არღვევდეს უკვე არსებულ საავტორო უფლებას.

მხედველობაშია მისაღები მოპასუხე იურიდიული პირის შედაგება, რომლის თანახმადაც, მან ნივთი შეიძინა სასტუმროს სტატუსით და ამ ნივთის დანიშნულებისამებრ ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია გარკვეული რეკონსტრუქციის განხორციელება. საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული შედაგება იმდენად არსებითია, რომ მისი რეალურად დადასტურება შესაძლოა მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი გახდეს, რადგანაც „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი იცავს არქიტექტურული ობიექტის მესაკუთრის ინტერესებს, განახორციელოს ნივთზე ამა თუ იმ სახის ცვლილებები, თუმცა მესაკუთრის ეს უფლება გარკვეული წინაპირობებით არის შეზღუდული. ამ კანონის 16.2 მუხლის თანახმად, თუ არქიტექტურული ობიექტის ავტორი არ არის თანახმა აუცილებლობით განპირობებული ან დასაბუთებული ცვლილებების შეტანაზე, ობიექტის მესაკუთრეს (მფლობელს) უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს. ამ თვალსაზრისით გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს რაიმე კვლევას.

## **სასაქონლო ნიშნების გამოყენებასთან დაკავშირებულ დავაში სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების წარმოშობასა და საქონლის კონტრაფაქციულობის დასადასტურებლად მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილება**

### **– „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-1285-1223-2014 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n85-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო, (ა) წარმოადგენდა თუ არა მოსარჩელე მის მიერ მითითებულ სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მფლობელს; (ბ) გააჩნდა თუ არა მოპასუხეს/კასატორს მსგავსი საქონლის მიმართ სადავო სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება (და, შესაბამისად, კონტრაფაქციული იყო თუ არა კასატორის საქონელი); (გ) ვის ეკისრებოდა საქონლის კონტრაფაქციულობის მტკიცების ტვირთი; და (დ) გამოკვლეული იყო თუ არა სააპელაციო სასამართლოს მიერ მოპასუხის საქონლის განადგურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ყველა სამართლებრივი წინაპირობა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასაქონლო ნიშნების დაცვის პრაქტიკით მსოფლიოში ჩამოყალიბდა სასაქონლო ნიშნებზე განსაკუთრებული უფლებების მოპოვების ორი მეთოდი. პირველის თანახმად, განსაკუთრებული უფლების მოპოვება რაიმე სპეციალურ პროცედურას არ საჭიროებს და მიიღწევა სასაქონლო ნიშნის ფაქტობრივი გამოყენებით, ხოლო მეორის მიხედვით, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მოპოვებისათვის აუცილებელია შესაბამის დაწესებულებაში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია.

**საქართველოს კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნებზე განსაკუთრებული უფლებების მოპოვებას საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში“ მათი რეგისტრაციის ფაქტს უკავშირებს. რეგისტრაციით ხდება დაცვის ობიექტის ნამდვილი არსობრივი ფარგლების დაფიქსირება; ამასთან ერთად, რე-**

გისტრაციით აღინუსხება საქონლის ის წრე, რომელთა მიმართ გამოსაყენებლად არის განკუთვნილი სასაქონლო ნიშანი. რეგისტრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა „საქპატენტის“ მიერ ყველა რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნება, რაც წარმოადგენს ნიშნის მფლობელის კონკურენტებისათვის გაფრთხილებას.

რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლება წარმოიშობა ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან (შესაბამისად, რეგისტრაციის ფაქტი საქართველოში არა დეკლარაციულია, როგორც ინგლისურ-ამერიკულ სისტემაში, რომელიც არ ითვალისწინებს განსაკუთრებული უფლების რეგისტრაციას, არამედ – კონსტიტუციური).

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მისი რეგისტრაციის მომენტიდან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დაცულ „ქონებას“ წარმოადგენს. შესაბამისად, რეგისტრაციის პროცედურების დასრულების შემდეგომ სასაქონლო ნიშანი ხდება საკუთრების ობიექტი და მასზე ვრცელდება საკუთრების დაცვის ყველა სამართლებრივი რეგულაცია. ზოგიერთ შემთხვევაში არა მხოლოდ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, არამედ თავად რეგისტრაციის განაცხადი და სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მადიების სამართლებრივი სტატუსიც კი უკვე შესაძლებელია წარმოშობდეს ისეთ ქონებრივ უფლებებს, რომლებიც ექცევა პირველი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებული „ქონების“ ცნებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის განსაკუთრებულ უფლების წარმოშობა სასაქონლო ნიშანზე მართებულად დაუკავშირა საქპატენტში აღნიშნული ნიშნის რეგისტრაციის ფაქტს.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები – მოსარჩელის სახელზე საქონლის მე-7, მე-9 და მე-11 კლასების მიმართ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოწმობა და სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანება საკმარისი იყო მოსარჩელის მიერ სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მოპოვების ფაქტის დასადასტურებლად.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, საქონლის კონტრაფაქციულად მიჩნევისათვის უნდა დაკმაყოფილდეს რამდენიმე პირობა: (1) საქონელი უნდა იყოს იმ საქონლის იდენტური ან მსგავსი (შედიოდეს იმ საქონლის ჩამონათვალში), რომლის მიმართაც რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი; (2) საქონელზე მოთავსებული უნდა იყოს ამ საქონელთან დაკავშირებით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი სასაქონლო ნიშანი; (3) იდენტური ან მსგავსი სასაქონლო ნიშანი მოთავსებული უნდა იყოს უნებართვოდ. ზემოაღნიშნული ნორმით მოცემული ყველა ელემენტი კუმულაციურად უნდა არსებობდეს იმისათვის, რომ კონტრაფაქციულობის ფაქტი დადგინდეს.

ამიტომ საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სასამართლოს არ უნდა მოეხდინა სხვადასხვა (მოსარჩელისა და მოპასუხის) საქონლის შედარება, აგრეთვე, მოპასუხის საქონლის შედარება საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით მოცემული საქონლის ჩამონათვალთან და მიუთითა, რომ სწო-



რედ საქონელთა შედარების გზით არის შესაძლებელი, დადგინდეს რამდენად იდენტური ან მსგავსია საქონელზე დატანილი სასაქონლო ნიშნები და დატანილია თუ არა ისინი იმ საქონლის იდენტურ ან მსგავს საქონელზე, რომლის მიმართაც მფლობელს რეგისტრირებული აქვს საკუთარი სასაქონლო ნიშანი.

გამომდინარე იქიდან, რომ კასატორი თავად ადასტურებდა მის მიერ შესყიდულ საქონელზე დატანილი სასაქონლო ნიშნის მოსარჩელის სასაქონლო ნიშანთან იდენტურობის, ხოლო შესყიდული საქონლის იმ საქონელთან მსგავსების ფაქტს, რომლის მიმართაც „საქპატენტში“ რეგისტრირებულია სადავო სასაქონლო ნიშანი, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა ნიშანდებაზე შესაბამისი ნებართვის არსებობა-არარსებობის ფაქტი, რომელიც უკავშირდება მტკიცების ტვირთის გადანაწილებას.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქონლის კონტრაფაქციულობის მტკიცების ტვირთის გადანაწილება უკავშირდება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ინსტიტუტს. განსაკუთრებული უფლების მქონე პირი თავისი უფლებებს სასაქონლო ნიშანზე ადასტურებს რეგისტრაციის მოწმობით, ხოლო საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი (მაგ., რომ ეს უფლება მოსარჩელეს არ წარმოეშვა) ეკისრება მოპასუხეს. აღნიშნულზე მიუთითებს ისიც, რომ რეესტრში რეგისტრირებული უფლება დაცულია როგორც საერთაშორისო კონვენციებით, ისე ქვეყნის შიდა კანონმდებლობით. შესაბამისად, **რეგისტრაციის ფაქტი უკვე საკმარისია იმისათვის, რომ რეგისტრირებული უფლების მქონე პირს წარმოეშვას საკუთარი „ქონების“ დაცვის უფლება.**

მოცემულ შემთხვევაში, რადგან მოსარჩელე წარმოადგენდა სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მფლობელს, მხოლოდ მას შეეძლო მოპასუხისათვის მიეცა ამ ნიშნის გამოყენების უფლება. შესაბამისად, არ შეიძლება მოსარჩელეს დაეკისროს არარსებული ფაქტის მტკიცების ტვირთი. ის ფაქტი, რომ მოპასუხეს გააჩნდა ამ ნიშნის გამოყენების უფლება, უნდა ამტკიცოს მოპასუხემ.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქონლის კონტრაფაქციულობის მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილებისათვის მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების სამართალში არსებული პრეზუმფციების განხილვა და განმარტა, რომ **მოპასუხის მიერ მოსარჩელის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის უნებართვოდ გამოყენების პრეზუმფციის ასამოქმედებლად, აუცილებელია მოსარჩელემ დაადასტუროს: (1) სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების არსებობისა და (2) მოწინააღმდეგე მხარის მიერ იდენტურ ან მსგავს საქონელზე იდენტური ან მსგავსი ნიშნის გამოყენების ფაქტები.**

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში **მოსარჩელემ დაადასტურა ორივე ფაქტი, რაც საკმარისია იმისათვის, რომ ამოქმედდეს მოპასუხის მიერ ამ სასაქონლო ნიშნის უნებართვოდ გამოყენების (მოპასუხის საქონლის კონტრაფაქციულობის) პრეზუმფცია. ამ პრეზუმფციის გაქარწყლება ეკისრება იმ მხარეს, ვის საწინააღმდეგოდაც ის მოქმედებს, ე.ი. მოპასუხეს.** მოპასუხის მიერ კი არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა სადავო სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლებაზე.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ საქონლის კონტრაფაქციულობა შეიძლება დამტკიცდეს მხოლოდ ექსპერტის დასკვნით და აღინიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოქმედებს საქონლის კონტრაფაქციულობის პრეზუმფცია (ხოლო პრეზუმფცია, ისევე როგორც პრეიუდიცია, არ შედის მტკიცების საგანში. შესაბამისად, მისი დადასტურება, მათ შორის, ექსპერტიზის დასკვნით არ ხდება). შესაძლებელია, მხოლოდ აღნიშნული პრეზუმფციის გაქარწყლება, რაც მოპასუხის მტკიცების ტვირთია.



თავად რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ „საქპატენტში“ სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების რეგისტრაციას წინ უსწრებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა და არსობრივი ექსპერტიზა. სასამართლომ განმარტა, რომ ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა ადგენს, არის თუ არა განაცხადი გაფორმებული კანონის შესაბამისად, ხოლო არსობრივი ექსპერტიზა ამოწმებს, არსებობს თუ არა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური და შედარებითი საფუძვლები. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი რეგისტრაციის მონობა უკვე მიუთითებს იმაზე, რომ მითითებულ სასაქონლო ნიშანს გავლილი აქვს შესაბამისი ექსპერტიზა. შედეგად საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მის საქონელზე იდენტიფიკაციის სასაქონლო ნიშნის სათანადო ნებართვის საფუძველზე გამოყენების მტკიცების ტვირთი მოპასუხემ ვერ გასწია.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ საკითხს, გამოკვლეული იყო თუ არა სააპელაციო სასამართლოს მიერ მოპასუხის საქონლის განადგურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ყველა სამართლებრივი წინაპირობა და აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები, თუმცა არასწორად განმარტა „დ“ ქვეპუნქტი.

**საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქონლის განადგურებისათვის აუცილებელია არსებობდეს ისეთი შემთხვევა, რომელიც მიუთითებს სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევების შეუძლებლობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე ითხოვდა საქონლის განადგურებას, სასამართლოს იურიდიულად სწორად უნდა განესაზღვრა მტკიცების საგანი, რომელიც ასევე უნდა ითვალისწინებდეს სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევების შეუძლებლობის ფაქტს, რაც უნდა გამხდარიყო მტკიცებითი პროცესის ობიექტი.**

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია საქონლის განადგურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ყველა სამართლებრივი წინაპირობა, რადგან არასწორად განსაზღვრა მტკიცების საგანი.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოიკვლიოს, შესაძლებელია თუ არა მოპასუხის სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევება. მოსარჩელის მოთხოვნა ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ მოპასუხის სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევება შეუძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება.

### სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა

- „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლი
- „პარიზის კონვენციის“ მე-6<sup>septies</sup> მუხლის (1) პუნქტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მარტის განმარტება საქმეზე №ას-970-919-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>).

საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს შპს „კომპანია ვ. ჯ-ს“ მი-

ერ „საქპატენტში“ განხორციელებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის კანონიერება. მოსარჩელე თურქეთში დაფუძნებული სააქციო საზოგადოებაა, რომელიც ძირითადად აწარმოებს კოსმეტიკურ და პირადი ჰიგიენის საშუალებებს და ფლობს სასაქონლო ნიშან „ფლორმარს“ (Flormar).

შპს „კომპანია ვ. ჯ-მ“ 2008 წლიდან დაიწყო თანამშრომლობა მოპასუხესთან. იგი პერიოდულად აწოდებდა მის მიერ წარმოებულ კოსმეტიკურ პროდუქციას საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზაციის მიზნით.

2012 წლის 1 იანვარს „Flormar-ის“ საქონლის მისაწოდებლად, 12 თვის ვადით, მოსარჩელემ ექსკლუზიური სადისტრიბუციო შეთანხმება გააფორმა საქართველოში რეგისტრირებულ შპს „VIP C-თან“, როგორც მის საბითუმო აგენტთან საქართველოში.

2012 წლის 3 აპრილს მოპასუხემ მიმართა „საქპატენტს“, სასაქონლო ნიშნის „NAIL ART THERAPY SUPERSHINE SUPERMATTE ფლორას“ დაჩქარებული წესით რეგისტრაციის მოთხოვნით. სასაქონლო ნიშანი „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის 2012 წლის 20 აპრილის №464/03 ბრძანების საფუძველზე დარეგისტრირდა. სასაქონლო ნიშანი სიტყვიერია და ასევე მოიცავს გამოსახულებით ელემენტებსაც: ნიშნის ცენტრალურ გამოსახულებით ფიგურას წარმოადგენს წრენირი, რომელშიც განთავსებულია შავი ფერით შესრულებული პატარა ლათინური ასო-ნიშანი „f“, რომელიც ქვედა მხარეს ოდნავ ცდება წრენირს; ასო-ნიშან „f-ისა“ და წრენირის გადაკვეთის ადგილის სიახლოვეს, წრენირში „f-ის“ შუახაზის ქვემოთ, განთავსებულია ერთი წერტილი; წრენირის ირგვლივ, მის გარეთა მხარეს, განთავსებულია ლათინური ასო-ნიშნებით შესრულებული, სასაქონლო ნიშანში შემავალი სიტყვები.

წრენირში განთავსებული პატარა ლათინური ასო-ნიშანი „f“ წერტილით არის მოსარჩელის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის – „flormar-ის“ გამოსახულება, სიმბოლო და იგი აღბეჭდილია მის მიერ გამოშვებულ თითოეულ პროდუქტზე (საქონელზე), გამოსახულება მოსარჩელის რამდენიმე საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის შემადგენელი გამოსახულებითი ელემენტისგან შედგება, რამდენადაც სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ნაწილის შემადგენელი სიტყვები: „NAIL ART“, „NAIL THERAPY“, „SUPERSHINE“, „SUPERMATTE“ აღბეჭდილია სხვადასხვა პროდუქტზე და ამავე დროს, დაცულია მოსარჩელის კუთვნილი, სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი ცალკეული სასაქონლო ნიშნით. სადავო სასაქონლო ნიშანი მსგავსია მოსარჩელის კუთვნილი და საქართველოში გამოყენებული სასაქონლო ნიშნებისა, იგი შედგება მოსარჩელის პროდუქციაზე აღბეჭდილი გამოსახულებისგან, წარმოადგენს მისი სასაქონლო ნიშნის სიმბოლოს და არის მისი რამდენიმე სასაქონლო ნიშნის შემადგენელი ელემენტი.

2013 წლის 23 სექტემბერს, მოპასუხემ „საქპატენტს“ მიმართა განცხადებით და მოითხოვა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლით სასაზღვრო ღონისძიების განხორციელების რეგისტრაცია სასაქონლო ნიშანზე – „NAIL ART, NAIL THERAPY, SUPERSHINE, SUPERMATTE ფლორა“.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი იმის შესახებ, რომ შპს „კომპანია ვ. ჯ.“ არ იყო მოსარჩელის დისტრიბუტორი, რადგან ის საკუთარი რისკითა და ხარჯით ყიდულობდა პროდუქციას მოსარჩელისაგან, ასევე სხვა პირებისაგან და ამ პროდუქციას ყიდდა საქართველოს ბაზარზე. მხარეთა საქმიანი ურთიერთობის სწორი კვალიფიკაციის მიზნით, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ შეფასება უნდა მისცემოდა თავად სავაჭრო წარმომადგენლის/აგენტისა და დისტრიბუტორის ცნებას. სავაჭრო წარმომადგენლი/აგენტი ერთმანეთთან აკავშირებს სავაჭრო ურთიერთობის სუბიექტებს იმგვარად, რომ მას საქონელზე საკუთრების უფლება არ გააჩნია, რაც შეეხება დისტრიბუტორის ცნებას, დისტრიბუტორი არის პირი, რომელიც თავისი საქმიანობის

ფარგლებში პროდუქტით უზრუნველყოფს ბაზარს და რომელიც პროდუქტის მიმართ სათანადო პირობების დაცვის შემთხვევაში გავლენას არ ახდენს პროდუქტის უსაფრთხოების მახასიათებლებზე (კანონის 4.5 მუხლი). მითითებული სამართლებრივი ნორმიდან გამომდინარე, დისტრიბუტორად შეიძლება მივიჩნიოთ სავაჭრო ურთიერთობის ის მხარე, რომელიც საქონელს მასზე საკუთრების უფლების გადაცემით ყიდულობს. იგი აგენტთან შედარებით, მართალია, მეტი რისკის ქვეშაა მოქცეული, მაგრამ მეტ კონტროლს ინარჩუნებს ვაჭრობის ოპერაციაზე.

საკასაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა კასატორის პოზიცია განჩინების სამართლებრივი დასაბუთებისა და მის მიერ სასაქონლო ნიშნის არაკეთილსინდისიერი განზრახვით რეგისტრაციის ფაქტის თაობაზე. პალატის განმარტებით, სასაქონლო ნიშანზე უფლება, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ამ ნიშნის „საქპატენტში“ რეგისტრაციის დღიდან წარმოიშობა, თუმცა ეს უფლება შეიძლება რეგისტრაციის გარეშეც არსებობდეს. ამ შემთხვევაში ნიშნის მფლობელის უფლების ნამდვილობას ადგენს საერთაშორისო შეთანხმება, როგორცაა, მაგალითად, 1889 წლის 20 მარტის „სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია“, რომლის ობიექტსაც სამრეწველო საკუთრება, მათ შორის, სასაქონლო ნიშნები, ასევე, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვა წარმოადგენს (მუხლი 1 (2)).

კასატორის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მის მიერ „საქპატენტში“ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი არ იყო სიტყვა „Flormar-ის“ გამოსახულება უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული. უპირველესად, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მოპასუხის მიერ „საქპატენტში“ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის სომბოლური გამოსახულება აღრევა მდგომარეობა მოსარჩელის მიერ „პარიზის კონვენციის“ წევრ სხვადასხვა ქვეყანაში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების ძირითადი სიმბოლოსი და შეეხება იმავე პროდუქტს, რომელსაც აწარმოებს მოსარჩელე.

„პარიზის კონვენციის“ მე-6<sup>septies</sup> მუხლის (1) პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში დაცული ნიშნის მფლობელი პირის რწმუნებული ან წარმომადგენელი, კავშირის ერთ ან მეტ ქვეყანაში მფლობელის ნებართვის გარეშე შეიტანს განაცხადს თავის სახელზე ნიშნის რეგისტრაციაზე, მფლობელს უფლება აქვს, წინააღმდეგობა გაუწიოს მოთხოვნილ რეგისტრაციას ან მოითხოვოს მისი გაუქმება, ან თუ ქვეყნის კანონი ამის ნებას იძლევა, აღნიშნული რეგისტრაციის გადაფორმება მის სასარგებლოდ. გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებს და განმარტავს, რომ ეროვნული კანონმდებლობის ეს დანაწესები შეიძლება განიმარტოს „პარიზის კონვენციის“ ზემოხსენებულ რეგულაციასთან მიმართებით იმგვარად, რომ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის ბათილობის უპირობო საფუძველია, როგორც მოქმედების არაკეთილსინდისიერად განხორციელება, ისე, სასაქონლო ნიშნის მფლობელის აგენტის ან წარმომადგენლის (დისტრიბუტორის) მიერ უფლებამოსილი პირის ნებართვის გარეშე რეგისტრირებული ნიშნის „პარიზის კონვენციის“ წევრ ქვეყანაში რეგისტრაცია.

საკასაციო პალატის განმარტებით, სასაქონლო ნიშანზე უფლება საკუთრებით სარგებლობის უფლების ფარგლებში ექცევა და მისი მოპოვება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ეს არ ლახავს კეთილსინდისიერი მესამე პირების უფლებებს. რეგისტრაციის მოთხოვნასთან დაკავშირებული უფლებები პირობითია. მხარე, რომელიც მიმართავს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოთხოვნით, უნდა ელოდოს, რომ მის მოთხოვნას შეისწავლიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა ეს მოთხოვნა მატერიალურ და პროცედურულ პირობებს.

კასატორის მტკიცება იმის თაობაზე, რომ „საქპატენტში“ რეგისტრაცია მართლზომი-

ერი მიზნით განხორციელდა არ იქნა გაზიარებული. ამ მხრივ კასაციური პრეტენზიას გამოთქვამდა იმაზე, რომ მისი მიზანი მხოლოდ კონტრაფაქციული პროდუქციის გავრცელების თავიდან არიდება იყო. მოსარჩელე არ ყოფილა დაინტერესებული ქართული ბაზრით და მიუხედავად შეტყობინებისა, მას ამ მხრივ ქმედითი ღონისძიება არ გაუტარებია. რაც შეეხება კონკურენციას, შპს „კომპანია ვ. ჯ-ს“ მოსარჩელისა და მისი ამჟამინდელი დისტრიბუტორისათვის სამენარმეო საქმიანობაში ხელი არ შეუშლია. საკასაციო პალატამ მითითებული არგუმენტის ანალიზისას მხარის პოზიცია არადაამაჯერებლად მიიჩნია, რადგანაც იგი სათანადო მტკიცებულებებით არ იყო გამყარებული. აღნიშნულის საპირისპიროდ პალატამ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ „საქპატენტში“ ნიშნის რეგისტრაცია მხარეთა სავაჭრო ურთიერთობების შეწყვეტას ემთხვეოდა, გარდა ამისა, საქმეში წარმოდგენილი იყო მთელი რიგი მტკიცებულებები, კერძოდ: შპს „კომპანია ვ. ჯ-ს“ მიერ სხვადასხვა სავაჭრო დაწესებულებისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებები, რომელთა თანახმად, ის წარმოადგენს თურქული კომპანიის (მოსარჩელის) კოსმეტიკური საშუალებების დისტრიბუტორს. მოპასუხე კომპანიისათვის ცნობილი გახდა, რომ წერილის ადრესატ სავაჭრო ობიექტებში სხვა პირების მიერ რეალიზაციისათვის წარმოდგენილია საქონელი (კოსმეტიკური საშუალებები), რომელიც მათი საქონლის იდენტურია.

პალატამ ყურადღება ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილ და საკასაციო საჩივრით შეუდავებელ იმ გარემოებაზეც მიაქცია, რომ სასაქონლო ნიშნის „საქპატენტში“ რეგისტრაციის შემდეგ, 2013 წლის 23 სექტემბერს, მოპასუხემ მოითხოვა სასაზღვრო ღონისძიების გამოყენების რეგისტრაცია მის მიერ რეგისტრირებულ ნიშანზე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სასაზღვრო ღონისძიების გამოყენების მიზანი უფლების მქონე პირის ინტერესების იმგვარი დაცვაა, როდესაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი ახორციელებს ამ კანონით განსაზღვრულ შესაბამის ღონისძიებებს (მუხლი 3); საქონლის შეჩერება (მუხლი 5); შემონების ჩატარება (მუხლი 6); საქონლის ჩამორთმევა და განადგურება (მუხლი 8). მითითებული მსჯელობიდან გამომდინარე, დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული შპს „კომპანია ვ. ჯ-ს“ მსჯელობა იმის თაობაზე, რომ არც სასაზღვრო ღონისძიების რეგისტრაციის და არც კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდგომ არ დაზუსტებულა პირი, ვის მიმართაც გამოიყენებოდა აღნიშნული კანონისმიერი შეზღუდვა. შპს „კომპანია ვ. ჯ.“ სადავო ნიშნის რეგისტრაციისას არ აწარმოებდა პროდუქციას, იგი ახორციელებდა მოსარჩელის სასაქონლო ნიშნებით ნიშანდებული კოსმეტიკური პროდუქციის მხოლოდ დისტრიბუციას. სადავო ნიშანზე უფლების მოპოვებით მოსარჩელეს აეკრძალა საქართველოს ტერიტორიაზე პროდუქციის მისთვის მისაღები დისტრიბუტორის (აგენტის) მეშვეობით შემოტანა და რეალიზაცია. ასეთი ვითარების შექმნით მოპასუხე მიზნად ისახავდა მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მოსარჩელესთან ურთიერთობაში ხელსაყრელი შედეგების მიღწევას. სასამართლომ ვერ დაადგინა სადავო სასაქონლო ნიშნის დარეგისტრირებისა და უფლების მოპოვებისას მოპასუხის ლეგიტიმური მიზანი, რომელიც იქნებოდა უპირატესი, ვიდრე მოსარჩელის უფლების დაცვა.



## ბავშვთა უფლებების დაცვა; მიუხედავად და მზრუნველობა

### არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლი
- „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1112-1047-2015 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

არასრულწლოვანთა ერთ-ერთ მშობელს გააჩნდა უკეთესი მატერიალური და საცხოვრებელი პირობები; ა. ბ-ძე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით მიკუთვნებული იყო მამისათვის, ხოლო ნ. ბ-ძე, რომელიც იყო მცირეწლოვანი, ჯანმრთელობის გარკვეული პრობლემების მქონე ბავშვი, მიკუთვნებული ჰყავდა დედას.

საკასაციო პალატის დასკვნით, სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოუკვლევიან საქმის მასალები, უფრო მეტიც, საკითხის გადაწყვეტისას შემოიფარგლა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის კანონიერების შემონახვით იმგვარად, რომ არ შეუფასებია დავის დანაშაულებიდან სააპელაციო განხილვის ეტაპამდე ხომ არ არსებობდა რაიმე ფსიქო-ემოციური ცვლილებები არასრულწლოვანთა მშობლებისადმი დამოკიდებულებაში და სხვა. მაგალითად, დების ურთიერთობის საკითხის განსაზღვრისას სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ იმ დასაბუთებით, რომ დედამამიშვილებს შორის სიახლოვე და მჭიდრო კავშირი მართლაც დიდი სიკეთეა, მაგრამ, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესიდან გამომდინარე, არჩევანი უნდა გაკეთებულიყო მცირეწლოვნის დედასთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრებაზე. სასამართლომ ყურადღება იმ გარემოებაზე გაამახვილა, რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ა. ბ-ძის საცხოვრებლად მამის საცხოვრებლის განსაზღვრის თაობაზე ი. ფ-ას არ გაუსაჩივრებია, ამ ნაწილში გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და იგი შემდგომი მსჯელობის საგანი ვეღარ გახდება, თუმცა დავის თავისებურების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საკითხი შეფასდეს არა ცალმხრივად, არამედ ყოველმხრივ, როგორც არასრულწლოვანი დედამამიშვილების ურთიერთობის, ისე, თითოეული მშობლის ბავშვთან ურთიერთობის რეალური შესაძლებლობის გათვალისწინებით, რათა მიღწეულ იქნეს დასახული მიზანი, რაც გულისხმობს ოჯახთან გაერთიანებასა და არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით იჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების რეალიზაციას. ამ კონტექსტში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმის მასალებზე, კერძოდ, სოციალური მომსახურების სააგენტოს ... რაიონული განყოფილების 2014 წლის 15 დეკემბრის დასკვნის თანახმად, მართალია ა. და ნ. ბ-ძეების მიმართ მამის ოჯახში მზრუნველობა სრულფასოვნად ხორციელდება, თუმცა, მამის არყოფნის შემთხვევაში, ამ ვალდებულებას ასრულებენ არასრულწლოვანთა მამიდები, დებს განსაკუთრებული მიჯაჭვულობა აქვთ ერთმანეთის მიმართ. ამავე სამსახურის სხვა რაიონული განყოფილების სოციალური მუშაკის მიერ მომზადებული დასკვნის თანახმად, ა. და ნ. ბ-ძეების სრულფასოვანი აღზრდა-განვითარებისათვის აუცილებელია ბავშვებს ჰქონდეთ ურთიერთობა ორივე მშობელთან. მშობლებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ბავშვების აღზრდაში. სსიპ რაიონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დანერგვებისათვის (ბაღებისა და ბაგა-ბაღების) გაერთიანების ფსიქოლოგისა და ამავე დანერგვების დირექტორის დასკვნის თანახმად, მეუღლეთა განქორწინების ნეგატიური შედეგების გამოხატულებაა პატარა ნ-ს შემთხვევა – იგი თავს არიდებს პირდაპირ გამომხედვას, მისი სახე არ გამოხატავს ემოციებს, რეალურ



სიტუაციაში დაძაბულია, ვერ ავლენს საკუთარ შესაძლებლობებს, თავშეკავებულია. ოთხი წლის ასაკში მშობლების დაცვებით გამოწვეულ ტრავმას უკავშირდება მცირეწლოვნის შემდეგი სიმპტომატიკა: უსუსურობა, უმნეობა, პასიურობა, უსაგნო შიში, ე.წ. „დამუნჯება“. დასკვნის ავტორთა რეკომენდაციით, უმჯობესია უმცროსი შვილის ცხოვრება დედის გვერდით.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ერთი მხრივ, ნ. და ა. ბ-ძეების, ხოლო, მეორე მხრივ, ნ-სა და ი. ფ-ას მიჯაჭვულობის საკითხის შეფასებისას სასამართლოს არ შეუხსნავლია ის გარემოება, თუ რა გავლენას იქონიებს დების დაშორება, რამდენად ნეგატიურად აისახება იგი ა-ს მდგომარეობაზე. უფრო მეტიც, საქმეში არსებული დასკვნების შედგენიდან გასულია საკმაოდ დრო, გარკვეულწილად სრულდება სასამართლოს დროებითი განკარგულება, თუმცა არ არის წარმოდგენილი სპეციალისტის შესაბამისი დასკვნა, რომელიც ასახავდა და გააანალიზებდა მარტო დარჩენილი ა-ს მდგომარეობას, მის ემოციურ განცდებს. ფსიქოლოგი რეკომენდაციას აძლევს მშობლებს, საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა, ბავშვების მშობლებთან დამოკიდებულების ჩამოყალიბება-აღდგენისათვის არ მოხდეს მესამე პირთა ჩარევა, რაც ნეგატიური შედეგების მომტანი იქნება.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი ბუნებრივია, არ გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ საქმის ხელხლა განსახილველად დაბრუნების შემდგომ, მტკიცებულებათა სრული და ობიექტური შეფასების შედეგად პალატა კვლავ იმ დასკვნამდე მოსულიყო, რომ ნ. ბ-ძის საუკეთესო ინტერესი დედის გარემოში ცხოვრება იყოს, თუმცა, ასეთ შემთხვევაში, უალტერნატივოდ უნდა დადგენილიყო და ასახულიყო გადაწყვეტილებაში ნ. ბ-ძის ურთიერთობის შესაძლებლობა დასთან და დედასთან, ასევე, მცირეწლოვანი შვილის ურთიერთობა მამასთან, ამ ურთიერთობის რეალური და ინტენსიური ხასიათი, რამეთუ ფსიქოლოგის განმარტებით, ბავშვების დაშორებამ შესაძლოა მათი ემოციური დაშორებაც გამოიწვიოს, რაც ნეგატიურ ფაქტორადაა შეფასებული.

ამავე დავის ფარგლებში საკასაციო სასამართლომ ყურადღება სოციალური მომსახურების სააგენტოს როლზეც გაამახვილა და აღნიშნა, რომ განსახილველი კატეგორიის საქმეებზე მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს (სამოქალაქო კოდექსის 1200-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს როლის საკანონმდებლო აღიარების სწორი ანალიზი ამ ორგანოს მხრიდან მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სწორედ მას ეკისრება ვალდებულება, აქტიური მონაწილეობით ხელი შეუწყოს სასამართლოს იმის დადგენაში, თუ რა წარმოადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სიკეთეში ჩარევის „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ სწორი შეფასებისათვის საკასაციო სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებაზე: ერთ-ერთ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ (Johansen v. Norway) აღნიშნა, რომ ბავშვთან გაერთიანების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას, მშობლის ინტერესსა და ბავშვის ინტერესს შორის უნდა იქნეს დაცული ბალანსი. აღნიშნული ბალანსის ძიებისას სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ბავშვის ინტერესებს, რომლებსაც შეიძლება, ჰქონდეს პრიორიტეტული მნიშვნელობა მშობლის ინტერესებთან მიმართებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გაერთიანების საკითხის გადაწყვეტისას ანგარიშგასანევ ფაქტორებს წარმოადგენს ოჯახური ცხოვრება, მშობლებთან თანაბარი ურთიერთობის შესაძლებლობა და სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც არასრულწლოვნის სრულფასოვან აღ-

ზრდა-განვითარებას შეუწყობს ხელს. ასეთ სიტუაციაში შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს გათვალისწინებული სუბიექტური ფაქტორებიც – ბავშვის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა, რაც შესაბამისი დაკვირვება-გამოკვლევის გზითაა შესაძლებელი. ევრო-სასამართლოს განმარტებით, მშობლებსა და ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვებს შორის კავშირი, კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პარაგრაფის ფარგლებში წარმოადგენს ოჯახურ ცხოვრებას. მსგავსი ბუნებრივი ოჯახური ურთიერთობები არ წყდება იმ საფუძვლით, რომ მშობლები დაშორდნენ ან განქორწინდნენ, როდესაც ამ მიზეზით ბავშვი ან ერთ მშობელთან ცხოვრობს ან მეორესთან (Ciliz v. the Netherlands). ერთ-ერთ საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში ოჯახური ცხოვრება სახეზე იყო იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც მშობლების განქორწინებამდე ერთად, ერთ სახლში ცხოვრობდნენ (inter alia, Olsson v. Sweden (no. 1), 24 March 1988, § 81, Series A no. 130). საქმეზე – „MUSTAFA AND ARMAGAN AKIN v. TURKEY“ სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება ბავშვების განცალკევების თაობაზე წარმოადგენდა მომჩივნების ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას. აღნიშნული გადაწყვეტილება არა მხოლოდ და-ძმას უკრძალავდა ერთმანეთის ნახვას, არამედ, პირველი მომჩივნისთვის (მამისათვის) შეუძლებელს ხდიდა ორივე შვილი ერთდროულად ენახა. საკითხის განხილვისას მხედველობაში იქნა მიღებული მე-8 მუხლთან მიმართებით დადგენილი პრეცედენტული პრაქტიკა, რომელიც ხაზს უსვამს ხელისუფლების ვალდებულებაზე, იხელმძღვანელონ ბავშვის საუკეთესო ინტერესებით (Maslov v. Austria [GC], 2008 წლის 23 ივნისი). სტრასბურგის სასამართლომ არ გაიზიარა მთავრობის პოზიცია, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და-ძმას ერთმანეთის ნახვას არ უკრძალავდა, ვინაიდან ბავშვები სამეზობლოში ცხოვრობდნენ და, ამრიგად, ერთმანეთთან კონტაქტის შენარჩუნება შესაძლებელი იყო. სასამართლოს განმარტებით, ბავშვებს შორის კავშირის შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანი იყო და აღნიშნულის მშობლების დისკრეციისა და ახირებისთვის მინდობა დაუშვებელი იყო.

### არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნება

- „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის 25 ოქტომბრის ჰააგის კონვენციის მე-3 მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1305<sup>1</sup>-1305<sup>3</sup> მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 აგვისტოს განჩინება საქმეზე №ას-1809-1783-2011 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

განხილული სამოქალაქო საქმის ფაქტობრივი გარემოებები მდგომარეობს შემდეგში: ლ. ჭ-ე დაიბადა 2004 წლის 29 ივლისს უკრაინის ქ. ხარკოვში. მისი მშობლები არიან: გ. ჭ-ე და გ. (ა.) ს-ა; გ. ს-ა უკრაინის, ხოლო გ. ჭ-ე – საქართველოსა და უკრაინის მოქალაქეა.

ლ. გ-ის ძე ჭ-ე უკრაინის მოქალაქეა და მისი საცხოვრებელი ადგილია უკრაინის ქალაქი ხარკოვი, დაბადებიდან იზრდებოდა ამ ქალაქში და ადაპტირებული იყო იმ გარემოში. ლ. ჭ-ე ცხოვრობდა დედასთან ერთად, რომელიც ბავშვზე ფაქტობრივად ახორციელებდა მეურვეობას.

გ. ს-მ 2010 წლის 30 ივლისს წერილობით გასცა თანხმობა მასზე, რომ ლ. ჭ-ე 2010 წლის 30 ივლისიდან 2011 წლის 28 თებერვლამდე გამგზავრებულიყო საზღვარგარეთის ქვეყნებში: რუსეთის ფედერაცია, საქართველო და დაბრუნებულიყო უკრაინაში. თებერვლის

ბოლომდე თანხმობის გაცემა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ მამას საშუალება მისცემოდა ბავშვი არდადეგებზე წაეყვანა არა მხოლოდ ზაფხულში, არამედ ზამთარშიც.

ლ. ჭ-ე წარმოადგენს „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების შესახებ“ კონვენციის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე არამართლზომიერად დაკავებულ ბავშვს, რადგანაც 2011 წლის 27 ოქტომბრის მდგომარეობითაც კი, ბავშვის მამა და ის პირები, ვისთანაც ფაქტობრივად იმყოფება ბავშვი, უარს ამბობენ მის უკრაინაში დაბრუნებაზე.

ამჟამად ლ. ჭ-ე ცხოვრობს საქართველოში, ბიძის, თ. ჭ-ის ოჯახში.

განსახილველი დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოში არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის (ლ. ჭ-ის) უკრაინაში დაბრუნება. შესაბამისად, მატერიალური მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები გამომდინარეობს „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციიდან და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობიდან, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1305<sup>1</sup>-1305<sup>3</sup> მუხლებიდან. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს კონვენციის პრეამბულაში განვითარებულ მსჯელობას კონვენციის მიზნებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ბავშვის ინტერესებს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მათზე მზრუნველობასთან დაკავშირებულ საკითხებში.

ამავე კონვენციით მონაწილე სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება, რათა უზრუნველყონ ბავშვების საერთაშორისო დაცვა მათი არამართლზომიერი გადაადგილების ან დაკავების მავნე შედეგებისაგან. ამდენად, ივარაუდება, რომ კონვენციით მონესრიგებული ის პროცედურები, რომლებიც ხელს უწყობენ არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვის სწრაფ დაბრუნებას ჩვეულ საცხოვრებელ ადგილზე და მეურვეობის უფლებათა ეფექტიანად განხორციელებას, ემსახურება მხოლოდ ბავშვის ინტერესების დაცვას.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს იმ შეფასებას, რომლის მიხედვითაც, ლ-ს აქვს მშობლებთან ურთიერთობის დეფიციტი, შესაბამისად, იმისთვის, რომ მოხდეს ბავშვის სრულყოფილ, ჯანსაღ პიროვნებად ჩამოყალიბება და მისი ინტერესების დაცვა, აუცილებლობას წარმოადგენს ბავშვის მშობლებთან ურთიერთობა. თუმცა, მსგავსი საქმეების განხილვის დროს ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი საგამონაკლისო შემთხვევები, თუკი ამის საფუძველი არსებობს. კასატორი მიუთითებს სასამართლოს მხრიდან კონვენციის მე-13 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევაზე (არსებობს იმის სერიოზული რისკი, რომ ბავშვის დაბრუნება ბავშვს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნის, ან სხვაგვარად ჩააყენებს ბავშვს აუტანელ მდგომარეობაში) და მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილებით უგულებელყოფილია ლ. ჭ-ის უკრაინიდან წამოყვანის უმთავრესი მიზეზი – 2010 წლის ივლისში ლ. ჭ-ის დის – თ. ჭ-ის ტრაგიკული გარდაცვალება, რომელმაც ლ. ჭ-ის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ ფსიქოლოგიური გამოკვლევების შედეგებზე, სადაც ფსიქოლოგი სხვა საკითხებთან ერთად ხაზს უსვამს ლ. ჭ-ის ტრავმირებულობის მაღალ ხარისხს, რაც გამოწვეულია უმცროსი დის გარდაცვალებით. ამასთან, ბავშვის ფსიქოლოგიური მახასიათებლები ფსიქოლოგს განხილული აქვს როგორც ბავშვის რეაქციები გადატანილ ფსიქოტრავმაზე და მისთვის რთულ ძნელად გასაგებ ამჟამინდელ სიტუაციაზე. საგულისხმოა, რომ თვით სააპელაციო სასამართლომაც ვერ აუარა გვერდი იმ ფაქტს, რომ თ. ჭ-ის (ლ. ჭ-ის და) გარდაცვალებით ლ. ჭ-ს მიადგა ფსიქიკური ტრავმა და ეს უკანასკნელი ამჟამადაც იმყოფება აღრიცხვაზე საქართველოში ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტის პოლიკლინიკაში 2010 წლის 16 ნო-

ემბრიდან, თუმცა, აღნიშნული გარემოებები ბავშვის დაბრუნებაზე უარის თქმის საკმარის მოტივად არ იქნა მიჩნეული. საკასაციო პალატის შეფასებით, საქმის მასალებში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს შეუქმნიდა რწმენას, რომ ბავშვის დაკავებამდე არსებულ გარემოში დაბრუნება შესაძლებელია ბავშვის ინტერესების დარღვევის გარეშე. საკასაციო პალატის მოსაზრებით, კასატორმა სათანადო მტკიცებულებებზე აპელირებით მართებულად დაასაბუთა ის არსებითი რისკფაქტორები, რომლებიც კონვენციის მიზნებს უპირისპირდება, ხოლო კასატორის მოწინააღმდეგე მხარე ვერ ადასტურებს მართლსაწინააღმდეგო ქმედების აღკვეთით უფრო მაღალი მიზნის მიღწევას და ვერ გამორიცხავს, რომ ბავშვის უკრაინაში დაბრუნების შემთხვევაში უფრო მეტად არ დაირღვევა ბავშვის ინტერესები და უფლებები. ამდენად, იმ მთავარი საკითხის გათვალისწინებით, რომ „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ კონვენციის უმთავრესი მიზანი ბავშვის ინტერესების დაცვაა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება და გ. (ა) ს-ს უარი უთხრა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

### უკანონოდ გადაადგილებული ბავშვის დაბრუნება

- „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის 25 ოქტომბრის ჰააგის კონვენციის მე-3 მუხლი
- „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის 25 ოქტომბრის ჰააგის კონვენციის მე-13 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-349-325-2010 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტმა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს კ. შ-ძის შუამდგომლობის საფუძველზე, „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის კონვენციის შესაბამისად, ავსტრიიდან უკანონოდ გადაადგილებული არასრულწლოვნის – ე. შ-ძის ავსტრიაში დაბრუნების შესახებ შემდეგი საფუძველებით: კ. შ-ძესა და ნ. ბ-ძეს ქორწინების პერიოდში, 2008 წლის 27 ივნისს, შეეძინათ შვილი – ე. შ-ძე. ისინი მუდმივად იმყოფებოდნენ ავსტრიაში და კ. შ-ძე სისტემატურად მონაწილეობდა შვილის აღზრდაში, სანამ ნ. ბ-ძემ, მასთან შეთანხმების გარეშე, უკანონოდ არ წაიყვანა ბავშვი საქართველოში. აღნიშნულით დაირღვა „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული კ.შ-ძის, როგორც ბავშვის მეურვის უფლებები.

ნ.ბ-ძემ კ.შ-ძის შუამდგომლობა არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით კ. შ-ძეს უარი ეთქვა, „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის 25 ოქტომბრის ჰააგის კონვენციის შესაბამისად, ავსტრიიდან გადაადგილებული არასრულწლოვნის – ე. შ-ძის ავსტრიაში დაბრუნების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რაც კ. შ-ძის წარმომადგენლებმა



გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 დეკემბრის განჩინებით კ. შ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

პალატამ ყურადღება გაამახვილა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვაზე სპეციალისტის სახით მინვეული ფსიქოლოგ ნ. ჩ-ას განმარტებაზე, რომ ბავშვსა და დედას შორის არსებობს ფსიქო-სომატური კავშირი, რაც ნიშნავს იმას, რომ დედის განწყობა პირდაპირპროპორციულ ასახვას ჰპოვებს ბავშვზეც და, თუ დედისათვის ამა თუ იმ გარემოში სასურველია ყოფნა, მაშინ ეს გარემო კომფორტული და სასურველია ბავშვისთვისაც, ხოლო, თუ დედისათვის ეს ფსიქოლოგიურად დაძაბულობას იწვევს, მაშინ ასეთი ყოფა ბავშვისთვის არათუ უარყოფითი, არამედ დაუშვებელია. სასამართლომ დადასტურებულად ჩათვალა ის გარემოება, რომ მცირეწლოვან ე. შ-ძის დედასთან განშორება და მისი ავსტრიაში დაბრუნება გამოიწვევს ბავშვის ფსიქიკის რღვევას და, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მას აუცილებლად საფრთხეს შეუქმნის.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა, რომ კ. შ-ძესა და ნ. ბ-ძეს შორის არსებობს გამწვავებული ურთიერთობა, რამაც მათი დაშორება (ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტა) გამოიწვია და ნ. ბ-ძე იძულებული გახდა, ბავშვთან ერთად დაბრუნებულიყო მისთვის და მისი შვილისათვის უსაფრთხო გარემოში – საქართველოში. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ ნ. ბ-ძისათვის ავსტრიაში გამგზავრება იქნება არაკომფორტულ გარემოში დაბრუნება, რაც მის ფსიქოლოგიურ დაძაბულობას გამოიწვევს და, დედა-შვილს შორის არსებული ფსიქო-სომატური კავშირის გათვალისწინებით, უარყოფითად იმოქმედებს და ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნის ბავშვს ავსტრიაში დედასთან ერთად დაბრუნების შემთხვევაშიც კი, რაც, აღნიშნული კონვენციის მე-13 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, სასამართლოს უფლებას აძლევს, უარი თქვას ე. შ-ძის ავსტრიაში დაბრუნების შესახებ განკარგულების გაცემაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კ. შ-ძის წარმომადგენლებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით.

საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება უცვლელად დატოვა და კ. შ-ძის საკასაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა.

„ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის კონვენცია ემსახურება რა ბავშვების საერთაშორისო გატაცების ფაქტების აღკვეთას, ამავდროულად მის უმთავრეს მიზანს სწორედ ბავშვის ქვამარიტი ინტერესების დაცვა წარმოადგენს. აღნიშნულით კონვენცია განიხილება როგორც ბავშვთა უფლებების დამცველი და არა გატაცებული ბავშვის მშობლის უფლებების დამცველი, ანუ ბავშვის გატაცებისას უპირველესად დაზარალებულია ბავშვი, რომელიც ტრავმირებულია ჩვეულებრივ გარემოდან უცხო სამყაროში მოხვედრით და მშობლებთან დაცილებით.

კონვენციისათვის მნიშვნელოვანს და, მოცემულ დავასთან დაკავშირებით, არსებითს წარმოადგენს, რომ უკანონო ქმედების – ბავშვის გატაცების აღკვეთას მოჰყვეს ბავშვის უფლებების დაცვით მისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით განმარტავს, რომ ბავშვის დაბრუნების დაკმაყოფილება მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით დაუშვებელია, ვინაიდან კასატორმა ვერ შეძლო, გამოერიცხა მცირეწლოვნის დედასთან დაშორებით ბავშვის ფსიქიკისათვის შესაფერისი და სტაბილური გარემოს შექმნის შესაძლებლობა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლოს მიერ დასმულ კითხვებზე კასატორის წარმომადგენელმა განმარტა, რომ კ. შ-ძის მოთხოვნას წარმოადგენს რა მხოლოდ მცირეწლოვანის დაბრუნება, ბავშვის კანონიერი წარ-



მომადგენელი – მამა კ. შ-ძე მუშაობს, ხოლო დედა – ნ. ბ-ძე საქართველოშია და, ამ უკანასკნელის განმარტებით, იგი ავსტრიაში დაბრუნების წინააღმდეგია.

სარჩელზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს არა მხოლოდ დედისა და ბავშვის დაცილებით ბავშვისთვის დიდი ალბათობით მოსალოდნელი ფსიქიკური პრობლემები, არამედ ისიც, რომ ბავშვთან მიმართებაში სამართლებრივად იმავე უფლებებით აღჭურვილმა მეურვემ – მამამ ვერ შესძლო დაესაბუთებინა, რომ ბავშვის დაბრუნება ავსტრიაში ბავშვის ინტერესებიდან მომდინარეობს და დაბრუნებით ბავშვის უფლებები არ დაირღვევა. ამდენად, მხარემ საქმის განხილვის ვერც ერთ სტადიაზე ვერ შესძლო, დაესაბუთებინა, რომ მისი მოთხოვნა ბავშვის ინტერესების და არა მხოლოდ მისი, როგორც მშობლის ინტერესების დაცვას ემსახურება.

ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ ნ. ბ-ძისათვის ავსტრიაში გამგზავრება იქნება არაკომფორტულ გარემოში დაბრუნება, რაც მის ფსიქოლოგიურ დაძაბულობას გამოიწვევს და, დედა-შვილს შორის არსებული ფსიქო-სომატური კავშირის გათვალისწინებით, უარყოფითად იმოქმედებს და ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნის ბავშვს ავსტრიაში დედასთან ერთად დაბრუნების შემთხვევაშიც კი. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, დედასთან განშორება და მისი ავსტრიაში დაბრუნება გამოიწვევს ბავშვის ფსიქიკის რღვევას და, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მას აუცილებლად საფრთხეს შეუქმნის.

### არასრულწლოვნის საქართველოში ყოფნის მართლზომიერება

- „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ 1980 წლის 25 ოქტომბრის ჰააგის კონვენციის“ მე-3 მუხლი
- „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-8 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 თებერვლის განმარტება საქმეზე №ას-967-916-2015 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n88-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

უზენაესი სასამართლოს განხილვის საგანი იყო არასრულწლოვნის საქართველოში ყოფნის მართლზომიერება, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობისა და დასკვნების განალიზება, რათა ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სამართლებრივად შეფასებულიყო კასატორის პრეტენზია იმ კონტექსტში, რომ ბავშვი არამართლზომიერად არის დაკავებული საქართველოში.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ განმარტა, რომ ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასთან და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ინდივიდუალური შეფასებისას, რათა ეროვნული სასამართლოს გადანიშნულებებში, იქ, სადაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მშობლისა და ბავშვის უფლებებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადანიშნულებების შესაფერისი მიღება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოდავე მხარეებიც საქმეზე საბოლოო გადანიშნულებების მისაღებად, უთითებენ ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულ-

ლობაზე, რაც სასამართლოს არწმუნებს, რომ მშობლები სწორედ არასრულწლოვანის ქეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედებენ წინამდებარე გადანყვეტილების აღსრულებისას და თითოეული მათგანი შვილის უპირატეს ინტერესს აღიარებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონცეფციის უზენაესობა ყოველთვის გადასწონის მშობლის უფლებასა და ინტერესს.

## სამკვიდროს მიღება

### სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება

#### – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივლისის განმარტება საქმეზე №ას-177-167-2011 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba18.pdf>).

აღნიშნული სამოქალაქო საქმე ეხებოდა სარჩელს, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვდა სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებას იმ საფუძველით, რომ მან კანონით დადგენილ ვადაში საპატიო მიზეზით ვერ მიიღო სამკვიდრო. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული ვადის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი იყო იმ საკითხის გარკვევა, თუ რომელი ვადის გაშვების საპატიოობის მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. ამავე კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, სამკვიდრო მიღებულად ითვლება სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანის ან ქონების ფაქტობრივად დაუფლების შემთხვევაში, ხოლო ამავე კოდექსის 1426-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება მიჩნეული. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ იმის დასადგენად, საპატიო მიზეზით გადააცილა თუ არა მხარემ კანონით დადგენილ ვადას, უნდა შეფასდეს არა მხოლოდ სამკვიდროს მისაღებად დადგენილ დროში სანოტარო ორგანოსთვის მიმართვის ან ქონების დაუფლების შეუძლებლობის ფაქტი, არამედ იმ ვადის საპატიოობაც, რომლითაც მან გადააცილა ამ მოქმედებათა განხორციელების ვადას.

## შრომის სამართალი

### სამუშაოდან განთავისუფლება

- საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 მაისის განჩინება საქმეზე №ას-1112-1376-09 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

საქმეზე დადგენილია, რომ 2006 წლის 24 მარტს დაიდო შრომითი ხელშეკრულება სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა და რ. დ-ქს შორის, რომლის თანახმად რ. დ-ქე მიღებულ იქნა „სასამართლო-სამედიცინო შემონმების, გამოკვლევის, ექსპერტიზის პროგრამაში“ პროგრამის სამედიცინო ექსპერტიზის ჯგუფში ექსპერტად. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2006 წლის 1 ივნისამდე. შრომითი ხელშეკრულება დაიდო შრომის კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

მოსარჩელის შრომის წიგნაკის ჩანაწერის თანახმად, მას 2006 წლის 1 ივნისიდან შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება ვადის გასვლის გამო.

რ. დ-ქემ აღძრა სარჩელი და მოითხოვა მისი განთავისუფლების უკანონოდ ჩათვლა და განთავისუფლებამდე მის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით რ. დ-ქე აღდგენილ იქნა სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალურ სამსახურში ექსპერტის თანამდებობაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო საჯარო სამართლის სუბიექტია და მას მოსარჩელის სამუშაოზე აყვანის საფუძველად შრომით ხელშეკრულებაში შრომის კოდექსი არ უნდა გამოეყენებინა. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის თანახმად განთავისუფლება ფორმდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო მოპასუხეს ასეთი აქტი არ გამოუცია. აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

2007 წლის 19 ივლისს გამოიცა სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ბრძანება, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსასრულებლად რ. დ-ქე აღდგენილ იქნა ექსპერტის თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური. ამავე ბრძანების მე-2 პუნქტის თანახმად, რ. დ-ქესთან შეწყდა შრომითი ურთიერთობა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლასთან დაკავშირებით.

აღნიშნული ბრძანების მე-2 პუნქტი გასაჩივრდა რ. დ-ქის მიერ სასამართლო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით რ. დ-ქის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2007 წლის 19 ივლისის ბრძანების მეორე პუნქტი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ბრძანების მეორე პუნქტში მითითებული საფუძველით, კერძოდ, 2006 წლის 24 მარტის ხელშეკრულების ვა-

დის გასვლის მოტივით მოსარჩელის განთავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან უკანონოა, ვინაიდან ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე რ. დ-ის განთავისუფლების კანონიერებაზე უკვე იმსჯელა ბათუმის საქალაქო სასამართლომ და 2006 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე აღდგენილ იქნა სამსახურში. ამდენად, მხარეთა შორის 2006 წლის 24 მარტს გაფორმებული ხელშეკრულება არ შეიძლებოდა საფუძვლად დაედებოდა რ. დ-ის სამსახურიდან განთავისუფლებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით 2008 წლის 22 ოქტომბერს გამოიცა სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ბრძანება, რომლითაც რ. დ-ე აღდგენილ იქნა სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალურ სამსახურში ექსპერტის თანამდებობაზე.

ამავე თარიღით, 2008 წლის 22 ოქტომბერს გამოიცა სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №01-500/პ ბრძანება, რომლითაც რ. დ-ესთან ხელშეკრულების მოშლით შეწყდა შრომითი ურთიერთობა და განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან დამსაქმებლის ინიციატივით, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა და 38-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ რ. დ-ე მოპასუხე დანესებულების მიერ სამუშაოზე მიღებული იყო ვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია და დაადგინა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით რ. დ-ის სამუშაოზე აღდგენით და სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგად როგორი პირვანდელი მდგომარეობა აღდგა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის, ნიშნავდა თუ არა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით რ. დ-ის სამუშაოზე აღდგენა და ამ გადაწყვეტილების აღსასრულებლად სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2007 წლის 19 ივლისის ბრძანების გამოცემა მასთან განუსაზღვრელი ვადით ხელშეკრულების დადებას.

საკასაციო სასამართლო იმავდროულად აღნიშნავს, რომ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი არ შეიძლება განმარტებულ იქნეს, როგორც დამქირავებლის ცალმხრივი უფლება, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე გაათავისუფლოს დასაქმებული.

აღნიშნული დასკვნის საფუძველს იძლევა თვით ზემოხსენებული ნორმების არსი, კერძოდ, მითითებული ნორმები ადგენს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას შრომითი ურთიერთობის მოშლის საფუძველზე. ამდენად, აღნიშნული ნორმები ადგენს მხარეთა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შედეგს და არა იმ წინაპირობებს, რაც უნდა უძლოდეს სამართლებრივი შედეგის დადგომას. მითითებული ნორმები უფლებააღმჭურველი ნორმებია, რომლითაც ერთ-ერთ მხარეს შეუძლია, მოშალოს ხელშეკრულება. ამდენად, აღნიშნული ნორმები არ შეიძლება იყოს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან მათში არ არის მოცემული წინაპირობები – აღწერილობითი ნაწილი. იმისათვის, რომ შემოწმდეს ნორმის გამოყენების საფუძველიანობა, ესა თუ ის იურიდიული ფაქტები უნდა შეესაბამებოდეს ნორმაში მითითებულ წინაპირობებს და ინვევდეს ამავე ნორმით განსაზღვრულ შედეგს. ზემოაღნიშნული ნორმები ამგვარ წინაპირობებს არ შეიცავს. შრომის კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კოდექსი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით, შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ ხელშეკრულების მოშლის



საფუძვლებს (სამოქალაქო კოდექსის 352-ე, 405-ე მუხლები).

ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის №2/1/456 განჩინებაზე (<http://constcourt.ge/ge/legal-acts/rulings/saqartvelos-moqalaqeebi-vaxtang-tirqia-sergo-tirqia-xvichagogia-da-mamuka-shengelia-saqartvelos-parlamentis-winaagmddeg-532.page>), რომლითაც საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის არაკონსტიტუციურობის საკითხი, მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარის შეხედულება მითითებული ნორმის შინაარსთან დაკავშირებით მცდარია და აღნიშნა: „კონსტიტუციურ სარჩელში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ სადავო ნორმა დამსაქმებელს აძლევს თვითნებობისა და დასაქმებულის სამუშაოდან უსამართლო და უპირობო განთავისუფლების საფუძველს. მოსარჩელეთა წარმომადგენელის – რ. ლ-იანის მოსაზრებით, სადავო ნორმა არაკონსტიტუციურია მისი შინაარსობრივი დატვირთვის გამო. კოლეგიას მიაჩნია, რომ მოსარჩელე მხარის შეხედულება საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შინაარსთან დაკავშირებით მცდარია. გასაჩივრებული ნორმით არ არის მოწესრიგებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი, ხელშეკრულების მოშლის წესი და პირობები. სადავო ნორმა წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლების ჩამონათვალის ნაწილს და არა შრომითი ხელშეკრულების მოშლის მარეგულირებელ ნორმას. აქედან გამომდინარე, პოტენციურად შეუძლებელია მსჯელობა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, როგორც დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების მოშლისას თვითნებობის შესაძლო დამდგენ ნორმაზე“.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ სააპელაციო სასამართლოს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ უნდა გამოეყენებინა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესიდან გამომდინარე, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის საქმიანობა არ ითვლება საჯარო სამსახურად და ეს თანამდებობა არ არის შეტანილი არც „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის №286 ბრძანებულებით დამტკიცებულ საჯარო სამსახურის თანამდებობათა ჩამონათვალში. შესაბამისად, სადავო ურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და არც ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესითაა განსჯადი.

რაც შეეხება დისკრიმინაციის საკითხს, აღნიშნულის მტკიცების ტვირთი აწევს მოსარჩელეს. იმ შემთხვევაში, თუ განთავისუფლება არ არის გამომდინარე სამუშაოს არსიდან, უნდა დაადასტუროს თავად მოსარჩელემ, წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურიდან მოსარჩელის განთავისუფლება არ შეიძლება ჩაითვალოს დისკრიმინაციად. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დისკრიმინაციის რომელიმე სახის არსებობა, ხოლო თავისთავად სამუშაოდან განთავისუფლება, ან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა მიერ გარკვეული ხელფასის შეთანხმება არ ნიშნავს, რომ ასეთ დისკრიმინაციას აქვს ადგილი.



## სამუშაოდან განთავისუფლება

- საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლი
- საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლი
- საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1261-1520-09 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

მოცემულ დავაზე უდავოდ დადგენილია, რომ მ.შ-შვილი, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, მუშაობდა ... საჯარო სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერის თანამდებობაზე და იმავდროულად ხელმძღვანელობდა ქართული ენის შემსწავლელ წრეს. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ი. ს-ის 2008 წლის 23 ოქტომბრის №18 ბრძანებით, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მ. შ-შვილი განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ასეთ შემთხვევაში მუშაკის სამუშაოდან განთავისუფლების საფუძველს ირჩევს დამსაქმებელი და იგი არ არის შეზღუდული, შესაბამისი გარემოებების არსებობისას, განთავისუფლების კონკრეტული საფუძვლის შერჩევაში. გასაჩივრებული ბრძანების მიხედვით, მოსარჩელე სამსახურიდან განთავისუფლებულია შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რომლითაც შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია შრომითი ხელშეკრულების მოშლა და კანონმდებელს რაიმე განსაზღვრული პირობები შრომის ხელშეკრულების მოშლისათვის არ დაუდგენია.

საკასაციო სასამართლო რადიკალურად არ იზიარებს სააპელაციო პალატის ზემოხსენებულ დასკვნას, კერძოდ:

საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მეექვსე ნაწილის თანახმად, შრომითი ურთიერთობისას მხარეებმა უნდა დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. მითითებული ნორმა უზრუნველყოფს მოქალაქის უფლებას, დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში ინფორმირებული იყოს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველის შესახებ, ხოლო ამ საფუძვლის არაკანონიერების შემთხვევაში, დაიცვას თავისი უფლებები. ამავდროულად, დამსაქმებელი, თავის მხრივ, ვალდებულია, აცნობოს დასაქმებულს სამუშაოდან განთავისუფლების კონკრეტული საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ დამსაქმებლის მიერ ამა თუ იმ ფორმით (ბრძანება და სხვა) სამუშაოდან განთავისუფლების საფუძვლის მითითება წარმოადგენს დამსაქმებლის ნამდვილი ნების გამოვლენას. ამდენად, დამსაქმებლის ნება გამოხატულია მის მიერ დასახელებულ (ამ შემთხვევაში წერილობით) დასაქმებულის განთავისუფლების საფუძველში, თვით დამსაქმებელს მის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობა სადავოდ არ გაუხდია, შესაბამისად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, განთავისუფლების სხვა საფუძველზე მითითებით ეჭვი შეიტანოს უდავოდ მიჩნეული ნების გამოვლენაში.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს სააპელაციო პალატის მიერ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის განმარტებას, კერძოდ:

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით აღიარებულია პირის უმიშვნელოვანესი სოციალური უფლება – შრომის უფლება და დადგენილია, რომ შრომა თავისუფალია. შრომის კონსტიტუციური უფლება გარანტირებულს ხდის პირის თავისუფლებას, შრომითი საქმიანობის არჩევანში და მის განხორციელებაში, ამასთან, აწესებს სახელმწი-

ფოს ვალდებულებას დასაქმებული მოქალაქის შრომითი უფლებების დაცვაში, რაც უზრუნველყოფილია სათანადო კანონით – შრომის კოდექსით.

შრომითი ხელშეკრულება ვალდებულებითი ხელშეკრულების სპეციალური სახეა და მას კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებებისაგან განასხვავებს ის გარემოება, რომ შრომითი ხელშეკრულების დადების შემდეგ კერძო სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი – მხარეთა თანასწორობის პრინციპი გარკვეულ სახეცვლილებას განიცდის და დაქირავებული დამოკიდებულია დამქირავებლის ნებაზე, მის მითითებებზე და მის მიერ განსაზღვრულ სამუშაო თუ ორგანიზაციულ პირობებზე. ამდენად, ამ ურთიერთობებში აშკარად გამოკვეთილია დამქირავებლის უპირატესი მდგომარეობა „სუსტ“ მხარესთან – დაქირავებულთან შედარებით, რაც უდავოდ იწვევს „ძლიერი“ მხარის მიერ თავისი უფლებების გადამეტებულად, მეორე მხარის საზიანოდ გამოყენების საშიშროებას. სწორედ ამგვარ „უთანასწორობაში“ ბალანსის აღდგენასა და დაცვას ემსახურება შრომის კოდექსი, რომელიც საერთაშორისო კანონმდებლობისა და საქართველოს კონსტიტუციის ნორმების ურთიერთშეჯერებით ადგენს დაქირავებულის უფლებათა დაცვის სტანდარტებს.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი ნაწილით, შრომა თავისუფალია. შრომის თავისუფლება ნიშნავს იმას, რომ თითოეულ ადამიანს უფლება აქვს, თავისუფლად განახორციელოს შრომითი საქმიანობა, აირჩიოს შრომითი საქმიანობის სფერო, პროფესია და უმუშევრობის დროს ისარგებლოს სახელმწიფო გარანტიით. შრომის თავისუფლება არ ნიშნავს სახელმწიფოს ვალდებულებას, მოქალაქეთა დასაქმებაზე, თუმცა, ამავედროულად, შრომის უფლების კონსტიტუციით აღიარება მიზნად უსახავს სახელმწიფოს, იზრუნოს სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე, თავისი მოქალაქეების დასაქმების უზრუნველყოფაზე და ამასთან, ამ უფლების სამართლებრივი რეგულირების მიზნით, სათანადო სამართლებრივი რეჟიმის ჩამოყალიბებაზე.

შრომის კონსტიტუციური უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია დასაქმების დაცვის უფლება, რაც გულისხმობს დასაქმებულ პირთა დასაცავად გარკვეული სამართლებრივი მექანიზმების არსებობას – შრომის კოდექსსა თუ შრომის ურთიერთობის მომწესრიგებელ აქტებში დასაქმებულთა უფლების დაცვის მარეგულირებელი საერთაშორისო ნორმების ასახვას. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო აქტები, რომლებიც იცავენ დასაქმებულს სამუშაოდან წინასწარი შეტყობინებისა და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე განთავისუფლებისაგან. საერთაშორისო სამართლის ნორმები გვაძლევენ უალტერნატივო დასკვნის საშუალებას დასაქმებულთა შრომის უფლების მინიმალური სტანდარტებით დაცვაზე, სახელმწიფოს ვალდებულებაზე და ამასთანავე მის მიზანზე, აღნიშნული სტანდარტების, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თანამდევად, მხოლოდ დაქირავებულის სასარგებლოდ შეცვლაზე. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულით აღიარებული სახელმწიფოებრივი ნება სოციალური სახელმწიფოს დამკვიდრებისა, პირდაპირ და უშუალო კავშირშია შრომის უფლების დაცვასთან, რაც ცალსახად გულისხმობს დასაქმებულის უფლების დაცვას. საგულისხმოა, რომ ევროპის სოციალური ქარტია 24-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით ავალდებულებს მხარეებს, აღიარონ ყველა მუშაკის უფლება, უარი თქვას დასაქმების შეწყვეტაზე საპატიო მიზეზის გარეშე, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს მისი პროფესიული შესაძლებლობებიდან ან მოქცევიდან, ასევე სანარმოს შინაგანანესიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედი შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი არ შეიძლება განმარტებულ იქნეს, როგორც დამქირავებლის ცალმხრივი უფლება, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე გაათავისუფლოს დასაქმებული.

საგულისხმოა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 აპრი-

ლის №2/1/456 განჩინებით (<http://constcourt.ge/ge/legal-acts/rulings/saqartvelos-moqalaqeebi-vaxtang-tirqia-sergo-tirqia-xvicha-gogia-da-mamuka-shengelia-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg-532.page>), საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა რა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის არაკონსტიტუციურობის საკითხი, მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარის შეხედულება მითითებული ნორმის შინაარსთან დაკავშირებით მცდარია და მიუთითა: „კონსტიტუციურ სარჩელში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ სადავო ნორმა დამსაქმებელს აძლევს თვითნებობისა და დასაქმებულის სამუშაოდან უსამართლო და უპირობო განთავისუფლების საფუძველს. მოსარჩელეთა წარმომადგენელის – რ. ლ-იანის მოსაზრებით, სადავო ნორმა არაკონსტიტუციურია მისი შინაარსობრივი დატვირთვის გამო. კოლეგიას მიაჩნია, რომ მოსარჩელე მხარის შეხედულება საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შინაარსთან დაკავშირებით მცდარია. **გასაჩივრებული ნორმით არ არის მონესრიგებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი, ხელშეკრულების მოშლის წესი და პირობები. სადავო ნორმა წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლების ჩამონათვალის ნაწილს და არა შრომითი ხელშეკრულების მოშლის მარეგულირებელ ნორმას.** აქედან გამომდინარე, პოტენციურად შეუძლებელია მსჯელობა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, როგორც დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების მოშლისას თვითნებობის შესაძლო დამდგენ ნორმაზე.“

ამდენად, განსახილველ დავაზე დარღვეულია დასაქმებულის კონსტიტუციური უფლება, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო აუქმებს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებას და ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, ვინაიდან ამ ეტაპზე შეუძლებელია, გაირკვეს საქმისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, მხარეთა შორის დადებული შრომის ხელშეკრულებები ვადიანია თუ არა; რა სახის სამუშაოს შესრულებაზე და რა ოდენობით ანაზღაურებაზე იყვნენ მხარეები შეთანხმებული; მხოლოდ ამ გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ უნდა შეფასდეს კასატორის სამუშაოზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების მართლობიერება.

## საკორპორაციო სამართალი

### კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის პირადი პასუხისმგებლობა

- „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი
- „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1307-1245-2014 და 2015 წლის 6 მაისის საქმეზე №ას-1158-1104-2014 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n78-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო, ეკისრებათ თუ არა კომპანიის პარტნიორებსა და დირექტორს პირდაპირ და უშუალოდ, მთელი მათი ქონებით პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურებულია, რომ კომპანიას აღნიშნული ვალდებულებების შესრულება არ შეუძლია; უფლებამოსილია თუ არ სსიპ შემოსავლების სამსახური მოითხოვოს მათგან კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების ანაზღაურება და რა სამართლებრივი საფუძვლით.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა შემოსავლების სამსახურის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მისი მოთხოვნა კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის მიმართ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლიდან და მიიჩნია, რომ განსახილველი შემთხვევა უნდა დარეგულირდეს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით და მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის სხვადასხვა სამართლებრივი მდგომარეობის გამო განსხვავებულია კომპანიის ვალდებულებებისათვის მათი პირადი პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება საზოგადოების მთელი ქონებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების ვალდებულებებისათვის საზოგადოების პარტნიორები და მით უფრო დირექტორი, ჩვეულებრივ შემთხვევაში, პირადი ქონებით პასუხს არ აგებენ. თუმცა „მენარმეთა შესახებ“ კანონი ითვალისწინებს კონკრეტულ შემთხვევებს, როცა კომპანიის ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობა შესაძლებელია კომპანიის დირექტორებსა და პარტნიორებსაც დაეკისროთ.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „მენარმეთა შესახებ“ კანონი კომპანიის კრედიტორების წინაშე კომპანიის პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის შესაძლებლობას ითვალისწინებს მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით, რომლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმა ფართოდ განიმარტება და თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ პასუხისმგებლობის შეზღუდვის კორპორატიული ფორმის ბოროტად გამოყენებას (მაგ., კორპორაციის, როგორც მხოლოდ პარტნიორის მიზნის მისაღწევი „ინსტრუმენტის“ დანიშნულებით გამოყენება; „კორპორაციული ფორმის მალობების დაუცველობა“; კორპორაციის, როგორც პარტნიორის „ალტერ ეგოს“ არ-



სებობა), არამედ თავად შეზღუდული პასუხისმგებლობის, როგორც პასუხისმგებლობის ელემენტის, ბოროტად გამოყენებას, რაც გულისხმობს პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის მარტოოდენ სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოყენებას და საკუთარი ეკონომიკური რისკებისა და დანაკარგის სხვაზე გადაკისრებას კრედიტორის განზრახ შეცდომაში შეყვანით.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენება სახეზეა, როცა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი საზოგადოებაში უშუალოდ ხელმძღვანელობს და ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს გადასახადებისაგან თავის არიდებას, ანუ როცა საზოგადოება პარტნიორის მიერ გამოიყენება არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით.

საკასაციო პალატის განმარტებით, კომპანიის პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს.

დირექტორის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, კომპანიის დირექტორს აკისრია განსაკუთრებული მოვალეობები კომპანიის წინაშე, რომლებსაც ეწოდება ფიდუციური მოვალეობები და რომლებიც, სხვასთან ერთად, მოიცავს დირექტორის მოვალეობას საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის („ზრუნვის მოვალეობა“).

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ზრუნვის მოვალეობა საგადასახადო ვალდებულებების მინიმიზაციას კომპანიის დირექტორთა საქმიანობის განუყოფელ ნაწილად აქცევს. კომპანიის მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მათი მხრიდან კომპანიის ოპერაციების ისე დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, რომ მიღწეულ იქნეს მაქსიმალური საგადასახადო ოპტიმიზაცია.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს დირექტორისაგან მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიწვევს კომპანიის მოგების გაზრდას. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ არსებობს ორი მიზეზი, რომლის გამოც ხელმძღვანელს არა აქვს მოვალეობა კომპანიის მომგებიანობის გაზრდის მიზნით ჩაერთოს ისეთ საქმიანობაში, რომელიც შედეგად იწვევს საწარმოს მიერ გადასახადების დამალვას: (ა) გადასახადებისათვის თავის არიდების სქემის განხორციელება იწვევს მისი განხორციელებლების პირად სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას; (ბ) გადასახადებისათვის თავის არიდების ფინანსური შედეგები შესაძლებელია კატასტროფული აღმოჩნდეს კომპანიისათვის და „მართებული ბიზნეს გადაწყვეტილების“ მიღების სტანდარტი დირექტორს აკისრებს მოვალეობას არ ჩაერთოს გადასახადებისათვის თავის არიდების უკანონო სქემებში.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კომპანიის ხელმძღვანელების მიერ სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ჩადენა, განსაკუთრებით კორუფციული ქმედებები, დირექტორთა საჯარო ვალდებულებებს, რომ იმოქმედონ კანონის ფარგლებში, გარდაქმნის კომპანიის წინაშე ზრუნვის მოვალეობის შემადგენელ შიდა ვალდებულებადაც. კომპანიის ხელმძღვანელებს აქვთ ვალდებულება გაზარდონ კომპანიის მოგება, მაგრამ ეს უნდა განახორციელონ მხოლოდ კანონით დადგენილი ქცევის წესის ფარგლებში.

საკასაციო პალატის განმარტებით, იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია, რომ: ა) საწარმოს გააჩნია საგადასახადო ვალდებულება; ბ) საწარმოს არ შესწევს ამ ვალდებულების გადახდის უნარი; გ) სახეზეა ისეთი ვითარება, როცა ანაზღაურება აუცილებელია სახელმწიფოს, როგორც კრედიტორის დასაკმაყოფილებლად, კომპანია ვალდებულია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება დირექტორისგან. ხოლო თუ აშკარაა, რომ საწარმოსათვის მისი დირექტორის მიმართ პასუხისმგებლობის დაყენების მოთხოვნას არავითარი შედეგი არ ექნება, შესაძლებელია კრედიტორმა უშუალოდ მოითხოვოს მის მიმართ საზოგადოების ვალდებულების ანაზღაურება საზოგადოების დირექტორისაგან.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოების განმარტება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>17</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 309<sup>20</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოპასუხეთა მიმართ კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო განაჩენში მითითებული ფაქტები დადასტურებულად უნდა იქნას მიჩნეული და მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაზე არ ვრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმები, რადგან მოცემულ საქმეში კომპანიის პარტნიორების პასუხისმგებლობის საფუძველია არა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი (დელიქტური ვალდებულება), არამედ ურთიერთობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმები „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი და მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი. შესაბამისად, კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის მიმართ სისხლის სამართლის განაჩენის არსებობა საკმარისი არ არის მათთვის სადავო ვალდებულების უპირობოდ დაკისრებისათვის, რადგან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები გამოკვლევის გარეშე არ შეიძლება ჩაითვალოს უტყუარად დამტკიცებულად. ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის სასამართლოს განაჩენი სამოქალაქო სამართალწარმოებისას წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებას და იგი საჭიროებს შეფასებას სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კომპანიის პარტნიორებსა და დირექტორს ეკისრებათ პასუხისმგებლობა როგორც გადაუხდელი გადასახადის ძირითადი თანხის, ისე საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საურავის ნაწილში. მათი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე კომპანიის ვალდებულებების მიმართ სუბსიდიურია, ხოლო ერთმანეთის მიმართ სოლიდარული.

## დივიდენდის სამართლებრივი ბუნება

- „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლი
- „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-1328-1170-2010 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba17.pdf>).

აღნიშნული სამოქალაქო საქმე ეხებოდა ნ. ს-შვილის სარჩელს, რომლითაც იგი მოითხოვდა მოპასუხე შპს „თ-თვის“ მის სასარგებლოდ 2004-2005 წლების მიუღებელი დივიდენდის თანხის დაკისრებას. მოსარჩელის განმარტებით, იგი წარმოადგენდა მითითებული საზოგადოების პარტნიორს, რომელმაც თავისი წილი გაასხვისა 2006 წელს, მაგრამ სადავო პერიოდის დივიდენდი საწარმოდან არ მიუღია.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი იყო დივიდენდის სამართლებრივი ბუნების გარკვევა. პალატამ განმარტა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა ქონებრივი უფლებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება („მენარმეთა შესახებ“ კანონის 50-ე მუხლი, სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციით). ეს უფლება მოიცავდა დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას (დივიდენდის მოთხოვნის უფლება). მათ შორის განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ პირველი უფლება წარმოიშობოდა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან, ხოლო მეორე – საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან („მენარმეთა შესახებ“ კანონის 47-ე მუხლის მესამე ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი, სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციით). მითითებულ ნორმათა მიხედვით, დივიდენდის გაცემა საწარმოს საქმიანობის ჩვეულებრივი პროცესი კი არ იყო, არამედ განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენდა, რომელიც შესაბამისი პროცედურის დაცვით ხორციელდებოდა. დივიდენდის გაცემის საფუძველი შეიძლება ყოფილიყო საწარმოში მოგების არსებობა და საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორებზე დივიდენდის გაცემის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ, ვინაიდან მოპასუხე საზოგადოებას 2004-2005 წლებში ჰქონდა მოგება, ამიტომ მოსარჩელეს წარმოეშვა დივიდენდის მოთხოვნის უფლება. საკასაციო სასამართლომ აღნიშნული მოსაზრება არ გაიზიარა, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში სამეურნეო წლის ბოლოს საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის (დივიდენდის მოთხოვნის) უფლების წარმოშობა აუცილებლად საჭიროებდა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას. ამდენად, მოსარჩელეს დივიდენდის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ დამტკიცდებოდა, რომ მოპასუხე საზოგადოებაში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით საწარმოს წლიური მოგება გადანაწილდა დივიდენდების სახით. ასეთი კრების ჩატარების ფაქტზე ვერც მოსარჩელე უთითებდა და არც მოპასუხე ადასტურებდა მის არსებობას.

სარჩელი ეფუძნებოდა ასევე იმ გარემოებას, რომ სადავო პერიოდის დივიდენდზე მოსარჩელის მოთხოვნის უფლება წილზე საკუთრების უფლებისაგან დამოუკიდებელი უფლება იყო და მისი განკარგვა შეიძლებოდა წილზე საკუთრების უფლებისაგან დამოუკიდებლად. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის აღნიშნული მსჯელობა მართებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ სადავო პერიოდის დივიდენდზე მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება ექნებოდა. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს გააჩნდა ზოგადად დივიდენდის მიღებისა და არა დივიდენდის მოთხოვნის უფლება. საკასაციო პა-

ლათამ განმარტა, რომ დივიდენდის მიღების უფლება განუყრელად იყო დაკავშირებული პარტნიორად ყოფნასთან და მისი სხვა პირისათვის გადაცემა წილისაგან დამოუკიდებლად არ დაიშვებოდა. ამ უფლების გადაცემა შესაძლებელი იყო მხოლოდ წილთან ერთად, ამიტომ წილის დათმობით ამ უფლების დათმობაც ხდებოდა. სხვა საკითხი იყო დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემა, ამ შემთხვევაში პარტნიორი საზოგადოების კრედიტორს წარმოადგენდა და მას, როგორც კრედიტორს, უფლება ჰქონდა თავისი მოთხოვნა დივიდენდზე სხვა პირისათვის დაეთმო. დივიდენდის მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელ უფლებას წარმოადგენდა და წილის გადაცემის შემთხვევაში ავტომატურად არ გადადიოდა წილის მიმღებზე, თუ ეს სპეციალურად არ იქნებოდა აღნიშნული წილის დათმობის ხელშეკრულებაში.



## სამოქალაქო საპროცესო სამართალი

### უფლების სასამართლო წესით დაცვა

#### სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვა

##### – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 მაისის განმარტება საქმეზე №ას-998-ა-7-2011 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba20.pdf>).

აღნიშნული სამოქალაქო საქმე ეხებოდა ა.ლ-შვილის განცხადებას, რომლითაც იგი მოითხოვდა კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე საქმის წარმოების განახლებას. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით. ამ ნორმის მიხედვით, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონის დასახელებული დანაწესი გულისხმობს პირის უფლებას, დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები სასამართლოს მეშვეობით. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მხარემ მართლზომიერად გამოიყენოს აღნიშნული უფლება, იდავოს ისეთ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც უზრუნველყოფს მისი დარღვეული უფლების აღდგენას და ამ მიზნით გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილებები ზემდგომ ინსტანციაში. მხარის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზებისას სასამართლო თანაბრად იცავს ორივე მოდავე მხარის კანონიერ ინტერესებს. ერთი მხარის მიერ უფლების გადამეტება (ბოროტად გამოყენება) პირდაპირ ხელყოფს მეორე მხარის უფლებებს, თუნდაც დავის გაჭიანურების თვალსაზრისით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე – იედემსკი და იედემსკა პოლონეთის წინააღმდეგ) დასაშვებად მიიჩნევს, გარკვეულ შემთხვევაში პირის სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას. კერძოდ, ევროპული სასამართლოს განმარტებით, დასაშვებია გამონაკლისი „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებული სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების დასაცავად მომჩივანი მხარის სასამართლოს ხელმისაწვდომობის ეფექტური უფლების გამოყენებისას. სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვა შეესაბამება კონვენციის მე-6 მუხლის პირველ ნაწილს, თუ ის ისახავს კანონიერ მიზანს და არსებობს გონივრული თანაფარდობა ამ საშუალებების გამოყენებასა და კანონიერ მიზანს შორის.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელმა ათზე მეტი განცხადება შეიტანა საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით ერთსა და იმავე საქმეზე. პალატამ მიიჩნია, რომ განმცხადებლის ასეთი სახის მოქმედებები არ ემსახურებოდა სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების ამოცანას და იგი მიზნად ისახავდა საქმის განხილვის ხელოვნურად გაჭიანურებას. პალატამ აღნიშნა ასევე, რომ სასამართლოში შეტანილი განცხადებები შინაარსობრივად ეთრგვაროვანი იყო და თითოეული მათგანი წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ დავის გაგრძელებისა და საქმის სასამართლოს წარმოებაში ყოფნის გახანგრძლივების მცდელობას. აღნიშნული კი, პალატის მოსაზრებით, სცილდებოდა მართლმსაჯულების და მითუმეტეს, სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების ფარგლებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელი ბოროტად იყენებდა სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას, ვინაიდან მისი განცხადებები და საჩივრები მიზნად არ ისახავდა მხარის კანონიერი უფლების დაცვას და ლახავდა მონინაალმდეგე მხარის ინტერესებს. შესაბამისად, პალატამ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ განმცხადებელს უნდა შეზღუდვოდა მოცემულ საქმეზე სასამართლოსათვის მიმართვის უფლება, კერძოდ, რეაგირების გარეშე უნდა დარჩენილიყო მოცემულ დავაზე მის მიერ შეტანილი ნებისმიერი სახის კორექსიონიცია (განცხადება, საჩივარი).

### შეჯიბრებითობის პრინციპი

#### სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივად მოსარჩელისაგან განსხვავებულად შეფასების შესაძლებლობა და ამ შესაძლებლობის რეალიზების პირობებში ორივე მხარის ინტერესების დაცვის აუცილებლობა

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 მარტის განმარტება საქმეზე №ას-1350-1275-2012 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n59-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

მოცემულ საქმეზე მოსარჩელე ნ. მ. მოითხოვდა ა.ლ-სთან გაფორმებული უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების, როგორც მოტყუებით დადებული გარიგების, ბათილად ცნობას. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ხელშეკრულება იყო არა მოტყუებით, არამედ შეცდომით დადებული გარიგება და სწორედ ამ საფუძველით ცნობათილად. საკასაციო საჩივარში მოპასუხემ მიუთითა, რომ ვინაიდან ორივე ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელე დავობდა ხელშეკრულების, როგორც მოტყუებით დადებული გარიგების ბათილობის თაობაზე, ა.ლ-ს არ მიუთითებია სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე, მაშინ როდესაც, შეცდომით დადებული გარიგების შეცილებისათვის კანონით დადგენილი ვადა ამონურული იყო. მოპასუხეს არ მიეცა საშუალება, ამ გარემოებაზე მიეთითებინა, რითაც მისი კანონიერი ინტერესები დაირღვა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლზე და აღნიშნა, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების გამოყენებით აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში და მხარის მიერ არასწორი ნორმატიული საფუძველის მითითება არ შეიძლება გახდეს სარჩელზე უარის თქმის საფუძველი, თუმცა სასამართლოს აღნიშნული დისკრეცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ მოპასუხეს არ შეეზღუდოს კონკრეტულ საკითხზე შესაგებლის წარდგენის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილება. საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ სარჩელისაგან განსხვავებული სამართლის ნორმების გამოყენება არ გულისხმობს გარიგების შეცილების საფუძვლის შეცვლას. მხარის განმარტება მის თაობაზე, რომ იგი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, სარჩელის ფაქტობრივი შემადგენლობის ნაწილია და არა ნორმატიული საფუძველი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს გადანყვეტილება მხარისათვის მოულოდნელი არ უნდა იყოს და ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს, როგორც სარჩელსა და შესაგებელში ასახული გარემოებების შეფასებიდან, ისე მხარეთა ახსნა-განმარტებების და მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გაკეთებული დასკვნებიდან. სააპელაციო სასამართლომ, ასევე, ის გარემოება უნდა მიიღოს მხედველობაში, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მხარე ახალ ფაქტებზე საკასაციო სასამართლოში ვერც საპატიო მიზეზის არსებობისას მიუთითებს, მით უფრო, რომ საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გასაჩივრებული გადანყვეტილების კანონიერებაა და იგი საქმეზე ფაქტობრივ გარემოებებს არ ადგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მხარეს აღარ აქვს შესაძლებლობა, პროცესუალური საშუალებების გამოყენებით დაიცვას თავი მისთვის არასასურველი გადანყვეტილების მიღებისაგან. ამგვარი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, თუ სააპელაციო სასამართლო დავის განხილვისას მიიჩნევს, რომ ამ საქმის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს სარჩელში აღნიშნულისაგან განსხვავებული ნორმები და ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად განსხვავებულად უნდა შეფასდეს, მან ასევე უნდა შეაფასოს, გამოიწვევს თუ არა, ამგვარი ცვლილება მეორე მხარის ინტერესების დარღვევას და თუ წარმოიშობა დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოპასუხეს, შეიძლება, შეეზღუდოს შეჯიბრებითობის პრინციპით გათვალისწინებული უფლებამოსილების რეალიზაციის შესაძლებლობა, საქმე ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში უნდა დაბრუნდეს.

რაც შეეხება ხანდაზმულობის საკითხს, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ხანდაზმულობა განიხილება, როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოება. მხარე კი, საპროცესო კანონმდებლობით შეზღუდულია მიუთითოს ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების შესახებ ზემდგომ ინსტანციებში, ამდენად, ჩვეულებრივ პირობებში, ხანდაზმულობის საკითხის დაყენება შესაძლებელია მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო მოსარჩელისაგან განსხვავებულად აფასებს მხარეთა შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას და მოპასუხეს ობიექტურად არ აქვს საშუალება გარკვეულ გარემოებებზე (ხანდაზმულობის ჩათვლით) მითითებით დაიცვას თავი სარჩელისაგან, ხანდაზმულობის საკითხის წამოჭრა ზემდგომ ინსტანციაში დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული. სააპელაციო სასამართლოსათვის, ამგვარ ვითარებაში ხანდაზმულობაზე მითითება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევად უნდა შეფასდეს.

## პროცესის ხარჯები

### სასამართლო ხარჯების, როგორც დამოუკიდებელი დავის საგნის არსებობა

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 იანვრის განმარტება საქმეზე №ას-165-158-2013 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n62-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

საკასაციო სასამართლოს დასკვნით, დავის გადანეცივისას მხარის მიერ განეული სასამართლო და სასამართლოს გარეშე განეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმა მხარეს ართმევს უფლებას, აღძრას დამოუკიდებელი სარჩელი სხვა დავაზე განეულ ხარჯებთან დაკავშირებით.

დამოუკიდებელი სარჩელით შეუძლია თუ არა პირს მოითხოვოს სასამართლოში აღძრული დავის გამო მის მიერ განეული ხარჯების ანაზღაურება; ასევე, თუ რა რეგულაციებს შეიცავდა ამ კუთხით საპროცესო კანონმდებლობა საკასაციო პალატამ განმარტა შემდეგი: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავი ეძღვნება პროცესის ხარჯებს. კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განმარტებულია, თუ რას შეადგენს თითოეული მათგანი. კერძოდ, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო სასამართლოსგარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

სახელმწიფო ბაჟი წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტში სავალდებულო შესატანს. რაც შეეხება საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათი ამომწურავი ჩამონათვალი მოცემულია საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლში, რომლის თანახმადაც, საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯებია: მონმეების, სპეციალისტებისა და ექსპერტებისათვის მისაცემი თანხები; თარჯიმნად მონვეული პირებისათვის მისაცემი თანხები; ადგილობრივ დათვალეებზე განეული ხარჯები; სასამართლოს დავალებით ფაქტების კონსტატაციაზე განეული ხარჯები; მოპასუხის მოძებნის ხარჯები; სასამართლო გადანეცივების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები; ადვოკატისათვის სახელმწიფო სალაროდან გადახდილი თანხები; სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებაში სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების ხარჯები. ამდენად, საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს იმ პირებისათვის ასანაზღაურებელ ხარჯებს, რომლებიც დახმარებას უწევენ სასამართლოს (მონმეები, სპეციალისტები, ექსპერტები, თარჯიმნები და ა.შ.).

განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა სხვა დავაზე განეული სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურება, მოსარჩელის განმარტებით, იგი, მართალია, თავის დროზე ითხოვდა სს „ბ. №1 ჩ. ქ-ის“ მიერ აღძრული დავის გამო განეული ხარჯების ანაზღაურებას, თუმცა, ამგვარი მოთხოვნა მისივე ადვოკატის ბრალით არ აისახა ნაბეჭდ ვერსიაში და არ წამოჭრილა საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე.



საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოგებული მხარის სასარგებლოდ წაგებული მხარისათვის პროცესის ხარჯების დაკისრების სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 54-ე მუხლებში. ზოგადი პრინციპი ასეთია – იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. საპროცესო კანონმდებლობა პროცესის ხარჯების საკითხის განხილვის თაობაზე რაიმე სპეციალური წარმოების სახეს არ იცნობს, გარდა კოდექსის 261-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. სასამართლოს ყოველთვის შეუძლია გამოიტანოს გადანყვეტილება პროცესის ხარჯების თაობაზე, თუკი ამას მხარეები მოითხოვენ და დაადასტურებენ სათანადო მტკიცებულებებით. სასამართლოსთვის მინიჭებული ამგვარი ლეგიტიმური უფლება გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის დებულებიდან. საპროცესო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის ხდება თითოეულ ინსტანციის სასამართლოში ცალ-ცალკე და იმის მიხედვით, თუ როგორ შეცვლის ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გადანყვეტილებას, ამას მოჰყვება პროცესის ხარჯების განაწილების ცვლილებაც.

ამდენად, ვინაიდან არსებობს დავის გადანყვეტასთან ერთად იმავე დავაზე განეული ხარჯების დაბრუნების სამართლებრივი მექანიზმი, ხოლო საპროცესო კანონი სპეციალურ რეგულაციას არ იცნობს, მხარეებმა პროცესის ხარჯების დაბრუნების (მეორე მხარისათვის მათ სასარგებლოდ დაკისრება) შესახებ უნდა მიუთითონ ძირითად სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ მათ პრეტენზია პროცესის ხარჯებთან დაკავშირებით არ გააჩნიათ. ამასთან, მხარეებს არ უნდა შეეზღუდოთ პროცესის ხარჯების მოთხოვნის უფლება საქმის მომზადების დასრულების შემდგომ, ან საქმის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, თუკი ხარჯების საკითხი სწორედ საქმის განხილვის ამ სტადიაზე წარმოიშვა და მანამდე მხარისთვის ამ ფაქტის შესახებ ობიექტურად ცნობილი ვერ იქნებოდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლით დადგენილ პროცედურებთან მიმართებით (დამატებითი გადანყვეტილების გამოტანა), სასამართლომ განმარტა, რომ ამ ნორმით გათვალისწინებული იყო ისეთი ხარვეზის აღმოფხვრის მექანიზმები, როდესაც, მართალია, მხარემ მოითხოვა პროცესის ხარჯების დაბრუნება სასამართლოსაგან, მაგრამ სასამართლოს თავისი მიზეზით გამორჩა მხედველობიდან ამ საკითხის გადანყვეტა (261.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი). გასათვალისწინებელია, რომ დამატებითი გადანყვეტილების გამოტანის საკითხის დასმა ვადითაა შეზღუდული (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რომლის გაგრძელება ან აღდგენა არ დაიშვება.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ მხარე საპროცესო კანონმდებლობით საკმარისად არის დაცული, რათა მან პროცესის მოგების შემთხვევაში დაიბრუნოს მის მიერ განეული ხარჯები და აღდგეს პირვანდელ მდგომარეობაში, შესაბამისად, დავის გადანყვეტისას ამ უფლების რეალიზაციაზე უარის თქმა მხარეს ართმევს უფლებას, აღძრას დამოუკიდებელი სარჩელი სხვა დავაზე განეულ ხარჯებთან დაკავშირებით.

## წარმომადგენლობა სასამართლოში

### სამოქალაქო საქმის განხილვაში ორდერის საფუძველზე მონაწილე ადვოკატის უფლებამოსილების ფარგლები

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლი
- „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტება 2011 წლის 24 ოქტომბრის საქმეზე №ას-1269-1289-2011 და 2012 წლის 21 მაისის საქმეზე №ას-1614-1608-2011 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba21.pdf>).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის მიხედვით, სასამართლოში საქმის განხილვისას ადვოკატი უფლებამოსილია კლიენტის ინტერესები წარმოადგინოს და დაიცვას როგორც მინდობილობის, ასევე ორდერის საფუძველზე. ამასთან, ორივე შემთხვევაში ადვოკატმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ასევე საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა. საკასაციო პალატის განმარტებით, ადვოკატის ორდერი, ისევე როგორც მინდობილობა, წარმოადგენს სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც უფლებას აძლევს ადვოკატს მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში ჩამოთვლილი საპროცესო მოქმედებებისა. მითითებული ნორმის მიხედვით, უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სარჩელის აღძვრისა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა. წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისათვის სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში. დასახელებული ნორმა ადგენს იმ საპროცესო მოქმედებების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა შესრულების უფლებაც არა აქვს წარმომადგენელს სპეციალური მინდობილობის გარეშე.

პალატის განმარტებით, იმისდა მიუხედავად, თუ რომელი დოკუმენტის (მინდობილობის თუ ორდერის) საფუძველზე ახორციელებს ადვოკატი წარმომადგენლობას, ყველა შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში მითითებულ მოქმედებათა შესრულება მას შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში სპეციალურადაა აღნიშნული ამ მოქმედებათა შესრულებისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. ეს საპროცესო მოქმედებები უკავშირდება მარწმუნებლის მიერ თავისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვას და ამიტომ, მათ შესახებ სპეციალურად უნდა იყოს აღნიშნული მინდობილობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ადვოკატს ორდერის საფუძველზე შეუძლია შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, რაც არ არის მითითებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში, და რომელთა შესრულება შეუძლია თვითონ მარწმუნებელს. ცხადია, ადვოკატის მიერ ასეთი საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა გამოიწვევს კანონით გათვალისწინებულ, მხარისათვის არასასურველი საპროცესო შედეგის დადგომას.

## სასამართლო მტკიცებულებები

### სარკინიგზო გადაზიდვებისას ტვირთის დაყოვნებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხის გადასაწყვეტად დასაშვები მტკიცებულებები

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი
- საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 52-ე მუხლი
- „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ 433-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 ივნისის განმარტება საქმეზე №ას-792-1007-08 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba43.pdf>).

მითითებული დავა შეეხებოდა გადაზიდვის ხელშეკრულების საფუძველზე გამგზავნის მიერ, რომელიც იმავდროულად იყო ტვირთმიმღები, დანიშნულების ადგილამდე მიტანილი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების არადროულ მიღებასა და დაცლას, შესაბამისად ვაგონების დაყოვნებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას.

კონკრეტულ შემთხვევაში დაისვა საკითხი, თუ რომელი სახის მტკიცებულებებითაა შესაძლებელი დადასტურდეს ტვირთის არადროული მიღება-დაცლისა და ვაგონების დაყოვნების ფაქტი და ამით გამოწვეული ზიანი? რა სამართლებრივი კრიტერიუმებით განისაზღვრება მტკიცებულებების დასაშვებობა?

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და განმარტა, რომ აღნიშნული დანაწესი მიუთითებს მტკიცებულებების დასაშვებობის პრინციპზე, რომელიც ითვალისწინებს მტკიცებულებების საშუალებების (სახეების) გამოყენების შეზღუდვას, შესაბამისად, განსახილველი სადავო ურთიერთობების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების სამართლებრივი მექანიზმები მოცემულია მატერიალურ სამართალში, კერძოდ, „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ 433-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების „ბ“, „გ“, „ე“ და „ლ“ ქვეპუნქტების თანახმად, საერთო ფორმის აქტით დასტურდება ამ მუხლით მოცემული იურიდიული მნიშვნელობის ისეთი ფაქტები, როგორცაა დანიშნულების სადგურში ვაგონების დაყოვნება ტვირთმიმღების ან მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლის მიზეზით; დატვირთული ვაგონების დაყოვნება შუალედურ სადგურში იმის გამო, რომ ტვირთმიმღების ან მისასვლელი ლიანდაგით მფლობელის მიზეზით ვერ იღებენ მომიჯნავე სადგურები ან მომიჯნავე სადგურს არ გააჩნია ვაგონების დაგროვებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა და ა.შ.

აღნიშნული ნორმის გამოყენების წინაპირობაა საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, გარემოებები, რომლებიც სარკინიგზო მიმოსვლის მონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს, დასტურდება კომერციული, ტექნიკური და საერთო ფორმის აქტებით. ამავე მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად, საერთო ფორმის აქტები უნდა შედგეს „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადასტურება შესაძლებელია საერთო ფორმის აქტების მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს საქართველოს სარკინიგზო კოდექსითა და „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესებით“ გათვალისწინებულ მტკიცებულებას; ამდენად, მითითებული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია სადავო ურთიერთობის დადასტურება სხვა სახის მტკიცებულებებით: მოწმეთა ჩვენებებით, მხარეთა ახსნა-განმარტებებით და ა.შ.

## პირადი შეხვედრისას განხორციელებული საუბრის ფარული აუდიოჩანაწერის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევა

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლი
- საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი
- საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
2015 წლის 4 მაისის განმარტება საქმეზე №ას-1155-1101-2014 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n80-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო – წარმოადგენს თუ არა ორი ფიზიკური პირის პირადი შეხვედრისას განხორციელებული საუბრის ფარული აუდიოჩანაწერი დასაშვებ მტკიცებულებას აღნიშნულ პირთა შორის სამოქალაქო დავის პროცესში. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მოპოვებული ფარული აუდიო ჩანაწერი მოცემულ საქმეში საპროცესოსამართლებრივი თვალსაზრისით არ წარმოადგენს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებ მტკიცებულებას.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ პირადი საუბრის ფარული ჩანაწერა, ხოლო შემდეგ სასამართლოში მტკიცებულების სახით წარდგენა, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებულ პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობას, ასევე კონსტიტუციის მე-16 მუხლს, რომელიც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას ეხება.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული სამართლებრივი სიკეთე – კომუნიკაციის თავისუფლება, გულისხმობს კომუნიკაციის დაცვას გარეშე პირთა არასასურველი მონაწილეობისაგან. კომუნიკაციის თავისუფლება ინდივიდს აძლევს შესაძლებლობას, თავად განსაზღვროს კომუნიკაციის შინაარსი და პარტნიორი, რაც უზრუნველყოფს ადამიანის იმგვარ თავისუფალ თვითგამოსახვას, რომელიც თავისუფალია გარეშე ნამკითხველისა და მარეგისტრირებელი სუბიექტის ჩარევით განპირობებული თავშეკავებისაგან. აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულია არა მხოლოდ აზრის გამოხატვა, არამედ მისი ადრესატამდე მისვლაც. შესაბამისად, აზრის თავისუფლება დაცული უნდა იყოს მესამე პირთა მხრიდან მისი შინაარსის გაცნობისაგან. ადამიანის უფლებები ირღვევა, როდესაც ინდივიდი ცხოვრობს იმის შეგრძნებით, რომ მისი ნებისმიერი სიტყვა, რაიმე, თუნდაც, გაუაზრებელი და სპონტანური აზრის გამოხატვა, განვითარების პროცესში არსებული დიალოგისას გამოთქმული წინასწარი პოზიცია, ან რაიმე ფორმულირება, რომლის ნამდვილი შინაარსის გაგება მხოლოდ კონკრეტული სიტუაციის ცოდნის შემთხვევაშია შესაძლებელი, სხვა გარემოებებში და სხვა კონტექსტში შეიძლება იქნეს გამოყენებული. ინდივიდმა კერძო საუბრები უნდა აწარმოოს იმის ეჭვისა და შიშის გარეშე, რომ საიდუმლო ჩანაწერს ვინმე მისი ნებართვის გარეშე და ნების საწინააღმდეგოდ გამოიყენებს. კომუნიკაციის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულია კომუნიკაციის მონაწილე ყველა პარტნიორი, როგორც გარე, ასევე შიდა ჩარევისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ კომუნიკაციის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულია არა მხოლოდ მესამე პირთა მეშვეობით განხორციელებული ჩარევა, არამედ, კომუნიკაციის ერთ-ერთი მონაწილის მხრიდან დანარჩენ მონაწილეთა თანხმობის გარეშე პირადი კომუნიკაციის გასაჯაროება.

განსახილველ შემთხვევაში, საქმე ეხებოდა პირადი შეხვედრისას განხორციელებული საუბრების ფარულ აუდიოჩანაწერს. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან საუბარი, მეორე მხარის ნებართვის გარეშე, ფარულად არის ჩანერილი, ამიტომ იგი კანონდარღვევითაა მოპოვებული.



საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი იცავს ინდივიდის პირად ცხოვრებას არა მარტო საჯარო ხელისუფლების, არამედ კერძო პირების მხრიდანაც. თუმცა, იმის მიხედვით, პირადი ცხოვრების რომელ სფეროს შეეხება საქმე, დაცულობის ხარისხი განსხვავებულია. განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის ინტიმური სფერო, რომელიც აბსოლუტური დაცვით სარგებლობს. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება კერძო საუბარს, რომელიც კერძო სფეროს განეკუთვნება და რომელიც არ სარგებლობს აბსოლუტური პრივილეგიით, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შეზღუდვა დასაშვებია, ანუ მასში ჩარევა შესაძლებელია საამისო დაცვის ღირსი ინტერესისა და კანონიერი მიზნის არსებობის პირობებში. შესაბამისად, კერძო სფეროში ჩარევის დროს, ჩარევა გამართლებული და დასაბუთებული უნდა იყოს უპირატესი საყოველთაო ინტერესის არსებობით, ანუ ჩარევის მართლზომიერების დადგენის მიზნით, უნდა შეფასდეს, არსებობს თუ არა ისეთი დაცვის ღირსი ინტერესი, რომელიც პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაზე უფრო მაღლა დგას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალურთიერთობის ფარგლებში სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების დადასტურების მიზნით მტკიცებულების შესაქმნელად პირად სფეროში ჩარევა და ამით პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის უფლების შეზღუდვა გამართლებული არ არის. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარი დასკვნა, პირველ რიგში, გამომდინარეობს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან, რომელიც, თავის მხრივ, სამოქალაქო უფლებამოვალეობების მიმართ გარკვეულ პასუხისმგებლობას გულისხმობს. სამოქალაქო უფლება-მოვალეობათა მატარებელი სუბიექტები თავისუფალნი არიან სამოქალაქო ურთიერთობებში, შესაბამისად, ისინი ვალდებული არიან, გამოიჩინონ შესაბამისი სამოქალაქო სამართლებრივი წინდახედულობა და მტკიცებულება პირთა თანასწორობაზე დამყარებული ურთიერთობის ფარგლებში მოიპოვონ. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მხარე სათანადოდ არ უზრუნველყოფს სამართალურთიერთობას მტკიცებულებებით, არ გულისხმობს იმას, რომ მას შემდგომ აღნიშნული მტკიცებულების შექმნის უფლება მეორე მხარის პირად ცხოვრებაში ჩარევის გზით წარმოეშობა. ამგვარი სახით მოპოვებულ მტკიცებულებათა ლეგიტიმაციის პირობებში მივიღებთ არა სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე დამყარებულ საზოგადოებას, არამედ კონსტიტუციურ ღირებულებათა დაუშვებელ ხელყოფას, რა დროსაც, განსაკუთრებით პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობის უფლება იქნება შეზღუდული, რაც დაუშვებელია. ამგვარი შეზღუდვა (ჩარევა) გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი თვითდახმარების ან „თვითდახმარებასთან მიახლოვებულ“ ფარგლებში მოქმედებს. მაგალითად, თუ ფარული ჩანანერი ერთადერთი გზაა საკუთარი უფლების დასაცავად, იმის გამო, რომ სხვაგვარად პირი საკუთარ უფლებას ვერ დაიცავს ან არსებობს რეალური საშიშროება ყველა სხვა მტკიცებულების განადგურების, ასეთ ვითარებაში ფარული ჩანანერის გზით მტკიცებულების შექმნა დასაშვებია. ამდენად, თუ პირზე ხორციელდება ზენოლა, მუქარა შანტაჟი, საკუთარი უფლებების დაუშვებელი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად, კონსტიტუციურ ღირებულებათა მრავალმხრივი ანონ-დანონვის შედეგად, შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს სხვის პირად სფეროში ჩარევა, თუმცა, აღნიშნული დაუშვებელია მაშინ, როდესაც სხვის პირად სფეროში ჩარევა თვითდახმარებას კი არ ემსახურება, არამედ მეორე მხარისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. პირად სფეროში ჩარევა კი საჭირო გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ უფლება-მოვალეობათა კრედიტორმა თავის დროზე არ იზრუნა შესაბამისი მტკიცებულების (ხელშეკრულების, ხელწერილის, და ა. შ.) შექმნაზე. ასეთ ვითარებაში, როდესაც გაუმართლებელია ჩარევა პირად სფეროში, ამგვარი გზით მოპოვებული მტკიცებულება, დაუშვებელი მტკიცებულებაა. მისი დაშვება შესაძლებელია მხოლოდ მეორე მხარის თანხმობით, ამასთან, თანხმობა უნდა ეხებოდეს არა მტკიცებულების ფორმალურ

დასაშვებობას, არამედ იმას, რომ მტკიცებულების შინაარსი სასამართლომ გადაწყვეტილებას დაუდოს საფუძვლად. ამგვარი თანხმობის არარსებობის პირობებში, დაუშვებელია ფარულ ჩანაწერს გადაწყვეტილება დაეფუძნოს, მაშინაც კი, თუ ფარული ჩანაწერიდან უტყუარად დასტურდება ის გარემოება, რომლის დადასტურების მიზანსაც ფარული ჩანაწერა (კერძო სფეროში ჩარევა) ემსახურებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო გარემოების დასადგენად ფარული აუდიო-ჩანაწერი, როგორც კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, არ შეიძლება იქნეს გამოყენებული.

### მამად აღიარება საპროცესო-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1195-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 მაისის განჩინება საქმეზე №ას-41-40-2010 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

სამოქალაქო საქმე ეხებოდა ე. ქ-ძის სარჩელს დ. დ-ძის მიმართ მამობის დადგენის, არასრულწლოვანი ე. ქ-ძის დაბადების მოწმობაში ცვლილების შეტანის – ბავშვის მამად დ. დ-ძის, ხოლო გვარად – დ-ძის მითითების შესახებ. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მხარეებს ხანმოკლე ურთიერთობა ჰქონდათ. მართალია, მათ შორის დამყარდა ინტიმური კავშირი, მაგრამ ოჯახის შექმნის გადაწყვეტილება არ მიუღიათ. მათ ერთად არ უცხოვრიათ და საერთო მეურნეობა არ უნარმოებიათ, რის გამოც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით ე. ქ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით ე. ქ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და დ. დ-ძე აღიარებულ იქნა 2007 წლის 17 მარტს დაბადებული ე. ქ-ძის მამად, ე. ქ-ძის დაბადების მოწმობაში ბავშვის მამის გრაფაში მიეთითა დ. დ-ძე, ე. ქ-ძისათვის მამის გვარის – დ-ძის მინიჭების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ე. ქ-ძესა და დ. დ-ძეს ჰქონდათ ინტიმური ურთიერთობა, მაგრამ მათ ერთად არ უცხოვრიათ და არც საერთო მეურნეობა ჰქონიათ. 2007 წლის 17 მარტს ე. ქ-ძეს შეეძინა შვილი – ე. ქ-ძე, რომლის მამობა მოპასუხემ უარყო და ბავშვის აღზრდასა და რჩენაში მონაწილეობა არ მიუღია. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 იანვრის განჩინებით, მოცემულ საქმეზე დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო (გენეტიკური) ექსპერტიზა, რომლის ჩატარებაც ვერ მოხერხდა ექსპერტიზის ბიუროში მოპასუხე დ. დ-ძის გამოუცხადებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, მოპასუხე დ. დ-ძის მიერ გენეტიკური ექსპერტიზის ბიუროში გამოცხადებასა და ექსპერტიზის ჩატარებაზე უარის გამო დადასტურებულად ჩათვალა მოსარჩე-

ლის მითითება იმის თაობაზე, რომ მოპასუხე დ. დ-ე არის 2007 წლის 17 მარტს დაბადებული ე. ქ-ის მამა.

პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1195-ე მუხლით შესაძლებელია, შვილს მიეკუთვნოს როგორც დედის, ისე მამის გვარი, რადგან განსახილველ შემთხვევაში არასრულწლოვან ე. ქ-ეს მიკუთვნებული აქვს დედის გვარი, დაუსაბუთებელია ბავშვის დედის მოთხოვნა ბავშვისათვის მამის გვარის – დ-ის მინიჭების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დ. დ-ემ გაასაჩივრა საკასაციო წესით.

საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნია, რომ დ. დ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატამ სავსებით სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებულ საპროცესო მოქმედების მხარის მიერ შეუსრულებლობის შედეგს. აღნიშნული ნორმით, თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ასრულებს ექსპერტის მითითებებს ან სხვაგვარად ხელს უშლის ექსპერტიზის ჩატარებას, მონინააღმდეგე მხარის პოზიცია ჩაითვლება დადასტურებულად.

მითითებული ნორმა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება მხარეს არ აიძულებს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას და, შესაბამისად, არ ადგენს მის ვალდებულებებს, მაგრამ ამავედროულად, იმპერატიულად ადგენს საპროცესო მოქმედებათა მხარის ინტერესებისათვისვე შესრულების აუცილებლობას, რისი განუხორციელებლობა ადეკვატურად იწვევს ამავე მხარისთვის უარყოფით შედეგს. ამდენად, **კონკრეტულ შემთხვევაში კასატორის გენეტიკური ექსპერტიზის ჩასატარებლად გამოუცხადებლობა პროცესუალურად საკმარის საფუძველს წარმოადგენს ფაქტის დასადგენად, რომ მხარე ბავშვის ბიოლოგიური მამაა.**

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ მსგავს საქმეზე განმარტა, რომ ყველაზე მთავარია პროპორციულობის პრინციპის დაცვა. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს აზრით უნდა მოხდეს პროპორციულობის გათვალისწინებით დაცული ორი სიკეთიდან ერთის არჩევა (ანუ, ერთი მხრივ, მამის უფლება, არ ჩაიტაროს ტესტი და მეორე მხრივ, ბავშვის უფლება-იცოდეს ნამდვილი მამის შესახებ). ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევაში არსებობს ინტერესთა კონფლიქტი და ამ შემთხვევაში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებას – იცოდეს მამის წარმომავლობის შესახებ, ვიდრე პირის უფლებას – არ ჩაიტაროს სამედიცინო ტესტი.

## სარჩელის უზრუნველყოფა

### სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა და მიზანი

#### – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-1223-1168-2013 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელიმე ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად.

ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, იმისთვის, რომ დაკმაყოფილდეს მოთხოვნა, სასამართლოს განცხადების დასაბუთების საფუძველზე უნდა შეექმნას მყარი შინაგანი რწმენა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გამოყენებლობა შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილით კანონმდებელი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის მტკიცების ტვირთს განმცხადებელს აკისრებს, თუმცა ადგენს, რომ სასამართლოს სწორედ საქმის მასალებისა და მხარის არგუმენტების ანალიზის საფუძველზე უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სარჩელი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება პოტენციურად აღსრულებადს ხდის გადაწყვეტილებას და მოწინააღმდეგე მხარის არაკეთილსინდისიერი ქმედებებით განპირობებული დაბრკოლებების თავიდან აცილებას ემსახურება. უზრუნველყოფის აღნიშნული ბერკეტების გამოყენებით მოსარჩელე დაცულია გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მის აღსრულებაზე მოქმედი ობიექტური რისკფაქტორებისგან.

### სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება

#### – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-759-718-2015 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

მოცემულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

მოსარჩელე მ. ა-მ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის აღძვრამდე მოპასუხე შპს „ქ. მ-ის“ საკუთრებაში არსებულ ქონება-



ზე ყადაღის დადება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 დეკემბრის განჩინებით მ. ა-ს განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და შპს „ქ. მ-ს“ აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების გასხვისება ან რაიმე სახის ვალდებულებით დატვირთვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 დეკემბრის განჩინება გაასაჩივრა შპს „ქ. მ-მ“. საჩივრის ავტორი სადავოდ ხდოდა, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერებას, ისე იმ გარემოებასაც, რომ სასამართლომ არ იმსჯელა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფაზე.

საჩივარზე გადაწყვეტილების მიღებამდე მ. ა-მ ფაქტობრივად შეცვალა სარჩელის აღძვრამდე განცხადებაში მითითებული დავის საგანი და ამჯერად მოითხოვა: მოპასუხეებს საწარმოში მისი კუთვნილი წილის საკომპენსაციოდ 20 000 000 აშშ დოლარი დაკისრებოდათ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 იანვრის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადაიგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 თებერვლის განჩინებით საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 დეკემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფით მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მ. ა-ს დაევალა 7 დღის ვადაში საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე განეთავსებინა 645000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

მან განჩინებით დაკისრებული მოქმედება არ შეასრულა და მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე არ განათავსა 645000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, რის გამოც 2015 წლის 19 თებერვლის განჩინებით გაუქმდა გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

მ. ა-მ გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის ნაწილში, ასევე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ივნისის განჩინებით მ. ა-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაიგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ არ არსებობს მ. ა-ს საჩივრის დაკმაყოფილების არც ფაქტობრივი და რაც სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს:

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მან პირის მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სამართლებრივი გარანტიები უნდა შექმნას. მართალია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით და მოითხოვოს მოპასუხეს დაუწესდეს გარკვეული სახის შეზღუდვები დავის საგნის (მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით) განკარგვასთან მიმართებით, მაგრამ მან სათანადოდ უნდა დაასაბუთოს ასეთი შეზღუდვის აუცილებლობა. წარმოდგენილი/ან მომავალში მის მიერ წარმოსადგენი სარჩელის შინაარსი მაღალი ალბათობით უნდა იძლეოდეს იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნას გააჩნია პერსპექტივა და მასში მითითებული ფაქტობრივი წინაპირობების განხორციელების შემთხვევაში, სწორედ ის სამართლებრივი შედეგი დადგება, რისი ინტერესიც გააჩნია მოსარჩელეს, ანუ მხარის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს („სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე“. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191(1)-ე მუხლის ბოლო ორი წინადადება), მ. ა-ს მიერ წარდგენილი სარჩელი კი ასეთი ვარაუდის შესაძლებლობას არ იძლევა.

მ. ა-ს შპს-დან გასვლის უფლებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „მენარმეთა შესახებ“ კანონი სპეციალურად არ არეგულირებს პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგებს. ამ კანონის 46-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ეს საკითხი წესდებით უნდა იქნეს მოწესრიგებული. საზოგადოების წესდების მიხედვით, პარტნიორს შეუძლია საზოგადოებიდან გავიდეს წილის გასხვისების ან სანესდებო კაპიტალის ოფიციალური შემცირებით და მის მიერ განხორციელებული შენატანის უკან დაბრუნების გზით. ამრიგად, წესდება არ ანიჭებს მ. ა-ს უფლებას, მოითხოვოს თავისი კუთვნილი წილის კომპენსაცია. შესაბამისად, მაღალი ალბათობით მის მოთხოვნას წარმატების შანსი არ ექნება. ასეთი უფლების არსებობის შემთხვევაშიც კი, მოთხოვნა, სავარაუდოდ, ნაკლებად პერსპექტიული იქნება, რადგანაც საფრთხის წინაშე დადგება საზოგადოების კრედიტორების ვადამოსული მოთხოვნების დაკმაყოფილების საკითხი.

მ. ა-ს სასარჩელო მოთხოვნა მიყენებული ზიანის, მიუღებელი დივიდენდების – 1 500 000 აშშ დოლარის ანაზღაურების თაობაზე სამართლებრივ საფუძვლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408 (1) და 411-ე-412-ე მუხლების დანაწესზე მითითებით, ასევე ნაკლებად სავარაუდოა, რომ დაკმაყოფილდეს. ჯერ ერთი, მოსარჩელის განცხადება არ შეიცავს ინფორმაციას თუ რა სახისა და რა ოდენობის დივიდენდი ეკუთვნოდა მას, როგორც პარტნიორს. მართალია, შპს-ს კომერციული საქმიანობის მიზანი მოგების მიღებაა, მაგრამ ეს სულაც არ გულისხმობს იმას, რომ საწარმომ რეალურად ნახა მოგება. ამ სახის მოთხოვნის დასასაბუთებლად აუცილებელია, მინიმუმ იმაზე მაინც იყოს მითითება სარჩელში, თუ ფაქტობრივად რა პერიოდში და რამდენი მოგება მიიღო საწარმომ და დივიდენდი განაწილდა თუ არა საზოგადოების მეორე პარტნიორზე. იმ ვითარებაში, როდესაც აუდიტორული დასკვნის მიხედვით, კომპანიას დღეისათვის ჰყავს კრედიტორები და მათ მიმართ მას გააჩნია ფულადი დავალიანება, რომელიც 29000000 ლარს აღემატება, ზემოაღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება საფრთხეს შეუქმნიდა კრედიტორთა ინტერესებსაც და მათ სამართლებრივ სტაბილურობასაც.

## დაუსწრებელი გადაწყვეტილება

### აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობისას სასამართლოს მიერ შესაფასებელი გარემოებები

#### – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup>-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-1532-1435-2012 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba40.pdf>).

მითითებულ საქმეზე აპელანტ გ. დ-ს მოწინააღმდეგე მხარემ, სს „კ. ე-მ“, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შესაგებელი არ წარადგინა. სასამართლომ და-ნიშნა სხდომა, სადაც საერთო წესით მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და არ შე-აფასა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup>-ე მუხლზე და განმარტა, რომ მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობა ავტომა-ტურად დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას არ ნიშნავს. თუ მოწინააღმდეგე მხა-რე სააპელაციო სასამართლოში შესაგებელს არ წარადგენს და სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებს, იგი ნიშნავს სხდომას. აღნიშნულ სხდომაზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხა-რე უფლებამოსილია, მხოლოდ სამართლებრივი მოსაზრებები გამოთქვას გასაჩივრებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივ საფუძვლებს იგი სადავოდ ვერ გახდის, რის შესახებაც სასამართლომ მხარეს უნდა განუმარტოს. ამ-გვარი განმარტება სხდომის ოქმით უნდა დადასტურდეს, გარდა ამისა, შემაჯამებელ გა-დანწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა იმსჯელოს, რის საფუძველზე მიიჩნია დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება დაუშვებლად. გადაწყვეტილებაში უნ-და აისახოს, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები მოთხოვნას იური-დიულად არ ამართლებდა, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ არ გამოიტანა დაუს-წრებელი გადაწყვეტილება და სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს უნდა განეხილა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა და შეეფა-სებინა, ამართლებდა თუ არა იურიდიულად მოთხოვნას გ. დ-ს მიერ სააპელაციო საჩი-ვარში მითითებული გარემოებები.

### მოპასუხის მიერ შესაგებლის შეუტანლობის მოტივით გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების კანონიერება

#### – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup>-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-555-526-2015 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

საქმის გარემოებები მდგომარეობდა შემდეგში, შპს „ე-ომ“, საქართველოს სამოქალა-ქო კოდექსის 937-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოითხოვა ამხანაგობა „ჩ-ე 11-ისა“ და მისი წევრების: თ. მ-ის, მ. ო-ის, ბ. ჭ-ის, ლ. ნ-ისა და ა. ქ-ისათვის 12 334,89 ლარის სოლიდარულად დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2013 წლის 1 ნოემბერს, მოპასუხეების მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ 12 334,89 ლარის გადახდა.

ამავე სასამართლოს 2013 წლის 26 დეკემბრის საოქმო განჩინებით გაითვალისწინა ლ. წ-ის საჩივარში მითითებული გარემოება, რომ მას საქმის მასალები არ ჩაბარებია კანონით დადგენილი წესით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის საფუძველზე გააუქმა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განაახლა საქმის წარმოება.

მოპასუხე ლ. წ-ემ მოთხოვნის შემაფერხებელი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა მის ხანდაზმულობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს, რომ საჯარო შეტყობინების განხორციელების გზით პირისათვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარება არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო მხარის ჯეროვან ინფორმირებად, რადგანაც სასამართლოს ყველა ღონე უნდა ეხმარა, ადრესატისათვის კორესპოდენციის გადასაცემად, ხოლო საჯარო შეტყობინების განხორციელება, პალატის მოსაზრების თანახმად, წარმოადგენდა უკიდურეს ღონისძიებას.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა დეტალურად ადგენს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების მოპასუხისათვის გადაცემის წესს და თუ სარჩელი შეაქვს იურიდიულ პირს, ინდივიდუალურ მენარმეს, ადვოკატს ან წარმომადგენელს (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა), ან თუ სარჩელი (განცხადება) შეიტანება იურიდიული პირის წინააღმდეგ (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლი) მოპასუხის ჯეროვან ინფორმირებას კანონმდებელი მოსარჩელეს ავალდებულებს. აღნიშნული ვალდებულების პარალელურად საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია ასევე იმ მოპასუხეთა ინფორმირების წესი, რომელთაც ვერ ბარდებათ შეტყობინება (სარჩელი) ან მათი მისამართი უცნობია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანოს განჩინება სასამართლო გზავნილის საჯაროდ გავრცელების შესახებ.

მოსარჩელე წარმოადგენდა იურიდიულ პირს და იგი უზრუნველყოფილი იყო დაცვით (ჰყავდა წარმომადგენელი), შესაბამისად, მას წარმოეშობოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლით განსაზღვრული მოპასუხეთა ინფორმირების ვალდებულება, თავის მხრივ, მოპასუხე მხარედ გვევლინებოდნენ ერთობლივი საქმიანობა „ჩ-ე 11“, მისი თავმჯდომარე და წევრები.

ამხანაგობა „ჩ-ე 11-ს“ სარჩელი და თანდართული მასალები გაეგზავნა სამჯერ. სარჩელი და თანდართული მასალები ჩაბარდა ამხანაგობის თავმჯდომარის ოჯახის წევრს, ამდენად, 2013 წლის 26 სექტემბერს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 74-ე მუხლის თანახმად, ამხანაგობა „ჩ-ე 11“ ითვლება ინფორმირებულად.

თ. მ-ემ, რომელიც იმავდროულად ამხანაგობის თავმჯდომარეა, სარჩელი და თანდართული მასალები პირადად ჩაიბარა 2013 წლის 23 აგვისტოს, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს ამხანაგობის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის, ხოლო თ.მ-ის 70-ე მუხლის პირველი ნა-



წილის შესაბამისად ინფორმირებას.

რაც შეეხება ლ. ნ-ეს, მას შეტყობინება გაეგზავნა ოთხჯერ. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიუხედავად მისამართის სისწორისა და გზავნილის არაერთხელ გაგზავნისა, ადრესატამდე კორესპოდენციის მისვლა ვერ მოხერხდა, მოსარჩელემ მართებულად მიმართა სასამართლოს, ხოლო სასამართლომ 2013 წლის 7 ოქტომბერს კანონის მოთხოვნათა დაცვით გამოიტანა განჩინება ლ. ნ-სათვის სარჩელისა და თანდართული მასალების პუბლიკაციის მეშვეობით ჩაბარების თაობაზე. ამგვარი ქმედება, ერთი მხრივ, გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-4 ნაწილის დისპოზიციიდან, ხოლო, მეორე მხრივ, ემყარება 78-ე მუხლის მოთხოვნას. საქმეში წარმოდგენილი აქტის თანახმად, პუბლიკაცია სასამართლოში თვალსაჩინო ადგილას 2013 წლის 8 ოქტომბერს, ხოლო ვებგვერდზე 2013 წლის 16 ოქტომბერს განთავსდა.

არც ერთ მოპასუხეს შესაგებელი სასამართლოში არ წარუდგენია, შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup>-ე მუხლით და სავსებით სწორად გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე, აქვე საგულისხმოა, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა მოთხოვნას, რამდენადაც შესაგებლის შეუტანლობის გამო კანონის ძალით დადგენილად მიიჩნევა, რომ მხარეთა შორის არსებობდა მომსახურების ხელშეკრულება, მოსარჩელემ ვალდებულება შეასრულა ჯეროვნად, ხოლო დამკვეთს არ გადაუხდია თანხა, ამასთანავე, ამხანაგობის ბუნებიდან გამომდინარე, მისი წევრები წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს. მითითებული გარემოებები შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 316-ე და 317-ე მუხლების პირველი ნაწილების მოთხოვნებს, 629-ე, 630-ე მუხლებს, 937-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 463-ე-464-ე მუხლების მოთხოვნებს.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლების შეფასება იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში, არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლებისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი, ვინაიდან თითოეული მოპასუხე, მათ შორის ლ. ნ-ე, სწორედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით იყვნენ ინფორმირებული.

ამასთანავე, გაზიარებულ იქნა კასატორის პრეტენზია იმ ნაწილში, რომლის თანახმადაც, მატერიალური სამართლის ნორმაზე დაყრდნობით სასამართლომ არასწორად გააუქმა ყველა სოლიდარული მოვალის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სამოქალაქო კოდექსის 466-ე მუხლით განსაზღვრული მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებელი არ წარმოადგენს საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup>-ე მუხლის მიზნებისათვის სარჩელისაგან სოლიდარულ მოვალეთა თავდაცვის საპროცესო საშუალებას, იგი იმგვარი მატერიალურ-სამართლებრივი ინსტრუმენტია, რომელიც ვალდებულებაზე ზემოქმედების საშუალებას იძლევა და სოლიდარულ მოვალეს ანიჭებს შესაძლებლობას, კრედიტორის მოთხოვნისაგან დაიცვას თავი. სასამართლოს მოვალეობა საპროცესო წესების დაცვით (შეჯიბრებითობა, მტკიცების ტვირთის განაწილება და სხვა) დაადგინოს მატერიალური ნორმის შემადგენლობა – იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები და ამ გზით გადაწყვიტოს დავა. რაც შეეხება საპროცესო ურთიერთობის მიზნებისათვის თანამონაწილეობის საკითხს, იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლით რეგულირდება და ნორმის პირველი ნაწილით კანონმდებელი გვთავაზობს თანამონაწილეობის საფუძველებს. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ განსახილველი დავის ფარგლებში შესაფასებელია მესამე პირის მოთხოვნის საფუძვლიანობა სოლიდარული მოვალეების მიმართ, ამდენად, სარჩელის მატერიალური უფლების მარეგულირებლად საპროცესო წესებთან ერთად გვევლინე-

ბა სამოქალაქო კოდექსის 465-ე და 469-ე მუხლები. მითითებული ნორმების თანახმად კი, კრედიტორს შეუძლია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება. სარჩელის შეტანა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ კრედიტორს არ ართმევს უფლებას შეიტანოს სარჩელი დანარჩენ მოვალეთა მიმართაც.

მითითებულ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარე, პალატამ დაასკვნა, რომ თუკი ლ. ნ.-ს საჩივარი საფუძვლიანი იქნებოდა, ის დანარჩენი მოპასუხეების მიმართ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი მაინც ვერ გახდებოდა. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია, რომ არც საქმის მასალებით ირკვევა და არც ქვემდგომ სასამართლოებს დაუდგენიათ ლ.ნ-ს სახელზე სხვა თანამოპასუხეების მხრიდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების საკითხი (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 87-ე და 98-ე მუხლები).

### **აპელაციის ეტაპზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის გამოყენების მიზანშეწონილობა**

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup>-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის განმარტება საქმეზე №ას-121-117-2016 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

სამოქალაქო საქმე შეეხება ა. ნ.-ს სარჩელს მოპასუხე, სს „ს-ის“ მიმართ 2014 წლის 15 თებერვალს შედგენილი უბედური შემთხვევის შესახებ აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 2014 წლის 15 თებერვალს შედგენილი უბედური შემთხვევის შესახებ აქტი, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 05 ოქტომბერს მონინალმდეგე მხარის მიერ დადგენილ ვადაში სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობის გამო, გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი: გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 04 დეკემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა აპელანტის მონინალმდეგე მხარის მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ შეტანილი საჩივარი და გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, აგრეთვე დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინება მოსარჩელემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მათი გაუქმება და ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 22 მაისის გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

დიდმა პალატამ მოცემული დავის გადაჭრის საკვანძო საკითხად აპელაციის ეტაპზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის გამოყენების მიზანშეწონილობა მიიჩნა

ნია და განჩინებაში იმსჯელა შემდეგ საკითხებზე, როგორცაა:

- სამოქალაქო საპროცესო სამართალში გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის სამართლებრივი არსი და მისი მნიშვნელობა;
- დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის მიზნები და მისი გამოტანისათვის აუცილებელი პროცესუალური საფუძვლები;
- სააპელაციო საჩივრის სამართლებრივი ბუნებით განპირობებული შესაგებლისათვის დამახასიათებელი თავისებურებები (აქ მოიაზრება სრული (შეუზღუდავი) აპელაცია და არასრული (შეზღუდული) აპელაცია);
- მტკიცებით საქმიანობასთან დაკავშირებულ სააპელაციო სასამართლოსათვის დამახასიათებელ თავისებურებებზე;
- სარჩელის კლასიფიკაციასა და აღიარებითი სარჩელისათვის დამახასიათებელ მართლზომიერი იურიდიული ინტერესის თავისებურებებზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის განჩინებით ა-ნ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 05 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, აგრეთვე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ 2015 წლის 04 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

## გადანწყვეტილების ასლის ჩაბარება

### გადანწყვეტილების ასლის მხარეებისათვის ჩაბარების ვალდებულება

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> -ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2014 წლის 30 დეკემბრის განმარტება საქმეზე № ას-1161-1106-2014 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n68-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

დიდი პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, გასაჩივრების მსურველ მხარეს გააჩნია არა უფლება, არამედ ვალდებულება ჩაიბაროს გასასაჩივრებელი გადაწყვეტილება. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა აისახება მხოლოდ უშუალოდ მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლის შინაარსი არ შეიძლება გაგებულ იქნეს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გარეშე. განსახილველი ნორმა აწესრიგებს გასაჩივრების უფლების წარმოშობის წინაპირობებს, ხოლო გასაჩივრების ვადის დენის დაწყებას კი აწესრიგებს იმავე კოდექსის 60-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლის დათქმა იმის შესახებ, რომ „წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს“, მიგვითითებს პრეზუმფციასზე, რომლის თანახმად კანონი ადგენს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს დაინტერესებული მხარისათვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებისათვის. აღ-

ნიშნული ფაქტი უკავშირდება საპროცესო მოქმედების შესრულების ზუსტ კალენდარულ თარიღს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილი), რომლის ათვისების საპროცესო წესი მოცემულია ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილით, კერძოდ, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა ინყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

შესაბამისად, დიდი პალატა მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების ინსტიტუტი მოიცავს, როგორც უშუალოდ დაინტერესებული მხარისათვის (ან მისი წარმომადგენლისათვის) გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებას, ასევე ამ ჩაბარების ფაქტის არსებობის პრეზუმფციასაც, რაზეც ვრცელდება საპროცესო ვადის გამოთვლის ერთიანი საპროცესო წესი (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლი).

### **დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი**

#### **გამარტივებული წარმოებით საქმის განხილვის თაობაზე საპროცესო დოკუმენტებში აღნიშვნისა და კანონით დადგენილი შემჭიდროებული ვადების დაცვის სავალდებულობა**

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>19</sup>-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>20</sup>-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ას-937-880-2012 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba36.pdf>).

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ გამარტივებული წესით საქმის განხილვა, სასარჩელო წარმოების მსგავსად, მიზნად ისახავს დარღვეული უფლებების აღდგენას, თუმცა გამარტივებული წარმოების თავისებურება მგომარეობს იმაში, რომ საქმე დაჩქარებულად და მარტივად განიხილება. ამ წესით განსახილველ საქმეთა კატეგორია კანონით ზუსტად არის განსაზღვრული და იგი მხარის მოთხოვნის საფუძველზე მიმდინარეობს, ანუ კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას სარჩელი ამ წესით საქმის განხილვაზე მხარემ უნდა წარადგინოს და, შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია, საქმე გამარტივებული წესით აწარმოოს. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მხარის მოთხოვნა, საქმე სასარჩელო წარმოებით განიხილება და მასზე საერთო საპროცესო ვადები ვრცელდება. დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი გამარტივებული წესით განხილვას ექვემდებარება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი განაჩენი, რომელიც ზიანის მიყენებას ადასტურებს. ამ შემთხვევაში სასამართლოს აღარ უნევს ზიანის მიყენების ფაქტის, ზიანის მიმყენებლის ბრალის, მის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის გამოკვლევა. ყველა აღნიშნული გარემოება განაჩენით დასტურდება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>16</sup>-ე-309<sup>17</sup>-ე მუხლები). ვინაიდან სამოქალაქო საქმის განმხილველი მოსამართლის გამოსაკვლევ საკითხთა წრე მცირდება, ასევე მცირდება საქმის განხილვის ვადაც. მოცემული ტიპის დავების გამარტივებული წესით განხილვა, პირველ რიგში, საქმის საპროცესო კოდექსით დადგენილი სპეციალური ვადების ფარგლებში განხილვას გულისხმობს.



საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელები, ისევე როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეხუთე კარით გათვალისწინებული სხვა საქმეები, შესაძლოა, განხილულ იქნეს როგორც გამარტივებული, ისე სრული სასარჩელო წარმოების გზით, საქმის განმხილველმა სასამართლომ საპროცესო დოკუმენტებში, პირველ რიგში კი სხდომის ოქმში, ზუსტად უნდა მიუთითოს წარმოების ფორმა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არსებული პირველი ინსტანციის სასამართლოს არც ერთ განჩინებასა თუ სხდომის ოქმში არ იყო მითითებული საქმის გამარტივებული წესით განხილვის შესახებ. გარდა ამისა, საქმე არ განხილულა XXXIV<sup>3</sup> თავით დადგენილ ვადებში, კერძოდ: სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი სასამართლოს არ გადაუწყვეტია მისი მიღებიდან 3 დღის ვადაში (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>19</sup>-ე მუხლი); სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ მოპასუხეს შესაგებლის წარდგენისათვის 7 დღეზე მეტი ვადა მიეცა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>19</sup>-ე მუხლი); საქმე სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 1 თვის ვადაში არ განხილულა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>20</sup>-ე მუხლი).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე, მოსარჩელის შუამდგომლობის მიუხედავად, გამარტივებული წესით არ განხილულა; ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>20</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენება და ასევე გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადად 7 დღის მითითება უკანონო იყო, რაც სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა.

## ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა სააპელაციო სასამართლოში

სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებების სამოქალაქო საქმეზე მტკიცებულებად მიჩნევა და სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი მტკიცებულებების გამოთხოვა

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 382-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ას-788-748-2013 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n75-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო მის მიერ გამოთხოვილი სისხლის სამართლის საქმის მასალებში ასახული მოწმეთა ჩვენებები.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, სააპელაციო სასამართლომ ისე დააკმაყოფილა სის-

ხლის სამართლის საქმიდან მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობა, რომ არ დაიცვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე, 380-ე და 382-ე მუხლებით დადგენილი წესი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ საოქმო განჩინებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე და გამოითხოვა სისხლის სამართლის საქმიდან მონმეთა ჩვენებები ისე, რომ არ დაასაბუთა ამ მასალების გამოთხოვის სამართლებრივი საფუძვლები, პროცესუალური წინაპირობები, რომლის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია მტკიცებულებათა გამოთხოვა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საოქმო განჩინება უნდა აკმაყოფილებდეს სასამართლო განჩინების ინსტიტუტით განსაზღვრულ წესს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, განჩინება, რომელსაც სასამართლო იღებს ადგილზე თათბირით, უნდა გამოცხადდეს მიღებისთანავე. თავმჯდომარე ან მოსამართლე, რომელმაც გამოაცხადა განჩინება, განმარტავს ამ განჩინების შინაარსს, მისი გასაჩივრების წესსა და ვადას, რაც აისახება სხდომის ოქმში. სააპელაციო სასამართლომ არ დაიცვა ეს პროცესუალური წესი, ამავე დროს სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული განჩინებისაგან განსხვავებით, საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გამოთხოვის განჩინების სამართლებრივ საფუძვლად სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველ წინადადებაზე და მე-2 ნაწილზე.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, განჩინებიდან არ ირკვევა სასამართლო სისხლის სამართლის საქმიდან მონმეთა ჩვენებების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობას განიხილავს, როგორც სააპელაციო სასამართლოში ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენის ინსტიტუტის მიხედვით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლი), თუ როგორც მოსარჩელის (აპელანტის) პრეტენზიას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებების გამოთხოვაზე უარის თქმით დაშვებული პროცესუალური დარღვევების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შუამდგომლობა წარმოადგენდა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე მითითებას ახალ ფაქტებსა თუ მტკიცებულებებზე, მაშინ სასამართლოს უნდა დაეცვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ხოლო თუ სასამართლომ განიხილა მითითებული შუამდგომლობა, როგორც პრეტენზია პირველი ინსტანციის მიერ დაშვებული პროცესუალური დარღვევების თაობაზე, მაშინ სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლით და გამოეკვლია დაშვებული იყო თუ არა პირველი ინსტანციის მიერ პროცესუალური დარღვევები მტკიცებულებათა გამოთხოვაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გამოტანისას.

რაც შეეხება უშუალოდ მონმეთა ჩვენებებს, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ გაუგებარია, სისხლის სამართლის საქმეზე მიცემული მონმეთა ჩვენებები სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულების რომელ პროცესუალურ საშუალებად მიიჩნია. თუ მივიჩნევთ, რომ აღნიშნული ჩვენებები სააპელაციო სასამართლომ შეაფასა, როგორც მონმეთა ჩვენებები, ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მონმის ჩვენების ინსტიტუტის თავისებურებები (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე, 148-ე მუხლები). დაუშვებელია პროცესის მონაწილის (მაგალითად, მხარის) და მონმის აღრევა. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სისხლის სამართლის საქმიდან გამოთხოვილ მასალებში დაკითხული მონმეები წარმოადგენენ განსახილველ საქმეში პროცესის მონაწილეებს.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, თუ სააპელაციო სასამართლომ სისხლის სამართლის საქმიდან გამოთხოვილი მასალები შეაფასა, როგორც წერილობითი მტკიცე-

ბულებები, ამ შემთხვევაშიც, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ეს ჩვენებები წარმოადგენენ იმ პირთა ახსნა-განმარტებებს, რომლებიც კონკრეტულ სამოქალაქო საქმეში წარმოადგენენ პროცესის მონაწილეებს და ამავე ახსნა-განმარტებებს აკეთებენ სამოქალაქო პროცესში. ამ შემთხვევაში შესაძლებელია, სისხლის სამართლის საქმის მასალებში მოცემული მონმეთა ჩვენებები შეფასდეს როგორც წერილობითი მტკიცებულებები, მაგრამ პროცესუალურსამართლებრივ წესებთან ერთად სასამართლომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მტკიცებულების მატერიალურსამართლებრივი მხარე, რაც, საბოლოოდ, გავლენას ახდენს მტკიცებულებათა კვლევა-შეფასების ეტაპზე.

# საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებები ადმინისტრაციულ საქმეებზე

## ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

### ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ბს-854-836(კ-12) (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n71-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ „საქპატენტის“ გადაწყვეტილების გასაჩივრების სამთვიანი ვადის ათვლა უნდა მომხდარიყო გადაწყვეტილების მიღებიდან და არა უფლებამოსილი პირის მიერ გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა მითითებული მოსაზრება და აღნიშნა, რომ აქტის გაცნობამდე გასაჩივრების დაშვება გამოიწვევდა საჩივრის მიზნის – კონტროლის განხორციელების უარყოფას. ადმინისტრაციული აქტის იმ პირისათვის ოფიციალური გაცნობის მოთხოვნა, ვის მიმართაც არის იგი გამოცემული, კანონმდებლობის კატეგორიული იმპერატივია, ვინაიდან აქტის გამოქვეყნება, მისი ადრესატისთვის გაცნობა არის ადმინისტრაციული წარმოების ფინალი და მისი ნაყოფი – წარმოების შედეგად გამოცემული გადაწყვეტილება ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალური გაცნობით. აქტის ძალაში შესვლის განსაზღვრა მნიშვნელოვანია აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადების დასაცავად. სწორედ აქტის ძალაში შესვლის, ანუ მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობით იწყება მისი გასაჩივრების ვადების ათვლა, გაცნობის შემდეგ ხდება შესაბამისი ადრესატის უფლებამოვალეობების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა, შესაბამისად, სწორედ ამ მომენტიდან პირს ეძლევა გასაჩივრების შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ“ მადრიდის შეთანხმება, „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებისა და აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის ზოგადი წესები“ და ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებული 27.06.1989წ. ოქმი არ იძლევა საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის მფლობელისათვის, ეროვნულ განმცხადებელთან შედარებით, გასაჩივრების უფრო ნაკლები ვადის განსაზღვრის საფუძველს. აღნიშნულის მიუხედავად, მოცემულ საქმეში საერთაშორისო ნიშნის მფლობელს, გადაწყვეტილების გამოტანიდან გასაჩივრების ვადის ათვლის გამო, ეროვნულ განმცხადებელთან შედარებით, ფაქტიურად მიეცა საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრულ ვადაზე რამდენიმე კვირით შემცირებული ვადა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ რაიმე ობიექტური საფუძველი ასეთი დიფერენცირებული მიდგომისთვის არ არსებობდა. პალატამ აღნიშნა, რომ საერთაშორისო ნიშნის დაცვაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს იმავე პირობებით, რა პირობებიც არის დადგენილი ნაციონალური რეგისტრაციისათვის, ასევე დაინტერესებულ პირს ეძლევა ისეთივე უფლება გასაჩივრებისთვის, როგორც განცხადების შეტანის ქვეყანაში.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი



მხოლოდ იმ შემთხვევაში უშვებს განსხვავებულ მიდგომას, თუ არსებული განსხვავება იძლევა განსხვავებული მიდგომის მართლზომიერების დასაბუთების შესაძლებლობას. უფლების დაცვის შედარებით არახელსაყრელი სამართლებრივი რეჟიმის დამკვიდრებას საერთაშორისო ნიშნის მფლობელისთვის არ აქვს გონივრული საფუძველი.

საკასაციო პალატის აზრით, აქტის ოფიციალური გაცნობის სამართლებრივი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მხარე ადასტურებს მისი შინაარსის გაცნობას. გასაჩივრების ვადის ათვლა არ ხდება მაშინაც კი, როდესაც პირისთვის აქტის შინაარსი ცნობილი გახდა არაოფიციალური წყაროდან. საჩივრის უფლება წარმოიშობა გამოცემული აქტით უფლების დარღვევით, რომელიც მხოლოდ ძალაში შესული აქტით არის შესაძლებელი, აქტი უნდა შეიცავდეს მითითებას მისი გასაჩივრების წესის შესახებ. შეუძლებელია პირს მოეთხოვოს მისთვის ჯერ კიდევ უცნობი აქტის შესრულება და გასაჩივრება. აქტის ოფიციალურად გაცნობით პირისთვის ცნობილი ხდება რა გახდა უარის თქმის საფუძველი და შესაბამისად, ექნება თუ არა პერსპექტივა მის საჩივარს, აგრეთვე ის, თუ რა სამართლებრივი საშუალებებით შეძლებს თავისი უფლებებისა და ინტერესების დაცვას. ადმინისტრაციული საჩივრის უფლების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის სხვა უფლებების და ინტერესების დაცვის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს, რაც განაპირობებს საჩივრის უფლების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობას.

საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ თავისი საქმიანობით უნდა უზრუნველყოს ეროვნული განმცხადებლისათვის და საერთაშორისო ნიშნის მფლობელისათვის უარყოფითი გადაწყვეტილების კანონით განსაზღვრული სამი თვის ვადაში გასაჩივრების უფლებით რეალური სარგებლობა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართლმსაჯულება არის იურისდიქციული საქმიანობის სახეობა, რომელიც ეხება დავის გადაწყვეტას, კონფლიქტის გადაჭრას, დარღვეული უფლების აღდგენას ან კანონიერი ინტერესის დაცვას, სასამართლო გადაწყვეტილება შესაძლოა გახდეს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სრულყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამასთანავე, ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მხარისათვის გაცნობის პროცესის ორგანიზაციის, აპარატის საქმიანობის ორგანიზაციის საკითხი მმართველობის სფეროს განეკუთვნება და სცილდება სასამართლო საქმიანობის სფეროს.

## **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა**

### **მინის ქონების გადასახადის დავალიანების გამო ქონებაზე ყადაღის დადების მართლზომიერება**

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლი
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 84-ე მუხლი
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 87-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 7 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ბს-1774-1742(კ-11) (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba39.pdf>).

საქართველოს 22.12.04წ. საგადასახადო კოდექსში 11.07.2007წ. განხორციელებული ცვლილებებით 281-ე მუხლს დაემატა 21-ე ნაწილი, რომლის მიხედვითაც მინაზე ქონების გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირებს და ადგილობრივ თვითმმართველობის

და მმართველობის ორგანოებს შეუწყდათ საგადასახადო ვალდებულებები 2005 წლის 1 იანვრამდე პერიოდისათვის მიწის ნაკვეთების მიხედვით გაანგარიშებული ქონების გადასახადის ვადაგადაცილებულ დავალიანებათა თანხებზე და მათზე დარიცხულ სანქციებზე. აღნიშნულ ნორმას სპეციალური სუბიექტი ჰყავს: იგი ვრცელდება მხოლოდ ფიზიკურ პირებზე და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე. ამასთან, ფიზიკურ პირში მოიაზრება შესაბამისი გადასახადის გადახდაზე ვალდებული ნებისმიერი პირი, მათ შორის ინდ. მენარმე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ, საქმეში №ბს-1774-1742(კ-11) (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>) მიუთითა, რომ საგადასახადო კოდექსის 281.21-ე მუხლის საფუძველზე საგადასახადო დავალიანების ჩამონერა გულისხმობს მის სრულ გაუქმებას (ძირითადი თანხა და საურავი) და არა გადახდის ვალდებულების შეჩერებას ან გადავადებას. აღნიშნული საფუძველით დავალიანების ჩამონერისას, როგორც წესი, გადასახადის გადამხდელს ეგზავნებოდა შესაბამისი შეტყობინება. მოცემულ საქმეში ინდ.მენარმე „თ. ს-შვილს“ დავალიანების ჩამონერის შესახებ ასეთი შეტყობინება გაეგზავნა ფინანსთა მინისტრის სახელით. საქმეში დაცული იყო შედარების აქტები, რომელთა საშუალებითაც დგინდებოდა, რომ ჩამონერა აისახა პირადი აღრიცხვის ბარათზე, რომლის მიხედვითაც გადასახადის გადამხდელის დავალიანება განულებული იყო. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ დოკუმენტაციის სამართლებრივი შედეგის მიმართ გადამხდელს გაუჩნდა კანონიერი ნდობა. იგი ენდობოდა დამდგარი სამართლებრივი შედეგის სტაბილურობას და გამოიყენა ეს ნდობა, განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება – განაგრძო ახალი საგადასახადო ვალდებულებების შესრულება 2005 წლამდე არსებული დავალიანების ანაზღაურების გარეშე.

შემდგომში საგადასახადო ორგანოს მიერ მოხდა გადასახადის გადამხდელზე რიცხული დავალიანების გადაანგარიშება, რომელიც ფაქტობრივად, გადასახადის აღდგენას წარმოადგენდა და ისე, რომ გადასახადის გადამხდელს შეტყობინება არ გაეგზავნა, განხორციელდა მისი ქონების დაყადაღება.

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ საკითხზე, რომ 2005 წლის დავალიანების გაუქმების შემდგომ იმავე გადასახადის ხელახლა დარიცხვისას საფუძველად განიხილება არა პირის მიერ წარდგენილი დეკლარაცია, არამედ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამისი აქტი, რომელიც გადასახადის გადამხდელის ახალი საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის საფუძველია. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადების უპირველესი წინაპირობა აღიარებული საგადასახადო მოთხოვნის არსებობაა.

საკასაციო სასამართლომ 22.12.04წ. საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის 23-ე ნაწილის საფუძველზე მიუთითა, რომ აღიარებული საგადასახადო მოთხოვნა შესაძლოა წარმოიშვას სამ შემთხვევაში: ა) ვალდებული პირის მიერ წარდგენილი დეკლარაციის საფუძველზე, რა დროსაც საჭირო აღარ არის საგადასახადო მოთხოვნის წარდგენა; ბ) საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც გადასახადის გადამხდელი ეთანხმება ან რომლის გასაჩივრების ვადაც გასულია ან გ) სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. მოსაზრება, რომ დავალიანება იყო აღიარებული და ამიტომ არ საჭიროებდა საგადასახადო მოთხოვნის წარდგენას, სასამართლომ არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ 2009 წელს გადასახადის გადამხდელზე საგადასახადო დავალიანების წარმოშობა განაპირობა შემოსავლების სამსახურის დასკვნამ ინდ. მენარმე „თ. ს-შვილზე“ რიცხული გადასახადების გადაანგარიშების შესახებ და არა ინდ. მენარმის მიერ წარდგენილმა დეკლარაციამ. ამდენად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული დავალიანების უზრუნველსაყოფად ყადაღის გამოყენებისათვის აუცილებელი იყო გადასახადის

გადამხდელისთვის საგადასახადო მოთხოვნის წარდგენა, რაც შემოსავლების სამსახურის მხრიდან არ განხორციელებულა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდ. მენარმე „თ. ს-შვილის“ ქონებაზე ყადაღის დადება მიჩნეულ იქნა არამართლზომიერად.

## კანონიერი ნდობა

### – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 მარტის განჩინება საქმეზე №ბს-1153-1142(კ-11) (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

აღნიშნული ადმინისტრაციული საქმე ეხებოდა მ. ც-ის სარჩელს, რომლითაც მან ქ. თბილისის მერიის, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისა და ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა მოითხოვა. მოსარჩელის განმარტებით, 2009-2010წწ. საცხოვრებელ სახლთან, საბოსტნე ნაკვეთის მიმდებარედ აშენდა 5 ავტოფარეხი, რის შემდეგაც თვითონაც გადაწყვიტა ავტოფარეხის აშენება. მშენებლობის დასაწყებად მიიღო ბ.მ.ა. „...ის“ საერთო კრების თანხმობა. მშენებლობის დასაწყისში, მერიის ზედამხედველობის სამსახურის მუშაკის მიერ გამოიცა მითითება №000048, რომლითაც 7 დღის ვადაში მითითების გაცემის მომენტისათვის არსებული შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენა ან ობიექტის დემონტაჟი მოეთხოვა. ამის შემდეგ მ. ც-მა მიმართა მერიის არქიტექტურის სამსახურს, დაადგინა კორპუსის მიწის წითელი ხაზები, ხოლო 01.07.10წ. შეიტანა განცხადება მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის დასტურის მისაღებად. ჯპასუხის მიღებამდე 05.07.10წ. ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლებმა შეადგინეს №000048 შემოწმების აქტი, რომელშიც დააფიქსირეს მითითების შეუსრულებლობა. 07.07.10წ. არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცაწერილობითი თანხმობა მშენებლობის გაგრძელების და დასრულების თაობაზე, რომლის ასლი გადაეცა ქ. თბილისის ზედამხედველობის სამსახურს. თანხმობის საფუძველზე მ. ც-მა დაასრულა მშენებლობა. 23.07.10წ. არქიტექტურის სამსახურმა ბათილად ცნო 07.07.10წ. წერილობითი თანხმობა. მოსარჩელის განმარტებით, არქიტექტურის სამსახურისთვის მის მიერ წარდგენილ საკადასტრო გეგმაზე, სიტუაციურ გეგმაზე და სურათებში გარკვევით ჩანდა, რომ ავტოფარეხი იყო მშენებარე. ასევე ამავე სამსახურის 07.07.10წ. წერილობით თანხმობაში აღნიშნული იყო, რომ მ. ც-ი ითხოვდა მშენებარე ავტოფარეხის აშენებას და თავადვე დაადასტურა, რომ მშენებლობის დასრულება შესაძლებელი იყო არსებულ გაბარიტებში. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დადგენილებით მოსარჩელე დაჯარიმდა 10000 ლარით და დაეკისრა ავტოფარეხის დემონტაჟი. აღნიშნული აქტები მ. ც-მა გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიის მი, რაზეც მოსარჩელეს ეთქვა უარი.

უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07.07.10წ. წერილობითი დასტური წარმოადგენდა აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს, რომლითაც დაინტერესებულ მხარეს გარკვეული უფლებამოსილება ენიჭებოდა, მოცემულ შემთხვევაში შენობის დასრულება. აღმჭურველი აქტით მინიჭებული უფლების დაცვის განსაკუთრებულ გარანტიას წარმოადგენდა კანონიერი ნდობა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სახეზე არ იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული კანონიერი ნდობის გამომრიცხავი გარემოება, კერძოდ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიერ სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან სხვა პირის კანონ-

ნიერი უფლებების ან ინტერესების არსებითი დარღვევა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა აგრეთვე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული კანონიერი ნდობის გამომრიცხავი გარემოება. საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ავტოფარეხის მიმდინარე მშენებლობის დასრულებაზე თანხმობის გაცემისას კასატორს ნებართვის გაცემა ორგანოსათვის არ დაუმაღავს დაწყებული მშენებლობის შესახებ. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ზედამხედველობის სამსახურის მითითების შესაბამისად მ. ც-მა შეაჩერა მშენებლობა, მიმართა განცხადებით უფლებამოსილ ორგანოს, უფლებამოსილი ორგანოსაგან თანხმობის მიღების შემდეგ განაახლა მშენებლობა, მ. ც-მა თანხმობა აღიქვა, როგორც შესაბამისი უფლებამოსილების მიმნიჭებელი დოკუმენტი და დაასრულა მშენებლობა. არქიტექტურის სამსახურისთვის ცნობილი იყო რა განმცხადებლისაგან მშენებლობის შესახებ, შეეძლო და ვალდებულიც იყო გაერკვია საქმის გარემოებანი, მოეთხოვა ყველა საჭირო დოკუმენტის და ინფორმაციის მიწოდება ან უკიდურეს შემთხვევაში ზედამხედველობის სამსახურის მემკვიდრით თავად დაედგინა ნებართვის გაცემისათვის საჭირო გარემოებანი და ამის შემდეგ მიეღო გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს 07.07.10წ. თანხმობა, რომლითაც ორგანო განმცხადებელს რთავდა ნებას მშენებლობა დაესრულებინა არსებულ გაბარიტებში, მ. ც-ისათვის წარმოადგენდა საკმარის საფუძველს მიეჩნია, რომ მის მიერ განხორციელდა ყველა საჭირო მოქმედება მიმდინარე მშენებლობის კანონმდებლობის მოთხოვნის ფარგლებში მოსაქცევად. დაინტერესებული პირი ენდობოდა ადმინისტრაციული აქტის სტაბილურობას და გამოიყენა ეს ნდობა – დაასრულა მშენებლობა, აქტის არამართლზომიერება არ შედიოდა მოსარჩელის პასუხისმგებლობის სფეროში. მხედველობაში იყო მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ ზედამხედველობის სამსახურიდან წერილის მიღების შემდეგ თანხმობის გაუქმებამდე ადმინისტრაციულ ორგანოს მშენებლობის შეჩერება არ მოუთხოვია. წერილობითი თანხმობის არ არსებობის შემთხვევაში მ. ც-ი არ შეასრულებდა იურიდიული მნიშვნელობის ქმედებას, დამატებითი ხარჯების განვითარ არ დაასრულებდა მშენებლობას, შესაბამისად სანქციის დაკისრებამდე მოახდენდა დაწყებული ნაგებობის დემონტაჟს, ამდენად, მას არ დაეკისრებოდა შენობის დემონტაჟი და 10000 ლარის ჯარიმის გადახდა, შესაბამისად, თავიდან აიცილდა მნიშვნელოვან ზიანს. თავის მხრივ დაინტერესებული პირისათვის ზიანის მიყენება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1.5</sup> მუხლის თანახმად იყო კანონიერი ნდობის არსებობის დამადასტურებელი გარემოება.

### დავის მხარეების იდენტურობა

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განმარტება 2009 წლის 14 იანვრის საქმეზე №ბს-482-461(კ-08) და 2009 წლის 2 დეკემბრის საქმეზე №ბს-1058-1016(2კს-09) (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba13.pdf>).

აღნიშნული ადმინისტრაციული საქმე ეხებოდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სარჩელს, რომლითაც მან ბინის პრივატიზების ბათილად ცნობა მო-



ითხოვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 19.02.82წ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაიცა ბინის ორდერი ვ. პ-ვის სასარგებლოდ, რომელმაც მოახდინა საცხოვრებელი ბინის, მდებარე ქ. თბილისი, ..., ბინა №22 პრივატიზება. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ პრივატიზების ხელშეკრულება დადებული იყო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, ვინაიდან 08.12.90წ. სსრ კავშირის დაშლასთან ერთად იურიდიულად გაუქმდა სსრკ თავდაცვის სამინისტრო, ასევე მის სისტემაში შემავალი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი. შესაბამისად, სსრკ თავდაცვის სამინისტროს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი და მისი საბინაო-საექსპლოატაციო ნაწილის სახლმმართველობა არ წარმოადგენდა სამართლის სუბიექტს, რომელიც სახელმწიფოს სახელით, საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილი ქონების პრივატიზაციის განხორციელებაზე იყო უფლებამოსილი.

უზენაესმა სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ 15.03.2000წ. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა საცხოვრებელი ბინის, მდებარე ქ. თბილისში, ..., ბინა №22, პრივატიზების ხელშეკრულების ბათილად ცნობა. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 15.01.01წ. გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის და ხანდაზმულობის გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოსა (14.05.03წ.) და საქართველოს უზენაესი სასამართლოს (20.02.04წ.) (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>) განჩინებებით. ხსენებული სასამართლო აქტებით სარჩელი მიჩნეულ იქნა ხანდაზმულად. სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ თავდაცვის სამინისტროს თავისი უფლების დარღვევის შესახებ სადავო ბინის პრივატიზების ხელშეკრულების დადებისთანავე (17.12.92წ.) უნდა შეეტყო.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალებით ასევე დადასტურებულად მიიჩნია, რომ 17.12.92წ. პრივატიზების ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მოთხოვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იმ მოთხოვნის მსგავსი იყო, რომელზედაც არსებობდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტები. საკასაციო პალატის განმარტებით, ორივე შემთხვევაში მოსარჩელეთა სამართლებრივ მიზანს, ინტერესს წარმოადგენდა სახელმწიფო ქონების უკან დაბრუნება. ბინის პრივატიზების ხელშეკრულების ბათილად ცნობის შემთხვევაში სადავო საცხოვრებელი ბინა აღმოჩნდებოდა არა რომელიმე სამინისტროს, არამედ სახელმწიფოს საკუთრებაში. ორივე შემთხვევაში სამინისტროები მოქმედებდნენ სახელმწიფოს ინტერესებში, საჯარო დაწესებულებას თავისი ინტერესი არ ჰქონდა, იგი იცავდა სახელმწიფო ინტერესს. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სამინისტროები იქმნებოდა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობისა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის თანახმად, სამინისტრო წარმოადგენდა აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელ ორგანოს, რომელიც განსაზღვრულ სფეროში უზრუნველყოფდა სახელმწიფო მმართველობას. სამინისტრო არ წარმოადგენდა იურიდიულ პირს, საჯარო სამართლის იურიდიული პირი იყო სახელმწიფო, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მიხედვით, სამართალურთიერთობებში მონაწილეობდა მისი ორგანოების მეშვეობით. ამდენად, ორივე შემთხვევაში საქართველოს თავდაცვისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროები საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფოს სახელით მოქმედებდნენ.

უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სხვადასხვა სამინისტროებს განსხვავებული უფლებები და მოვალეობები აქვთ, რომლებიც ერთმანეთისაგან როგორც შინაარსით,

ისე მოცულობით განსხვავდებიან. კომპეტენციების სრული დამთხვევა ზოგადი წესების მიხედვით არ უნდა ხდებოდეს, შესაბამისად, სამინისტროების კომპეტენციების სხვაობა განაპირობებდა უფლება-მოვალეობების მოცულობასა და შინაარს შორის სხვაობას, რაც თავისთავად გულისხმობდა თითოეული მათგანის დამოუკიდებელ საქროცესო სტატუსს.

საკასაციო პალატის განმარტებით, მართალია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კომპეტენციები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მათი კომპეტენციები სადავო უძრავი ქონების მიმართ იდენტური იყო. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ რიგი ნორმატიული აქტების საფუძველზე სამხედრო ობიექტები და მათ ბალანსზე რიცხული სოციალური და კულტურული დანიშნულების ობიექტები, ძირითადი ფონდები გადავიდა საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე. საქმის მასალების მიხედვით, კი ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით სახელმწიფო ქონების მესაკუთრეს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მრავალმხრივი რეფორმების გატარების პირობებში ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის კომპეტენცია გარკვეული დინამიურობით ხასიათდებოდა, ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის კომპეტენციის გადანაწილება არ იწვევდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს აქტით გადანყვეტილი საკითხის ხელახალი განხილვის შესაძლებლობას. სასამართლოს გადანყვეტილების იურიდიული შედეგი დამოკიდებული ვერ იქნებოდა დავის საგნის – უძრავი ქონების მიმართ სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილების გადანაწილებაზე, რადგან ამგვარი მიდგომა შედეგად გამოიწვევდა პერმანენტული სამართლებრივი გაურკვევლობის მდგომარეობას, ერთი და იგივე დავის რამდენიმეჯერ განხილვას.

უზენაესი სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ფაქტობრივად უტოლდებოდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების კანონიერების და დასაბუთებულობის კიდევ ერთი, დამატებითი პროცედურის დაშვებას, სასამართლო აქტების გადასინჯვის დადგენილი პროცედურის შეცვლას.

## ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა

### ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირათათვის დევნილის სტატუსის მინიჭება

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი
- „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 6 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ბს-142-141(კ-12) (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba49.pdf>).

აღნიშნული ადმინისტრაციული საქმე ეხებოდა რ. გ-ს სარჩელს, რომლითაც მან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, გან-

სახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის, ზიანის სახით – 2010 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 აპრილამდე პერიოდზე ყოველთვიურად 28 ლარის (მიუღებელი დევნილის შემწეობის თანხის) ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან (აფხაზეთიდან) იძულებით გადაადგილების შემდეგ, კასატორმა – რ. გ-მ დატოვა საქართველოს ტერიტორია (ისე, რომ არ მიუღია დევნილის სტატუსი) და გადავიდა საცხოვრებლად რუსეთის ფედერაციაში, სადაც მიიღო რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა და შესაბამისად, შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 14 აგვისტოს №517 ბრძანებულებით საქართველოში დაბადებულ, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე რ. გ-ს მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა. ამდენად, რ. გ-ა გახდა ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი.

2010 წლის 1 სექტემბერს რ. გ-მ განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და მისთვის დევნილის სტატუსის მინიჭება მოითხოვა. 2012 წლის მარტს რ. გ-იას მიენიჭა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული დავის სწორად გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ გარემოების დადგენას, წარმოადგენდა თუ არა რ. გ-ს მიერ 2010 წლის 1 სექტემბერს სამინისტროში განცხადების შეტანა (მის მიერ ნების გამოვლენა), ნამდვილი უფლების რეალიზების საფუძველს, ანუ მოჰყვებოდა თუ არა აღნიშნული ნების გამოვლენას რეალური შედეგი – დევნილის სტატუსის მინიჭება.

საკასაციო სასამართლომ 2010 წლის სექტემბერში მოქმედი „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ კანონი დევნილის სტატუსის განმსაზღვრელ აუცილებელ პირობად ითვალისწინებდა საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის მდგომარეობას, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში. ამდენად, პირის დევნილად ცნობისათვის აუცილებელი იყო დაცული ყოფილიყო როგორც სუბიექტურობის, ისე ტერიტორიულობის პრინციპი. ამასთან, კანონმდებლობა ითვალისწინებდა ხსენებული წესიდან ერთგვარ გამოწვევას, კერძოდ, როდესაც პირი ზემოაღნიშნული მიზეზების გამო მართალია დატოვებდა საქართველოს ფარგლებს, მაგრამ არ გავიდოდა საქართველოს იურისდიქციის სფეროდან, კერძოდ, არ მიიღებდა სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, დარჩებოდა საქართველოს მოქალაქედ, ხოლო საქართველოს ფარგლების დატოვების შემთხვევაში აღრიცხვაზე ასაყვანად მიმართავდა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას (კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი). ამდენად, კანონმდებელი აღნიშნული კანონის მოქმედებას ცალსახად ავრცელებდა იმ პირებზე, რომლებიც საქართველოს იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდნენ.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2011 წლის 23 დეკემბრის განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე ახლებურად ჩამოყალიბდა დევნილის ცნება და მის აუცილებელ ელემენტად კანონი აღარ ითვალისწინებდა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში გადაადგილებას. ამასთან, კანონმდებელმა დაუშვა დევნილის სტატუსის აღდგენის შესაძლებლობაც იმ შემთხვევაში, თუ პირს დევნილის სტატუსი შეწყვეტილი ჰქონდა კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მას მიენიჭა/აღუდგა საქართველოს მოქალაქეობა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ფარგლებს გარეთ გადაადგილებულ, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს, დევნილის სტატუსის მიღების უფლება მიენიჭა მხოლოდ 2011 წლის 23 დეკემბრის №5597-რს კანონით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, რომელიც ამოქმედდა 2011 წლის 30 დეკემბერს. ზემოაღნიშნულიდან, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის 2010 წლის 1 სექტემბრის განცხადებას პოზიტიური შედეგი – დევნილის სტატუსის მინიჭების სახით – 2011 წლის 30 დეკემბრიდან მოჰყვებოდა, მოპასუხის მიერ რ. გ-სთვის დევნილის სტატუსის მინიჭება კი – 2012 წლის მარტში (3 თვის დაგვიანებით) განხორციელდა, რის გამოც მას მატერიალური ზიანი მიადგა, კერძოდ, 2012 წლის იანვრიდან 2012 წლის აპრილამდე ვერ მიიღო დევნილთათვის განსაზღვრული ყოველთვიური შემწეობა.

## **ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საქმით მესამე პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვა**

### **აღმჭურველი აქტის ბათილად გამოცხადება**

#### **– საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 3 თებერვლის განმარტება საქმეზე □ბს-201-195(კ-09) (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba11.pdf>).

აღნიშნული ადმინისტრაციული საქმე ეხებოდა თ. ს-შვილის სარჩელს, რომლითაც მან თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილების 25-ე პუნქტის ბათილად ცნობა მოითხოვა. თ. ს-შვილის განცხადებით, სადავო დადგენილების 25-ე პუნქტით ლ. ვ-შვილს დაუმაგრდა მოსარჩელის სახელზე, ... ქ. №2-ში რიცხული 2003 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან დაახლოებით 400 კვ.მ მიწის ფართი და სახლთმფლობელობის ნაწილი. მოსარჩელის განცხადებით, არაპირდაპირი მფლობელისათვის მიწის ნაკვეთის ნაწილის და სახლთმფლობელობის გადაცემით პირდაპირი და უშუალო ზიანი მიადგა მის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილების საფუძველზე ლ. ვ-შვილმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის ქმედება, მოიპოვა საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე. თუმცა, საკასაციო სასამართლომ აქვე განმარტა, რომ საქმის არსებითი განხილვის გარეშე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს არ წარმოადგენდა სადავო აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის საფუძველზე იურიდიული მნიშვნელობის მოქმედების განხორციელება – სახლთმფლობელობის საჯარო რეესტრში მოპასუხის სახელზე რეგისტრაცია, აღმჭურველი აქტის მიმართ აქტის ადრესატის მხრივ კანონიერი ნდობის არსებობა (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლი).

საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ სადავო აქტის გაუქმება გამორიცხული იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის იმპერატიული დანა-



წესის გამო. ხსენებული ნორმის თანახმად „არ შეიძლება ამ კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული ან დადასტურებული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება, თუ პირმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება ამ აქტის საფუძველზე, გარდა ამ კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა“. საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლით კოდექსის ძალაში შესვლამდე გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის წინაპირობების შეკვეცა არ გამოორიცხავდა სასამართლოს მხრიდან სადავო აქტის მისი გამოცემის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებისადმი შესაბამისობაზე მსჯელობის შესაძლებლობას.

საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ ადმინისტრაციული აქტი, როგორც გენერალური მოწესრიგების, სამართლის ნორმის კონკრეტიზაციის და ინდივიდუალიზაციის აქტი, უნდა ემყარებოდეს სამართლებრივ საფუძველს მიუხედავად აქტის აღმჭურველი თუ ამკრძალავი ხასიათისა, რამდენადაც ერთი პირისათვის აღმჭურველი ხასიათის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაძლოა მესამე პირების უფლებების შეზღუდვა. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სადავო აქტი შეიცავდა როგორც აღმჭურველ, ასევე შემზღუდავ ნაწილს. უკანასკნელი კი ყოველთვის საჭიროებდა საკანონმდებლო საფუძველს. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლის მოქმედება ვრცელდებოდა იმ შემთხვევებზე, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ ზღუდავდა მესამე პირის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, სწორედ ასეთი აქტების მიმართ ხსენებული მუხლი აღიქმებოდა ერთგვარ „ამნისტიად“ და სახელდობრ ასეთი აქტების მიმართ იყო მუხლში გათვალისწინებული საგამონაკლისო წესები.

უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლი არ ვრცელდებოდა ისეთი აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიმართ, რომლებიც ზღუდავდნენ მესამე პირების უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს, ანუ თუ სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა შეუძლებელი იყო მოცემული აღმჭურველი აქტის გაუქმების გარეშე. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლი ვერ იქნებოდა მიჩნეული სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვის ნებართვად, ამგვარი მიდგომა მოკლებული იყო რაიმე სამართლებრივ საფუძველს, ამკარად უპირისპირებდა ხსენებულ ნორმას იერარქიით ზემდგომ, კერძოდ კონსტიტუციურ ნორმებს, ფაქტობრივად უტოლდებოდა სასამართლოს უფლებაზე უარის თქმას, რომელიც თავისი არსით ყველა სხვა უფლების გარანტიას წარმოადგენდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ თ. ს-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადასცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

# ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი

## განსჯადობა

### ინტელექტუალური საკუთრების შესახებ დავების განსჯადობა

- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლი
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ბს-424-413(გ-13) (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n72-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული დავებისათვის დამახასიათებელია პროცესუალური ორგვაროვნება. ინტელექტუალური საკუთრებითი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავა ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი მიმართულებისაა, ერთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს (სსიპ „საქპატენტის“) მიმართ გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის შესახებ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივია და შესაბამისად დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული, ხოლო მეორე მხრივ დაინტერესებული პირის მიერ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე უფლების დაცვის მოთხოვნა სამოქალაქო-სამართლებრივია.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ „საქპატენტის“ მიერ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე წარმოშობილი დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივია. განაცხადის მონაცემები ერთი თვის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში და მონაცემების ბიულეტენში გამოქვეყნებიდან სამი თვის ვადაში დაინტერესებულ პირს ეძლევა სააპელაციო პალატაში გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში შედავება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება, რადგან შედავება უშუალოდ შეეხება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებას. თუ სამი თვის ვადაში სააპელაციო პალატაში არ იქნება შეტანილი სააპელაციო საჩივარი, „საქპატენტი“ ახდენს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას სასაქონლო ნიშნების რეესტრში და მონაცემებს რეგისტრირებული ნიშნის შესახებ აქვეყნებს ბიულეტენში. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების სამთვიანი ვადის გასვლა არ გამოორიცხავს სასაქონლო ნიშნის მფლობელისადმი, როგორც ინტელექტუალური ობიექტის მესაკუთრისადმი, შედავების წარდგენის შესაძლებლობას. რეესტრში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეგისტრაცია ადასტურებს ობიექტის პირის საკუთრებაში ყოფნას. რეგისტრაციის მომენტიდან სასაქონლო ნიშანი სამრეწველო საკუთრებას წარმოადგენს და როგორც საკუთრების ობიექტი მონაწილეობს სამოქალაქო ბრუნვაში. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ სასაქონლო ნიშანი იქცევა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტად და საკუთრებითი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავა განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ხოლო საქპატენტი, როგორც რეგისტრაციის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე და მის აღსასრულებლად, შეიტანს შესაბამის ცვლილებას რეესტრში. დავის განსჯადობის საკითხს

არ ცვლის ის გარემოება, რომ კერძო სუბიექტებს შორის დავის გადაწყვეტამ შესაძლოა გამოიწვიოს საქპატენტის მიერ რეგისტრაციის შეცვლა, ასეთ შემთხვევაში რეგისტრაციის ცვლილება არ არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინიცირებული, მას არ აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ის არ არის წარმოშობილი ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და დეტერმინირებულია კერძო-სამართლებრივი ურთიერთობებით.

### **არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებელი სუბიექტის უფლებამონაცვლედ მიჩნევა**

- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 13 აპრილის განმარტება საქმეზე №ბს-787-761(კ-10) (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba9.pdf>).

აღნიშნული ადმინისტრაციული საქმე ეხებოდა გ. ც-ძის სარჩელს, რომლითაც მან ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის ადგილობრივი სამსახურის მიწერილობისა და დადგენილებების ბათილად ცნობა მოითხოვა. ამ აქტებით, მოსარჩელე დაჯარიმდა 2000 ლარით საცხოვრებელ სახლზე მესამე სართულისა და დამხმარე ნაგებობაზე მეორე სართულის ნებართვის გარეშე დაშენებისათვის, აგრეთვე 500 ლარით მიწერილობის შეუსრულებლობისათვის. გ. ც-ძის გარდაცვალების გამო საქმის წარმოება შეჩერდა და მის საპროცესო უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაერთო მისი მეუღლე ნ. ნ-ძე.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ც-ძის უფლებამონაცვლეს ნ. ნ-ძეს რაიმე სამშენებლო სამართალდარღვევა არ ჰქონდა ჩადენილი, მას არ მოუხდენია ნებართვის გარეშე საცხოვრებელი სახლის მესამე სართულის და დამხმარე ნაგებობაზე მეორე სართულის დაშენება, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მის მიმართ არ გამოწერილა მიწერილობა.

უზენაესი სასამართლოს განმარტებით, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ სუბიექტის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედება. ვინაიდან სადავო აქტი შედგენილი იყო კონკრეტული პირის – გ. ც-ძის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის გამო, რომელიც გარდაიცვალა, სასამართლომ ჩათვალა, რომ სადავო სამართალურთიერთობაში გარდაცვლილი გ. ც-ძის უფლებამონაცვლედ ვერ იქნებოდა მიჩნეული კასატორი ნ. ნ-ძე. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სადავო სამართალურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარე ანგარდაცვლილი მოსარჩელის გ. ც-ძის მემკვიდრე ნ. ნ-ძე არ წარმოადგენდა სადავო სამართალურთიერთობაში გ. ც-ძის უფლებამონაცვლეს, სამშენებლო სამართალდარღვევის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი კანონმდებლობა (საგადასახადო კანონმდებლობისაგან განსხვავებით – საგადასახადო კოდექსის 57.4, 8.23 მუხლები) არ შეიცავდა ასეთი უფლებამონაცვლეობის დამდგენ ნორმას. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ქმედების ჩამდენ პირს, სამართალდარღვევის ჩადენასთან დაკავშირებით სამართალდამრღვევის მემკვიდრის უფლებამონაცვლედ მიჩნევა, გარდაცვლილის მიერ

არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენისათვის ჯარიმის გარდაცვლილის მემკვიდრისათვის დაკისრება ენინააღმდეგებოდა ფუნდამენტურ პრინციპს – სამართალდარღვევისათვის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დაუშვებლობას, სხვისი ქმედების გამო პასუხისმგებლობის დაკისრების გამორიცხვას.

### ვალდებულების შესრულების და ხელშეკრულების მოქმედების ვადების გამიჯვნა

- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 5 მაისის განმარტება საქმეზე №ბს-1034-992(კ-09) (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba12.pdf>).

აღნიშნული ადმინისტრაციული საქმე ეხებოდა შპს „გ-ას“ სარჩელს, რომლის თანახმადაც, მოსარჩელესა (პურის სპეციალური მაღაზია ...-ის შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილი დროებითი ამხანაგობა, რომელიც შემდგომში შპს „გ-ად“ ჩამოყალიბდა) და ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტს შორის დადებული იყო მაღაზიის იჯარის ხელშეკრულება გამოსყიდვის პირობით, 10 წლის ვადით. მოსარჩელის განმარტებით, საიჯარო თანხის სრულად დაფარვის შემდეგ, მან მიმართა თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის მოთხოვნით, თუმცა უარი ეთქვა საიჯარო თანხების დაგვიანებით გადახდის გამო.

უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებულ განჩინებაში არ იყო გამიჯნული ვალდებულების შესრულების და ხელშეკრულების მოქმედების ვადები. უზენაესმა სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ თანხის გადახდის ვადის დარღვევასთან დაკავშირებით პრეტენზიის წარუდგენლობის გამო, მოიჯარის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევა ვერ მიიჩნეოდა მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტილად ცნობის და ვალდებულების განხორციელებაზე უარის თქმის საფუძვლად.

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დავა ეხებოდა არა სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის გამო ხელშეკრულების შეწყვეტილად ცნობას ან ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხელშეკრულების მოშლას, არამედ ხელშეკრულების ვადის ამონურვის გამო სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებას, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოსარჩელის მიერ იჯარით აღებული ქონების გამოუსყიდველობას.

უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების მხარის მიერ ვალდებულების შესრულების ვადა გადაცილებული იყო, თუ მოვალე საკუთარი ბრალით არ შეასრულებდა თავის ვალდებულებას სათანადო დროს. ვადა წარმოადგენდა ვალდებულების შესრულების აუცილებელ ელემენტს. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ხელშეკრულება მხარეებს შორის ათი წლის ვადით დაიდო, იმავე დღეს მეიჯარეს და მოიჯარეს შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი. მაშასადამე მეიჯარემ – ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტმა დროულად შეასრულა თავისი ვალდებუ-



ლება. ვადა ხელშეკრულებაში ზუსტად, კონკრეტული ვადით (2007 წლის 26 ივნისამდე) იყო განსაზღვრული. შესაბამისად, უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან სახეზე იყო ხელშეკრულების დასრულების თარიღი, იგი აღმკვეთი ხასიათის იყო, ხოლო აღმკვეთი ვადა სპობდა უფლება-მოვალეობას, რადგან ამ ვადის ამონურვასთან ერთად ილევოდა მხარეთა უფლება-მოვალეობის შესრულების ვადა. ვადაგანსაზღვრულ ხელშეკრულებებში, ვადა გადაცილებულად ითვლებოდა

თავისთავად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დადგომის მომენტიდან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების შეწყვეტამდე სამინისტროს ევალეობდა გამაფრთხილებელი მოქმედებების შესრულება.

უზენაესმა სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ხელშეკრულების ამონურვის შემდეგ დამატებითი ვადის დანიშვნა არ შეადგენდა კრედიტორის ვალდებულებას, რადგანაც გამოკვეთილად და ნათლად განსაზღვრული დღე თავისთავად აღარ საჭიროებდა შესენებას („დრო აფრთხილებს ადამიანის მაგივრად“). საკასაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების შესრულებისათვის წინასწარ იყო შეთანხმებული გარკვეული დღე, ხელშეკრულების შეწყვეტისათვის არ იყო საჭირო შესენება, ასეთ შემთხვევაში შესენება კრედიტორის უფლებას და არა მოვალეობას წარმოადგენდა.

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უკავშირდებოდა გამოსყიდვის უფლების გახანგრძლივებას, გამოსყიდვის უფლება კი, რომელიც შრომით კოლექტივს, პარლამენტის დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად, ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით კონკურსის გარეშე მიენიჭა, განეკუთვნებოდა საჯარო მონესრიგების სფეროს, გამოსყიდვისათვის საჭირო იყო საჯარო ნებართვა, მოცემულ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა როგორც საჯარო სამართლის სუბიექტი, შესაბამისად იგი მოქმედებდა მხოლოდ იმ უფლებამოსილების ფარგლებში, რომლებიც პირდაპირ იყო კანონით განსაზღვრული. კანონმდებლობა უძრავი ქონების გამოსყიდვას ითვალისწინებდა მხოლოდ დროის განსაზღვრულ ვადაში, გამოსყიდვის მაქსიმალური პერიოდი შეადგენდა 10 წელს, სწორედ ეს მაქსიმალური ვადა იყო გათვალისწინებული ხელშეკრულებაში, მიუხედავად ამისა მხარემ დადგენილ ვადაში არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების მიხედვით მყიდველს ცალმხრივად მიენიჭა უფლება შეეძინა უძრავი ქონება განსაზღვრულ დრომდე (შესყიდვის ოფცია), სახეზე იყო ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება, რომლითაც ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთ მხარეს, ხელშეკრულებით დათქმული პირობებიდან გამომდინარე, ეძლეოდა შესაძლებლობა განეხორციელებინა ნაკისრი ვალდებულება და შეეძინა საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე ან უარი ეთქვა მის შესრულებაზე.

უზენაესი სასამართლომ განმარტებით, ოფცია წარმოადგენდა უფლებას და არა ვალდებულებას, დათქმული ვადის გასვლის შემდეგ ნივთის მესაკუთრეს ეხსნებოდა შემსყიდველისათვის ქონების მიყიდვის ვალდებულება. იჯარა-გამოსყიდვის ვადის გასვლის შემდეგ, სახელმწიფო ქონების განკარგვა სახელმწიფოს ფართო დისკრეციის სფეროს განეკუთვნებოდა. სახელმწიფოს, სხვა ნებისმიერი მესაკუთრის მსგავსად, არ ეკისრებოდა საკუთარი ქონების განკარგვის ზოგადი ვალდებულება.

**დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის განსჯადობა, მაშინ როდესაც ძირითადი სასარჩელო მოთხოვნა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს წარმოადგენს**

**– საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მაისის განმარტება საქმეზე №ბს-224-223(გ-16) (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

თ. ჭ-მ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგეობის მიმართ. მოსარჩელის მითითებით, იგი თბილისის ისნის რაიონის გამგებლის ბრძანებით გათავისუფლდა თანამდებობიდან. აღნიშნულ გათავისუფლებას, მოსარჩელის მითითებით, წინ უძღვოდა მის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული შევიწროვება და მოპყრობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მისთვის შენიშვნის გამოცხადების შესახებ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 16 ოქტომბრის №16 ბრძანების, მისი გათავისუფლების შესახებ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 20 ოქტომბრის №41 ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურისა და გამოუყენებელი შვებულების თანხის – 1700 ლარის ანაზღაურება მოითხოვა. მოსარჩელემ ასევე, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგეობის მხრიდან მის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა და მისგან გამომდინარე მორალური ზიანის – 3000 ლარის ოდენობით ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინებით თ. ჭ-ის სარჩელიდან თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგეობის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, განაცდურის ანაზღაურების, საშვებულებო თანხის ანაზღაურების, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე ცალკე წარმოებად გამოიყო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნები. თ. ჭ-ის სარჩელი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გამგეობის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე განსახილველად გადაეგზავნა განსჯად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას; თ. ჭ-ის სარჩელზე თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გამგეობის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, განაცდურის ანაზღაურებისა და საშვებულებო თანხის ანაზღაურების მოთხოვნების ნაწილში შეჩერდა წარმოება სამოქალაქო სასამართლოს მიერ ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ კანონმდებლობა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, მისი აღმოფხვრისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე საქმეების განსჯადობას სამოქალაქო სასამართლოებს მიაკუთვნებს, შესაბამის საქმეთა განხილვისათვის სამოქალაქო საპროცესო ნორმებით სპეციალური წარმოებაა განსაზღვრული, რაც გამორიცხავს ამ საქმეთა ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ განხილვას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 თებერვლის განჩინებით თ. ჭ-ის სარჩელი საქმის მასალებთან ერთად გადაიგზავნა საქარ-

თველოს უზენაეს სასამართლოში განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად.

სასამართლოს მითითებით, სარჩელის არსი არის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის კანონიერებაზე მსჯელობა და იმის დადგენა, მართლაც ხომ არ ჰქონდა სამსახურიდან გათავისუფლებას პოლიტიკური ნიშნით ადგილი. სასამართლო ვერ შეაფასებს დისკრიმინაციული მოტივით მოხდა თუ არა მისი გათავისუფლება, თუ არ შეაფასებს სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლებს. სასამართლოს მიერ დისკრიმინაციის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამსახურიდან გათავისუფლებასთან და მათი განცალკევება შეუძლებელია. დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მოთხოვნის დამოუკიდებლად განხილვა გამოიწვევს იმას, რომ სამოქალაქო კოლეგიას მოუწევს იმსჯელოს სამსახურიდან გათავისუფლებაზე, რადგან სწორედ აღნიშნული წარმოადგენს სავარაუდო დისკრიმინაციულ ქმედებას, მან უნდა შეაფასოს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება და დისკრიმინაციის დადგენის შემთხვევაში დაავალოს დისკრიმინაციული ქმედების შედეგების აღმოფხვრა, რაც ასეთ შემთხვევებში მოიცავს სამსახურში აღდგენას. სამოქალაქო სამართლის არსს კი ენინააღმდეგება სამოქალაქო სასამართლოსთვის უფლებამოსილების მინიჭება ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს ინდივიდუალური აქტის გამოცემა ან ქმედების განხორციელება.

სასამართლოს აზრით, ნებისმიერი სახის სასარჩელო განცხადებით მიმდინარე სამართალწარმოებაში დისკრიმინაციული ნიშნით მიღებული გადაწყვეტილების შედავება, თავისთავად ვერ აქცევს ამ სარჩელს სამოქალაქოდ, სარჩელი განხილულ უნდა იქნეს იმ ზოგადი წესით, რითაც ძირითადი საკითხი განიხილება.

საკასაციო სასამართლომ საქმე განსჯადობით განსახილველად დაუქვემდებარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის და მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვა გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერების შემოწმებისგან დამოუკიდებლად არამართებულია და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნა დისკრიმინაციული ფაქტის დადგენისა და მისგან გამომდინარე მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დამოუკიდებლად სამოქალაქო დავათა კატეგორიას მიეკუთვნება, ხოლო სადავო სამართალურთიერთობა ძირითადი სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში – თ. ჭ-სათვის შენიშვნის გამოცხადების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 16 ოქტომბრის №16 ბრძანებისა და მისი გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 20 ოქტომბრის №41 ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, იძულებითი განაცდურისა და გამოუყენებელი შვებულების თანხის – 1700 ლარის ანაზღაურების თაობაზე, ატარებს საჯაროსამართლებრივ შინაარსს და ესადაგება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა ჩამონათვალს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან ძირითადი სასარჩელო მოთხოვნა (თ. ჭ-სათვის შენიშვნის გამოცხადების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 16 ოქტომბრის №16 ბრძანებისა და მისი გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 20 ოქტომბრის №41 ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურისა და გამოუყენებელი შვებულების თანხის – 1700 ლარის ანაზღაურება) გამომდინარეობდა ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, ხოლო ამ მოთხოვნის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა დისკრიმინაციის ფაქტის დადგე-

ნა და მორალური ზიანის ანაზღაურება, პროცესის ეკონომიურობის, მართლმსაჯულების სწრაფად და ეფექტურად განხორციელების, მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შემოწმებისას, სასამართლოს მხრიდან უნდა მოხდეს ამ სასარჩელო მოთხოვნების ერთობლივი განხილვა.

### საერთო განსჯადობა

- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ბს-425-414(გ-13) (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba54.pdf>).

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ იყო დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, სასამართლოს აღნიშვნით, მითითებული ნაწილი შეიცავდა სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებდა, რომ სარჩელი იურიდიული პირის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ორგანოს მიმართ წარედგინებოდა სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით და შესაბამისად, სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენდა სწორედ ის სასამართლო, რომლის იურისდიქციაც ვრცელდებოდა შესაბამისი მოპასუხის ადგილსამყოფელზე.

საკასაციო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის (ნივთობრივი განსჯადობა) პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანების და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ბათილად ცნობა, ასევე პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ. შესაბამისად, სადავო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი უნდა იქნას განმარტებული საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე.



ტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფელი იყო ქ. თბილისი. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა არა უძრავი ქონება, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებები ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. აღნიშნულის გამო, გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის საფუძველზე დადგენილი საერთო განსჯადობის წესები.

## ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემის მოთხოვნა

### „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სახელმწიფო სავალო ვალდებულებების დაფარვა

- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლი
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 23 მაისის განმარტება საქმეზე №ბს-622-610(კ-12) (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/622-610-12.pdf>).

დავა ეხებოდა სახელმწიფოს მიერ საშინაო ვალად აღიარებულ კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოშობილ ვალდებულებას. მოსარჩელე ითხოვდა სახელმწიფო სავალო ვალდებულებების დაფარვის წესის გამოცემას „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომლითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა ვალის დაფარვის წესი 1998 წლის სექტემბრამდე შემუშავება და წესის საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმება.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მართალია კომისიის მიერ რეკომენდაციების შემუშავება არ აუქმებს ვალის დაფარვის მექანიზმის შემუშავების ვალდებულებას, მაგრამ დასაფარი დავალიანების მასშტაბების გათვალისწინებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დავალიანების დაფარვის მექანიზმის რაციონალობას, გონივრულობას, დაფარვის პროცესის ორგანიზებულად წარმართვას, დაფარვის მექანიზმის ყველა პრობლემური საკითხის გათვლას და ა.შ., რაც სცილდება სასამართლო კომპეტენციის სფეროს, ვინაიდან მოთხოვნა ეხება ვალდებულების დაფარვის წესის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტის გამოცემას, ხოლო სასამართლო უფლებამოსილია თავისი განჩინებით მოაწესრიგოს სადავო საკითხი, თუ მოთხოვნა ითვალისწინებს ინდივიდუალური და არა ნორმატიული აქტის გამოცემას (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი). საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვალდებულების დაფარვის რეგულაციის შექმნა წარმოშობს სათანადო მონესრიგების შემოღებისათვის საექსპერტო დასკვნის შემუშავების საჭიროებას. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ოფიციალურ გამოცემაში არ გამოქვეყნებულა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 11.10.1999წ. №226 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო საშინაო ვალის და-

ფარვის წესი“, ხოლო ვინაიდან გამოქვეყნება არის ნორმათშემოქმედებითი პროცესის ბოლო, დამაგვირგვინებელი სტადია, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ვალის დაფარვის წესი არ ამოქმედებულა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობით შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსათვის სამართლებრივი ნორმების გამოცემა, ადმინისტრაციული ნორმათშემოქმედების უფლებამოსილების მინიჭება არის ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დელეგირებული სამართალშემოქმედების, კანონმდებლობის დეკონცენტრაციის, მისი დივერსიფიკაციის გამოვლინებაა. დელეგირებული ნორმათშემოქმედების სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი აზრი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ კანონის მოთხოვნათა დაცვით რეგულირების ამოცანების შესრულებაში ჩართული იქნეს აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური შესაძლებლობანი და მისი სპეციალიზებული პროფესიული ცოდნა, დელეგირების არსი ადმინისტრაციული ორგანოების სპეციალური ცოდნის და კომპეტენციის გამოყენებაში მდგომარეობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი კომისია არის სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე, რის გამოც მიუთითა მისი საქმეში ჩაბმის აუცილებლობის თაობაზე.

**სადავო საკითხის გადაწყვეტლად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის და ახალი აქტის გამოცემის დავალების წინაპირობები**

**– საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის განჩინება საქმეზე №ბს-585-572(4კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

მოსარჩელის მითითებით, მან სხვადასხვა დროს კერძო პირებისაგან შეიძინა ზუგდიდის რაიონის სოფელ ა...ში, გ...რსა და ე...ში მდებარე მიწის ნაკვეთები, რასაც დაუზუსტებელი მონაცემებით დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში, ამის შესაბამისად გაიცა რეესტრის ამონაწერები და საკადასტრო რუქები. საკუთრების რეგისტრაციის დროისათვის მითითებულ უძრავ ნივთზე ზედდება არ დაფიქსირებულა.

2012 წლის ნოემბერში მან ცვლილების რეგისტრაციის თაობაზე მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურს, მაგრამ იმ მოტივით, რომ მის მიერ წარდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზების მიხედვით მიწის ნაკვეთები იჭრებოდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთების საზღვრებში, მის განცხადებებზე სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა, ხოლო შემდეგ შეწყდა.

2013 წლის 3 აპრილს მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის, სს-ს და შპს-ს მიმართ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სს „...“ კაპიტალში შეტანის შესახებ სა-

ქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 31 ივლისის ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში თ. ქ-ვას მოთხოვნა გამოიყო ცალკე წარმოებად სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად, ხოლო სს „...“ პარტნიორთა 2012 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილების (რომლითაც უძრავი ქონება შპს „...“ კაპიტალში იქნა შეტანილი), ბათილად ცნობის ნაწილში ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 30 აგვისტოს განჩინებით სარჩელი დარჩა განუხილველად.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. ქ-ვას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები; ამავე გადაწყვეტილებით მოპასუხეებს – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალებათ საქმის გარემოებათა სრულყოფილი შესწავლისა და გამოკვლევის საფუძველზე, კანონით დადგენილი წესით, სადავო საკითხებთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკაზე (უზენაესი სასამართლოს 28.02.2013 წლის №ბს-367-363(კ-12) გადაწყვეტილება, (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>) და აღნიშნა, რომ თ. ქ-ას უფლების ობიექტის მონაცემები დასტურდება უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებებით და შესაბამისი საკადასტრო აზომვითი ნახაზებით, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას მინის ნაკვეთების ფართობის და კონფიგურაციის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელებულია სადავო მინის ნაკვეთების დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. შესაბამისად, რაიონულმა სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია თ. ქ-ას საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთების შპს „...“, შპს „...“, შპს „...“ და სახელმწიფოს სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაცია. რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო მინის ნაკვეთის რეკვიზიტები აღრიცხული იყო საჯარო რეესტრში, ქონება იმყოფებოდა თ. ქ-ვას მფლობელობაში, რის გამოც სავსებით შესაძლებელი იყო დაინტერესებული პირის დადგენა, მისი ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა, მისთვის აზრის გამოთქმის შესაძლებლობის მიცემა. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო ეცნობებინა დაინტერესებული პირისთვის – თ. ქ-სთვის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ივნისის განჩინებით უცვლელად დარჩა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ სადავო მინის ნაკვეთების სახელმწიფოს სახელზე პირველადი რეგისტრაციის დროს რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ისე, რომ არ გამოკვლეულა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ, მინის ნაკვეთის სახელმწიფოს სახელზე რეგისტრაციის განხორციელებამდე არსებობდა თუ არა ნაკვეთის სხვა პირის სახელზე რეგისტრაცია, არ დადგენილა სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობა სააღრიცხვო ბარათებთან და ამონაწერებთან, არ დადგენილა სადავო მინის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე მინის ნაკვეთების კოდები, მესაკუთრეები, გეოგრაფიული მდებარეობა, რათა არ ჰქონოდა ადგილი ერთი მინის ნაკვეთის მიმართ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩანაწერის განხორციელებას. გარდა ამისა, მინის ნაკვეთების რეგისტრაცია თ. ქ-ას სახელზე განხორციელდა გაცილებით ადრე, ვიდრე მოპასუხეების სახელზე, რასაც ადასტურებს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. ქვემდგომი სა-

სამართლოს გადაწყვეტილებები გასაჩივრდა საკაცო წესით მოპასუხეთა მიერ.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით (საქმე №ბს-367-363(კ-12) 28.022013წ. გადაწყვეტილება), მოცემულ დავასთან მიმართებაში არ დაუდგენია საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, შესაბამისად, არ შეუფასებია სახეზე იყო თუ არა გამოყენებულ გადაწყვეტილებაში ასახული და არსებული დავის ფაქტობრივ გარემოებათა იდენტურობა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებული მსჯელობისა თუ ცალკეულ ნორმათა სამართლებრივი შეფასებების ციტირებითა და კონკრეტულ დავათა მიმართ პირდაპირი მისადაგებით ფაქტობრივად იქმნება არსებული პრაქტიკის არასწორი ინტერპრეტაციისა და არასწორი ანალიზის საფრთხე.

საკასაციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკა არ შეხება ისეთ სამართალურთიერთობას, როდესაც სადავო უძრავ ქონებაზე უფლების გადასვლა მოხდა რამოდენიმე პირზე და კანონიერ ძალაშია მათი უფლების დამდგენი შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობები. ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი მოპასუხეების საკუთრებად რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან ზედდების ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია დადასტურებულად თ. ქ-ვას საკუთრების უფლების არსებობა სახელმწიფოსა და შემდგომ კერძო სამართლის სუბიექტების სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე, რომ არ დაუდგენია სადავო უძრავი ქონების სამართლებრივი მდგომარეობა და არ გამოუკვლევია თ. ქ-ვას უფლების დამდგენი დოკუმენტები.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით ფაქტობრივად სამართლებრივი ჩიხი შეიქმნა, რამდენადაც გაუგებარია რა სამართლებრივი აქტები უნდა გამოსცენ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურმა იმ რეგისტრაციებთან დაკავშირებით, რომელთა სამართლებრივი საფუძველიც რიგ შემთხვევაში სამოქალაქო დავის საგანია და არ არის გადაწყვეტილი, ხოლო რიგ შემთხვევებში მმართველობითი ღონისძიებების კანონიერება საერთოდ სადავოდ არ გამხდარა და ისინი იურიდიულ ძალას ინარჩუნებენ, ანუ არაა გაბათილებული თავად ის აქტები, რომლებმაც დაუდგინეს დაინტერესებულ მხარეებს უფლება უძრავ ქონებაზე.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ისე ცნო ბათილად უძრავი ქონების შპს „...“ და შპს „...“ სახელზე განხორციელებული რეგისტრაციები, რომ არ გაითვალისწინა, რომ უფლების დამდგენი დაკუმენტები ძალაში დარჩა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს შპს „...“ სახელზე განხორციელებული რეგისტრაციების ბათილად ცნობის მოთხოვნა თავსდება ადმინისტრაციული დავის ფარგლებში, თუ როგორც თანმდევი შედეგი, იგი სამოქალაქო დავის საგანს წარმოადგენს. აღნიშნულ სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ გააბათილა საკუთრების უფლების რეგისტრაცია, ხოლო იმ სამართლებრივი აქტების კანონიერების გადამოწმების საკითხის განხილვა შეჩერებულია, რაც საფუძვლად დაედო გაბათილებულ რეგისტრაციებს, რაც ფაქტობრივად სამართლებრივი ნონსენსია.



ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამიჯნოს მითითებული სასარჩელო მოთხოვნები განსჯადობისა და განხილვის რიგითობის გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა იმავე სასამართლოს.

**ანალოგიური განჩინებები:**

1. №ბს-9-9(2კ-15) 09.07.2015 (იხ. <http://prg.supremecourt.ge/default.aspx>)
2. №ბს-193-189(2კ-15) 24.09.2015 (იხ. <http://prg.supremecourt.ge/default.aspx>)
3. №ბს-120-118(2კ-15) 15.09.2015 (იხ. <http://prg.supremecourt.ge/default.aspx>)
4. №ბს-10-10(2კ-15) 15.09.2015 (იხ. <http://prg.supremecourt.ge/default.aspx>)

**სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება  
ადმინისტრაციულ ორგანოში**

**– ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის განჩინება საქმეზე №ბს-1285-1229(2კ-09) (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

ი. გ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ქ. თბილისის საკრებულოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურისა და მ. ჩ-ძის მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისის საკრებულოს 2008 წლის 29 აპრილის საკუთრების უფლების მოწმობისა და ამ მოწმობის თანამდევი შედეგების ბათილად ცნობა, ასევე, გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის დავალდებულება მოპასუხის სახელზე განხორციელებული რეგისტრაციის გაუქმება.

მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია მოპასუხის სახელზე განხორციელებული რეგისტრაცია, რადგან სადავო მინის ნაკვეთი რეგისტრირებული იყო მის სახელზე, ნაკვეთი არ იყო სახელმწიფოს საკუთრებაში და ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰქონდა უფლება განეკარგა იგი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – საკუთრების უფლების მოწმობის ბათილად ცნობის კანონით დადგენილი წინაპირობები, რადგან არ დარღვეულა მისი მომზადებისა და მიღების ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების წესები და იგი კანონის მოთხოვნათა სრული დაცვითაა გამოცემული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ბათილად იქნა ცნობილი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 4 აპრილის სხდომის გადაწყვეტი-

ლება მოპასუხისათვის მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ და აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული საკუთრების უფლების მონუმობა, ასევე ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის საკრებულოს 2008 წლის 29 აპრილის საკუთრების უფლების მონუმობის საფუძველზე გაცემებული საჯარო რეესტრის გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის სარეგისტრაციო ჩანაწერი.

სააკლაციო სასამართლომ კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნია სარეგისტრაციო სამსახურის მიერ საკუთრების უფლების რეგისტრაცია საკუთრების უფლების მონუმობის მართლზომიერად მიჩნევის პირობებშიც, რადგან რეგისტრაციის განხორციელების პერიოდში მოქმედი „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო გადაწყვეტილებას იღებს სარეგისტრაციო წარმოებაზე უარის თქმის შესახებ, თუ უძრავ ნივთზე რეგისტრირებული უფლება გამორიცხავს იმავე ნივთზე სარეგისტრაციოდ წარდგენილი უფლების რეგისტრაციას.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა სამართლებრივი შეფასება მისცეს მტკიცებულებებს, რომლებიც სადავო აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანოს განხილვისა და შეფასების საგანი არ ყოფილა. ასევე, წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობა არ ქმნიდა დავის კანონიერად და ობიექტურად გადაწყვეტის საკმარის წინაპირობას, მათი წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო, რის გამოც მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება სასამართლომ უნდა გამოიყენოს იმ ვითარებაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადავო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

ამ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე გამოსცა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომ ობიექტურად არ გამოუკვლევია საქმის გარემოებები და საკითხის გადაწყვეტისას დაეყრდნო მხოლოდ ერთადერთ მტკიცებულებას, რომლის სანდოობა სასარჩელო წესით გახდა სადავო და რომლის უზუსტობას ადასტურებს თავად საჯარო რეესტრი.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილი ჩატარება ანუ მხოლოდ სათანადო პროცედურის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება დიდწილად განაპირობებს მის კანონიერებას, დასაბუთებულობასა და მიზანშეწონილობას.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის გადაწყვეტისას მტკიცებულებათა მოპოვების გზით უნდა დაედგინა საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რაც მის მიერ არ განხორციელებულა; შესაბამისად, საკითხის ხელახალი განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სრულფასოვნად გამოიყენოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება და მტკიცებულებათა შეგროვება მოახდინოს მოწმეთა დაკითხვის, დაინტერესებულ მხარეთა მოსმენის ან სხვა ნებისმიერი კანონით განსაზღვრული პროცედურის ჩატარების მეშვეობით, მათ შორის, ადგილობრივი დათვალიერება, რათა დადგინოს სადავო მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთების კოდეტი, მესაკუთრეები, გეოგრაფიული მდებარეობა, მონუმის სახით დაკითხოს მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები, რათა სარწმუნოდ დადგინდეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტები.

## ადმინისტრაციული სამართალდარღვევა

### უნებართვო მშენებლობისთვის დაჯარიმება

#### – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 15 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ბს-391-386(3კ-12) (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba44.pdf>).

მოსარჩელე ნ. ი-ს განმარტებით, მან მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურიდან მიიღო მითითება, რომლის მიხედვით დაფიქსირებული იყო სამართალდარღვევა, კერძოდ, ადგილი ჰქონდა საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციას. მოსარჩელის განმარტებით, იგი უნებართვო მშენებლობისთვის 10 000 ლარით დაჯარიმდა. მოსარჩელე მიუთითებდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნაზე, რომლის საფუძველზეც ამტკიცებდა, რომ მას აღნიშნული სამართალდარღვევა არ ჩაუდენია.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე სადავოდ ხდიდა სამართალდარღვევის არსებობის ფაქტს, იმ გარემოებას, რომ მას სამშენებლო სამართალდარღვევა არ ჩაუდენია, ვინაიდან, ქ. თბილისში, ... ქ. №20-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი თავისი მახასიათებლებით მიეკუთვნებოდა კლასის შენობა-ნაგებობას, რომლის რეკონსტრუქციასაც მშენებლობის ნებართვა არ ესაჭიროებოდა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელემ 2008 წლის აგვისტოში განახორციელა სადავო რეკონსტრუქცია, ამ დროს კანონი კლასის შენობა-ნაგებობისათვის არც ნებართვის არსებობას საჭიროებდა და არც ადმინისტრაციული ორგანოსთვის მშენებლობის შეტყობინების ვალდებულებას ადგენდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსარჩელეს მშენებლობა 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ექნებოდა განხორციელებული, სახეზე არ იქნებოდა მის მიერ სამშენებლო კანონმდებლობის დარღვევა, ვინაიდან, საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ მოსარჩელემ არაერთგზის მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს იმ მოტივით, რომ კანონის შესაბამისად განხორციელებინა სადავო რეკონსტრუქცია. ამდენად, საქმეზე დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს სადავო რეკონსტრუქციის განხორციელებისას არ ჰქონდა დარღვეული „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილებით განსაზღვრული წესი.

საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ სამშენებლო სამართალდარღვევა თავისი ბუნებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენდა. ამასთან, იმისათვის, რომ პირი მიჩნეულიყო სამართალდამრღვევად, სახეზე უნდა ყოფილიყო სამართალდარღვევის შემადგენლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოორიცხული იყო პირის – როგორც სამართალდამრღვევის დაჯარიმება. საკასაციო პალატის განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში ნ. ი-ს სამართალდამრღვევად მიჩნევისათვის სახეზე უნდა ყოფილიყო მოსარჩელის მიერ განხორციელებული ქმედება, რომელიც მართლსაწინააღმდეგო იქნებოდა (კანონით უნდა იკრძალებოდა შესაბამისი ნებართვის/შეტყობინების გარეშე მოსარჩელის მიერ სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოება და კანონი უნდა ადგენდეს შესაბამის სახდელს უკანონო რეკონსტრუქციისათვის) და ბოლოს, სახეზე უნდა ყოფილიყო ბრალი (მოსარჩელის დამოკიდებულება მის მიერ განხორციელებული ქმედების მიმართ). საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო მშენებლობის განხორციელებისას კანონმდებლობა ნ. ი-ს არათუ მშენებლობის ნებარ-

თვის, არამედ, სათანადო ორგანოსათვის შეტყობინების ვალდებულებასაც კი არ აკისრებდა, ხოლო აღნიშნულის მიუხედავად, მოსარჩელემ მაინც მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს და მისგან შესაბამისი რეაგირება ითხოვა. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე დადგენილი გარემოებები გამორიცხავდა ნ. ი-ს მიერ სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენას, ვინაიდან, სახეზე არ იყო სამართალდარღვევის შემადგენლობა – მოსარჩელის ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, რაც თავის მხრივ საფუძველს აცლიდა მის დაჯარიმებას.

### დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება

- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 29-ე მუხლი
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 11 აპრილის განმარტება საქმეზე №ბს-1655-1627(კ-11) (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba25.pdf>).

აღნიშნული ადმინისტრაციული საქმე ეხებოდა ზ. ტ-ის სარჩელს, რომლითაც მან მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონული ცენტრის 20.12.10წ. №11419/21-18 საბაჟო შეტყობინების, შემოსავლების სამსახურის 31.01.11წ. №258 ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 14.03.11წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. მოსარჩელის განმარტებით, 30.11.10წ. საბაჟო გამშვები პუნქტის – „სადახლოს“ ტერიტორიაზე სომხეთის მხრიდან შემოვიდა მისი მართვის ქვეშ მყოფი „MERCEDES-ის“ მარკის მცირე სატვირთო ავტომანქანა, რომლის დათვალიერებისას ავტომანქანაში მოწყობილ სამალავში აღმოჩენილ იქნა არადეკლარირებული საქონელი – 400 კგ ყურძენი. სსიპ შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონული ცენტრის მიერ 30.11.10წ. ზ. ტ-ის მიმართ, საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შედგენილ იქნა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი №012257. სსიპ შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონული ცენტრის მიერ 20.12.10წ. გამოცემულ იქნა საბაჟო შეტყობინება №11419/21-18 და საბაჟო შეტყობინების წერილობითი დასაბუთება, რომლითაც ზ. ტ-ეს სანქციის სახით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალება „MERCEDES-ის“ მარკის მცირე სატვირთო ავტომანქანა.

სსიპ შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონული ცენტრის საბაჟო შეტყობინება მოსარჩელემ გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურში, რომლის 31.01.11წ. №258 ბრძანებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სსიპ შემოსავლების სამსახურის 31.01.11წ. №258 ბრძანება ზ. ტ-ემ გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში, რომლის 14.03.11წ. გადაწყვეტილებით საჩივარი სანქციის შეცვლის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელის განმარტებით, ავტომანქანა მ. ჩ-ის საკუთრებაა, რომელიც მართვის უფლებით გადაცემული ჰქონდა ზ. ტ-ეს. მოსარჩელემ მიუთითა, რომ არის 60 წლის, უმუშევარი და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო არ შესწევს უნარი ავტომანქანის მესაკუთრეს შეუძინოს სხვა ავტომანქანა. საქართველოს საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე მოსარჩელემ ითხოვა სანქციის შეცვლა და ავტომანქანის ჩამორთმევის სანაცვლოდ საქონლის საბაჟო ღირებულების 100%-ის ოდენობით დაჯარიმება.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციუ-



ლი ორგანოს მხრიდან მოსარჩელის მიმართ ჩადენილი საბაჟო სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდებისას დაირღვეული იყო საჯარო და კერძო ინტერესთა ბალანსი, არ იყო განსაზღვრული კასატორის მიმართ სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის გარეშე სხვა სანქციის შეფარდებით რატომ ვერ იქნებოდა მიღწეული სამართალდარღვევის საქმეთა განხილვის მიზანი. კონკრეტული ნორმით დადგენილი სანქციის ალტერნატივის არსებობა სწორედ ასეთ დასაბუთებას საჭიროებდა. უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში არადეკლარირებული ქონების ოდენობის (ღირებულების) გათვალისწინებით, ავტოსატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის ეძლეოდა სადამსჯელო, რეპრესიული ხასიათი, ეწინააღმდეგებოდა სამართლიანობის მოთხოვნებს. იმის გათვალისწინებით, რომ საჯარიმო სანქცია უკავშირდებოდა საკუთრების კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას, გამოყენებული სანქცია ყველა შემთხვევაში უნდა პასუხობდეს თანაზომიერების პრინციპს. ჩადენილი სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული სანქციის გამოყენებისას უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო იურიდიული თანასწორობა, გამოყენებული სანქცია უნდა ითვალისწინებდეს ჩადენილი ქმედების ხასიათს და იყოს თანაზომიერი იმ მიზნებთან და ღირებულებებთან, რომლის მიღწევასაც ისახავს საბაჟო რეჟიმის უზრუნველყოფი ნორმა, აღნიშნულის გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა შედეგად გამოიღოს ნორმის თვითნებური გამოყენება და განმარტება. ადმინისტრაციულმა ორგანომ სანქციის შეფარდებისას არ იმსჯელა სანქციის სახედ ავტოსატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის გამოყენების მართლზომიერებაზე. საქმის მასალების მიხედვით, სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც მართავდა ზ. ტ-ე არ წარმოადგენდა სამართალდამრღვევის საკუთრებას, ავტომანქანა ზ. ტ-ეს მხოლოდ მართვის უფლებით ჰქონდა გადაცემული მესაკუთრის მიერ. ის გარემოება, რომ საბაჟო ორგანო სანქციის დაკისრებისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით არ გამორიცხავდა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას გაეთვალისწინებინა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების წესები სახდელის დაკისრებისას, მხედველობაში მიეღო მისი პროპორციულობა და თანაზომიერება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი, სამართალდარღვევის სიმძიმე, სამართალდარღვევის ჩამდენის პიროვნება, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებდა გამოყენებული სანქციის ადეკვატურობას. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადანყვეტილების მიღება ავალდებულებდა ადმინისტრაციულ ორგანოს საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისად რამდენიმე გადანყვეტილებიდან შეერჩია ყველაზე მისაღები.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ამონებდა არა მხოლოდ კანონიერების, არამედ აგრეთვე მიზანშეწონილობის საკითხსაც, შესაბამისად, ქვედა ინსტანციის ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციას შესაძლებელი იყო ჩანაცვლებოდა ზემდგომი ორგანოს დისკრეცია. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მართლზომიერების შემოწმებისას ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო თავადაც იყენებდა დისკრეციულ უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება არ ნიშნავდა თანაზომიერების და კანონიერების პრინციპის უგულვებლყოფის შესაძლებლობას.

უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებდა, რათა ადგილი არ ჰქონოდა პროცედურულ დარღვევებს, კანონის ფარგლების გაცდენას, რასაც შესაძლოა შედეგად მოჰყოლოდა საკუთრების ხელყოფა, კანონიერების, სუბიექტის უფლებების დარღვევა. მეორეს მხრივ, დისკრეციული სფეროს არსებობას ობიექტური ფაქტორები განაპირობებდნენ, კანონი სრულად ვერ მოაწესრიგებდა ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც განსხვავდებიან ფაქტობრივი შემადგენლობით, სამართლებრივი რეგულირე-

ბის ფორმებითა და მეთოდებით. ამდენად, დავების საბჭოს მითითება მხოლოდ 242-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციის გამოყენებაში საბაჟო ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებაზე, არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული საჩივრის უარყოფის საკმარის საფუძველს. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ კანონმდებლობა სასამართლოს, როგორც ნორმის შემფარდებელ ორგანოს, ანიჭებს უფლებამოსილებას თავად აირჩიოს სამართლებრივი შედეგი ჩადენილი სამართალდარღვევისათვის. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სასამართლო ხელისუფლება ამონებს აღმასრულებელი ხელისუფლების, ადმინისტრაციული ორგანოების ნორმაშემფარდებითი საქმიანობის კანონიერებას და იგი არ არის შეზღუდული ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შედეგად პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად არ უნდა აღემატებოდეს იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ უნდა გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. დასაბუთების ვალდებულება განპირობებულია ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების მიზნით. დასაბუთებაში უნდა აღნიშნულიყო შეხედულებები, მოსაზრებები და გარემოებები, რომლებსაც ადმინისტრაციული ორგანო დაეყრდნო გადაწყვეტილების მიღების დროს, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასაბუთების, როგორც თვითნებობისაგან დაცვის ვალდებულების, იგნორირება წარმოადგენდა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში შეცდომის დადგენის და აქტის გაუქმების საფუძველს.

### სამართალდარღვევის განმეორებითად მიჩნევა

#### – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 39-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 26 იანვრის განმარტება საქმეზე №ბს-903-877(კ-10) (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba14.pdf>).

აღნიშნული ადმინისტრაციული საქმე ეხებოდა შპს „ა-ოს“ სარჩელს, რომლითაც მან შემოსავლების სამსახურის მიერ დარიცხული 9500 ლარის ჩამონერა მოითხოვა. მოსარჩელის განმარტებით, მას ჩაბარდა თელავის რეგიონალური ცენტრის ბრძანება და საგადასახადო მოთხოვნა, რომლის თანახმადაც შპს „ა-ო“ მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებას ახორციელებდა საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე, რითაც მან განმეორებით დაარღვია საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები და დაჯარიმდა 10000 ლარით. მოსარჩელის მითითებით, უკანასკნელ ორ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმების შედგენას შორის დროის ინტერვალი ერთ წელზე მეტი იყო, შესაბამისად, ქმედება არ უნდა ჩათვლილიყო განმეორებითად და ჩადენილი სამართალდარღვევისთვის იგი უნდა დაჯარიმებულიყო არა 10000 ლარით, არამედ 500 ლარით.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სადავო აქტების გამოცემისას საგადასახადო ორგანოს მხოლოდ საგადასახადო კოდექსით დადგენილი ნორმებით უნდა ეხელმძღვანელა და ქმედება, სამართალდარღვევებს შორის დროის ინტერვალის მიუხედავად, განმეორებით ჩადენილად მიეჩნია.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სადავო აქტების გამოცემის დროს მოქმედი საგადა-

სახადო კოდექსის შესაბამისი რედაქცია ითვალისწინებდა მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესს და მისი დარღვევისათვის დაწესებულ სანქციებს. კოდექსი არ განსაზღვრავდა ვადას, რომლის განმავლობაშიც ქმედება ჩაითვლებოდა განმეორებითად ჩადენილად და პირი საგადასახადო სახდელდაუდებლად. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნული რეგულაციის არ არსებობა არ ნიშნავდა სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენილად მიჩნევისათვის განვლილი დროის ფაქტორის, სამართალდარღვევებს შორის დროის ინტერვალის საერთოდ გამორიცხვას. განვლილი დროის პერიოდს მნიშვნელობა ჰქონდა პირთა უფლება-ვალდებულებებზე.

უზენაესი სასამართლოს განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ საგადასახადო კოდექსი არ ითვალისწინებდა სპეციალურ მონესრიგებას, საგადასახადო ორგანოს, საგადასახადო კოდექსის ნორმებთან ერთად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის დებულებები უნდა გაეთვალისწინებინა. უზენაესი სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 39-ე მუხლი ადგენდა ქმედების განმეორებითობის პერიოდს, ხსენებული მუხლის შენიშვნის თანახმად, სახდელის სახით ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში პირი სახდელდაუდებლად ჩაითვლებოდა, თუ იგი ჯარიმის დაკისრების დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ ჩაიდენდა ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. საკასაციო პალატამ, ბოლო სამართალდარღვევებს შორის დროის ინტერვალის ხანგრძლივობა ქმედების არაერთგზისობის გამომრიცხავ გარემოებად მიიჩნია და ჩათვალა, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას არ არსებობდა საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გაზრდილი საჯარიმო სანქციის გამოყენების საფუძველი.

## კონკრეტული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სუბიექტი

– საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129<sup>1</sup>-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის განმარტება საქმეზე №ბს-724-696(კ-08) (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba8.pdf>).

აღნიშნული ადმინისტრაციული საქმე ეხებოდა ბ. შ-ას სარჩელს, რომლითაც მან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ბათილობა მოითხოვა. აღნიშნული ოქმით იგი დაჯარიმდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 129<sup>1</sup>-ე მუხლით, ტვირთამწეობის დადგენილი ნორმის ზევით ავტოსატრანსპორტო საშუალებით ტვირთის გადაზიდვისათვის.

უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის და ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრება იმის შესახებ, რომ მძლოლი არ იყო 129<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის სუბიექტი. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ამგვარი დასკვნა არ გამომდინარეობდა ნორმის შინაარსიდან, რომლის განმარტების არც ერთი ხერხი (გრამატიკული, ისტორიული, ლოგიკური, სისტემური) არ იძლეოდა ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „ოპერატორი“ ლათინური სიტყვა (ოპერატორ) იყო და ნიშნავდა პირს, რომელიც რთული მექანიზმების მუშაობას წარმართავს, ანუ სხვადასხვა სახის მანქანაზე ოპერაციების შემსრულებელს. უზენაესმა სასამართლომ ასევე მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ 129<sup>1</sup>-ე მუხ-

ლში 28.04.06წ. კანონით შეტანილი ცვლილების თანახმად, მუხლს დაემატა შენიშვნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულების დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, ჯარიმა შეიცვლებოდა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით ერთი წლის ვადით (შენიშვნის ეს რედაქცია 23.06.06წ. კანონით შეიცვალა). შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ამგვარი სანქციის გატარება მხოლოდ მძღოლის მიმართ იყო შესაძლებელი, აღნიშნული კი ცხადად ადასტურებდა იმას, რომ კანონმდებელი 129<sup>1</sup>-ე მუხლის სუბიექტში მძღოლს გულისხმობდა.

უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მძღოლის უნარ-ჩვევების, საქმიანი ჩვეულებების დონეზე მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით ავტოტრანსპორტის მძღოლის მიერ გაბარიტების და დატვირთვის ზღვრული ნორმის დაცვის ვალდებულების არსებობა და ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დადგომის შესაძლებლობა, სავსებით ცხადი იყო და არ იწვევდა ეჭვს.



## სოციალური დავები (შრომა და კომპენსაცია)

### მშობიარობის გამო დახმარების გაცემა

- საქართველოს შრომის კოდექსის 29-ე მუხლი
- საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-190-187(კ-11) (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba10.pdf>).

აღნიშნული ადმინისტრაციული საქმე ეხებოდა გ. პ-შვილის სარჩელს, რომლითაც მან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელების დავალება მოითხოვა. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ანაზღაურების მოთხოვნა, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს რუსთავის სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ არ დაკმაყოფილდა. უარის მიზეზად მას განემარტა, რომ საავადმყოფო ფურცელი დამსაქმებელთან წარდგენილი არ ყოფილა ფაქტიური შრომისუუნარობის პერიოდში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ის გარემოება, რომ საავადმყოფო ფურცელი გაცემულ იქნა არა შრომისუუნარობის დაწყებიდან არამედ მოგვიანებით, არ გამორიცხავდა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ვინაიდან კანონმდებლობა ითვალისწინებდა საავადმყოფო ფურცლის გაცემის შესაძლებლობას მშობიარობის შემდეგაც.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ ვინაიდან სხვა სახის შრომისუუნარობისას საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესისაგან განსხვავებით, მშობიარობის გამო საავადმყოფო ფურცლის გაცემის შემთხვევაში იმთავითვე განისაზღვრებოდა მისი გახსნისა და დახურვის თარიღი, საფუძველს მოკლებული იყო მონინალმდეგე მხარის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ შრომისუუნარობის დაწყების შემდეგ საავადმყოფო ფურცლის გახსნის შემთხვევაში გ. პ-შვილს შეეძლო ნებისმიერ დროს, თუნდაც ერთი წლის

დაგვიანებით მიეღო საავადმყოფო ფურცელი და წარედგინა იგი დახმარების მისაღებად საავადმყოფო ფურცლის დახურვიდან 6 თვიან ვადაში. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საავადმყოფო ფურცლის გახსნისა და დახურვის თარიღი, ასახავდა პირის რეალური შრომისუუნარობის პერიოდს, ფურცელი გაცემული იყო შრომისუუნარობის პერიოდში და თუნდაც მოგვიანებით საავადმყოფო ფურცლის მიღება არ იწვევდა აღნიშნული თარიღების შეცვლას.

საკასაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ გ. პ-შვილს, როგორც დასაქმებულს არ გააჩნდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან შრომისუუნარობის გამო დახმარების მიღების უფლება. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტი და მისი გაცემის ვალდებულება გააჩნდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, მიუხედავად იმისა, დამსაქმებელი და დასაქმებული შეთანხმდებოდნენ თუ არა სხვა დამატებით ანაზღაურებაზე. შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ მშობიარობასთან დაკავშირებით თანხის გაცემა არ გამორიცხავდა მუშაკის უფლებას მოეთხოვა მშობიარობის გამო კანონმდებლობით გათვალისწინებული დახმარების თანხა.

## ორსული საჯარო მოსამსახურის სამსახურიდან განთავისუფლება

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლი
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 111-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განმარტება 2014 წლის 27 თებერვლის საქმეზე №ბს-388-377(კ-13) და 2014 წლის 18 თებერვლის საქმეზე №ბს-463-451 (კ-13) (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba111.pdf>).

მოცემულ ადმინისტრაციულ საქმეში საკასაციო სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია, შტატების შემცირების გამო ორსული საჯარო მოსამსახურის თანამდებობიდან განთავისუფლება და აღადგინა იგი შესაბამის თანამდებობაზე. სასამართლოს განმარტებით შტატების შემცირების გამო მოხელის (ქალის) თანამდებობიდან განთავისუფლება ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში, მისი სამუშაოზე დარჩენის კანონით გარანტირებული უპირატესი უფლების გამო დაუშვებელი იყო.

აღნიშნული ადმინისტრაციული საქმე ეხებოდა ე. ბ-შვილის სარჩელს, რომლითაც მან ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა. მოსარჩელემ მიუთითა, რომ რეორგანიზაციის შედეგად შტატების შემცირების გამო იგი განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ განთავისუფლების მომენტისათვის ის 19-20 კვირის ორსული იყო.

აღნიშნულ საქმეში, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 36.3 მუხლი ერთი მხრივ აღიარებს დედათა და ბავშვთა უფლებების (მათ შორის დედის შრომის უფლების) განსაკუთრებული დაცვის საჭიროებას, ხოლო მეორე მხრივ, ავალდებულებს კანონმდებელს მიიღოს სათანადო რეგულაციები. საჯარო მოსამსახურე ქალის შრომის უფლების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიებს ითვალისწინებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი, რომლის 111-ე მუხლი დანესებულების ადმინისტრაციისათვის მოხელე ორსული ქალის სამსახურიდან გათავისუფლების შეზღუდვას აწესებს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 111-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოხელე (ქალი) არ შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე, ატესტაციის შედეგების გამო. ამდენად, აღნიშნული მოწესრიგებით კანონმდებელი მიზნად ისახავს არა მხოლოდ ორსული მოხელე ქალის შრომითი უფლებების დაცვას და მისთვის დამატებითი სოციალური გარანტიების შექმნას, არამედ აგრეთვე 3 წლამდე ბავშვის ინტერესების განსაკუთრებული დაცვის უზრუნველყოფას.

საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ამ სამართლებრივი სიკვთების მომეტებული დაცვის საჭიროებაზე საერთაშორისო აქტებიც მიუთითებენ. „ევროპის სოციალური ქარტიის“ 8.2 მუხლის თანახმად, ორსულობისა და ბავშვის გაჩენის შემდეგ დასაქმებულ ქალთა უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეებმა იკისრეს ვალდებულება უკანონოდ მიიჩნიონ დამსაქმებლის მიერ ქალისათვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილება, ქალის მიერ ფეხმძიმობის შესახებ დამსაქმებლისათვის ინფორმაციის მიწოდებიდან დეკრეტული შვებულების დასრულებამდე პერიოდის განმავლობაში ან ქალისათვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ შეტყობინების გადაცემა ამ პერიოდის ამონაწილს. მართალია აღნიშნული ნორმა რატიფიცირებული არ არის საქართველოს პარლამენტის მიერ, თუმცა „ევროპის სოციალურ ქარტიასთან“ მიერთებით (საქართველოს პარლამენტის 01.07.056. №1876 დადგენილება), საქართველომ

იკისრა ისეთი პირობების უზრუნველყოფის ვალდებულება, რომლებიც შესაძლებელს გახდის ქარტიით გათვალისწინებული რიგი უფლებებისა და პრინციპების ეფექტურ განხორციელებას, რომელთა შორისაა ბავშვის დაბადების შემთხვევაში, დასაქმებული ქალის მიერ სპეციალური დაცვის მოთხოვნის უფლება („ევროპის სოციალური ქარტიის“ პირველი ნაწილის მე-8 პუნქტი). ამასთან, „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ (რეატიფიცირებულია საქართველოს უზენაესი საბჭოს 15.09.1991წ. დადგენილებით) 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დედობა და ჩვილი ბავშვის ასაკი იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლებას.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, ორსული ქალის სამსახურიდან განთავისუფლების მხოლოდ საკანონმდებლო აკრძალვა საკმარისი არ არის მოხელის უფლებების რეალური დაცვისთვის, სახელმწიფო ორგანოებმა, სათანადო ნორმატიული საფუძვლების გათვალისწინებით, უნდა მოახდინონ ორსულ ქალთა უფლებების დაცვის პრაქტიკული უზრუნველყოფა.

ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ორსული მოხელის მიერ სამუშაოზე დარჩენის „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული უპირატესობით სარგებლობის უფლების რეალიზებისათვის მოსარჩელე უნდა აღდგენილიყო სამსახურში.

მოცემულ ადმინისტრაციულ საქმეში საკასაციო სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია 7 თვის ორსული საჯარო მოსამსახურის თანამდებობიდან განთავისუფლება და ადმინისტრაციულ ორგანოს საქმის გარემოებების სათანადოდ გამოკვლევის შემდეგ ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა დაავალა. სასამართლომ განმარტა, რომ მოხელის სამსახურიდან პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლების შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა შეეფასებინა მოხელის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობა ანუ ნება გამოვლენილი იყო თუ არა თავისუფლად, შეუზღუდავად, არაკეთილსინდისიერი ზემოქმედებისგან დაცულად. ამასთან, ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა გაეთვალისწინებინა საჯარო მოხელის განსაკუთრებული მდგომარეობა – ორსულობა.

აღნიშნული ადმინისტრაციული საქმე ეხებოდა ნ. მ-ძის სარჩელს, რომლითაც მან სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა. მოსარჩელის განმარტებით, იგი სამსახურიდან განთავისუფლეს უკანონოდ, განთავისუფლების ბრძანებაში მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება პირადი განცხადების საფუძველზე. მოსარჩელის მტკიცებით, მართალია, განცხადება მისი დანერგილი იყო, მაგრამ არ გამოხატავდა მის ნებას, მისი ნება გამოვლენილ იქნა ძალდატანებისა და მოტყუების საფუძველზე. სამსახურიდან განთავისუფლების მომენტისათვის იგი 7 თვის ორსული იყო.

აღნიშნულ საქმეში საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საჯარო მოსამსახურის მიერ განცხადების დაწერა სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე არის მისი ნების გამოვლენა, თუმცა, ნება გამოვლენილი უნდა იყოს თავისუფლად, შეუზღუდავად, არაკეთილსინდისიერი ზემოქმედებისგან დაცული. ამდენად, ნების თავისუფალი გამოვლენის საკითხი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გამოკვლევას და შეფასებას ექვემდებარება. ნების გამოხატვის ნამდვილობის დადგენა ემსახურება ნების გამოხატვის თავისუფლების პრინციპის რეალიზაციას, რაც გულისხმობს, რომ კონკრეტული ქმედება, არჩევანი, გადაწყვეტილება უნდა წარმოადგენდეს პირის ნამდვილ ნებას, იგი არ უნდა იყოს პროვოცირებული ძალადობის, იძულების, მუქარის, დაპირების, შანტაჟის და სხვა პირის არაკეთილსინდისიერი ზემოქმედებით ჩამოყალიბებული ან განპირობებული.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ორსულ ქალთა და მათი უფლებების განსა-

კუთრებული დაცვის რეჟიმში მოქცევა მისი ობიექტური მდგომარეობითაა განპირობებული. ორსულობის პერიოდში ქალის ორგანიზმში მიმდინარე ფსიქოემოციური სფეროს ცვლილებების გათვალისწინებით, ორსული ქალის ნების გამოვლენის ნამდვილობა საჭიროებს სრულიად სპეციფიურ გამოკვლევას, თუ რა გარემოებებით არის გამოწვეული სურვილი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, რა შედეგების მომტანია ეს მისთვის, ბავშვის ინტერესებისათვის და სრულად აცნობიერებს თუ არა ის ნების გამოვლენის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შედეგებს. წინამდებარე დასკვნა არ უნდა იყოს გაგებული იმგვარად, რომ ორსული ქალის ან მეძუძური დედის ნების გამოვლენა არსებითად განსხვავდება ქმედუნარიანი პირის ნების გამოვლენისგან, არამედ, ორსულ ქალთა სამართლებრივი დაცვის განსაკუთრებული სტანდარტი საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით უნდა გამოვლინდეს მტკიცების ტვირთის სპეციფიკური გადანაწილებით.

ამავე გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ იმსჯელა საჯარო შრომით-ურთიერთობების მონაწილეთა უფლება-მოვალეობებზე, საჯარო სამსახურის დანესებულების ხელმძღვანელსა და საჯარო მოხელეს შორის ურთიერთობის ფორმებსა და მის სამართლებრივ შედეგებზე, საჯარო მოსამსახურის განთავისუფლების გადაწყვეტილების მომზადებასა და გამოცემის სამართლებრივ წესზე, ასევე ევროპის ქვეყნებში შრომის უფლებასა და კონკრეტულად, ქალთა შრომის უფლებაზე და ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული ქალთა უფლებების დაცვის ნორმების საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგებაზე.

### საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კომპენსაციის გაანგარიშება

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლი
- „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის განჩინება საქმეზე №ბს-707-693(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

მოსარჩელე 1982 წლიდან 2006 წლის 14 მარტამდე მუშაობდა რაიონული სასამართლოს მოსამართლედ. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 მარტის №195 ბრძანებულებით პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. 2012 წლის 12 ოქტომბერს მას შეუსრულდა 65 წელი და მან განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებას სახელმწიფო გასაცემლის დანიშვნის მოთხოვნით. თუმცა, სააგენტოს გადაწყვეტილებით მას უარი ეთქვა სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნაზე იმ საფუძველით, რომ ვერ აკმაყოფილებდა სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის პირობებს, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არ იყო გაცემული წარდგინება და ასევე იგი გათავისუფლებული იყო პირადი განცხადების საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში, რომლის გადაწყვეტილებით მას უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე. ამის შემდგომ მან საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართა, რომელმაც მიმართვა თანდართული დოკუმენტებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონ-



ნულ განყოფილებაში გადააგზავნა. თუმცა, განმცხადებელს კვლავ უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რის გამოც მან მიმართა სასამართლოს ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით, ასევე მოითხოვა სოციალური მომსახურების სააგენტოს ... რაიონული განყოფილებისთვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის შესახებ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალა.

... რაიონული სასამართლოს 2013 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტები, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებას მოსარჩელისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის ნაწილში ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთი თვის ვადაში გამოცემა დაევალა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი პირობების შესაბამისად აკმაყოფილებდა სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის უფლებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით გაუქმდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1999 წლის 11 მაისს, ხოლო შემდეგ – 2001 წლის 16 აგვისტოს ისე დაეკისრა მოსარჩელეს სამოსამართლო უფლებამოსილებათა განხორციელება ჯერ 2001 წლის 16 აგვისტომდე ვადით და შემდეგ - 2001 წლის 13 სექტემბრიდან 18 თვის ვადით, რომ საქართველოს პრეზიდენტს არ გამოუცია სამართლებრივი აქტი (განკარგულება) ამ მოსამართლის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე არ გვევლინება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და არც „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის სუბიექტად, ვინაიდან, მოსამართლისთვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის შესაძლებლობა წარმოიშობა ორი იურიდიული ფაქტის თანაარსებობისას; 1) მოსამართლემ თავისი სამოსამართლო კარიერა/სამოსამართლო საქმიანობა საბოლოოდ, სრულად უნდა დაასრულოს სამოსამართლო უფლებამოსილების იმ ვადის ამონურვის გამო, რა ვადითაც იგი გამწესდა მოსამართლის თანამდებობაზე; 2) მოსამართლის თანამდებობაზე აღარმყოფ პირს უნდა შეუსრულდეს 65 წელი; სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის დასრულების იურიდიული ფაქტი დროში წინ უნდა უსწრებდეს შესაბამისი ასაკის დადგომის იურიდიულ ფაქტს. სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ამონურვა, თუკი პირს ჯერ კიდევ არ შესრულებია 65 წელი, როგორც ფაქტობრივი საფუძველი, არასაკმარისია იმისთვის, რომ პირმა მოითხოვოს სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა; ვადის ამონურვის პირობებში დაინტერესებული პირი ელოდება 65 წლის ასაკის შესრულებას.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა ორგანულად არის დაკავშირებული საკითხთან იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელი

საფუძვლით მოხდა მოსამართლის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება, საბოლოოდ როდის და რომელი საფუძვლით შეწყდა, დასრულდა სახელმწიფოსა და მოსამართლეს შორის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლი, აგრეთვე „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი არ უშვებს 65 წლის ასაკს მიღწეული ყოფილი მოსამართლისთვის კომპენსაციის დანიშვნის შესაძლებლობას, თუკი ამ უკანასკნელმა მოსამართლის თანამდებობა დატოვა არა ვადის ამონურვის, სასამართლოს ლიკვიდაციის, ან საპენსიო ასაკისთვის მიღწევის გამო, არამედ პირადი განცხადების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა საკასაციო წესით.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2001 წლის 16 აგვისტოს სამოსამართლო უფლებამოსილების 10-წლიანი ვადის ამონურვით მოსარჩელეს წარმოეშვა კომპენსაციის მიღების კანონიერი საფუძველი, მას შემდეგ რაც მას შეუსრულდებოდა საპენსიო ასაკი – 65 წელი. ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, ისევე როგორც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ მოსამართლე კომპენსაციის დანიშვნას სწორედ 1999 და 2001 წლებში მოპოვებული უფლების საფუძველზე ითხოვდა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კომპენსაციის მიზნებიდან და მისი დანიშვნის საფუძვლებიდან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც კომპენსაცია თავისი არსით მოსამართლისთვის დამატებითი სოციალური დაცვის გარანტს უნდა წარმოადგენდეს, დაუშვებელია მას კომპენსაციის დანიშვნაზე უარი მხოლოდ იმ საფუძვლით ეთქვას, რომ მან სამოსამართლო უფლებამოსილების ამონურვისა და სასამართლოს ლიკვიდაციის შემდგომ კვლავ განაგრძო სამოსამართლო საქმიანობა, ხოლო პირადი განცხადებით მას შემდეგ გათავისუფლდა, როდესაც მას კომპენსაციის მიღების უფლება უკვე მოპოვებული ჰქონდა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ 24 წლის განმავლობაში სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება არათუ განამტკიცებს კომპენსაციის მიღების უფლებას, არამედ იგი გავლენას ახდენს კომპენსაციის ოდენობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით ბათილად ცნო გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტები და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა.

**საჯარო სამსახურში დასაქმებული ადვოკატთა ასოციაციაში განევრიანებული ადვოკატის სამსახურებრივი შეუთავსებლობა**

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 64-ე მუხლი
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 104-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ივლისის განჩინება საქმეზე №ბს-69-67(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

მუნიციპალიტეტის გამგეობის განყოფილების უფროსმა მოითხოვა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ... მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის 4 ივნისის №988 ბრძანების ბათილად ცნობა და სამუშაოზე აღდგენა. მოსარჩელის განმარტებით, 2011

წლის 4 თებერვლიდან 2013 წლის 4 ივნისამდე იგი მუშაობდა ... მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. 2011 წლის 17 იანვრიდან დღემდე ირიცხება სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში საერთო სპეციალიზაციით. ... მუნიციპალიტეტის გამგებელმა თავისი ბრძანებით გაათავისუფლა იგი სამსახურიდან, გაათავისუფლების საფუძვლად მიუთითა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის 39.3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი, 44.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 10.3 მუხლი, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის 13.1 მუხლი და 13.2 მუხლები.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ბრძანება თანამდებობიდან გაათავისუფლების შესახებ; მოსარჩელე აღდგენილ იქნა ... მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, ... მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა მოსარჩელისათვის იძულებითი განაცდურის სახით სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 64.1 და 104-ე მუხლები და მიიჩნია, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა არა სახელმწიფო, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეს, რის გამოც არ ჩათვალა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის აღნიშნული მუხლების სუბიექტად, მაშინ როდესაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ერთიანობის პრინციპის გათვალისწინებით იგი დიფერენცირებულია სახელმწიფო სამსახურის და ადგილობრივ თვითმმართველობაში სამსახურის სახეობად. ამავ კანონის მე-4 მუხლით საჯარო მოსამსახურის ცნება მოიცავს სამსახურის ორივე სახეს, ამავდროულად მე-2 პუნქტით სახელმწიფოსთან სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი საჯარო მოსამსახურე იწოდება სახელმწიფო მოსამსახურედ, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულთან სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი პირი ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურედ.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საკანონმდებლო პრაქტიკაში იშვიათი არ არის ამგვარი შემთხვევები, როცა ნორმები წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს. სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების წინააღმდეგობრივი ბუნება სასამართლო ინტერპრეტაციის შედეგად უნდა დაიძლიოს. საკასაციო სასამართლომ განსახილველ დავაზე ქვემდგომი სასამართლოების მიერ სამართლის ნორმის რადიკალურად განსხვავებული განმარტებების ჩამოყალიბების (რაიონულმა სასამართლომ არ მიიჩნია მართებულად გამოსაყენებელი ნორმატიული დანაწესების სიტყვასიტყვითი განმარტების მეთოდის, ხოლო საპელაციო სასამართლომ – განვრცობითი განმარტების მეთოდის გამოყენება) გამო ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით აღნიშნა, რომ სამართლის ნორმის ინტერპრეტაციისას ეროვნულმა სასამართლოებმა მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე უნდა უზრუნველყონ ამ უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილების კვალიფიციური გამოყენება, რათა სამართლის შეფარდება კონსტიტუციური მართლწესრიგისა და ღირებულებითი სტანდარტების უზრუნველყოფის კონტექსტში განხორციელდეს. მოცემული დავის კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტის მიზნით საკასაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს საჯარო სამსახურის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, რამდენად თავსებადია ადვო-

კატის საჯარო მოსამსახურის, ისევე, როგორც საადვოკატო საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით საჯარო მოსამსახურის ადვოკატის სტატუსში ერთდროული ყოფნა. იმისთვის, რომ უკვე საჯარო სამსახურის მიზნების რაკურსიდან გავარკვიოთ ადვოკატი შეიძლება თუ არა იმავდროულად მუშაობდეს საჯარო სამსახურში, უნდა გავაანალიზოთ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის რიგი მუხლები, მათ შორის, საინტერესოა მე-17 მუხლით გათვალისწინებული საჯარო სამსახურში პირის მიღების გამომრიცხავი გარემოებები, რომლის მიხედვით საადვოკატო საქმიანობა ჩამონათვალში არ შედის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული ბრძანება გამოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპული მოთხოვნებისა და იმპერატიული დანაწესების სრული უგულებელყოფით, რაც ამავე კოდექსის მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველია.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ საჯარო სამსახურის ადმინისტრაციამ საკუთარ თანამშრომელს, საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილ საჯარო მოსამსახურეს არ მისცა შესაძლებლობა, სადავო აქტის გამოცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში, როგორც აქტის ადრესატს მონაწილეობა მიეღო, თუნდაც ახსნა-განმარტების მიცემის, ან საკუთარ მოსაზრებათა წარდგენის მეშვეობით, რითაც აბსოლუტურად უგულებელყოფილია ქვეყანაში სამართლებრივი თვალსაზრისით სრულად გარანტირებული კანონიერი ადმინისტრირების სტანდარტი და მმართველობის უმნიშვნელოვანესი პირის კანონიერი ნდობის უფლების პრინციპი. ამავე დროს, თვითმმართველობის მოსამსახურე ისე გათავისუფლდა სამსახურიდან, რომ ამის თაობაზე საერთოდ არ იყო გაფრთხილებული, რის გამოც უგულებელყოფილია საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტი საჯარო მოსამსახურის სამართლებრივი დაცვის თაობაზე. სადავო ბრძანებით დარღვეულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი დანაწესი. საჯარო მოსამსახურეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, აღმოფხვრას განთავისუფლების მიზეზები, საფუძვლები, რომ მისი საჯარო-სამსახურებრივი საქმიანობა კანონით გათვალისწინებულ ჩარჩოში მოექცეს. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, შრომა თავისუფალია საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანს მინიჭებული აქვს უფლება, თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო, პროფესია, თავად გადაწყვიტოს იყოს თუ არა დასაქმებული და სად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სარჩელი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი გადაწყვეტილების მიღება.



## საჯარო რეესტრი

### მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია

#### – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 იანვრის განმარტება საქმეზე №ბს-22-22(კ-12) (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba46.pdf>).

მოსარჩელის განმარტებით, მან განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს და მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია მოითხოვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სადავო მიწის ნაკვეთი მას მეუღლისაგან მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული. მისი მეუღლე ლ. ბ-ი იყო მეზობლის ამხანაგობის წევრი და აღნიშნული მიწის ნაკვეთი მას, როგორც ამხანაგობის წევრს, 1981 წლის ამხანაგობის საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე გამოეყო. მოსარჩელის მიერ სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილ იქნა მიწის ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი არაერთი დოკუმენტი, თუმცა, სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებით ც. ბ-ს უარი ეთქვა სადავო მიწის ნაკვეთის რეგისტრაციაზე, იმ საფუძველით, რომ მის მიერ არ იქნა წარდგენილი მეზობლის წიგნაკი.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ გარემოების დადგენას, მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია წარმოადგენდა თუ არა მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის განხორციელების საფუძველს.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მართალია, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგისტრაციო) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების მონაწილის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებაში მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელ ერთ-ერთ დოკუმენტად მითითებული იყო „მეზობლის წიგნაკი“, მაგრამ ამავე ბრძანებულების თანახმად, მართლზომიერი მფლობელობა შეიძლება ასევე დადასტურებულიყო „სხვა დოკუმენტებით“.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მართალია ც. ბ-ს მიერ ვერც ადმინისტრაციულ ორგანოსა და ვერც სასამართლოში ვერ იქნა წარმოდგენილი მეზობლის წიგნაკი (მხარის განმარტებით აღნიშნული წიგნაკი ოჯახს დაკარგული აქვს), მაგრამ როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს, ისე ქვედა ინსტანციის სასამართლოებს უნდა გამოეკვლიათ და შეეფასებინათ განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, რადგან ისინი მიეკუთვნებოდა სწორედ იმ „სხვა დოკუმენტებს“, რომელთა საშუალებითაც დაინტერესებული პირის მიერ შესაძლებელი იყო მიწის ნაკვეთზე მართლზომიერი მფლობელობის დადასტურება.

## მინის ნაკვეთების საზღვრების გადაფარვა

- „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 თებერვლის განმარტება საქმეზე №ბს-367-363(კ-12) (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/bs-367-363.pdf>).

სასამართლო პრაქტიკაში გახშირებულია დავები, რომლებიც უკავშირდება უძრავი ქონების რეგისტრაციას ახალ კოორდინატთა სისტემაში გადასვლასთან დაკავშირებით, რაც იწვევს ნაკვეთების საზღვრების გადაფარვას. გადაფარვებთან დაკავშირებულ დავებში სამ სუბიექტს ვხვდებით, ერთი მხრივ მესაკუთრე, რომლის სახელზეც დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრირებულია მინის ნაკვეთი; მეორე მხრივ ადმინისტრაციული ორგანო, რომლის მიმართვის საფუძველზე საჯარო რეესტრი ახდენს კონკრეტული მინის თვითმმართველ ერთეულზე აღრიცხვას და საჯარო რეესტრი, რომელიც მითითებულ მინაზე არეგისტრირებს მესამე პირის საკუთრების უფლებას. მესაკუთრეები, რომლებიც თავიანთ დაუზუსტებელ რეგისტრაციაზე მითითებით მინაზე საკუთრების უფლების დაცვას ცდილობენ, საჯარო რეესტრისგან პასუხად იღებენ, რომ დაუზუსტებელი რეგისტრაციით მინის ზუსტი იდენტიფიცირება ვერ ხდება, რის გამოც მინის ნაკვეთთა ზედდების დადგენა შეუძლებელია. აღნიშნული შემდგომში საჩივრდება სასამართლოში.

საკასაციო პალატამ განსახილველ დავაში აღნიშნა, რომ მინა შეიძლება არსებობდეს საკუთრებაში, როგორც დაუზუსტებელი, ისე დაზუსტებული მონაცემებით. კანონმდებლობა არ შეიცავს დაუზუსტებელი მონაცემებით მინის ნაკვეთის სუბიექტზე აღრიცხვის გამომრიცხავ დანაწესს. ამასთანავე, პირველად დაუზუსტებელ რეგისტრაციას არ აქვს მხოლოდ საცნობარო მნიშვნელობა, უმართებულოა მისი დაყვანა მხოლოდ ფაქტობრივ აღრიცხვამდე, რომელიც აღრიცხვის ობიექტის მიმართ არ იწვევს რაიმე სამართლებრივ შედეგს. სააღრიცხვო მონაცემებს იურიდიული მნიშვნელობა გააჩნია. სარეგისტრაციო პროცედურას შედეგად მოსდევს უფლებადამდგენი დოკუმენტის გაცემა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 3.6 მუხლის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე, თუმცა ისინი ამავე ნორმის თანახმად, პასუხისმგებელნი არიან რეგისტრირებული მონაცემების და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშეხამებისობასა და უსაფრთხოებაზე. ამდენად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურმა ახალი რეგისტრაციის განხორციელებამდე უნდა გამოიკვლიოს ნაკვეთის სხვა პირის სახელზე რეგისტრაციის არსებობა. განსახილველ საქმეზე დადასტურდა, რომ დაინტერესებულ პირზე ნაკვეთის რეგისტრაციას საფუძველად ედო მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი და საკუთრების სარეგისტრაციო მონაშობა. სარეგისტრაციო მონაშობა შეიცავს უფლების სუბიექტის და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტი საკმარისი იყო მინის ნაკვეთის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციისთვის. აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე ხორციელდებოდა დაუზუსტებელი რეგისტრაცია.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციიდან გამომდინარე ითვლება, რომ პირი არის მის სახელზე

რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრე. მიუხედავად აღნიშნულისა, აგრეთვე მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრაციის საფუძველი არ გაუქმებულა და სადავოც არ გამხდარა, არ არსებობს უფლების გადასვლის ან შეწყვეტის ფაქტის, ჩანაწერის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობის ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხდება ობიექტის სხვა მესაკუთრეზე რეგისტრაცია. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საკუთრება არის ფაქტი და დაუშვებელია ბუნებაში მისი აბსტრაქტული სახით არსებობა. საკითხის საწინააღმდეგოდ გადანყვეტა ლახავს სამართლებრივ უსაფრთხოებას, ქმნის მდგომარეობას, როდესაც პირი არის საკუთრების უფლების მატარებელი თუმცა არ გააჩნია საკუთრების უფლების ობიექტი, რაც ეწინააღმდეგება საკუთრების უფლების არსს, რადგან არ არსებობს საკუთრების უფლება ამ უფლების ობიექტისაგან დამოუკიდებლად. საგანთა ნამდვილი მდგომარეობა და რეგისტრირებული მონაცემები უნდა იყოს თანხვედრაში, ხოლო დუბლირების და პარალელიზმის გამოვლენის შემთხვევაში უნდა გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ რეგისტრაციას გააჩნია უკეთესი სამართლებრივი საფუძველი. პალატამ აღნიშნა, რომ ახალი კოორდინატთა სისტემის შემოღება ტექნიკური საკითხია, და მას არ უნდა ეწიროდეს რეესტრში ასახული უფლებები.

ურთიერთდაპირისპირებული ჩანაწერების არსებობასთან მიმართებით საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ უფლებას, რომელიც ქრონოლოგიურად უფრო ადრე არის რეგისტრირებული, ვინაიდან წინმსწრები რეგისტრაციის ჩანაწერის მოქმედება გამორიცხავს შემდეგი ჩანაწერის კანონიერებას. ამავდროს აღნიშნა, რომ რეესტრთა ჩანაწერთა კონკურენციისას რეესტრის სანდოობა ვერ იმოქმედებს.

## საჯარო რეესტრში ყადაღის რეგისტრაცია

### – „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 16 ივნისის განმარტება საქმეზე №ბს-1747-1703(კ-10) (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba48.pdf>).

საკასაციო სასამართლომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განმარტა, რომ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის რეგისტრაცია გამორიცხავდა ამ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე რაიმე სხვა უფლების ან საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაციას, თუ შესაბამისი სარეგისტრაციო დოკუმენტით სხვა რამ არ იყო დადგენილი. ამდენად, ზოგადი წესის მიხედვით, ყადაღის არსებობა გამორიცხავდა ყადაღადადებულ ნივთზე სხვა უფლების (მოცემულ შემთხვევაში საკუთრების უფლების) რეგისტრაციას. თუმცა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებდა გამონაკლისს დადგენილი ზოგადი წესიდან, კერძოდ, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვა არ ვრცელდებოდა ყადაღადადებული და განკარგვააკრძალული უძრავი ნივთის მართლზომიერი მფლობელის საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მართლზომიერი მფლობელი წარმოადგენდა დაინტერესებულ პირს, რომლის სარეგისტრაციო დოკუმენტი, რომელიც წარმოშობდა საკუთრების უფლების

რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას, გამოცემული, მიღებული ან შედგენილი იყო სარეგისტრაციო ობიექტზე ყადაღის, განკარგვის აკრძალვის წარმოშობის რეგისტრაციამდე, ამასთანავე, სარეგისტრაციო დოკუმენტი გამოცემული, მიღებული ან შედგენილი იყო ამ კანონის ამოქმედებამდე, ან ყადაღის, განკარგვის აკრძალვის მიუხედავად სარეგისტრაციო დოკუმენტის გამოცემა, მიღება ან შედგენა უშუალოდ იყო განსაზღვრული საქართველოს კანონმდებლობით, ასევე პირი, რომელიც იყო ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის საგნის მესაკუთრის უფლებამონაცვლე.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართლზომიერი მფლობელის ცნების აღნიშნული დეფინიცია „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში 2009 წლის 3 ნოემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა. ძველი ტექსტური რედაქციის მიხედვით, შედგენის დროის მიუხედავად, თუ სარეგისტრაციო დოკუმენტი, რომელიც წარმოშობდა საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას, თარიღით უსწრებდა ყადაღის რეგისტრაციას, მაშინ მას უპირატესი ძალა ენიჭებოდა. ამასთან, 2009 წლის 3 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებებით უფრო დაკონკრეტდა მართლზომიერი მფლობელის ცნების დეფინიცია, სარეგისტრაციო დოკუმენტების გამოცემის, მიღების ან შედგენის თარიღი გარკვეულ პირობას დაუკავშირდა, კერძოდ, სარეგისტრაციო დოკუმენტი არა მარტო სარეგისტრაციო ობიექტზე ყადაღის, განკარგვის აკრძალვის წარმოშობის რეგისტრაციამდე უნდა ყოფილიყო შედგენილი, არამედ სარეგისტრაციო დოკუმენტი გამოცემული, მიღებული ან შედგენილი უნდა ყოფილიყო „ამ კანონის ამოქმედებამდე“.

ამდენად, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ 2009 წლის 3 ნოემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით მართლზომიერი მფლობელის ცნების განსაზღვრებაში გაკეთდა კუმულაციური დათქმა, რის საფუძველზეც პირი იმ შემთხვევაში ჩაითვლებოდა მართლზომიერ მფლობელად, თუ ერთდროულად სახეზე იქნებოდა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მართლზომიერი მფლობელის ცნებით გათვალისწინებული ორი სავალდებულო პირობა, კერძოდ, სარეგისტრაციო დოკუმენტი შედგენილი უნდა ყოფილიყო სარეგისტრაციო ობიექტზე ყადაღის რეგისტრაციამდე და „ამ კანონის ამოქმედებამდე“.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ სიტყვებში „ამ კანონის ამოქმედებამდე“ იგულისხმებოდა არა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი (რომელიც ამოქმედდა 2009 წლის 14 იანვარს), არამედ 2009 წლის 3 ნოემბრის კანონი, რადგან ახალი წესრიგი კანონში შემოღებულ იქნა სწორედ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით და ამ ახალი წესრიგის ამოქმედებით განსხვავებული რეგულირება შემოიღო კანონმა, კერძოდ, მართლზომიერი მფლობელის ცნების დეფინიციაში განხორციელებული ცვლილებით დადგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტის შედგენის თარიღი ახალი რეგულირების შემოღების თარიღს დაუკავშირდა, ვინაიდან, თუ პირის მართლზომიერ მფლობელად მიჩნევისათვის შეზღუდვა 2009 წლის 3 ნოემბრის №1962 კანონით დაწესდა, მაშინ განხორციელებული ცვლილების მოქმედების სფერო ვერ დაუკავშირდებოდა იმ კანონის ამოქმედების თარიღს („საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი ამოქმედდა 2009 წლის 14 იანვარს), რომელიც საკანონმდებლო ცვლილებით დადგენილ ახლებურ რეგულირებას არ ითვალისწინებდა.



## რეგისტრაციის საფუძვლად არსებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ბათილად ცნობა ინვესტორების რეგისტრაციის ძალადაკარგულად გამოცხადებას

- „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის განჩინება საქმეზე №ბს-585-572 (4კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის, კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმართ და აღნიშნა, რომ მან სხვადასხვა დროს კერძო პირებისაგან შეიძინა ზუგდიდის რაიონის სოფლებში მდებარე მიწის ნაკვეთები, დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში, რის შესაბამისად გაიცა რეესტრის ამონაწერები და საკადასტრო რუკები. 2012 წლის ნოემბერში ცვლილების რეგისტრაციის თაობაზე მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურს, მაგრამ იმ მოტივით, რომ მის მიერ წარდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზების მიხედვით მიწის ნაკვეთები იჭრებოდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთების საზღვრებში, მის განცხადებებზე სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა, ხოლო შემდეგ შეწყდა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებები და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამართველოს მიმართვები. მოპასუხეებს დაევაღათ სადავო საკითხებთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა.

აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ივნისის განჩინებით.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით (საქმე №ბს-367-363(კ-12) 28.02.2013წ. გადაწყვეტილება), არ შეაფასა სახეზე იყო თუ არა გამოყენებულ გადაწყვეტილებაში ასახული და არსებული დავის ფაქტობრივ გარემოებათა იდენტიფიკაცია. საკასაციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკა არ ეხება ისეთ სამართალურთიერთობას, როდესაც სადავო უძრავ ქონებაზე უფლების გადასვლა ხდება რამდენიმე პირზე და კანონიერ ძალაშია მათი უფლების დამდგენი შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობები. სააპელაციო სასამართლომ გააბათილა საკუთრების უფლების რეგისტრაცია, მაშინ როდესაც იმ სამართლებრივი აქტების კანონიერების გადამოწმების საკითხის განხილვა შეჩერებული იყო, რაც საფუძვლად დაედო გაბათილებულ რეგისტრაციებს, რაც ფაქტობრივად სამართლებრივი ნონსენსია.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რეგისტრაციის საფუძვლად არსებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ბათილად ცნობა ინვესტორების რეგისტრაციის ძალადაკარგულად გამოცხადებას. საკუთრების უფლების ახალ

მესაკუთრეზე გადასვლით ძალას კარგავს თავდაპირველი მესაკუთრის სახელზე განხორციელებული რეგისტრაცია, თუმცა თავდაპირველი მესაკუთრის უფლების რეგისტრაციის გაუქმება ავტომატურად ვერ გამოიწვევს უფლების ახალ შემძენებზე რეგისტრაციის გაუქმებას, რამდენადაც უფლებას მხოლოდ რეგისტრაცია არ წარმოშობს. რეგისტრაცია წარმოებს სარეგისტრაციო დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც უშუალოდ წარმოშობს რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. უძრავი ქონების სახელმწიფოდან კერძო სამართლის სუბიექტებისათვის გადაცემა მოხდა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის პირობებში, რიგ შემთხვევაში მმართველობითი ღონისძიების, ხოლო რიგ შემთხვევაში კერძოსამართლებრივი ურთიერთობის შედეგად, რომელთა კანონიერება სასამართლოს განსჯის საგანი არ გამხდარა. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ წინა რეგისტრაციის უკანონობა თავისთავად არ იწვევს შემდგომი რეგისტრაციების ბათილობას, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების კანონიერების გადასინჯვის გარეშე. გარდა ამისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-7 ნაწილის და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა რეგისტრაციის საფუძვლების მოქმედების პირობებში გააბათილა უძრავი ქონების პირველ და ბოლო მესაკუთრეზე რეგისტრაცია. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამიჯნოს სასარჩელო მოთხოვნები განსჯადობისა და განხილვის რიგითობის გათვალისწინებით. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირების სახელზე რეგისტრაციასთან დაკავშირებით სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით ფაქტობრივად სამართლებრივი ჩიხი შეიქმნა, რამდენადაც გაუგებარია რა სამართლებრივი აქტები უნდა გამოსცენ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურმა იმ რეგისტრაციებთან დაკავშირებით, რომელთა სამართლებრივი საფუძველიც რიგ შემთხვევაში სამოქალაქო დავის საგანია და არ არის გადანყვეტილი, ხოლო რიგ შემთხვევებში მმართველობითი ღონისძიებების კანონიერება საერთოდ სადავოდ არ გამხდარა და ისინი იურიდიულ ძალას ინარჩუნებენ ანუ არ არის გაბათილებული თავად ის აქტები, რომლებმაც დაუდგინეს დაინტერესებულ მხარეებს უფლება უძრავ ქონებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა იმავე სასამართლოში.

**ანალოგიურია:**

- 1) განჩინება №ბს-193-189(2კ-15) 24.09.2015 იბ. (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).
- 2) განჩინება №ბს-120-118(2კ-15) 15.09.2015 იბ. (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

## საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების ხელმისაწვდომობა; ზიანის ანაზღაურების წარმოშობისათვის აუცილებელი პირობები

– საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განმარტება 2015 წლის 10 სექტემბრის საქმეზე №ბს-134-132(კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

2008 წლის 3 ივნისს სს „... ბანკსა“ და შპს „...-ს“ შორის დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სს „... ბანკმა“ შპს „...-ს“ მისცა საბანკო კრედიტი 300000 ლარის ოდენობით. 2008 წლის 9 იანვარს, აღნიშნული საკრედიტო ვალდებულების უზრუნველსაყოფად, სს „... ბანკსა“ და შპს „...-ს“ შორის სანოტარო წესით გაფორმდა გირავნობის ხელშეკრულება. გირავნობის უფლებით დაიტვირთა შპს „...-ს“ კუთვნილი მოძრავი ნივთი. სს „... ბანკი“ დაეყრდნო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 26.12.2007 წელს ი. კ-ის განცხადების საპასუხოდ გაცემულ წერილს, რომლის თანახმად, გირავნობის საგანზე რეგისტრირებული არ იყო გირავნობა და ყადაღა.

სს „... ბანკმა“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე შპს „...-ს“ მიმართ დავალიანების გადახდევინების მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და შპს „...-ს“ დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ დავალიანების გადახდა 32896 ლარის ოდენობით. დავალიანების დაფარვის მიზნით აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცა გირავნობით დატვირთული მოძრავი ნივთი. 2012 წლის 28 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი. 2012 წლის 12 დეკემბერს ბანკმა მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს იძულებითი აღსრულების პროცედურების დაწყების შესახებ სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული თანხის გადახდევინების მიზნით. სააღსრულებო წარმოების პროცესში აღმოჩნდა, რომ მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 2007 წლის 21 ნოემბრის, 2008 წლის 16 ივლისისა და ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2009 წლის 11 აგვისტოს მიმართვების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ შპს „...-ს“ ქონებაზე განხორციელებული იყო საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის წარმოშობის რეგისტრაცია 2007 წლის 28 ნოემბერს, 2008 წლის 21 ივლისსა და 2009 წლის 12 აგვისტოს.

2013 წლის 12 აპრილს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ განხორციელდა შპს „...-ს“ კუთვნილი ქონების რეალიზაცია. ამოღებული თანხა, სააღსრულებო საფასურის, ხარჯისა და დღგ-ს გადარიცხვის შემდეგ, გადაეცა პირველი რიგის მოგირავნეს სსიპ შემოსავლების სამსახურს.

აღნიშნულის საფუძველზე სს „... ბანკმა“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ. სს „... ბანკის“ მოსაზრებით, საჯარო რეესტრის შეცდომის გამო ბანკს მიაღდა ზიანი 32 896 ლარის ოდენობით, კერძოდ, რომ არა ადმინისტრაციული ორგანოს შეცდომა ბანკი არ დატვირთავდა გირავნობის უფლებით უკვე საგადასახადოს პირველი რიგის გირავნობით დატვირთულ ქონებას ბანკის მიმართ არსებული ვალდებულების უზრუნველსაყოფად. ამდენად, მოსარჩელემ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის სს „... ბანკის“ სასარგებლოდ მატერიალური ზიანის სახით 32896 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის

27 თებერვლის გადაწყვეტილებით სს „... ბანკის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით სს „... ბანკის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის – სს „... ბანკის“ შემთხვევაში არ არსებობდა დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისთვის კანონით (სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი) დადგენილი წინაპირობებიდან არცერთი წინაპირობა. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლსა (დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში) და 1005-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და აღნიშნა, რომ სს „... ბანკმა“ თავისივე უმოქმედობით, ანუ საჯარო რეესტრის მწარმოებელი ორგანოდან შესაბამისი შინაარსის, სრულყოფილი ინფორმაციის არგამოთხოვით, ასევე უსაფუძვლო ვარაუდით მასზე, რომ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 26.12.2007 წლის წერილში ასახული იყო ინფორმაცია შპს „...-ს“ ქონების მიმართ როგორც ყადაღის და გირავნობის, ისე – საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლების შესახებ, თავადვე შეუწყო ხელი მატერიალური ზიანის წარმოშობას, რაც გამორიცხავდა მოპასუხისადმი წაყენებული პრეტენზიის გაზიარების, დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინებით სს „... ბანკის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, დავის საგანს წარმოადგენდა საჯარო რეესტრისთვის მის მიერ განხორციელებული ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება, ვინაიდან, მოსარჩელის – სს „... ბანკის“ მტკიცებით, რომ არა სარეგისტრაციო სამსახურის 26.12.2007 წლის წერილით გაცემული არასწორი საჯარო ინფორმაცია, ბანკის მიმართ არსებული ვალდებულების უზრუნველსაყოფად სს „... ბანკი“ გირავნობის უფლებით არ დატვირთავდა საგადასახადო გირავნობით დატვირთულ ქონებას.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოები ფორმალურად მიუდგნენ სარეგისტრაციო სამსახურის ქმედების კანონიერების შეფასებას, რითაც წინააღმდეგობაში მოვიდნენ საჯარო რეესტრის საქმიანობის მიზნებსა და პრინციპებთან და შექმნეს მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ არასწორი პრაქტიკის დამკვიდრების ტენდენცია.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა განმცხადებლის მოტივებზე, როდესაც იგი მარეგისტრირებელ ორგანოს ამა თუ იმ ნივთის უფლებრივი მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით მიმართავს. ასეთ დროს განმცხადებელს სურს მიიღოს ინფორმაცია მისთვის სასურველი ნივთის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. ამასთან, როდესაც განმცხადებელი დაინტერესებულია ნივთზე ზოგადად გირავნობის უფლების არსებობა-არარსებობით, მით უფრო უნდა მიეწოდოს მას ინფორმაცია საგადასახადო გირავნობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ვინაიდან, ნივთზე ამ უკანასკნელის გავრცელება არსებით ზეგავლენას ახდენს მის სამართლებრივ მდგომარეობაზე. თავად საჯარო რეესტრი კი მისი არსებობის მიზნებიდან გამომდინარე, რომელიც ინფორმაციის სიზუსტისა და უტყუარობის გარანტს უნდა ქმნიდეს, დაუშვებელია ფორმალურად მიუდგეს მასზე კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას და არასრული ინფორმაცია გასცეს მხოლოდ იმ არგუმენტით, რომ სიტ-



ყვასიტყვით რაც იყო განცხადებით მოთხოვნილი მანაც ის ინფორმაცია გასცა, ინფორმაციის მოთხოვნის მიზნის გაუთვალისწინებლად. ამასთან, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული გირავნობა არ გამოორიცხავდა ნივთზე გავრცელებულ საგადასახადო გირავნობაზე ინფორმაციის გაცემას. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორის მითითება მასზედ, რომ სამართლებრივად ტერმინი „გირავნობა“ ინფორმაციის ბევრად უფრო ფართო არეალს მოიცავდა, ვიდრე საგადასახადო გირავნობა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, დაუშვებელია კანონშესაბამისად შეფასდეს სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ინფორმაცია გირავნობის არარსებობასთან დაკავშირებით, როდესაც შპს „...-ს“ მთელ ქონებაზე გავრცელებული იყო საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა (სადავო პერიოდში მოქმედი „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 41 მუხლითა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 69-ე მუხლით დადგენილი იყო რეგისტრირებული მონაცემების ხელმისაწვდომობა ნებისმიერი პირისათვის). მარეგისტრირებული ორგანოს მიერ შეთავაზებული განცხადების სტანდარტული ნიმუში კი, რომელიც შედგენილი ჰქონდა თავად ადმინისტრაციულ ორგანოს და სთავაზობდა მომხმარებელს მომსახურების განხორციელების დროს, მარეგისტრირებულ ორგანოს არ ათავისუფლებდა მასზე დაკისრებული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულებისგან; საკასაციო სასამართლოს მითითებით, საგულისხმო იყო, რა მოცულობის ინფორმაციას გასცემდა სარეგისტრაციო სამსახური, დაინტერესებულ პირს გირავნობაზე ინფორმაციის მოთხოვნისას განცხადების სტანდარტული ნიმუშით რომ არ ესარგებლა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მარეგისტრირებული ორგანოს მიერ უფლებამოსილების ამგვარი განხორციელება რისკის შემცველია დაინტერესებული პირისთვის, ეს იმ პირობებში, როდესაც საჯარო რეესტრი ნდობის მაღალ გარანტს უნდა ქმნიდეს.

ასევე იმ გარემოებაზე მითითება, რომ უშუალოდ სს „... ბანკს“ არ მიუმართავს მარეგისტრირებული ორგანოსთვის და იგი ი. კ-ის განცხადებას დაეყრდნო, ვერ შეცვლის ფაქტს იმის შესახებ, რომ სადავო ქონებასთან მიმართებაში სარეგისტრაციო სამსახურმა არასრული ინფორმაცია გასცა. საკასაციო სასამართლოს მითითებით, მნიშვნელოვანია თავად მარეგისტრირებული ორგანოს ქმედების შეფასება, მოქმედებდა თუ არა იგი კანონის შესაბამისად. სს „... ბანკი“ დაეყრდნო საჯარო ინფორმაციას, რომლის უტყუარობასა და სისწორეზეც პასუხისმგებელია ინფორმაციის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო.

ამასთან, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოსთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისას გადამწყვეტია დადგინდეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის კანონით განსაზღვრული აუცილებელი პირობების არსებობა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, ზიანის ანაზღაურების განსაკუთრებული წესია დადგენილი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლით, რომლის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის კი აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: ქმედება, რამაც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოშვა, დაკავშირებული უნდა იყოს საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან, ამ უფლებამოსილების განხორციელების პროცესში დაშვებული დარღვევა მიმართული უნდა იყოს სხვა პირის უფლებების შელახვისკენ, სახეზე უნდა იყოს ზიანის მიმ-

ყენების ბრალი და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა სს „... ბანკისთვის“ მიყენებული მატერიალური ზიანი გამოწვეული იყო თუ არა უშუალოდ სარეგისტრაციო სამსახურის ქმედებით. ამასთან, საკასაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლოს ყურადღება მიაქცია თავად სს „... ბანკის“ ინფორმაციულ დამოკიდებულებაზე სადავო მოძრავ ნივთზე გავრცელებულ სამართლებრივ შეზღუდვასთან დაკავშირებით, ხომ არ ფლობდა ბანკი ინფორმაციას გირავნობის საგნის უფლებრივ ნაკლზე და წარმოდგენილი სარჩელი ხომ არ ქმნიდა ადმინისტრაციული ორგანოსთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების ფორმალურ საფუძველს.

**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ტერიტორიული სამსახურების გადაწყვეტილების (მათ შორის, საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების) კონტროლის/გადამონშების შესაძლებლობა**

- „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განმარტება 2015 წლის 14 ივლისის საქმეზე №ბს-408-403(2კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

კ. ჯ-მ სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს, მოპასუხეების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და ნ. ფ-ის მიმართ. მოსარჩელის მითითებით, მან 2010 წლის 5 მარტს კანონით დადგენილი წესით, ნოტარიულად დამონშებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ი. ჯ-საგან შეიძინა ბინა, რომელიც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მის საკუთრებად. 2013 წლის თებერვალში, პოლიციისგან გამოსახლების გაფრთხილების შეტყობინებით მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა ის გარემოება, რომ უძრავი ქონების მის სახელზე რეგისტრაციიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი შესაბამისი უძრავი ქონების მის სახელზე არსებული რეგისტრაცია, უძრავი ქონება გაიყიდა აუქციონზე და 2013 წლის 4 თებერვლის განკარგულებით შეიძინა ნ. ფ-მა, რომლის საკუთრების უფლებაც სადავო ქონებაზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით დარეგისტრირდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 25 მაისის №80516 გადაწყვეტილების არარა აქტად აღიარება და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 11 თებერვლის №882013042690-03 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით კ. ჯ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სრული უფლება ჰქონდა დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე, მისი უფლებამოსილების ფარგლებში, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს დაენყო ადმინისტრაციული წარმოება მისი სტრუქტურული ერთეულის ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის, ან მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და გადაემონებინა აქტის კანონიერება. რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ნორმათა სხვაგვარი განმარტება გამოიწვევდა მცდარ შეხედულებას და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებების შეზღუდვას, როგორც ადმინისტრაციული აქტის გამომცემი ორგანოსთვის, შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს სრული უფლება ჰქონდა განეხორციელებინა სისტემის თვითკონტროლის საშუალება, რაც საშუალებას აძლევდა ადმინისტრაციულ ორგანოს თავადვე გამოესწორებინა საკუთარი შეცდომა, რომელსაც იგი აღმოაჩენდა ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დროს. რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დარღვეულ იქნა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმადაც, უძრავ ქონებაზე რეგისტრაციის გაუქმება წარმოადგენდა მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას და ამიტომ სააგენტო იყო არაუფლებამოსილი ორგანო, რაც თავის მხრივ სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების არარა აქტად ცნობას იწვევდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით კ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; კ. ჯ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; არარა აქტად იქნა აღიარებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – 2012 წლის 25 მაისის №80516 გადაწყვეტილება; კ. ჯ-ს უარი ეთქვა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 11 თებერვლის №882013042690-03 გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება და მიიჩნია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – 2012 წლის 25 მაისის №80516 გადაწყვეტილება გამომცემი იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ, რაც ამ გადაწყვეტილების არარა აქტად აღიარების საფუძველს წარმოადგენდა. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სადავო შემთხვევაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არ გვევლინებოდა სზაკ-ის მე-60<sup>1</sup>.3. მუხლის სუბიექტად გამომდინარე იმ მოსაზრებიდან, რომ: 1) სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 05 მაისის №882011210159-03 გადაწყვეტილება პოზიტიური შინაარსის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იყო, ამ გადაწყვეტილებით განხორციელდა კ. ჯ-ის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, შესაბამისად, სააგენტო არ იყო უფლებამოსილი, რომ შეემონებინა უკვე რეგისტრირებული უფლების რეგისტრაციის კანონიერება, მას ეს უფლება ჩამორთმეული ჰქონდა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლით; 2) სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 05 მაისის №882011210159-03 გადაწყვეტილების უშუალო ავტორი და გამომცემი იყო არა სააგენტო (ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო), არამედ ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანო – სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახური და რადგან კანონის 29-ე მუხლმა ერთმანეთს დაუპირისპირა, ერთმანეთისგან გამიჯნა მხოლოდ სასამართლოს და ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციები, სადავო შემთხვევაში სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 05 მაისის №882011210159-

03 გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების უფლება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup>.3. მუხლის თანახმად, გააჩნდა მხოლოდ და მხოლოდ აქტის გამომცემ ქვემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს – სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 14 ივლისის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და კ. ჯ-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ტერიტორიული სამსახურების მიერ მიღებული გადაწყვეტილების (მათ შორის, საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების) კონტროლის/გადამოწმების შესაძლებლობა დასაშვებად მიიჩნია.

საკასაციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მითითებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების და შემდგომ რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების (კ. ჯ-ის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ 2011 წლის 5 მაისის გადაწყვეტილების) ბათილად ცნობის საფუძველს სს „... ბანკის“ განცხადება და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი (ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილზე და განმარტა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის აუცილებელია, რომ ერთ შემთხვევაში (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს მიერ აქტის ბათილად ცნობა) სახეზე გვექონდეს ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივა შეამოწმოს მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება, მეორე შემთხვევაში კი (ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა) დაინტერესებული პირის საჩივარი უკვე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონთან შესაბამისობის შემოწმების, გაბათილების მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ დაინტერესებული პირის განცხადება ვერაზიარად ვერ გახდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის და ბათილად ცნობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი, რადგან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაინტერესებული პირის განცხადება ეს არის – უფლების მოპოვებაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით დაინტერესებული მხარის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით შეტანილი წერილობითი მოთხოვნა. ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული – დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების ... შესახებ – კი არის ადმინისტრაციული საჩივარი. ამდენად, დაინტერესებული მხარის ინიციატივის საფუძველზე



ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების და ბათილად ცნობის საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივარი და არა განცხადება. ამასთან, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული საჩივრის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია საჩივარი პასუხობდეს კანონით დადგენილ მთელ რიგ მოთხოვნებს, კერძოდ, დაცული იყოს საჩივრის წარდგენის ვადა, ფორმა, შინაარსი. გარდა ამისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოყენებული უნდა იქნას ამ კოდექსის მე-6 თავით დადგენილი წესები.

საკასაციო სასამართლომ მითითებით, იმ შემთხვევაში თუ ადმინისტრაციული ორგანო საკუთარი ინიციატივით ახდენს მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების გადამოწმებას, ეს ხორციელდება არა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 თავის, არამედ მე-60-62-ე მუხლების შესაბამისად. ამასთან, აუცილებელია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკუთარი ინიციატივით აქტის კანონიერების გადამოწმებისას დაცული იყოს გონივრული ვადა, რათა არ მოხდეს აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წლების შემდეგ, ყოველგვარი გონივრული ვადის დაცვის გარეშე ბათილად ცნობა და დაინტერესებული მხარის უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სადავო ქონებაზე კ. ჯ-ის საკუთრების უფლება ყოველგვარი გონივრული ვადის დაცვის გარეშე, კერძოდ, საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ, ხოლო უძრავი ნივთის კანონით დადგენილი წესით შეძენიდან ორი წლის შემდგომ გაუქმდა, რაც ცალსახად არღვევს დაინტერესებული მხარის მიერ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ არსებულ კანონიერი ნდობის პრინციპს.

ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ გამოიკვლია საქმის გარემოებები, საქმეში არსებულ მტკიცებულებებს არ მისცა ობიექტური შეფასება, რის შედეგადაც არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა განსახილველ სამართალურთიერთობას, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

## იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები

### იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭება

- „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 9 ივნისის განმარტება საქმეზე №ბს-348-345(კ-11) (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba47.pdf>).

საკასაციო სასამართლომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განმარტა, რომ აღნიშნული კანონით გათვალისწინებული ზოგადი წესის მიხედვით, სამინისტრო დევნილის სტატუსის მანიჭების, დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში. თუმცა, საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტი ითვალისწინებდა გამონაკლის შემთხვევას, კერძოდ, ამ კანონის პირველ მუხლში განსაზღვრული მიზეზების გამო მოსახლეობის მასობრივი და ექსტრემალური გადაადგილების დროს დევნილის სტატუსის მინიჭება ხდებოდა დაუყოვნებლივ.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორი მხარის პოზიცია იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული ნორმა გულისხმობდა სამინისტროს ვალდებულებას იძულებით გადაადგილებულ პირისათვის დევნილის სტატუსი მიენიჭებინა ავტომატურად, მისი მხრიდან ყოველგვარი ნების გამოვლენის გარეშე.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა „იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭებისა და დევნილთა რეგისტრაციის წესის, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მონმობის ფორმის, მონმობის დებულებისა და ანკეტის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის 2007 წლის 1 ნოემბრის № 124 ბრძანების მე-2 მუხლზე და აღნიშნა, რომ პირს დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ წერილობითი განცხადებით უნდა მიემართა სამინისტროს ან მისი ტერიტორიულ ორგანოსათვის. განმცხადებელს განცხადების წარდგენიდან 10 დღის ვადაში დევნილად ცნობის საფუძველთან დაკავშირებით შეიძლება ჩატარებოდა გასაუბრება.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ აღნიშნული ნორმა აწესრიგებდა დევნილის სტატუსის მინიჭების ზოგად პროცედურას. ამავე ბრძანების მე-3 მუხლი კი არსებითად გამომდინარეობდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტიდან და განსაზღვრავდა, რომ მოსახლეობის მასობრივი და ექსტრემალური გადაადგილების დროს დევნილის სტატუსის მინიჭება ხდებოდა დაუყოვნებლივ, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და პირთან გასაუბრების საფუძველზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმა გულისხმობდა დევნილის სტატუსის არა ავტომატურ რეჟიმში, არამედ იძულებით გადაადგილებული პირის მხრიდან ნების გამოვლენის შემთხვევაში, პირადობის მონმობისა და მასთან გასაუბრების საფუძველზე შემჭიდროვებულ ვადაში მინიჭებას.

## „მუდმივი საცხოვრებელი ადგილის“ დეფინიცია

- „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-4 მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 9 ივნისის განმარტება საქმეზე №ბს-1896-1849(კ-10) (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba51.pdf>).

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, იმისათვის, რომ პირი მიჩნეულიყო იძულებით გადაადგილებულად პირად – დევნილად, მას იძულებით, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ უნდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებელი „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონთან მიმართებაში იყენებდა ცნებას „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“ და არა „რეგისტრაციის ადგილი“ ან „საცხოვრებელი ადგილი“. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „საცხოვრებელი ადგილის“, „მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა“ და „რეგისტრაციის ადგილის“ ცნებების გამიჯვნას.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საცხოვრებელი ადგილი იყო უფრო ფართო მნიშვნელობის, რომლის კონკრეტულ სახეს წარმოადგენდა „რეგისტრაციის ადგილი“ და „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“. თუ პირს შეიძლება ჰქონოდა რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, ამის საწინააღმდეგოდ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში პირს შეიძლება ჰქონოდა მხოლოდ ერთი რეგისტრაციის ადგილი და მხოლოდ ერთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ამასთან, თუ რეგისტრაციის ადგილს პირი საკუთარი სურვილით ირჩევდა, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არჩევისათვის სავალდებულო იყო პირის ნებასთან ერთად ფაქტობრივად ცხოვრების ფაქტის არსებობა. ამასთან, პირის ნება – დაეფუძნებინა საცხოვრებელი ადგილი – უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო ამ ნების დაკმაყოფილების შესაძლებლობით, ე.ი. პირს უნდა ჰქონოდა ბინა, სახლი ან სხვა საცხოვრებელი სადგომი მოცემულ ადგილზე. პირის კონკრეტულ ადგილას მუდმივად ცხოვრების ფაქტი გამომხატული იყო აღნიშნულ ადგილზე ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებით, რაც შეიძლება დადასტურებულიყო, მაგ: გადასახადის გადახდის დადასტურებული ქვითრით, საკომლო ჩანაწერით, მუდმივი მაცხოვრებლების აღწერის შედეგებით ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტით, რომ პირი განსაზღვრულ ადგილას წარმოადგენდა მუდმივ მაცხოვრებელს.

საკასაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იყო პირის მიერ საცხოვრებლად არჩეული ადგილი, საიდანაც იგი საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ იძულებული გახდა გადაადგილებულიყო და არ შეეძლო დაბრუნება ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი მიზეზების გამო. ამდენად, პირის მიერ საკუთარი ნებით, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის პრინციპის საფუძველზე მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვების შემთხვევაში იკარგებოდა დევნილად ცნობის მეორე სავალდებულო პირობა – იძულებით გადაადგილების ფაქტი.

საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ პირადობის მოწმობაში დაფიქსირებული საცხოვრებელი მისამართი ცალსახად არ მიუთითებდა პირის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე, იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ პირს შეიძლება ჰქონოდა რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი და საკუთარი არჩევანით რეგისტრაცია გაეწეო ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, რომელიც შეიძლება არ ყოფილიყო მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

**იძულებით გადაადგილებული პირების მიერ საარსებო შემწეობის დანიშვნაზე წერილობითი თანხმობის წარდგენა**

- „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების მე-11 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 17 თებერვლის განმარტება საქმეზე №ბს-1256-1220(კ-10) (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba50.pdf>).

მოსარჩელები გ. და დ. თ-ი 2008 წლის 6 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის მხრიდან განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს წარმოადგენდნენ. მოსარჩელებმა „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებით გათვალისწინებული საარსებო შემწეობა 2009 წლის იანვრის ნაცვლად, 2009 წლის ივნისიდან მიიღეს, ვინაიდან, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო სადავოდ ხდიდა იმ გარემოებას, რომ საარსებო შემწეობის დანიშვნისათვის აუცილებელი პირობა იყო გ. და დ. თ-ების მიერ სამინისტროსათვის საარსებო შემწეობის დანიშვნაზე წერილობითი თანხმობის წარდგენა.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში კანონმდებლის ნებისა და მისი მიზნის სწორი განმარტებისათვის საჭირო იყო ერთმანეთისაგან გამიჯნულიყო პენსიის დანიშვნის და საარსებო შემწეობის დანიშვნის წესი და პირობები.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში კანონმდებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პენსიის დანიშვნის სავალდებულო პირობას განცხადების წარდგენა წარმოადგენდა და კომპეტენტური ორგანოს მიერ მისი დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პენსია ინიშნებოდა მხოლოდ განცხადების წარდგენის დღიდან. „სოციალური დამხმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით კი კანონმდებელმა გამოხატა აშკარა ნება, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს საარსებო შემწეობა უნდა მისცემოდათ 2009 წლის იანვრიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. კანონმდებელს საარსებო შემწეობის დანიშვნის სავალდებულო პირობად არ განუსაზღვრავს საარსებო შემწეობის მიმღები სუბიექტების მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენა.

საკასაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით, იძულებით გადაადგილებული პირების მიერ საარსებო შემწეობის დანიშვნაზე წერილობითი თანხმობის (სადაც აგრეთვე აღინიშნება ოჯახის რომელიმე წევრი ეწევა თუ არა საბიუჯეტო ორგანიზაციაში ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობისა) მოპოვება და სააგენტოსათვის მიწოდება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა. შესაბამისად, სამინისტროს მიერ წერილობითი თანხმობის დაგვიანებით მოპოვება და შემდგომ, აღნიშნული ინფორმაციის სააგენტოსათვის მიწოდება არ შეიძლება გამხდარიყო საარსებო შემწეობის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საარსებო შემწეობის თანხების გაცემა იძულებით გადაადგილებულ პირებზე უნდა განხორციელებულიყო 2009 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზემოაღნიშნული ოჯახის რომელიმე წევრი საბიუჯეტო ორგანიზაციაში ეწეოდა ანაზღაურებად საქმიანობას ან სხვა მიზეზით ოჯახი უარს განაცხადებდა საარსებო შემწეობის მიღებაზე.



## საგადასახადო სამართალი

### საგადასახადო პასუხისმგებლობის დაკისრების კანონიერება

#### – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ბს-238-234(კ-15) (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

სსიპ შემოსავლების სამსახურის პრევენციის დეპარტამენტის 2012 წლის 8 ივნისის ბრძანების საფუძველზე ინდივიდუალური მენარმის კუთვნილ ობიექტში ჩატარდა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც გამოვლინდა საალრიცხვო დოკუმენტებში აღურიცხავი, 11569 ლარის ღირებულების სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა, რის გამოც შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლითაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მოსარჩელე დაჯარიმდა, რაც გასაჩივრდა ინდივიდუალური მენარმის მიერ, მაგრამ სსიპ შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 10 ოქტომბრის ბრძანებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. შემდგომ ოქმი და ბრძანება გასაჩივრდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში, თუმცა ადმინისტრაციული საჩივარი ასევე არ დაკმაყოფილდა. 2013 წლის 6 აგვისტოს ინდ. მენარმემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ და მოითხოვა ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 9 დეკემბრის განჩინებით უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასეს საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება, თუმცა არ გაითვალისწინა საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის მე-4 ნაწილში შეტანილი ცვლილება ჯარიმის ოდენობის შემცირების შესახებ.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საგადასახადო სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების დროს, თუ კანონით გაუქმებული ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა ასეთი ქმედების ჩადენისთვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა, ხოლო თუ შემოღებული ან დამძიმებულია პასუხისმგებლობა, გამოიყენება ქმედების ჩადენის მომენტისთვის არსებული ნორმა. სანქციის შეფარდების დრო მოიცავს არა მხოლოდ ორგანოს მიერ მისი გამოყენების დროს, არამედ აგრეთვე ზემდგომი ორგანოების ან სასამართლოს მიერ სანქციის გამოყენების კანონიერების შემოწმების პერიოდს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ ახალი გადაწყვეტილებით შეამცირა სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმა 11569 ლარი 50%-ით და განსაზღვრა 5784.5 ლარით.

## საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლი
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 20 მაისის განჩინება საქმეზე №ბს-534-515(კ-13) (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

მოსარჩელემ 2012 წლის 31 იანვარს შეწყვიტა საქმიანობა ძველი საკონტროლო-სალარო აპარატით და 2012 წლის 1 თებერვლიდან მუშაობა გააგრძელა ახალი საკონტროლო-სალარო აპარატით. ძველი საკონტროლო-სალარო აპარატიდან საგადასახადო ორგანომ ამოიღო ფინანსური ანგარიში, ხოლო თავად აპარატი დაუბრუნა. მოსარჩელის განმარტებით, აპარატის შენახვის ვალდებულებისა და მისი დაკარგვის შემთხვევაში პასუხისმგებლობის შესახებ არავის გაუფრთხილება. მიუხედავად ამისა, სსიპ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე, დაჯარიმდა 3000 ლარით. აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმი მოსარჩელემ გაასაჩივრა შემოსავლების სამსახურში, რომლის ბრძანებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დააკმაყოფილა სარჩელი, ბათილად ცნო შემოსავლების სამსახურის საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და ბრძანება და მოპასუხეს დაევალა ახალი აქტის გამოცემა. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივლისის განჩინებით.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ გადასახადის გადამხდელს საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვის გამო პასუხისმგებლობა არ დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ სალარო-აპარატის დაკარგვა გამონეული იყო სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. ანუ სახეზე უნდა იყოს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი და დადასტურებული ფაქტი, რომ მენარმეს საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვაში ბრალი არ მიუძღვის, მისი დაკარგვა არ გამოწვევია მის დაუდევარ ქმედებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი სათანადო პასუხისმგებლობით არ მოეკიდა საკონტროლო-სალარო აპარატის შენახვას, არამედ მისი დაკარგვა გამონეულია სხვა პირის ბრალეული ქმედებით. ამგვარი ფაქტის დაუდგენლობის შემთხვევაში ქმედების/უმოქმედობის კვალიფიკაციისათვის საგადასახადო კოდექსის 281.7 მუხლის გამოყენება კანონსაწინააღმდეგოა. გადასახადის გადამხდელის ვალდებულება – იცოდნენ კანონი, უშუალოდ გამომდინარეობს საგადასახადო მოსამსახურის ვალდებულებისგან – ასწავლოს (განუმარტოს) კანონი. შესაბამისად, გადამხდელის პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როცა საჯარო მოსამსახურის პასუხისმგებლობა – სამართლებრივი კონსულტაციის განევა, უზრუნველყოფილია. საჯარო მოსამსახურის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება, კანონის ფორმალური დანაწესის შეუსრულებლობის პირობებშიც კი, გამორიცხავს გადასახადის გადამხდელის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომას.

ქვედა სასამართლო ინსტანციებში განხილვის დროისათვის უკვე მოქმედებდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269.7 მუხლის ახალი რედაქცია, რომლის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს/დავის განმხილველ ორგანოს ან სასამართლოს უფლება აქვს, გაათავისუფლოს კეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელი ამ კოდექსით გათ-

ვალისწინებული სანქციისაგან, თუ სამართალდარღვევა გამოწვეულია გადასახადის გადახდის შეცდომით/არცოდნით. თუმცა ამგვარი უფლებამოსილება გამოყენებული უნდა იქნეს კანონიერების, მიუკერძოებლობის და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების ზედმინევით დაცვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს: მოსარჩელის მხრიდან საკონტროლო-სალარო აპარატის გადაგდება განაპირობა მისმა დაუდევრობამ თუ საგადასახადო მოხელის არასწორმა კონსულტაციამ, რაც სარწმუნოდ უნდა დადასტურდეს უტყუარი მტკიცებულებებით, არის თუ არა სახეზე მენარმის ბრალის გამომრიცხავი გარემოებები.

### საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის სამართალდარღვევის ადგილზე შედგენის ვალდებულება

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლი
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 თებერვლის განჩინება საქმეზე №ბს-695-681(კ-12) (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

2012 წელს მოსარჩელის კუთვნილ სავაჭრო ობიექტში კერძო საგადასახადო ინსპექტორმა განახორციელა საკონტროლო შესყიდვა. პროდუქტის მიწოდების შემდეგ მოსარჩელე მიბრუნდა გვერდით განთავსებული სალარო აპარატისკენ ქვითრის ამოსაბეჭდად და ხურდის დასაბრუნებლად, რა დროსაც მას კლიენტმა განუმარტა, რომ ჩეკის ამობეჭდა უკვე დაგვიანებული იყო. საგადასახადო ინსპექტორმა ისე დატოვა ობიექტი, რომ ადგილზე არც ოქმი შეუდგენია და არც ვინაობა დაუფიქსირებია. მოსარჩელის განმარტებით, უკვე გაფორმებული ოქმი შემოსავლების სამსახურში ჩაიბარა მან. სამართალდარღვევის ოქმი მოსარჩელემ გაასაჩივრა ადმინისტრაციული წესით, საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საქმის მასალებით დასტურდება (რასაც არც თავად ადმინისტრაციული ორგანო უარყოფს), რომ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი შედგენილი არ ყოფილა სამართალდარღვევის ადგილას. აღნიშნული გარემოება სათანადოდ არ შეფასებულა არც – სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ საჩივრის განხილვისას, შემოსავლების სამსახურს არ გამოუკვლევია ის გარემოება, რა ობიექტური გარემოებებით იყო გამოწვეული სამართალდარღვევის ოქმის სხვა ადგილას შედგენა, თუ წინააღმდეგობის განევას ჰქონდა ადგილი, როგორც ამას ამტკიცებს ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი, რატომ არ მიიღო საგადასახადო ინსპექტორმა კანონით გათვალისწინებული ადეკვატური ზომები. აღნიშნულ საკითხზე ფაქტობრივი გარემოებები არ იყო გამოკვლეული და უტყუარად დადგენილი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის დანაწესებიდან და თავად სამართალდარღვევის ოქმის, როგორც იურიდიული დოკუმენტის მნიშვნელობიდან, გამომდინარეობს, რომ მისი შედგენა აუცილებელია სწორედ სამართალდარღვევის ადგილზე. სამართალდარღვევის ოქმით ფიქსირდება სამართალდარღვევის ფაქტი, გარემოებები, მონაწილე პირები და იმავდროულად

იგი წარმოადგენს ერთ-ერთ და სარწმუნო მტკიცებულებას სამართალდარღვევის მოცემულ დროსა და ადგილას, მოცემულ ვითარებაში გამოვლენისა და ამ ფაქტის მონაწილე პირების შესახებ. ამდენად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის არა სამართალდარღვევის გამოვლენის ადგილზე შედგენა წარმოადგენს პროცედურის არსებით დარღვევას. ზემოაღნიშნულ პირობებში ადმინისტრაციულმა ორგანომ ხელახლა უნდა ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და გამოიკვლიოს კერძო საგადასახადო ინსპექტორმა რატომ არ შეადგინა სამართალდარღვევის ადგილზე ოქმი, რა ხელისშემშლელი ფაქტორები არსებობდა და რატომ არ იქნა მითითებული აღნიშნულის თაობაზე ოქმში. ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის ხელახალი შესწავლისას უნდა გაითვალისწინოს ასევე საგადასახადო კოდექსის 281.3 მუხლში განხორციელებული ცვლილება ჯარიმის შემცირების თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ საგადასახადო კოდექსის 269.2 მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ საგადასახადო სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან გამაუქმებელ აქტებს აქვთ უკუქცევითი ძალა, ე.ი. ვრცელდება ამ აქტის გამოცემამდე ჩადენილ სამართალდარღვევებზეც. სანქციის შეფარდების დრო მოიცავს არამხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისი გამოყენების დროს, არამედ ზემდგომი ორგანოების ან სასამართლოს მიერ სანქციის გამოყენების კანონიერების შემომწმების პერიოდს.

საკასაციო სასამართლომ ბათილად ცნო სსიპ შემოსავლების სამსახურის ბრძანება და სსიპ შემოსავლების სამსახურს დაევალა საკითხის ხელახალი გამოკვლევისა და დასაბუთების შედეგად ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.



## სააღსრულებო სამართალი (სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე)

### სააღსრულებო ფურცლის მოქმედების ნაწილობრივ შეჩერება

- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლი
- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 82<sup>1</sup>-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ას-786-743-2015 ([http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n83\(82\)-mnishvnelovani-ganmarteba.pdf](http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n83(82)-mnishvnelovani-ganmarteba.pdf)).

ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლით მოვალეს კრედიტორის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის – 7 000 აშშ დოლარის, პირგასამტეხლოს – 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, სააღსრულებო წარმოების დაწყებამდე – 3 087 აშშ დოლარის, სულ – 10 087 აშშ დოლარის გადახდა, ასევე, სააღსრულებო ფურცლის გაცემის ხარჯი – 126.72 ლარი. სესხის გადახდის უზრუნველსაყოფად დადგინდა იპოთეკის საგნის რეალიზაცია. მოვალემ სარჩელი აღძრა კრედიტორის წინააღმდეგ და სარჩელის აღძვრასთან ერთად, მისი უზრუნველყოფის სახით, მოითხოვა ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის აღსრულების შეჩერება, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. მოვალის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და სააღსრულებო ფურცლის მოქმედება შეჩერდა, რაც კრედიტორმა გაასაჩივრა. კრედიტორის საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება გაუქმდა იმ ნაწილში, რომლითაც შეჩერდა ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის მოქმედება – 6 083 აშშ დოლარის (ძირითადი თანხის – 5 250 აშშ დოლარის და პირგასამტეხლოს 833 აშშ დოლარის) აღსრულების ნაწილში, ხოლო კრედიტორის საჩივარი 4 004 აშშ დოლარის ნაწილში აღსრულების შეჩერების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღმასრულებელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა განჩინების საჩივროდ დაკმაყოფილება ნაწილის განმარტება, თუმცა მისი განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაც გაასაჩივრა კერძო საჩივრით. აღმასრულებელი ითხოვდა შემდეგ განმარტებას: განჩინების საჩივროდ დაკმაყოფილება ნაწილის შინაარსი გულისხმობს თუ არა: 1) ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის აღსრულების გაგრძელებას 6 083 აშშ დოლარის ნაწილში და, დავალიანების დაფარვის უზრუნველსაყოფად, იპოთეკის საგნის რეალიზაციას; 2) იმ შემთხვევაში, თუ 6 083 აშშ დოლარის ნაწილში დავალიანების დაფარვის უზრუნველსაყოფად, სააღსრულებო ბიუროს მიერ განხორციელდება იპოთეკის საგნის რეალიზაცია, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, და სასამართლო მოვალეს დააკისრებს 4 004 აშშ დოლარის გადახდასაც, რა სახით უნდა მოხდეს ამ თანხის ამოღება, თუ იპოთეკის საგანი უკვე რეალიზებული იქნება.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განმარტებით, სასამართლო გადაწყვეტილების განმარტებისას განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო, რათა განმარტების შედეგად არ მოხდეს გადაწყვეტილების ძირითადი შინაარსის შეცვლა. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილების განმარტება მხოლოდ იმ მიზანს ემსახურებოდეს, რომელიც კანონმდებელმა დასახა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სააღსრულებო წარმოებათა კანონ-

ნის VII თავზე, რომელიც ადგენს აღსრულების გადადებას, შეჩერებას, შეწყვეტას და აღსასრულებელი დოკუმენტის უკან დაბრუნებას; ამავე თავის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს სასამართლოს მიერ აღსრულების შეჩერების საფუძვლებსა და ვადებს, თუმცა, ამ ნორმით განისაზღვრება აღსრულების პროცესის მთლიანად შეჩერება და არა ნაწილობრივი შეჩერება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, კერძო საჩივარში სწორედ იმ საკითხზეა ყურადღება გამახვილებული, რომ განჩინების სარეზოლუციო შინაარსი, მისი განმარტების გარეშე, პრაქტიკაში გადაწყვეტილების აღსრულების თვალსაზრისით ქმნის პრობლემას. საკასაციო სასამართლო აღნიშნა, რომ სააღსრულებო ფურცლის ნაწილობრივ შეჩერებას არ ითვალისწინებს კანონი, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლო ვალდებულია თანაბრად დაიცვას კრედიტორისა და მოვალის ინტერესები, არ შექმნას პრეცედენტი, როგორც მოცემულ შემთხვევაშია, რომ მოხდეს კრედიტორის ერთიანი მოთხოვნის დანაწევრება სააღსრულებო ფურცლის ნაწილობრივ შეჩერების გზით; აღნიშნული აღსრულების პროცესს უქმნის საფრთხეს, როდესაც ჯერ უზრუნველყოფილი მოთხოვნის ნაწილი უნდა აღსრულდეს, ხოლო ასევე უზრუნველყოფილი მოთხოვნის მეორე ნაწილი – კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებით თუ კრედიტორის მოთხოვნა ამ ნაწილშიც დასაბუთებული აღმოჩნდება, შეუძლებელი იქნება იპოთეკის საგნის ხელმეორედ რეალიზაცია.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გამახვილა, რომ კრედიტორისა და მოვალის ინტერესების ბალანსის შესანარჩუნებლად, სასამართლომ უნდა განმარტოს, იპოთეკის საგნის რეალიზაციის შემდეგ, თუკი ამონაგები თანხიდან დარჩება გარკვეული ნაწილი და დაუბრუნდება მოვალეს, როგორ იქნება დაცული კრედიტორის ინტერესი, რომლის მოთხოვნის ნაწილი (4004 აშშ დოლარის ნაწილში შეჩერებული ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი) ფორმალურ-იურიდიულად კვლავ უზრუნველყოფილ მოთხოვნად დარჩება, თუმცა, რეალურად არ იარსებებს იპოთეკის საგანი, რადგან იგი რეალიზებული იქნება. ასეთ შემთხვევაში კრედიტორის წინაშე შესასრულებელი ვალდებულება იურიდიულ ფიქციად რჩება და დამოკიდებული ხდება მხოლოდ მოვალის კეთილ ნებასა და მატერიალურ შესაძლებლობაზე.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მხოლოდ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შექმნილი სამართლებრივი ჩიხიდან გამოსავალი შესაძლებელია იყოს სააპელაციო სასამართლოს მიერ სააღსრულებო წარმოებათა კანონის 82<sup>1</sup>-ე მუხლის უფრო ფართოდ განმარტება. სასამართლომ განჩინების სამოტივაციო ნაწილში შესაძლებელია მსჯელობა განავითაროს, ხოლო შემდეგ სარეზოლუციო ნაწილით დაადგინოს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ნაწილში, დაინყოს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის აღსრულება. იპოთეკის საგნის რეალიზაციის შემდეგად, კანონით გათვალისწინებული ხარჯებისა და საფასურის დაფარვის შემდეგ, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, აუქციონის შედეგად ამონაგები დარჩენილი თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაიკავებს იგივე კრედიტორის უზრუნველყოფილი მოთხოვნის მეორე ნაწილის აღსასრულებლად სხვა კრედიტორისათვის განკუთვნილ ადგილს, სააღსრულებო ბიურო ყადაღას დაადებს მას და განათავსებს საკუთარ სადეპოზიტო ანგარიშზე. დაყადაღებული თანხა სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსდება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე იმ ნაწილში, რომელზეც შეჩერებულია ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის მოქმედება.

## იძულებითი აღსრულების დაუშვებლობის პირობები

- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლი
- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი
- „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 19 თებერვლის განჩინება საქმეზე №ბს-66-64(კ-14) (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა აპლიკაციით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მოითხოვა შპს-ს მიმართ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული წარმოების დაწყება დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემისა და მისი დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის მიზნით.

იმის გამო, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით განცხადება მოპასუხის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების თაობაზე წარმოებაში იქნა მიღებული, მეურვედ დაინიშნა აღსრულების ეროვნული ბიურო და მას აეკრძალა ახალი იძულებითი ღონისძიების დაწყება. სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მოითხოვა აღსრულების საფასურის საგარანტიო თანხის მის ანგარიშზე გადარიცხვა, რაზეც მიიღო უარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება და მოპასუხეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 13 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპლიკანტის მიერ საგარანტიო თანხის სახით კანონით გათვალისწინებული წინასწარი საფასურის აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე შეტანა ნიშნავს იმას, რომ აპლიკანტმა გამოხატა ნება „დავალიანების გადახდევინების შესახებ“ ბრძანების გამოცემის შემთხვევაში მისი დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი კრძალავს შესაბამისი განცხადების წარმოებაში მიღების შემდგომ, ახალი სააღსრულებო მოქმედების განხორციელებას და არა სააღსრულებო ფურცლის წარმოებაში მიღებას. სააღსრულებო წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენს კრედიტორის წერილობითი განცხადება და განცხადების წარმოებაში მიღება და აღსრულების ამ სახით დაწყება არ წარმოადგენს აღსრულების ახალ ღონისძიებას.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის სწორად გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სააღსრულებო ორგანოების მოქმედებათა კანონიერების შეფასება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის იმპერატიული მოთხოვნათა გათვალისწინებით.

აღსრულების ეროვნულმა ბიურომ სადავოდ არ გახადა ის გარემოება, რომ დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემამდე მათთვის ცნობილი იყო გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინების თაობაზე. ამდენად, სასამართლო განჩინებით დადგენილი სავალდებულო მოთხოვნის (აღსრულების აკრძალვის) მიუხედავად სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ბრძანება მიაქცია დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, მაშინ როდესაც აღსრულების ეროვნული ბიურო ვალდებული იყო არ დაეწყო ახალი სააღსრულებო წარმოება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღსრულების ბიურომ მიზანმიმართულად ფორმალურად მიიღო წარმოებაში აღსასრულებელი საქმე, მიიღო აღსრულების საფასური და შეაჩერა სააღსრულებო წარმოება. ეს იმ პირობებში, როდესაც აღსრულების დაწყების შემდეგ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38.8 მუხლი გამოიწვევს კრედიტორისათვის წინასწარ გადახდილი აღსრულების საფასურის დაბრუნების შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში ახალი სააღსრულებო წარმოების დაწყება მხოლოდ აღსრულების საფასურის მიღებას ემსახურება, რაც საკასაციო სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია. მოსარჩელის ინტერესსა და მიზანს აღსრულების რეალურად განხორციელება და კუთვნილი თანხის მიღება წარმოადგენდა, ამდენად, აღსრულების დაწყების დაუშვებლობის პირობებში, დაუშვებელია შეიზღუდოს საგარანტიო თანხის სახით გადახდილი აღსრულების წინასწარი საფასურის დაბრუნების შესაძლებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ ბათილად ცნო სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს გადაწყვეტილება და საქართველოს შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს დაუბრუნა მის მიერ საგარანტიო თანხის სახით გადახდილი აღსრულების წინასწარი საფასური.

### სააღსრულებო საფასურის დაკისრება

#### – „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 22 თებერვლის განმარტება საქმეზე №ბს-818-812(კ-11) (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba26.pdf>).

აღნიშნული ადმინისტრაციული საქმე ეხებოდა შპს „...-ს“ სარჩელს, რომლითაც მან მოითხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის ქმედების უკანონოდ აღიარება, საინკასო დავალების გაუქმება და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროსათვის შპს „...-ს“ სასარგებლოდ უდავო წესით ჩამონერილი 7292,40 ლარის გადახდის დაკისრება. მოსარჩელის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 10.06.2008წ. გადაწყვეტილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს „...-ს“ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარგებლოდ დაეკისრა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების 118000 ლარისა და მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 3540 ლარის ანაზღაურება. თბილისის საქალაქო სასამართლოს 10.06.2008წ. გადაწყვეტილების საფუძველზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი. კრედიტორის განცხადების საფუძველზე დაიწყო სააღსრულებო პროცედურა, თბილისის სა-



აღსრულებო ბიუროს წერილით შპს „...-ს“ მიეცა წინადადება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების 7 დღის ვადაში ნებაყოფლობით შესრულების შესახებ. წინადადება 08.09.2010წ. ჩაბარდა შპს „...-ს“, რომელსაც განემარტა, რომ ნებაყოფლობით შესრულებისთვის დადგენილ ვადაში გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 38-ე მუხლის შესაბამისად, მას დაეკისრებოდა აღსრულების საფასურის სრული ოდენობა აღსასრულებელი მოთხოვნის 7%, ხოლო ნებაყოფლობით შესრულებისთვის დადგენილ ვადაში გადაწყვეტილების შესრულების შემთხვევაში – მხოლოდ საფასურის კრედიტორის მიერ წინასწარ გადახდილი ნაწილი – მოთხოვნის 1 % (1215,40 ლარი). შპს „...-ს“ მიერ 14.09.2010წ., ანუ კანონით დადგენილ შვიდდღიან ვადაში, თბილისის სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე გადაირიცხა სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა – 118000 ლარს დამატებული სახელმწიფო ბაჟის თანხა – 3540 ლარი, ჯამში – 121540 ლარი. რაც შეეხება აღსრულების ხარჯს – 1215,40 ლარს, აღნიშნული თანხა თბილისის სააღსრულებო ბიუროს ანგარიშზე 21.09.2010წ. გადაირიცხა. თბილისის სააღსრულებო ბიუროს 21.09.2010წ. საინკასო დავალებით შპს „...-ს“ უდავო წესით ჩამოეწერა 7292,40 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო სასამართლომ არ იქონია მსჯელობა აღსასრულებელი მოთხოვნის მოცულობაზე. სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია თუ რატომ უნდა გავრცელებულიყო აღსრულების საფასურის 7%-იანი განაკვეთი გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ წინადადების ნებაყოფლობითი შესრულებისათვის კანონით დადგენილ ვადაში გადახდილ თანხაზეც.

საკასაციო პალატამ მხედველობაში მიიღო აგრეთვე ის გარემოება, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აღსრულების საფასურის გადახდა ეკისრებოდა მოვალეს, ამავე კანონის 38-ე მუხლის მე-9 პუნქტის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 30.07.10წ. №144 ბრძანებით დამტკიცებული ნების მე-2 მუხლის თანახმად, აღსრულების ხარჯი პირველ რიგში იმ შემთხვევაში იფარებოდა, უკეთეს მოთხოვნა არასრულად ან ეტაპობრივად იყო დაკმაყოფილებული, ხოლო შემდეგ იფარებოდა აღსრულების საფასური და აღსასრულებელი მოთხოვნა ამოღებული თანხის პროპორციულად. განსახილველ შემთხვევაში აღსასრულებელი თანხა დადგენილ ვადაში იყო გადახდილი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აღსრულების საფასური საგადასახადო კოდექსის, „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ კანონის, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მიხედვით არ წარმოადგენდა გადასახადს, მოსაკრებელს ან სახელმწიფო ბაჟს. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული აღსრულების საფასურის 7%-იანი განაკვეთი თავისი არსით ატარებდა არა უფლებააღდგენითი სანქციის ხასიათს, რომლითაც ხდება მოვალის მიერ აღსრულების ხარჯების იძულებითი ანაზღაურების ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა, არამედ მოვალის მიმართ გამოყენებული საჯარიმო ხასიათის სანქციას, რომლითაც დამატებითი გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა მოვალეს, ამ ვალდებულებას ინვესტს მოვალის მიერ სააღსრულებო წესების დარღვევა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოვალის მიერ ნებაყოფლობით დადგენილ ვადაში იქნა შესრულებული სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული მოთხოვნა, შესაბამისად სახეზე არ იყო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარემოება, რომლის თანახმადაც მოთხოვნის არასრულად ან ეტაპობრივად დაკმაყოფილების შემთხვევაში პირველ რიგში იფარებოდა საფასური ამოღებული თანხის პროპორციულად, ხოლო შემდეგ – აღსასრულებელი მოთხოვნა. წინადადება შპს „...-ს“ ჩაბარდა 08.09.2010წ., აღმასრულებ-

ლის წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ შეიცავდა მითითებას, რომ თუ მოვალე დადგენილ ვადაში შეასრულებდა გადაწყვეტილებას მას ეკისრებოდა მხოლოდ კრედიტორის მიერ წინასწარ გადახდილი თანხის – მოთხოვნის 1%, გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში მოვალეს დაეკისრებოდა აღსასრულებელი საფასურის სრული ოდენობა – აღსასრულებელი მოთხოვნის 7%. ვინაიდან მოთხოვნა, რომლის გადახდაც წარედგინა მოვალეს შედგებოდა აღსასრულებელი მოთხოვნისაგან და სააღსრულებო საფასურისაგან, ამასთანავე 7-დღიან ვადაში მოვალის მიერ ნებაყოფლობით გადახდილ იქნა მხოლოდ სააღსრულებო ფურცელში მითითებული თანხა (121540ლ.), ხოლო მოთხოვნის 1% გადახდილ იქნა მოგვიანებით, აღნიშნული თანხის გადახდა განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ იძლეოდა მხოლოდ გადახდილი საფასურის – 1215 ლარისა და 40 თეთრის 7%-ის მოვალეზე დაკისრების შესაძლებლობას.

### საჯარო აუქციონზე შეძენილ უძრავ ქონებაზე გირავნობის (იპოთეკის) გადასვლა

- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლი
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 85-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 14 ივნისის განმარტება საქმეზე №ბს-34-34(3კ-12) (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba45.pdf>).

მოცემულ საქმეზე საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა საჯარო აუქციონზე მოსარჩელის – მ. კ-ის მიერ შეძენილ უძრავ ქონებაზე საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გადასვლის კანონიერების დადგენა, კერძოდ, 2004 წლის საგადასახადო კოდექსის 85-ე მუხლში 2010 წლის 23 მარტს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები ვრცელდებოდა თუ არა ფიზიკურ პირებზე.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ 2004 წლის საგადასახადო კოდექსის თავდაპირველივე რედაქცია განსაზღვრავდა ქონების გაყიდვის/გადაცემის დროს საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების საკითხს, კერძოდ, თუ საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონება გაიყიდებოდა ან რაიმე გზით გადაეცემოდა სხვა მფლობელს სახელმწიფოს მიერ საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გაუქმების გარეშე, გირავნობის/იპოთეკის უფლება კვლავ გავრცელდებოდა ამ ქონებაზე ახალი მფლობელის მიმართ. ნებისმიერ სხვა გირავნობის/იპოთეკის უფლებას ექნებოდა უმცირესი ძალა იმ საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების მიმართ, რომელიც არსებობდა გაყიდვამდე ან გადაცემამდე.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ 2004 წლის საგადასახადო კოდექსში 2010 წლის 23 მარტს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით განისაზღვრა კონკრეტული იურიდიული პირების წრე, რომელთა მიმართაც საგადასახადო კანონმდებლობამ, ქონების გასხვისების დროს საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გადასვლასთან დაკავშირებით, განსხვავებული რეგულირება შემოიღო. კერძოდ, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე განისაზღვრა, რომ თუ საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონება გაიყიდებოდა ან რაიმე სხვა გზით გადაეცემოდა სხვა მფლობელს, გირავნობის/იპოთეკის უფლება კვლავ გავრცელდებოდა ამ ქონებაზე, გარდა საგადასახადო კოდექსის 85-ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრული შემთხვევებისა. შესაბამისად, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება შეეხო: კომერციულ ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, სადაზღვევო ორგანიზა-

ციებს, საერთაშორისო და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები გავლენას არ ახდენდნენ ფიზიკურ პირებზე, ვინაიდან, საგადასახადო კანონმდებლობა ფიზიკურ პირებთან მიმართებაში აღნიშნულ ცვლილებებამდე ისედაც ითვალისწინებდა ქონებაზე საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გადასვლას ახალი მფლობელის მიმართ.

ამასთან, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი და საგადასახადო კოდექსი სადავო საკითხის მიმართ შესაბამისობაში იყო მოსული, ვინაიდან, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლი დაზუსტდა და მითითება გაკეთდა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლებაზე.

### საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია

- „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლი
- „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტება 2015 წლის 26 ოქტომბრის საქმეზე №ა-2135-შ-46-2015 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო, უნდა განხორციელებულიყო თუ არა უცხო ქვეყნის გადანყვეტილების ცნობა, ვინაიდან, მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებით, მოცემულ დავაზე მხოლოდ საქართველოს სასამართლოს ჰქონდა საერთაშორისო კომპეტენცია და „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს გადანყვეტილების ცნობა და აღსრულება არ უნდა მომხდარიყო.

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 12.2-ე მუხლის ცალკეული გამონათქვამის, კერძოდ, „საერთო სასამართლობის დაქვემდებარების გარდა“, ბუნდოვნებასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ხელშეკრულებათა განმარტების თავისებურება განპირობებულია ურთიერთობათა ორმხრივი (მრავალმხრივი) ხასიათით, დისპოზიციური ნორმების გამოყენებით, სავაჭრო და საქმიანი ჩვეულებებითა და ტრადიციებით, მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობაში ჩამოყალიბებული პრაქტიკით, იმპერატიული ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინების აუცილებლობით და ა.შ.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების 12.2-ე მუხლით მხარეებს არ განუსაზღვრავთ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განხილვა არბიტრაჟის მიერ, ამიტომაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა ექვემდებარება განსახილველად საერთო სასამართლოებს.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი პროცესუალური ნორმების საფუძველზე განსჯადობის დადგენის შემდეგ, ხდება საერთაშორისო განსჯადობის საკითხის გადანყვეტა.

საკასაციო პალატამ საერთაშორისო კომპეტენციასთან ერთად, ყურადღება გაამახვი-

ლა განსაკუთრებულ საერთაშორისო კომპეტენციაზეც, რომლის ცალკეულ შემთხვევებს ითვალისწინებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი.

კანონის მიერ გამომრიცხავი საერთაშორისო კომპეტენციის დაწესება გამორიცხავს მის მიმართ მხარეთა მიერ ხელშეკრულებით კომპეტენციის შეცვლის შესაძლებლობას.

იმ შემთხვევაში, როდესაც სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოებს მინიჭებული აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, მოსარჩელე მხარეს უფლება აქვს, აირჩიოს თავისთვის უფრო მომგებიანი ქვეყნის იურისდიქცია, კონკურირებად საერთაშორისო იურისდიქციებს შორის.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს საერთო სასამართლოებს მოცემულ საქმეზე გააჩნდათ საერთაშორისო კომპეტენცია, თუმცა არ გაიზიარა მონინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის მოსაზრება, რომ დავის განმხილველი ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოსაც არ გააჩნდა ამ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს მოცემულ დავაზე გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია შემდეგ გარემოებათა გამო: „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ წესებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით (ასევე, გასათვალისწინებელია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი).

საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ ხელშეკრულების (ძალაშია 1996 წლის 6 დეკემბრიდან) 21-ე მუხლის თანახმად, „თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა სასამართლოები კომპეტენტური არიან, განიხილონ სამოქალაქო საქმეები, თუ მოპასუხეს მათ ტერიტორიაზე გააჩნია საცხოვრებელი ადგილი. იურიდიულ პირთა მიმართ წარდგენილ სარჩელებზე ისინი კომპეტენტურნი არიან, თუ მოცემული მხარის ტერიტორიაზე არის იურიდიულ პირთა მმართველობის ორგანო, წარმომადგენლობა ან ფილიალი“.

ამავე ხელშეკრულების 40-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ცნობენ და აღასრულებენ იუსტიციის დაწესებულებების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებს სამოქალაქო საქმეებზე, ხოლო 42-ე მუხლის თანახმად კი, აღსრულების წესი რეგულირდება ხელშეკრულების მონაწილე მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს აღსრულება.

სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ კონვენციის (ე.წ. „მინსკის კონვენცია“) მე-20 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ საქმეში მონაწილეობს რამდენიმე მოპასუხე, რომელთა საცხოვრებელი ადგილი (ადგილსამყოფელი) მდებარეობს სხვადასხვა ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე, დავა განიხილება ნებისმიერი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის (ადგილსამყოფელის მიხედვით) მოსარჩელის არჩევით. საკუთრების უფლებასთან ან სხვა სანივთო უფლებებთან დაკავშირებულ სარჩელზე კომპეტენტურნი არიან მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოები ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეში მონაწილე ორი მოპასუხის წინააღმდეგ, საკასაციო პალატამ მიაჩნია, რომ უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს მოცემულ დავაზე გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია.



## საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებები სისხლის სამართლის საქმეებზე

### სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები სისხლის სამართლის კანონის უკუქალა

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას  
სასამართლოს უფლებამოსილება

#### – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა  
პალატის 2012 წლის 19 სექტემბრის განმარტება საქმეზე №39აგ-12  
(<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba32.pdf>).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 2 აგვისტოს განაჩენით მსჯავრდებულ რ. ბ-ის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ არსებული განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაკმაყოფილდა და მისი ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (რომლისთვისაც მისჯილი ჰქონდა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა) გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე (სასჯელის სახით ითვალისწინებს 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას) და მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულმა რ. ბ-მ საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 2 აგვისტოს განაჩენით მას სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სანქციის მაქსიმუმია. აღნიშნული არ გაითვალისწინა სააპელაციო სასამართლომ და მას ფაქტობრივად დაუმძიმა მდგომარეობა, რადგან მას წინა განაჩენით განსაზღვრული ჰქონდა სასჯელის სამუხალო ზომა.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს გადასასინჯი გადაწყვეტილების სამართლიანობაზე. საპროცესო კოდექსის ამ მოთხოვნებიდან და სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მსჯავრდებულს უნდა შეუმცირდეს სასჯელი იმ შემთხვევაში, როდესაც მისთვის დანიშნული სასჯელის ზომა აღემატება ახალი კანონით დადგენილი სასჯელის ზომის მაქსიმუმს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუკი დანიშნული სასჯელი ახალი კანონის სანქციის ფარგლებშია, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, შეამციროს მისი ზომა და, შესაბამისად, იმსჯელოს დანიშნული სასჯელის მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან შესაბამისობის თაობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა, რის გამოც უცვლელად დატოვა იგი.

## სასჯელის დანიშვნა

### განაჩენთა ერთობლიობისას წინა განაჩენით დანიშნული დამატებითი სასჯელის ბოლო განაჩენისათვის მიმატება

#### – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 14 აპრილის განმარტება საქმეზე №100აპ-14 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n63-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 28 ოქტომბრის განაჩენით დ. კ-ს სასჯელად დაენიშნა 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარი. ამავე სასამართლოს 2010 წლის 29 აპრილის განაჩენით დ. კ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელად დაენიშნა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 3 თვე განესაზღვრა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 9 თვე ჩაეთვალა პირობით, 1 წლისა და 9 თვის გამოსაცდელი ვადით. ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასამართლომ გააუქმა წინა განაჩენი პირობითი მსჯავრის ნაწილში, მოუხდელი ნაწილი – 3 თვე დაუმატა ახლად დანიშნულ სასჯელს და მსჯავრდებულს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 6 თვე განესაზღვრა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 9 თვე ჩაეთვალა პირობით, 1 წლისა და 9 თვის გამოსაცდელი ვადით.

თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების 2014 წლის 21 თებერვლისა და 18 მარტის განჩინებებით არ დამტკიცდა პროკურორისა და ბრალდებულ დ. კ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის (2006 წლის 29 დეკემბრის რედაქცია) თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლო 2010 წლის 29 აპრილის განაჩენის გამოტანისას ვალდებული იყო, განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის დანიშვნისას ემსჯელა არა მხოლოდ წინა განაჩენით დანიშნულ ძირითად სასჯელზე, არამედ ასევე დამატებით სასჯელზე – ჯარიმაზე და მისი მოუხდელი ნაწილი მთლიანად დაემატებინა ახლად დანიშნული სასჯელისათვის ამავე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა; სასამართლომ გააუქმა წინა განაჩენი მხოლოდ პირობითი მსჯავრის ნაწილში და საერთოდ არ შეეხო დამატებით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს; შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 28 ოქტომბრის განაჩენი დამატებით დანიშნული სასჯელის ნაწილში დღეის მდგომარეობით ფაქტობრივად აღუსრულებელია. იმ შემთხვევაში, თუ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 აპრილის განაჩენით დ. კ-ს განაჩენთა ერთობლიობით განსაზღვრული ექნებოდა წინა განაჩენით დანიშნული დამატებითი სასჯელის მოუხდელი ნაწილიც (რაც დღეის მდგომარეობით იქნებოდა აღუსრულებელი), სასამართლო უფლებამოსილი იქნებოდა, დაეკმაყოფილებინა პროკურორის შუამდგომლობა სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულ დ. კ-ს მიმართ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე.

ამასთან, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ახალი ბრალდების საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, თუ ბრალდებულს საპატიმრო სასჯელი განესაზღვრება, სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შუამდგომლობით

სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით პირველი ინსტანციის სასამართლო იმსჯელებს მსჯავრდებულისათვის სასჯელის ყველა აღუსრულებელი განაჩენის მიხედვით განსაზღვრის შესახებ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 286-ე მუხლის მიხედვით, ხოლო არასაპატიმრო სასჯელის დანიშვნის დროს როგორც ამ სასჯელის, ასევე წინა აღუსრულებელი განაჩენით დანიშნული არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებას უზრუნველყოფს სააღსრულებო ან არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონების მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი წესით ვერ იმსჯელებს განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის დანიშვნის თაობაზე, კერძოდ, გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის შემთხვევაში დამატებითი სასჯელის სახით – ჯარიმის დამატებაზე ახლად დანიშნულ სასჯელზე, რის გამოც პროკურორის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და არ დამტკიცდა ბრალდებულსა და პროკურორის შორის გაფორმებული საპროცესო შეთანხმება.

## პირობითი მსჯავრი

### არასრულწლოვნის დაცვის საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების უპირატესობა

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 64-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 316-ე მუხლი
- საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის განჩინება საქმეზე №265აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

კ. მ-ძე, რომელმაც დანაშაული არასრულწლოვნების ასაკში ჩაიდინა, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და შეეფარდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე კ.მ-ძეს დანიშნული სასჯელი ჩაეთვალა პირობითად და დაუდგინდა 4 წლის გამოსაცდელი ვადა.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 თებერვლის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ: გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხა მითითება კ. მ-სათვის დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ კ. მ-ძის მიმართ გამოყენებული პირობითი მსჯავრი გააუქმა არა იმ საფუძველით, რომ მისი პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი არ იყო მის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენება, არამედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის დანაშაულის შესაბამისად, რომ თუ მსჯავრდებულს განაჩენის გამოტანის მომენტისთვის არ შესრულებია თვრამეტი წელი და მან პირველად ჩაიდინა დანაშაული,

სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, თუ მას ჩადენილი არა აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. კ. მ-ძეს კი განაჩენის გამოტანის მომენტისთვის 18 წელი შესრულებული ჰქონდა.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 316-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, დაიცვას არასრულწლოვნის უფლებათა საერთაშორისო გარანტიები. იმ შემთხვევაში თუ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლის მოთხოვნა ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის დაცვის საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, რითაც ირღვევა არასრულწლოვნის უფლებები და მისი რე-სოციალიზაციისათვის განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი, სწორედ საერთაშორისო პრინციპებისა და ნორმებისთვის უპირატესი ძალის მინიჭებით, საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით უნდა გადაწყდეს არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესი, რისი სამართლებრივი საფუძველიც მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში, კერძოდ: საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის დებულება, რომ თუ მსჯავრდებულს განაჩენის გამოტანის მომენტისთვის შეუსრულდა 18 წელი, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დანიშნული სასჯელი ჩაუთვალოს პირობითად, წინააღმდეგობაშია საერთაშორისო აქტებსა და კონვენციებთან, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად კი ამ დროს უპირატესი ძალა უნდა მიენიჭოს საერთაშორისო აქტებით აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ მსჯავრდებულ კ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება და კ. მ-ს დანიშნული სასჯელი სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად, 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

## **დანაშაული აღამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ**

### **ბინის ხელშეუხებლობის დარღვევასა და ფსიქიკურ იძულებას შორის ზღვარის გავლება**

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 26 მარტის განმარტება საქმეზე №202აპ-13 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n60-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

ქუთაისის საქალაქო და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების მიერ ხ. ჩ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლითა და 160-



ე მუხლის პირველი ნაწილით, კერძოდ: ხ. ზ. სასჯელალსრულების დანესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ დაზარალებულს სთხოვდა შერიგებას, მასთან საცხოვრებლად გადასვლას, ხოლო უარის გამო აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას და ემუქრებოდა მოკვლით. დადგენილია, რომ შემთხვევის დღეს ხ. ზ. ემუქრებოდა და აგინებდა დაზარალებულს, მისი სახლის კარს ურტყამდა ფეხს.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის ქმედებები (მუქარა, გინება, კარზე ფეხის არაერთჯერადი დარტყმა) წარმოადგენს დაზარალებულის ფსიქიკურ იძულებას, მისი ნების სანინაალმდეგოდ, შერიგებოდა ყოფილ მეუღლეს და ნაგირავებ სახლში ეცხოვრა მასთან ერთად. შესაბამისად, სახეზეა ხ. ზ-ს განზრახვი ქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართული იყო დაზარალებულის ფსიქიკური იძულებისაკენ, შეესრულებინა მოქმედება (შერიგებოდა და ეცხოვრა მასთან ერთად), რომლის განხორციელება ან მისგან თავის შეკავება დაზარალებულის უფლებას წარმოადგენდა.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ დასჯად ქმედებას წარმოადგენს ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ე.ი. მისი ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის სანინაალმდეგო ზემოქმედება. ფსიქიკური იძულება შეიძლება გამოიხატოს მუქარაში, ხოლო ამ დანაშაულის შემადგენლობა სახეზეა, თუ პირს აიძულებენ, შეასრულოს ან არ შეასრულოს ისეთი მოქმედება, რომლის განხორციელება ან მისგან თავის შეკავება მისი უფლებაა და კანონით მისი გადასაწყვეტია, ამ მოქმედებას განახორციელებს თუ არა. ამდენად, ქმედების ამ დანაშაულად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია, რომ შეზღუდვა იყოს უკანონო, ხოლო ქმედება – მსხვერპლის ნება-სურვილის სანინაალმდეგო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად არასწორად შეაფასა და კვალიფიკაციაც არასწორად განსაზღვრა, როდესაც მსჯავრდებულ ხ. ზ-ს მსჯავრი დასდო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – ბინაში მფლობელის ნების სანინაალმდეგოდ შესვლის მცდელობაში, რომელიც არღვევს ბინის ხელშეუხებლობას, ჩადენილი ძალადობის მუქარით, მაშინ, როდესაც ხ. ზ-მა ჩაიდინა იძულება - ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ე.ი. ფსიქიკური იძულება, შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის სანინაალმდეგო ზემოქმედება, დანაშაული, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

საბოლოოდ, ხ. ზ-ის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ამასთან, მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთა 1 წლამდე შეუმცირდა და იგი გათავისუფლდა სასჯელალსრულების დანესებულებიდან.

## საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

### დიდი ოდენობით ჩადენილი თაღლითობის კვალიფიკაცია და მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკა

#### – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განმარტება საქმეზე №236აპ-12 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba30.pdf>).

სასამართლო გამოძიებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების განაჩენებით რ.კ-სა და სხვებს, რომლებიც მოქმედებდნენ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მსჯავრი დაედოთ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლების გამო, რაც გამოიხატა შემდეგში: რ. კ-მ და სხვებმა, მოქალაქეებისაგან მათი კუთვნილი თანხების გამოტყუებისა და მისაკუთრების მიზნით, დააფუძნეს არასამენარმეო იურიდიული პირი, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა რ. კ. ეს პირი და მისი სხვა თანამზრახველები აღნიშნულ ორგანიზაციაში მოტყუებით აწვევრიანებდნენ მოქალაქეებს, რომლებსაც არწმუნებდნენ, რომ თითქოს ამ ორგანიზაციას ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული „პრეზიდენტ კენედის ფონდიდან“ გამოეყოფოდა სოციალური გრანტი და ყოველთვიურად სანევროს სახით მათ მიერ დანესებული 3 ლარის გადახდის შემთხვევაში თითოეული განევრიანებული მოქალაქე სანაცვლოდ ყოველ თვეში მიიღებდა 30 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს, ხოლო უმუშევარი მოქალაქე – ასევე ყოველთვიურად მიიღებდა დახმარებას 120 ლარის ოდენობით 1 წლის განმავლობაში, რაც სინამდვილეს საერთოდ არ შეესაბამებოდა. ამ გზით 2010 წლის ნოემბრიდან 2011 წლის 16 თებერვლამდე რ. კ-მ და მისმა თანამზრახველებმა მოახერხეს მათ მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციაში 11686 მოქალაქის განევრიანება, რომლებსაც საერთო ჯამში გამოსტყუეს და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს 36060 ლარი. აღნიშნული თანხის საერთო მოცულობიდან გამომდინარე, როგორც აღინიშნა, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა მსჯავრდებულ რ. კ-სა და სხვათა მიმართ ბრალად შერაცხული ქმედება, სხვა მაკვალიფიცირებელ ნიშანთან ერთად, დააკვალიფიცირეს აგრეთვე როგორც თაღლითობა, ჩადენილი დიდი ოდენობით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. აღმოჩნდა, რომ ასეთი კვალიფიკაცია ეწინააღმდეგებოდა დიდი ოდენობის ნიშნით თაღლითობის კვალიფიკაციის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას, რომლის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა თავიდანვე მიღებული ერთიანი განზრახვისა და საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე ჩაიდინა თაღლითობა ორი ან მეტი დაზარალებულის მიმართ, როგორც ერთჯერადი მოქმედება, ანდა – რამდენიმე, მაგრამ სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით იგივეობრივი ხასიათის მოქმედება ერთიანი განგრძობადი დანაშაულის სახით, თაღლითობის კვალიფიკაცია დიდი ოდენობით ჩადენილად დაიშვებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ასეთ ზომას აღწევდა ცალკე აღებული ერთი დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ოდენობა და არა ერთზე მეტი ან ყველა დაზარალებულისათვის მიყენებული ერთობლივი ზიანის საერთო ჯამი (სანიმუშოდ შეიძლება აღინიშნოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 თებერვლის განჩინება № 1078აპ მსჯავრდებულ დ.ვ.-ს საქმეზე, იხ: კრებულში – საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, კერძო ნაწილი, № 12, 2008, გვ.გვ. 46–49; <http://prg.supremecourt.ge/default.aspx>), ვინაიდან საკასაციო პალატას მიაჩნდა, რომ განხილულ

შემთხვევაში თაღლითობის ქმედება უშუალოდ ხელყოფს არა გარკვეული რაოდენობის ადამიანების ერთობლივ, კოლექტიურ ინტერესს, თუნდაც ერთი ქმედებით დაზარალებულთა საერთო რიცხვი ძალზე დიდია იყოს, არამედ ყოველი ცალკე აღებული დაზარალებულის კანონით დაცულ ინდივიდუალურ ინტერესსა და საკუთრების უფლებას, რომლის დაცვისკენაცაა მიმართული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი. ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთ შემთხვევაზე, როდესაც თაღლითის ერთიანი განზრახვითა და მიზნით განხორციელებული ქმედებით მრავალრიცხოვან დაზარალებულთა კრებადობა სრულიად შემთხვევით ხასიათს ატარებს და მათ შორის არ არსებობს რაიმე მყარი, გამაერთიანებელი სოციალური ურთიერთობა. დღეისათვის მოცემული საკითხისადმი ასეთი მიდგომა და პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა ვერ ჩაითვლება სრულყოფილად, რადგან მან იმ ვითარებაში, როდესაც დანაშაულის ჩადენის სულ უფრო დახვეწილი და ქმედითი საშუალებები ჩნდება ერთიანი ქმედებით დიდი მასშტაბის მქონე ზიანის გამონწვევის შესაძლებლობათა გაფართოების თვალსაზრისით, შესაძლებელია, პოტენციურ დამნაშავეს უბიძგოს დანაშაულის ჩასადენად გამოიყენოს ისეთი ხერხები, რომელთა მეშვეობითაც, ერთი მხრივ, მრავალი ადამიანის ინტერესების ხელყოფის გზით, მიიღოს დიდი შემოსავალი, ხოლო მეორე მხრივ კი – თავი დააღწიოს მკაცრ პასუხისმგებლობას მძიმე და საშიში დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც კი. ამ ვითარებამ შესაძლოა, წარმოშვას აშკარა უსამართლობა და გაუმართლებელი დისპროპორცია ფაქტობრივად ერთი და იმავე სიმძიმის ქმედებათა დასჯადობაში. მაგალითად, თუკი ერთმა დამნაშავემ თაღლითობით მოახერხა ისეთ დაზარალებულთა მრავალრიცხოვანი კრებულის მოტყუება, რომელიც ერთი იურიდიული პირის სახით იყო წარმოდგენილი და ხსენებული ქმედება სწორედ ამ იურიდიული პირის მიმართ იყო ჩადენილი, რომლის ზარალმა დიდ ოდენობას მიაღწია, იგი დაისჯება მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, ხოლო სხვა დამნაშავე, რომელმაც ერთი ქმედებით შესაძლოა, ბევრად უფრო მეტი რაოდენობის, ხელმოკლე და სოციალურად შეჭირვებული ადამიანი მოატყუა და ზარალმა დიდი ოდენობა მხოლოდ ცალკეული დაზარალებულისათვის ერთობლივად მიყენებული მცირე ან მნიშვნელოვანი ზიანის საერთო მოცულობით შეადგინა, დაისჯება ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის. უფრო მეტიც, შესაძლებელია ეს უკანასკნელი უფრო მსუბუქად დაისაჯოს იმ პირთან შედარებითაც კი, რომელმაც ეკონომიკურად და ფინანსურად ფრიად შეძლებულ და მდიდარ ადამიანს თაღლითურად გამოსტყუა თუნდაც 151 ლარი, ანდა იმავე ღირებულების ნივთი და ამ ოდენობის თანხით აზარალა, ეს მაშინ, როდესაც სრულიად აშკარაა ჩადენილი ქმედებების სიმძიმესა და თვით დამნაშავე პიროვნებათა საშიშროებას შორის არსებული სერიოზული განსხვავება. გარდა ამისა, დიდ პალატას მიაჩნია: როდესაც კანონმდებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ცნებების განმარტებისას შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებულ ძირითად შემადგენლობებში უთითებს სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისა თუ მისაკუთრების მიზანზე, ძალიან მაღალი ალბათობითაა სავარაუდო, რომ ამ შემთხვევაში იგი ქმედების კვალიფიკაციისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს იმ გარემოებას – ეს სხვისი ნივთი ერთ ადამიანს ეკუთვნის, თუ ორს ან მეტს. აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ნივთზე (ფულზე, ქონებაზე), რომელსაც ეუფლება და ისაკუთრებს დამნაშავე, ამ უკანასკნელს არავითარი უფლება არ გააჩნია.

ამიტომ განხილულ შემთხვევაში ერთიანი განზრახვითა და მიზნით ჩადენილი ქმედების დიდი ოდენობით კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დაუფლებული და მისაკუთრებული, თუ საამისოდ გამიზნული ნივთის (ფულის, ქონების) საერთო ღირებულებას და არა უშუალოდ ცალკეული, კონკრეტული დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის მოცულობას. აქვე დიდი პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასეთი კვალიფიკაცია დიდი ოდენობის ნიშნით შეეხება არა მხოლოდ თაღლითობას, არამედ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებსაც, როგორც

ცაა ქურდობა, ძარცვა და სხვა, ხოლო დიდი ოდენობის ნიშნით კვალიფიკაცია, სრულიად ცხადია, რომ არ დაიშვება ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, მრავალი იგივეობრივი ან ერთგვაროვანი დანაშაულის აქტი, ჩადენილი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ჩამოყალიბებული განზრახვისა და მიზნის საფუძველზე, რაც ვერ იქნება მიჩნეული ერთიან განგრძობად დანაშაულად და რეალურად გვევლინება როგორც დანაშაულთა რეალური ერთობლიობა, რადგან სამართლებრივად შეუძლებელია იგივეობრივ დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის არსებობა, გამომდინარე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან.

ამრიგად, აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ უფრო მართებულად მიიჩნია ზემოთ განხილულ, პრობლემურ სისხლისსამართლებრივ საკითხზე ქვემდგომი სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რის გამოც ამ უკანასკნელის შესაბამისად შეცვალა იმავე საკითხზე წინათ არსებული სასამართლო პრაქტიკა და მის ნაცვლად დაამკვიდრა ახალი სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ქმნის მსგავსი საკითხების უფრო დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტის შესაძლებლობას.

### **თაღლითობის მცდელობასა და დამთავრებულ თაღლითობას შორის ზღვარის გავლება**

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 19 აპრილის განმარტება საქმეზე №1106აპ-10 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba23.pdf>).

საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტების შესაბამისად, ქურდობის ჩადენის ფაქტზე დააკავეს ივანე და ელგუჯა. აღნიშნულ საქმეზე ასევე იმხილებოდა მათი თანამზრახველი იური. ივანეს მამამ იურის შვილის რჩევით, ხსენებულ ბრალდებულებს ადვოკატად აუყვანა ქ. ვ-ე. ეს უკანასკნელი იურის შვილთან ერთად მივიდა ივანეს მამასთან და აუხსნა, რომ მის შვილს და ელგუჯას ჩადენილი ჰქონდათ ქურდობის მრავალი ეპიზოდი, რის გამოც მათ პროკურატურაში ქრთამის მიცემით საქმე ისე მოაგვარეს, რომ ხსენებულ ბრალდებულებს მხოლოდ 10-10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდებოდათ. აღნიშნულის სანაცვლოდ კი მოსთხოვა 5000 აშშ დოლარის გადახდა. ეს პირები შეთანხმდნენ, რომ ვინაიდან საქმეში იურიც იმხილებოდა, საქმის მოსაგვარებლად საჭირო თანხის მესამედი ამ უკანასკნელის შვილს უნდა გადაეხადა, ხოლო დანარჩენი – ივანეს მამას, რომელმაც ამის შესახებ შეატყობინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას და გამოთქვა საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის სურვილი. ამასთან დაკავშირებით დაიგეგმა და მოსამართლის ბრძანების საფუძველზე ჩატარდა ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა შედეგად დადგინდა, რომ ადვოკატი ქ. ვ-ე კვლავ მივიდა დაზარალებულის საცხოვრებელ სახლში, რა დროსაც დაზარალებულმა ადვოკატს გადასცა მოსთხოვნილი თანხის ნაწილი – 1000 აშშ დოლარი, ამასთან, დაჰპირდა, რომ თანხის დანარჩენ ნაწილს – 2400 აშშ დოლარს მომდევნო დღეს, დილით, გადასცემდა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უტყუარად დადგინდა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს ვერ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება და კვალიფიკაცია. საკასაციო პალატამ მხედველობაში მიიიღო ის გარემოება, რომ ქ. ვ-თვის გადაცემული



თანხა დაზარალებულმა მიიღო სამართალდამცავი ორგანოებისგან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩასატარებლად, რის შედეგადაც ქ. ვ-ე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე დააკავეს.

პალატამ განმარტა, რომ კანონის თანახმად, თაღლითობა წარმოადგენს შედეგიან დელიქტს, რომელიც დამთავრებულად ითვლება მხოლოდ დამნაშავის მიერ გამიზნული მართლსაწინააღმდეგო შედეგის რეალურად დადგომის შემთხვევაში, რაც გამოიხატება დაზარალებულის კუთვნილი ამა თუ იმ ნივთის დაუფლებაში, რითაც ზიანი ადგება დაზარალებულს. მოცემულ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც დაზარალებულმა სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა, მთლიანად გამოირიცხა ქ. ვ-ის ქმედებით მისთვის ზიანის მიყენების ანუ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა, ვინაიდან დანაშაულის ობიექტის – დაზარალებულის საკუთრების უფლების ხელყოფა შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ შესაბამისი დანაშაულის საგნის – მისი კუთვნილი თანხის დაუფლების გზით, რისი შესაძლებლობაც კონკრეტულ სიტუაციაში გამოირიცხული იყო იქიდან გამომდინარე, რომ დაზარალებულს თავისი კუთვნილი თანხა არ გადაუცია ქ. ვ-თვის, როცა ეს უკანასკნელი დააკავეს, – თანხა, რომელიც ოპერატიული ღონისძიების ჩატარების დროს 10 ცალი 100 აშშ. დოლარიანი კუპიურის სახით გადაეცა მსჯავრდებულს, წარმოადგენდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საკუთრებას, რომლის გადაცემის პროცესს მთლიანად აკონტროლებდნენ აღნიშნული ინსპექციის თანამშრომლები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილია არა დამთავრებული თაღლითობა, არამედ – თაღლითობის მცდელობა და მისი ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადააკვალიფიცირა სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლსა და 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე.

### **თაღლითობისა და მოტყუებით ქონებრივი დაზიანების საფუძველზე მსჯავრდების შემთხვევების განსხვავება**

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მარტის განმარტება საქმეზე №2104აპ-07 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba1.pdf>).

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების შესაბამისად, მსჯავრდებულმა დ. ყ-შვილმა და ბ. ბ-ძემ გამოძახებით დაიქირავეს ტაქსი, რომლითაც იმგზავრეს წყალტუბოს რაიონში, სადაც ტაქსის მძღოლის მოთხოვნაზე, გადაეხადათ მგზავრობის დანახარჯი – 55 ლარი, მას განუცხადეს, რომ თანხა არ ჰქონდათ და სანაცვლოდ დაუტოვეს დ. ყ-შვილის პლასტიკური ვიზა-ბარათი მისი ზუსტი პერსონალური მონაცემებით, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ დაზარალებული ნახა ბ. ბ-ძემ და გადასცა მგზავრობის ღირებულების ნაწილი.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მათ მისცა სამართლებრივად აშკარად არასწორი შეფასება, როდესაც მსჯავრდებულების ქმედება დააკვალიფიცირა როგორც თაღლითობა, ჩადენილი ჯგუფურად, ვინაიდან თაღლითობის შემადგენლობის ერთ-ერთ

აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ დამნაშავე მოტყუების გზით ეუფლება სხვის კუთვნილ ნივთს, რომელსაც მოტყუებული პირი თავისი ნებით გადასცემს ან თავისი ნებით თმობს უფლებას მასზე. მოცემულ შემთხვევაში კი არც ბ. ბ-ძე და არც დ. ყ-შვილი არ დაუფლებია დაზარალებულის კუთვნილ ფულს ან რაიმე სხვა ნივთს, ასეთი რამ დადგენილი არ არის. მათ დაზარალებულს არ გადაუხადეს ტაქსით მგზავრობის ღირებულება, ანუ ის თანხა, რომელიც პ. ჯ-იანს მათგან უნდა მიეღო, მაგრამ ვერ მიიღო, რაც იძლევა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლით გათვალისწინებული ისეთი ქმედების შემადგენლობას, როგორცაა ქონებრივი დაზიანება მოტყუებით. მოცემულ შემთხვევაში ქონების ანუ ავტომანქანის მესაკუთრემ განიცადა ქონებრივი ზიანი იმ მხრივ, რომ მისი კუთვნილი ტაქსით ისარგებლეს მსჯავრდებულებმა, მგზავრობის ღირებულება კი არ გადაუხადეს, ხოლო მოტყუებას რომ ჰქონდა ადგილი, დასტურდება შემდეგი გარემოებით: როდესაც ტაქსი გამოიძახეს, მსჯავრდებულებმა წინდანინვე იცოდნენ, რომ მგზავრობის ღირებულების ასანაზღაურებელი თანხა არ ჰქონდათ და ამის შესახებ ტაქსის მესაკუთრე არ გააფრთხილეს. მართალია, შემდგომში ბ. ბ-ძემ მას მიუტანა თანხის ნაწილი, მაგრამ ეს უკანასკნელი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ჩადენილი დანაშაულის ქმედითი მონაწილეობა, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასჯელის ზომის განსაზღვრისას. ასეთივე მნიშვნელობა უნდა მიეცეს იმ ფაქტს, რომ დ. ყ-შვილმა დაზარალებულს დაუტოვა თავისი საკრედიტო ვიზა-ბარათი.

საკასაციო პალატამ, მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (თაღლითობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) გადააკვალიფიცირა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, როგორც ქონებრივი დაზიანება მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

## ნასამართლევნი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება

### – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238<sup>1</sup>-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №106აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

საქმის გარემოებების მიხედვით, 2013 წლის 20 სექტემბერს, ი. ჯ-ს ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მისგან ამოიღეს დასაკეცი დანა, რომელიც, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, არის ქარხნული წესით დამზადებული, მჩხვლეტავ-მჭრელი, მაფიქსირებელი მოწყობილობით და მიეკუთვნება ცივი იარაღთა კატეგორიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 დეკემბრის განაჩენით ი. ჯ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ნასამართლევნი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება ჩადენილი იმის მიერ, ვინც ნასამართლევნი იყო განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 28 თებერვლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანა-

შაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებულმა ი. ჯ-მ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა 2013 წლის 20 სექტემბერს, რა დროსაც ამ დანაშაულის 1-ლი ნაწილის შემადგენლობისათვის საკმარისი იყო ნასამართლევი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შემადგენლობას იძლეოდა პირის წარსულში მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლობა. მოცემულ შემთხვევაში ი. ჯ-ი ნასამართლევი იყო განზრახ მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის და, შესაბამისად, მისი ქმედება იძლეოდა განზრახ მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ ცივი იარაღის ტარების დანაშაულის შემადგენლობას.

2013 წლის 11 დეკემბრის კანონით, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 8 იანვარს, შეიცვალა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დისპოზიციის ნაწილი იმ მიმართებით, რომ ამ დანაშაულის შემადგენლობას იძლეოდა ცივი იარაღის ტარებისათვის განმეორებით ადმინისტრაციულ-სახელდადებული ან ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ-სახელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება, რა დროსაც მნიშვნელობა არ ჰქონდა არც წარსულში ნასამართლობას და არც ასაკს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შემადგენლობა მოგვცა პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენამ არაერთგზის ან განზრახ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევი პირის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი კანონის თანახმად, ვინაიდან მსჯავრდებული ი. ჯ-ი არ იყო განმეორებით ადმინისტრაციულ-სახელდადებული პირი ცივი იარაღის ტარებისათვის და არც ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ-სახელდადებული, ესე იგი მის ქმედებაში არ იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, შესაბამისად, წარსულში მისი ნასამართლობა მძიმე დანაშაულისათვის ვერ მოგვცემდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, რის გამოც მსჯავრდებული გამართლდა სისხლის სამართლის კოდექსის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

აქვე, საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2015 წლის 12 ივნისის კანონით (ძალაშია 2015 წლის 14 ივლისიდან) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238<sup>1</sup>-ე მუხლში კვლავ განხორციელდა ცვლილებები, რომელთა შესაბამისადაც, დასჯადია მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ცივი იარაღის ტარებისათვის განმეორებით ადმინისტრაციულ-სახელდადებული ან ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ-სახელდადებული პირი, რაც გულისხმობს იმას, რომ ი. ჯ-ს მიერ ჩადენილი ფაქტობრივი ქმედება ხსენებული კანონით კვლავ დანაშაულად იქნა მიჩნეული.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი, შესაბამისად, მსჯავრდებულ ი. ჯ-ს ქმედების შეფასებისას პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238<sup>1</sup>-ე მუხლის იმ რედაქციით, რომელიც მოქმედებდა 2014 წლის 8 იანვარიდან 2015 წლის 14 ივლისამდე.

## წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი ხულიგნობა

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის 2011 წლის 1-ლი თებერვლის განმარტება საქმეზე №868აპ-10 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n67-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

საქმის გარემოებების მიხედვით, ბრალდებულ რ. პ-ს ბრალად წარედგინა წინასწარი შეთანხმებით ხულიგნობის ჩადენა, კერძოდ, ბრალდებულმა სხვა პირთან ერთად განახორციელა ხულიგნობა, თუმცა დანაშაულის ჩადენის დასაწყისში მათ შორის წინასწარი თანხმობა არ არსებობდა და მეორე ბრალდებული მოგვიანებით ჩაება დანაშაულებრივ ქმედებაში.

სასამართლო განხილვისას ადვოკატმა მოსამართლეს წარუდგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 1 თებერვლის №868აპ-10 განჩინება და მასზე დაყრდნობით იშუამდგომლა კვალიფიკაციის შეცვლა (ჯგუფურობის ნაწილში გამართლება).

მოცემულ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ, მართალია, იმ მომენტში, როდესაც ვ. ტ; ვ. რ. და მათთან ერთად კიდევ ერთი პირი ერთობლივად ახორციელებდნენ ხულიგნურ ქმედებას, ისინი მოქმედებდნენ ერთმანეთთან შეთანხმებულად, მაგრამ ეს თანხმობა მათ შორის არ არსებობდა მაშინ, როდესაც აღნიშნული დანაშაულის ჩადენა დაიწყო ვ. ტ-მა ინდივიდუალურად, ხოლო დანარჩენები შემდეგ შეუერთდნენ მის მიერ დაწყებულ დანაშაულს. ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით დანაშაული მაშინ ჩაითვლება ჩადენილად, როდესაც ასეთი შეთანხმება დანაშაულში მონაწილე პირებს შორის მიღწეულია და არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში მითითებული ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებამდე. ამასთან, ცხადია, მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი ხნით ადრე შედგა ასეთი შეთანხმება დამნაშავეთა შორის და რა ფორმით ან საშუალებით იქნა გამოხატული იგი. უშუალოდ დანაშაულის დაწყების შემდეგ, მხედველობაშია თუნდაც ერთ-ერთი ამსრულებლის მიერ ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყება, მისი ჩადენის პროცესში დამნაშავეთა შორის შეთანხმება ერთობლივი მოქმედების თაობაზე არ შეიძლება ჩაითვალოს წინასწარ შეთანხმებად, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთოდ ვერ იარსებებდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ისეთი შემთხვევა, როგორცაა წინასწარ შეუთანხმებლად ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენა, რომელშიც ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ დადგენილი პრაქტიკის გათვალისწინებით, ბათუმის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულ რ. პ-ს ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან იმავ მუხლის პირველ ნაწილზე გადააკვალიფიცირა, რასაც მოჰყვა გაცილებით მსუბუქი სასჯელის დანიშვნა.



## ნარკოტიკული დანაშაული

### ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღება

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 25 ივლისის განმარტება საქმეზე №345აპ-11 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba22.pdf>).

პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტების შესაბამისად ე. კ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა კუსტარული წესით მიღებული, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი ფხვნილი, რომლის გასაღებაც განიზრახა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოთავსებულ შვილზე – ვ. კ-ზე და ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველ ფხვნილში დაასველა ექვსი მოყვითალო ფერის თხელი ქსოვილი, მოათავსა პირსახოცის ორივე ბოლოში, ნაკერების შიგნითა მხარეს და ამ გზით შენიღბული ჩადო სასჯელალსრულების დეპარტამენტის №6 დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულ ვ. კ-სათვის გადასაცემ ამახანათში. ე. კ-მ წარადგინა ამახანათი და შეავსო წერილობითი განცხადება, რის საფუძველზეც აღნიშნული დაწესებულების ადმინისტრაციას ამახანათი უნდა გადაეცა იმავე დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულ ვ. კ-სათვის. მან განცხადებაში აღნიშნა, რომ ამახანათში არ იყო მოთავსებული აკრძალული საგნები, ნივთები (მათ შორის ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული და ძლიერმოქმედი ნივთიერებები), რის შესახებაც გაფრთხილებული იყო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე. ამახანათის შემომწმების შედეგად, კერძოდ, მასში მოთავსებული, ღია ფერის პირსახოცის ორივე ბოლოში, ნაკერების შიგნითა მხარეს, ნანახი იქნა მოყვითალო ფერის ქსოვილი, გაჟღენთილი საეჭვო სპეციფიკური სუნის მქონე სითხით, რომელიც სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარმოადგენს კუსტარული წესით მიღებული ჰეროინის შემცველ ნარევს.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ უკანონო გასაღებაში იგულისხმება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის სხვა პირისათვის უკანონო გადაცემის ნებისმიერი ხერხი როგორც საზღაურით, ისე საზღაურის გარეშე (გაყიდვა, გაჩუქება, გაცვლა სხვა ნივთში, გასესხება და ა.შ.).

### ნარკოტიკული ნივთიერების შექენა, შენახვა, გასაღების დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებების ერთმანეთისგან განსხვავება

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ივნისის განმარტება საქმეზე №937აპ-09 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba2.pdf>).

პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტების შესაბამისად, დ. თ-ა რუსთავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 7 დეკემბრის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხ-

ლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. გამოსაცდელი ვადის პერიოდში, 2008 წლის დეკემბერში, მან თურქეთის რესპუბლიკაში უკანონოდ შეიძინა 0,1216 გრამი ნარკოტიკული საშუალება – „კანაფის ფისის“ შემცველი მომწვანო-მოყავისფრო 1,15 გრამი მყარი ნივთიერება, რის შემდეგაც თურქეთის რესპუბლიკიდან გამოემგზავრა საქართველოში და წამოიღო მის მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული დასახელებული ნარკოტიკული საშუალება. 2008 წლის 28 დეკემბერს საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის სასაზღვრო-საკონტროლო პუნქტ „სარფის“ გავლით მან გადმოკვეთა საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარი, რა დროსაც იგი დააკავეს, ხოლო ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად ქურთუკის ზედა, მარცხენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა ხსენებული ნარკოტიკული საშუალება.

საკასაციო პალატამ გაიზიარა რა ქვემდგომი სასამართლოების შეფასება ნარკოტიკული საშუალების შემოტანის ნაწილში, მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ნაწილში არასწორად იყო დაკვალიფიცირებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა და გადაზიდვა იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს საქართველოს სსკ-ის XXXIII თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული).

პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის დროს, თუ პირს ადრე ჩადენილი აქვს არა ამ მუხლით, არამედ ნარკოტიკული დანაშაულის თავით გათვალისწინებული რომელიმე სხვა დანაშაული, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ პირს ადრე ჩადენილი აქვს იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, როგორც არაერთგზის ჩადენილი დანაშაული, ვინაიდან განსახილველი დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე (საქართველოს კანონის 2007 წლის 4 ივლისის ცვლილება), არაერთგზისობა გულისხმობს წინათ ნასამართლვე პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მსჯავრდებულ დ. თ-ავას მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, გადააკვალიფიცირა ამავე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა და გადაზიდვა, ჩადენილი არაერთგზის).

### **ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების (მარიხუანა) უკანონოდ მოხმარებისათვის სასჯელის განსაზღვრის წესი**

#### **– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 24 დეკემბრის განჩინება საქმეზე №602აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

საქმის გარემოებების მიხედვით, ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის 2014 წლის 25 ივნისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ-

სახდელშეფარდებულმა ი. ბ-მა 2015 წლის 13 მარტს ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლი“ (მარიხუანა).

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის განაჩენით ი. ბ-ი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 7 სექტემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე – საქართველოს მოქალაქე ბ. ნ-ი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ), საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სანქციით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის გამოყენება პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ შეძენა/შენახვისათვის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილებით, მართალია, დადგინდა პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ შეძენა-შენახვისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების არაკონსტიტუციურობა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაკონსტიტუციურად არ უცვნიას სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი ქმედების ან/და სანქციის ნაწილში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ამ მუხლით პირის მსჯავრდებისას, მის მიმართ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრის დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთება და, შესაბამისად, ამ ქმედების ხასიათი და სიმძიმე, პირის მიერ გამოხატული მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი, მართლსაწინააღმდეგო შედეგი და პიროვნების მახასიათებელი კონკრეტული გარემოებები.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ბრალდებულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს უნდა მოხდეს ინდივიდუალური მიდგომა, ინდივიდუალური ქმედებისა და ამ ქმედებიდან მომდინარე, კონკრეტული საფრთხის გაანალიზება მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. თავისუფლების აღკვეთის საპირნონედ არის შეზღუდული თავისუფლება, რაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა ეს უკიდურესად აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრეს ფორმას, ამა თუ იმ ქმედებისათვის სასჯელის სახით პატიმრობის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია ქმედების სიმძიმის, მოსალოდნელი საფრთხეების, დანაშაულის ჩადენის კონკრეტული გარემოებების, დამნაშავის პიროვნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როდესაც თუ არა საზოგადოებისაგან პირის იზოლირება, შეუძლებელი იქნება მისგან პოტენციურად მომდინარე სხვა საფრთხეების განეიტრალება და სასჯელის მიზნების მიღწევა და თუ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის მიზნის მისაღწევად ობიექტურად საკმარისია პასუხისმგებლობის სხვა არასაპატიმრო ალტერნატივები.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ცალსახად განიმარტა, რომ პირისათვის თავისუფლების აღკვეთა ისეთი ქმედების გამო, რომელიც მხოლოდ ამ ქმედების ჩამდენს უქმნის საფრთხეს, მის ჯანმრთელობას შეიძლება აყენებდეს ზიანს და არ არის მიმართული (არ შეიძლება იყოს მიმართული) სხვათა უფლებების დარღვევისკენ, უმიზნო და, შესაბამისად, გაუმართლებელია.

საკასაციო პალატამ მხედველობაში მიიღო საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა და მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული ი. ბ-ი წარსულში ნასამართლევ იყო და სახეზე იყო დანაშაულის რეციდივი, მიიჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში, როდესაც პირი ნარკოტიკის მოხმარებით საკუთარ ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს და არ არღვევს სხვა პირთა უფლებებს, დანაშაული წარმოადგენს ნაკლებად მძიმე საშიშროების შემცველ ქმედებას, განსხვავებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილისაგან (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), რომელიც განეკუთვნებოდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიას და პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ შეძენა/შენახვისათვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ჩაითვალა კონსტიტუციის შეუსაბამო სასჯელად, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა ჩაითვალოს არაპროპორციულ სასჯელად და, შესაბამისად, მიზანშეწონილია, ამ დროს გამოყენებულ იქნეს სანქციის მეორე არასაპატიმრო ალტერნატიული სასჯელი – ჯარიმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის განაჩენით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 7 სექტემბრის განაჩენში შევიდა ცვლილება და ი. ბ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

**ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ურთიერთმიმართება**

**– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ივნისის განმარტება საქმეზე №134აპ-14 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n65-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

საქმის მასალების მიხედვით, კ. ბ-ს 2012 წლის 13 ნოემბერს ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით, ხოლო 2012 წლის 14 დეკემბერს, განმეორებით მოხმარების გამო, წარედგინა ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით და 2013 წლის 12 თებერვალს გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. 2013 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის №02/10/01 განკარგულებით იგი შეწყალბულ იქნა და მოეხსნა 2013 წლის 12 თებერვლის განაჩენით წარმოშობილი ნასამართლობა. 2013 წლის 10 ნოემბერს მას კვლავ დაუდგინდა ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 თებერვლის განაჩენით კ. ბ. გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში. აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 20 მარტის განაჩენით დარჩა უცვლელად.

აღნიშნული საქმე საკასაციო პალატამ განიხილა პროკურორის საკასაციო საჩივრის სა-



ფუძველზე და განმარტა, რომ ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების განმეორებით მოხმარებისათვის პირის მიმართ გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი არ წყვეტს პირის, როგორც ადმინისტრაციულსახდელდადებულად ყოფნის სამართლებრივ რეჟიმს. ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების განმეორებით მოხმარება (თუნდაც რამდენჯერმე) 1 წლის განმავლობაში, თუ არც ერთ ფაქტზე არ არის მიღებული სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის გამამტყუნებელი განაჩენი, გვაძლევს მოცემულ თითოეულ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას – ადმინისტრაციულ სახდელშეფარებული პირის მიერ ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარება, ე.ი. სახეზე გვექნება დანაშაულთა ერთობლიობა.

საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ პირი მსჯავრდებულია სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით და კანონით გათვალისწინებული რომელიმე სამართლებრივი საფუძვლით ის გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან მოეხსნა ნასამართლობა, ის ითვლება ისევე ადმინისტრაციულსახდელდადებულად და გრძელდება მისი, როგორც ადმინისტრაციულსახდელდადებულ პირად ყოფნის სამართლებრივი რეჟიმი, თუ მის მიმართ არ არის გასული ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის დაკისრების დღიდან 1 წელი და შესაბამისად, ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკის მოხმარების ახალი ფაქტი გვაძლევს არა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას – ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულ სახდელშეფარებული პირის მიერ.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილებით კ. ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით და სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარი.

## დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ

### თვითნებობის გამიჯვნა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისაგან

#### – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ივნისის განმარტება საქმეზე №7აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 31 იანვრის განაჩენით ო. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

განაჩენით მსჯავრდებულ ო. ბ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2012 წლის პირველ ოქტომბერს ქალაქ კ-ში, თ-ს ქუჩაზე, ო. ბ-ამ შპს „მ-ს“ ოპერატორს გ. ხ-ს

გასტაცა ტელეკომპანიის კუთვნილი, 4621 ლარად ღირებული ვიდეოკამერა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ამკარად დაეუფლა მას.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ნოემბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ: ო. ბ-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე.

აღნიშნული საქმე საკასაციო პალატამ განიხილა პრიკურორის საკასაციო შსაჩივრის საფუძველზე, რომელიც ითხოვდა სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანას და ო. ბ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო პალატის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ო. ბ-ს ქმედებაში არ არის ძარცვის შემადგენლობისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, მაგრამ არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განაჩენით ო. ბ-ს მიერ ჩადენილი ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მიიჩნია რა, რომ სააპელაციო პალატა გასცდა ბრალდების ფარგლებს, რადგან ბრალდება არ ედავებოდა ო. ბ-ს, რომ მან აღნიშნული მოქმედებით ჟურნალისტს ხელი შეუშალა პროფესიულ საქმიანობაში. შესაბამისად, საკასაციო პალატა მოკლებული იყო შესაძლებლობას ამ მიმართებით ემსჯელა, იყო თუ არა ო. ბ-ს ქმედებაში სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებიც.

**საკასაციო პალატამ განმარტა**, რომ როდესაც მსჯავრდებული ო. ბ-ი დაეუფლა გ. ხ-ს კუთვნილ ვიდეოკამერას მისი ნების საწინააღმდეგოდ, რითაც დაზარალებულ მხარეს აღარ მიეცა საშუალება, განეხორციელებინა თავისი პროფესიული საქმიანობა, ესარგებლა ვიდეოკამერით, გაეგრძელებინა გადაღება, ხოლო შემდეგ არჩევნების დროს განვითარებული მოვლენების ამსახველი მასალა სიუჟეტის სახით დროულად გასულიყო ეთერში, აღნიშნული ქმედებით მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თვითნებობა არის ნამდვილად თავისი ან თავისად დაგულგებული უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი.

თვითნებობა ობიექტური შემადგენლობის ნიშნებით გარეგნულად ზოგჯერ ძალიან ჰგავს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შემადგენლობას, მაგრამ ყველა ცალკეულ შემთხვევაში, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლივი სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე და თავად მსჯავრდებულის ქცევის, მოტივის მხედველობაში მიღებით დანაშაულის ჩადენამდე და დანაშაულის შემდეგ, უნდა მოხდეს პირის მიერ ჩადენილი ქმედების გამიჯვნა, რასთან გვაქვს საქმე – საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან, თუ – თვითნებობასთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრიკურორის საკასაციო შსაჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო ო. ბ-ს ქმედება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის 1-ლი ნაწილზე.

## ყალბი დასკვნის გაცემისა და ყალბი დოკუმენტის დამზადების დანაშაულებებს შორის განსხვავება

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 7 დეკემბრის განჩინება საქმეზე №357აპ-11 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

სასამართლო გამოძიებით დადგენილი ფაქტების შესაბამისად, გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე ექსპერტმა ა. ზ-იანმა, რომელიც ამ თანამდებობაზე მუშაობდა 2007 წლის 21 მაისამდე, ჩაატარა გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ, 2007 წლის 21 ივნისს, გასცა დასკვნა, რომელშიც ისე, რომ არ ჩაუტარებია გვამიდან აღებული სისხლის ქიმიური გამოკვლევა, მის მიერვე მოგონილი ყალბი მონაცემების საფუძველზე აღნიშნა, რომ მასში აღკოპოლური ან ნარკოტიკული ნივთიერების კვალი არ აღმოჩნდა. თუმცა მოგვიანებით, მისგან დამოუკიდებლად ჩატარებული ქიმიური გამოკვლევით დადგინდა სისხლში ეთილის სპირტის 1,8%-ის ოდენობით, ხოლო შარდში – 3,2%-ის ოდენობით შემცველობა. ა. ზ-იანმა ეს დოკუმენტი, პირადი ხელმოწერით დადასტურებული, ჩააბარა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონული სამსახურის კანცელარიას – ბათუმის შინაგან საქმეთა სამმართველოს გამომძიებლისათვის გადასაცემად.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა არასწორად შეაფასეს ა. ზ-იანის ქმედება, როგორც ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის მიცემა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის პირველი ნაწილით. პალატამ განმარტა, რომ აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებელი პირი, კანონის მიხედვით, წარმოადგენს სპეციალურ სუბიექტს ანუ ისეთ სუბიექტს, რომელიც შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე აღჭურვილია სპეციალური უფლებამოსილებებით, რის გარეშეც ამ დანაშაულის ჩადენა შეუძლებელია. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა წარმოადგენს სახელმწიფო მოხელეს და აღჭურვილია სპეციალური უფლებამოსილებით – საგამომძიებო ორგანოების დადგენილების ან სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველზე ჩაატაროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ცოცხალ ადამიანებსა და გვამებზე, ხოლო სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში შეადგინოს და გასცეს ექსპერტის დასკვნა, როგორც ოფიციალური დოკუმენტი, თავისი ხელმოწერით.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ყალბი დოკუმენტის ოფიციალურ სახელმწიფო ორგანოზე გასხვისების მიზანი, თავისი სამართლებრივი მნიშვნელობით, წარმოადგენს იგივე გასაღების მიზანს, რომლითაც მოქმედებდა მსჯავრდებული. მოცემულ შემთხვევაში მის მიერ გაცემული ექსპერტის დასკვნის სიყალბე გამოიხატება არა მხოლოდ იმაში, რომ მან მასში ყალბი მონაცემი შეიტანა, არამედ იმაშიც, რომ აღნიშნული ოფიციალური დოკუმენტი გასცა, როგორც საამისოდ არაუფლებამოსილმა პირმა, რის გამოც, ამ დოკუმენტის რეკვიზიტებიც, არ შეესაბამებოდა რა სინამდვილეს, იყო ყალბი. მსჯავრდებულის მოქმედების მოტივი ის იყო, რომ რაც შეიძლება სწრაფად გათავისუფლებულიყო იმ საქმისაგან, რომლის გამოც ქ. ბათუმში ყოვნიდებოდა და არასასურველ მატერიალურ ზარალს განიცდიდა ამ ქალაქში ცხოვრებისათვის საჭირო ხარჯების განწევით, თანაც ისეთ პირობებში, როცა იგი შესრულებული სამუშაოსათვის არავითარ ანაზღაურებას არ იღებდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ა. ზ-იანი მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით.

ამავე დროს, საკასაციო პალატის აზრით, ამ ქმედებით ა. ზ-იანმა ჩაიდინა ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გასაღების მცდელობაც, როდესაც გასაღების მიზნით დამზადებული ყალბი დასკვნა ჩააბარა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონული სამსახურის კანცელარიას გამომძიებლისათვის გადასაცემად. აღნიშნული ქმედება წარმოადგენს მცდელობას იმ თვალსაზრისით, რომ: ყალბი დოკუმენტის მიმღები საბოლოო ადრესატი იყო გამომძიებელი, მაგრამ არა ხსენებული სამსახურის კანცელარია, რომელიც მხოლოდ დოკუმენტის შემკვეთისა და შემსრულებლის დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენდა და აღნიშნული დოკუმენტის მიმართ თავისი დამოუკიდებელი ინტერესი არ გააჩნდა; ამასთან, ყალბი ექსპერტიზის დასკვნა არ გასცილებია კანცელარიის ანუ ექსპერტიზის რეგიონული სამსახურის ფარგლებს, ვინაიდან სწორედ აქ იქნა აღმოჩენილი დანაშაული, რომელიც აღიკვეთა მცდელობის სტადიაზე მანამ, ვიდრე იგი დამთავრებულ სახეს მიიღებდა ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გასაღების სახით.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ ა. ზ-იანმა ჩაიდინა გასაღების მიზნით ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება და მისი გასაღების მცდელობა, რის გამოც, მსჯავრდებულის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გადააკვალიფიცირა იმავე კოდექსის 362-ე მუხლის პირველ ნაწილზე და იმავე კოდექსის მე-19 მუხლსა და 362-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ხოლო ჩადენილი დანაშაულისათვის ა. ზ-იანს დაუნიშნა ერთი სასჯელი, ვინაიდან მის მიერ ჩადენილი ქმედებები დაკავშირებულია დანაშაულის ერთსა და იმავე შემთხვევასთან, რომლებსაც მოიცავს სისხლის სამართლის კოდექსის ერთი მუხლის ერთი და იგივე ნაწილი.

## დოკუმენტის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება

### პირადობის მონმობის ან სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცების კანონით გათვალისწინებული ნიშნები

#### – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 363-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №382აპ-09 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba3.pdf>).

პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტების შესაბამისად, ო. მ-ძემ ქვით ჩაამტვრია ქუჩაში გაჩერებული, მოქალაქე თ. მ-ძის კუთვნილი, „kia sportage“-ის მარკის ავტომანქანის საბარგულის საქარე მინა, ნაკანრების სახით დააზიანა უკანა შუშის ზედაპირი და საღებავი ავტომანქანის უკანა, მარჯვენა კარის სახელურთან, გამოგლიჯა უკანა სანომრე ნიშნის სამაგრი, შეაღწია ავტომანქანაში და, მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა მაგნიტოფონის 6 ცალ CDD ფირფიტას, „სბერბანკის“, „პროკრედიტ ბანკის“ სახელფასო პლასტიკურ ბარათებს, „ვისოლის“ ბენზინგასამართი სადგურის ფასდაკლების პლასტიკურ ბარათს. გარდა ამისა, მსჯავრდებული დაეუფლა დაზარალებულის კუთვნილ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ მონმობას. ამასთან, უდავოდ დადგენილია, რომ ნივთების დაუფლებისას მსჯავრდებული მოქმედებდა სიბნელეში და მანქანაში არსებულ ნივთებს, რაც ხელში მოხვდებოდა, ტომარაში ყრიდა.



საკასაციო პალატამ, გაიზიარა რა ქვემდგომი სასამართლოების პოზიცია ო. მ-ძის ქურდობისა და სხვისი ნივთის დაზიანების ნაწილში მსჯავრდებასთან დაკავშირებით, არასწორად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი მოწმობის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების ფაქტთან დაკავშირებით.

პალატამ განმარტა, რომ ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, როგორცაა პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების გატაცება, აუცილებელია, რომ დანაშაულის სუბიექტი მოქმედებდეს პირდაპირი განზრახვით, რაც უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის მოტივსა და სხვისი დოკუმენტების დაუფლების მიზანს. საქმეში არსებული მტკიცებულებებით კი უდავოდ დადასტურდა, რომ მსჯავრდებულს პირადობის მოწმობის გატაცების განზრახვა და მიზანი არ ჰქონია. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდების ნაწილში, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

## დანაშაულის შეუტყობინებლობა

### დანაშაულის შეუტყობინებლობის სუბიექტთა წრის განსაზღვრა

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივნისის განმარტება საქმეზე №175აპ-11 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba5.pdf>).

პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტების შესაბამისად, პ. ს-ე, თავის ორ მეგობართან – ზუ. და ზა. კ-ძებთან ერთად, მიკროავტობუსით მგზავრობდა თბილისის მიმართულებით. მათ შელაპარაკება მოუხდათ თ. და რ. კ-ოვებთან, რაც გადაიზარდა ჩხუბში. პ. ს-ე, ზა. და ზუ. კ-ძეები მათ უცენზურო სიტყვებით აყენებდნენ სიტყვიერ და ასევე ფიზიკურ შეურაცხყოფას. წარმოქმნილი ხმაურის გამო, მძლოლი იძულებული გახდა გაეჩერებინა ავტომანქანა, რის შემდეგაც ისინი ჩამოვიდნენ ძირს და ჩხუბი გაგრძელდა ქუჩაში. მიკროავტობუსიდან ჩამოვიდნენ მოქალაქეებიც, რომლებიც ცდილობდნენ პ. ს-აძისა და მასთან ერთად მყოფი ზუ. და ზა. კ-ძეების დანყნარებას, მოუწოდებდნენ, შეეწყვიტათ ჩხუბი და უცენზურო სიტყვების ხმარება. მიუხედავად ამისა, ისინი აგრძელებდნენ თავიანთ დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც გაგრძელდა 5-10 წუთის განმავლობაში. ჩხუბის დროს პ. ს-აძემ განიზრახა რ. და თ. კ-ოვების მოკვლა და დანით ჯერ რ. კ-ოვს მიაყენა სასიკვდილო ჭრილობები გულმკერდის არეში, რომელიც გარდაიცვალა, ხოლო შემდეგ თ. კ-ოვს მიაყენა მრავლობითი ჭრილობები გულმკერდისა და მუცლის არეში, რომელიც გადაურჩა სიკვდილს. მიუხედავად იმისა, რომ ზა. და ზუ. კ-ძეებმა დაინახეს, თუ როგორ მიაყენა დანით სასიკვდილო ჭრილობები პ. ს-აძემ რ. კ-ს, იმ მოტივით, რომ შეეცოდათ პ. ს-ძე და შეეშინდათ, არ შექმნოდათ პრობლემები პოლიციასთან, დამალეს მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი და სამართალდამცავ ორგანოებს არ შეატყობინეს მომხდარი დანაშაულის შესახებ.

საკასაციო პალატამ, ერთის მხრივ, გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილება ზა. და ზუ. კ-ქეების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლით (ხულიგნობა) მსჯავრდების ნაწილში, მეორე მხრივ, არასწორად მიიჩნია სასამართლოს მიერ მათი ქმედების სამართლებრივი შეფასება დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის მსჯავრდების ნაწილში.

პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის. მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულებმა – ზა. და ზუ. კ-ქეებმა შესაბამის ორგანოებს არ შეატყობინეს ფაქტობრივად მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზეც, რის გამოც, მათი ქმედების ამ მუხლით დაკვალიფიცირება არასწორია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მსჯავრდებულების – ზა. და ზუ. კ-ქეების მიმართ შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით ბრალდების ნაწილში.

### **მონმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა**

#### **– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371<sup>1</sup>-ე მუხლი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინება 2015 წლის 24 დეკემბრის საქმეზე №445აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

საქმის გარემოებების მიხედვით, 2014 წლის 19 ნოემბერს მარნეულის შს რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №... საქმეზე, ა. მ-ს თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ფაქტზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე 2014 წლის 27 ნოემბერს მონმის სახით დაიკითხა ა. მ-ა, რის შემდეგაც, 2014 წლის 19 დეკემბერს, ამ უკანასკნელმა, მიუხედავად იმისა, რომ გამომძიებელმა გააფრთხილა არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემის შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371<sup>1</sup>-ე მუხლით მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, გამოძიებას მისცა არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება, რითაც შეგნებულად შეუშალა ხელი მართლმსაჯულებას.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 2 აპრილის განაჩენით ა. მ-ა, ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 19 ივნისის განაჩენით ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 2 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების შეფასება, რომ მონმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა უნდა მოხდეს მხოლოდ მართლმსაჯულების განხორციელებისას, ანუ სასამართლო განხილვის ეტაპზე და განმარტა, რომ, მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371<sup>1</sup>-ე მუხლის დისპოზიციაში პირდაპირ მითითებულია მართლმსაჯულებისათვის შეგნებულად ხელის შეშლაზე, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, სასამართლო სახელმწიფო

ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, მაგრამ ქმედების აღნიშნული მუხლით დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელი არ არის, რომ ურთიერთსაინანაღმდეგო ჩვენების მიცემა მოხდეს მხოლოდ სასამართლო განხილვისას, ვინაიდან მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლის მიზანი პირს შეიძლება ჰქონდეს როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის ეტაპზე.

გამომძიებელმა ა. მ-ს როგორც მონმის, ისე დაზარალებულის სტატუსით დაკითხვის წინ კანონის სრული დაცვით განუმარტა მისი უფლება-მოვალეობები და გააფრთხილა არსებითად ურთიერთსაინანაღმდეგო ჩვენების მიცემის შემთხვევაში მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. სწორედ ამ მომენტიდან ა. მ-ა ითვლებოდა მოცემული დანაშაულის სუბიექტად. მიუხედავად იმისა, რომ ა. მ-მ კარგად იცოდა მოსალოდნელი შედეგების შესახებ, მან შეგნებულად, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების განზრახ დამახინჯებისა და მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესების ხელყოფის მიზნით, გამოძიებას მისცა არსებითად ურთიერთსაინანაღმდეგო ჩვენება.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ა. მ-ს ქმედებაში სახეზე იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გააუქმა გამამართლებელი განაჩენი და მის ნაცვლად დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი.

# სისხლის სამართლის პროცესი

## პირის დაზარალებულად ცნობა

### არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის დაზარალებულად ცნობა<sup>1</sup>

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლი (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია)
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინებები: 2003 წლის 3 ივლისის საქმეზე №24<sup>1</sup>, 2003 წლის 16 დეკემბრის საქმეზე №43<sup>1</sup> და 2004 წლის 22 ივლისის საქმეზე №227<sup>აპ</sup> (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

საკასაციო პალატის განმარტებით, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, დაზარალებულის უფლებამონაცვლის უფლებები შეიძლება მიენიჭოს არარეგისტრირებულ კავშირში მყოფ მეუღლეს, თუ ის გარდაცვლილთან ერთად ერთ ოჯახად ცხოვრობდა, ჰყავდათ შვილები, რომლებსაც ერთად ზრდიდნენ და ეწეოდნენ ერთიან მეურნეობას.

საბრალდებო დასკვნით კ. ბ-ს ბრალი ედებოდა განზრახ მკვლელობის ჩადენაში. საქმე პირველი ინსტანციით განიხილა მცხეთის რაიონულმა სასამართლომ და 2002 წლის 1 ნოემბრის განაჩენით კ. ბ-ის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლიდან გადააკვალიფიცირა იმავე კოდექსის 113-ე მუხლზე.

წინასწარ გამოძიებაში კ. ბ-ის ბრალდების საქმეზე დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნენ ან გარდაცვლილის დედა – ვ. ბ-ი და ცოლი – მ. ხ-ა. მცხეთის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 1 ნოემბრის დადგენილებით გააუქმა მ. ხ-ას დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის დადგენილება და საქმეზე დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნო მხოლოდ გარდაცვლილის დედა – ვ. ბ-ი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დაზარალებულის უფლებამონაცვლემ მ. ხ-ამ და მსჯავრდებულმა კ. ბ-მ.

დაზარალებულის უფლებამონაცვლემ მ. ხ-ამ განაჩენი გაასაჩივრა იმ საფუძველით, რომ რაიონულმა სასამართლომ არასწორად გააუქმა მისი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის დადგენილება და არასწორი შეფასება მისცა კ. ბ-ის ქმედებას, რომელიც დააკვალიფიცირა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლით, მაშინ, როდესაც საქმის მასალებით აშკარად დგინდებოდა მკვლელობის განზრახვა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 17 თებერვლის განჩინებით გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 1 ნოემბრის დადგენილება გ. ბ-ის დედის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ და დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობილი იქნა გ. ბ-ის მეუღლე მ. ხ-ა. ასევე გაუქმდა რაიონული სასამართლოს განაჩენი და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცა იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლეს.

<sup>1</sup> შენიშვნა: აღნიშნულ საქმეზე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის დაზარალებულად ცნობის გამო, დისციპლინური სამართალწარმოების წესით სამსახურიდან გაათავისუფლეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები ნინო გვენეტაძე, მერაბ ტურავა, თამარ ლალიაშვილი და მურმან ისაივი.



სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა კ. ბ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა და კ/საკასაციო საჩივრით მოითხოვა სააპელაციო პალატის მითითებული განჩინების გაუქმება იმ მოტივით, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად ცნო დაზარალებულის უფლებამონაცვლედ მ. ხ-ა, რამეთუ იგი ან გარდაცვლილთან არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2003 წლის 3 ივლისის განჩინებით გაუქმდა სააპელაციო პალატის 2003 წლის 17 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის გადაეცა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, ამასთან, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სააპელაციო პალატამ მ. ხ-ა არასწორად ცნო დაზარალებულის უფლებამონაცვლედ და განმარტა, რომ მ. ხ-ამ უნდა ისარგებლოს იმ უფლებებით, რაც კანონით გათვალისწინებულია დაზარალებულისათვის და რაც დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ენიჭება მის უფლებამონაცვლეს, რადგან საქმის მასალებით უტყუარად არის დადგენილი, რომ ან გარდაცვლილი გ. ბ-ი და მ. ხ-ა წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ ერთ სახლში ერთ ოჯახად, ჰყავდათ ორი შვილი, რომლებსაც ერთად ზრდიდნენ, ენეოდნენ ერთიან მეურნეობას. მართალია, მათ მიერ ოჯახის შექმნა არ იყო რეგისტრირებული, მაგრამ რეალურად ჰქონდათ ერთიანი ოჯახი და მ. ხ-ა ფაქტობრივად ასრულებდა ცოლის მოვალეობას. იგი მეუღლის გარდაცვალების დღესაც ცხოვრობდა ან გარდაცვლილის სახლში და ზრდიდა შვილებს.

სააპელაციო პალატის 2003 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით მცხეთის რაიონული სასამართლოს განაჩენი კ. ბ-ის მიმართ კვლავ გაუქმდა და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცა იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლეს. სასამართლომ განჩინებაში მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ საქმის სასამართლო განხილვისას დაირღვა დაზარალებული მ. ხ-ს უფლებები, რაც საქმის ხელახალი განხილვისას უნდა გამოსწორდეს.

მსჯავრდებულ კ. ბ-ს საკასაციო საჩივრის საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2003 წლის 16 დეკემბრის განჩინებით გაუქმდა სააპელაციო პალატის მითითებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის გადაეცა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას (**საქმე №43<sup>1</sup>**).

სააპელაციო პალატის 2004 წლის 24 მაისის განაჩენით მცხეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 1 ნოემბრის განაჩენში შევიდა ცვლილება. მსჯავრდებულ კ. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (ნაცვლად 113-ე მუხლისა) და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 22 ივლისის განჩინებით მსჯავრდებულის კ. ბ-ს ადვოკატის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და სააპელაციო პალატის 2004 წლის 24 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად (**საქმე №227აპ 22.07.04**).

## მტკიცებულება

ირიბი ჩვენება; „დაუსწრებელი მოწმის ჩვენება“;

მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის განმარტება საქმეზე № 14აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

ა. ბ-ს ბრალი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა; ასევე – ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და ტარება; ასევე – ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახელმწიფარდებულებული პირის მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 25 ივნისის განაჩენით ა. ბ-ე გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებებში; მასვე სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 20 ნოემბრის განაჩენით დაკმაყოფილდა პროკურორის სააპელაციო საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 25 ივნისის განაჩენი შეიცვალა: ა. ბ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 108-ე მუხლით, 273-ე მუხლითა და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ივნისის განაჩენით მსჯავრდებულის ადვოკატების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 20 ნოემბრის განაჩენში შევიდა ცვლილება: ა. ბ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებებში.

**საკასაციო პალატამ განმარტა**, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების თანახმად, მოწმის ირიბი ჩვენება ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტანდარტს. აღნიშნულის გამო, საკასაციო პალატამ, იმის გათვალისწინებით, რომ დ. თ-ის ირიბი ჩვენების გარდა სხვა არც ერთი პირდაპირი მტკიცებულება არ ადასტურებდა ა. ბ-ის მიერ ა. კ-ის დაჭრის ფაქტს, მიიჩნია, რომ იგი ვერ გახდებოდა ა. ბ-ის მსჯავრდების საფუძველი.

გარდა ამისა, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დაფუძნებულია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, რაც ვლინდება მხარეთა მიერ მოპოვებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის წესშიც, რაც გულისხმობს იმას, რომ მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, წარადგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებები.

მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი განმტკიცებულია ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, კერძოდ: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია უზრუნველყოფენ, რომ ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის

სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს „თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს მისი დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში“.

ზემოაღნიშნული პრინციპის მნიშვნელობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია ხაზგასმული. თუმცა, ამავე დროს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ ამ პრინციპიდან გამონაკლისი დასაშვებია, მაგრამ ამან არ უნდა შელახოს დაცვის მხარის უფლებები. მსჯავრდება, რომელიც ეფუძნება მხოლოდ ან მეტწილად იმ დაუსწრებელი მოწმის ჩვენებას, ვისი გამოკითხვის შესაძლებლობაც არ ჰქონდა განსასჯელს არც გამოძიების მიმდინარეობისას და არც სასამართლო პროცესზე, როგორც წესი, ჩაითვლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანობის მოთხოვნასთან („ერთადერთობის ან მეტწილობის წესი“) შეუსაბამოდ. თუმცა ეს არ არის აბსოლუტური წესი, რომელიც მოუქნელობით ხასიათდება და არ ითვალისწინებს კონკრეტული სამართლებრივი სისტემის განსაკუთრებულობას. შესაბამისად, მაშინაც კი, როდესაც დაუსწრებელი მოწმის ჩვენება ერთადერთი ან მეტწილი მტკიცებულება განსასჯელის წინააღმდეგ, მტკიცებულებად მისი მიღება ავტომატურად არ იწვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6.1 მუხლის დარღვევას. ამავდროულად, იმ შემთხვევებში, როდესაც მსჯავრდება მხოლოდ ან მეტწილად ეფუძნება ე.წ. „დაუსწრებელი მოწმის“ ჩვენებას, სასამართლომ საქმისწარმოება უნდა განიხილოს განსაკუთრებული ყურადღებით. ასეთი მტკიცებულების დაშვების საფრთხიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება მისი დაბალანსება და სწორედ ეს მოითხოვს საკმარისად გამაწონასწორებელ ფაქტორებს, მათ შორის ძლიერ პროცედურულ გარანტიებს. თითოეულ ასეთ საქმეში მნიშვნელოვანია გამაწონასწორებელი ფაქტორების არსებობა, მათ შორის ისეთი ზომებისა, რომლებიც შესაძლებელს ხდის ამ მტკიცებულების სარწმუნოების სამართლიან და სათანადო შეფასებას. მსჯავრდება შეიძლება დაფუძნებული იყოს ამგვარ მტკიცებულებაზე (გამოქვეყნებულ ჩვენებაზე) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის საკმარისად სანდოა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე, Al-Khawaja და Tahery გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ, იმის გათვალისწინებით, რომ მეორე განმცხადებელი (ბატონი ტაჰერი) მოკლებული იყო შესაძლებლობას, შეემოწმებინა T-ს ჩვენების ნამდვილობა და სანდოობა ჯვარედინი დაკითხვით და ვინაიდან T ერთადერთი მოწმე იყო, რომელმაც მოისურვა და შეძლო ეთქვა, თუ რა ნახა, განმცხადებელს არ შეეძლო მოეწვია სხვა მოწმე, რომელიც დაუპირისპირდებოდა ამ ჩვენებას, რის გამოც დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, ვინაიდან T-ს ჩვენება ერთადერთი პირდაპირი მტკიცებულება იყო მის წინააღმდეგ.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ დ. თ-ის ჩვენება იყო არსებითი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ ბრალდებასთან დაკავშირებით ა. ბ-ის მსჯავრდების საკითხის გადასაწყვეტად და გასაჩივრებული განაჩენიც მეტწილად სწორედ მასზე იყო დაფუძნებული, ხოლო დაცვის მხარეს არც გამოძიების ეტაპზე და არც საქმის არსებითი განხილვის დროს არ ჰქონია მისი დაკითხვის/გამოკითხვის და ჩვენებების გაპროტესტების ადეკვატური და ჯეროვანი შესაძლებლობა, მაშინ, როცა დაცვის მხარის მიერ დასმულ შეკითხვებს შეეძლო არა მხოლოდ მოწმეთა სანდოობის შეფასებაზე მოეხდინა გავლენა, არამედ ნათელი მოეფინა ისეთი გარემოებებისთვის, რომლებიც რელევანტური იქნებოდა წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა დ. თ-ის ჩვენება გარკვეულ ეპიზოდებში ეწინააღმდეგებოდა სხვა მტკიცებულებებს.

## აკვლაცია

### საუარესოდ შებრუნება

#### – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2014 წლის 25 თებერვლის განმარტება საქმეზე №227აპ-13 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/25tebervali-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით შ. ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული დამატებითი სასჯელი – ჯარიმა 4000 ლარი და აღნიშნულმა სასჯელებმა შთანთქა კიდევ ერთი ადრე გამოტანილი განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი – 2 წელი. მსჯავრდებულ შ. ქ-ს საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 4000 ლარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ პროკურორის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და იმ პირობებში, როცა პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებელს ირიბადაც კი არ მიუთითებია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის განაჩენის თაობაზე, მით უმეტეს – განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის წესზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ მიუმატა წინა განაჩენით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელიდან 1 წელი და მსჯავრდებულ შ. ქ-ს საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ პროკურორის საჩივრის საფუძველზე მსჯავრდებულის მდგომარეობა გააუარესა განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის კუთხით – შთანთქმის ნაცვლად გამოიყენა ნაწილობრივი შეკრების პრინციპი, მაშინ, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებელს ირიბადაც კი არ მიუთითებია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის განაჩენის თაობაზე, მით უმეტეს – განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის წესზე.

დიდმა პალატამ განმარტა, რომ განაჩენთა ერთობლიობისას სახელმწიფო ბრალმდებელს მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის და, შესაბამისად, სასამართლოს აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლებამოსილება გააჩნიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ბრალმდებელს ასეთივე პოზიცია ეკავა ყველა ინსტანციის სასამართლოში. შესაბამისად, თუ სახელმწიფო ბრალმდებელს აღნიშნულ საკითხზე პირველი ინსტანციის სასამართლოში არ დაუფიქსირებია პოზიცია, შემდგომში იმავე საკითხზე მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების თვალსაზრისით გასაჩივრება სამართლებრივად საფუძველს მოკლებული და უპერსპექტივოა.

დიდმა პალატამ მსჯავრდებულ შ. ქ-ს 1 წლისა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად განუსაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და გაათავისუფლა.



## კასაცია

### უტყუარი და პირდაპირი ხასიათის მტკიცებულებების არარსებობის გამო, გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და საქმის შეწყვეტა

#### – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (20.02.1998 წლის რედაქცია) 561-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივლისის განჩინება საქმეზე №60აპ-15 (<http://prg.supremecourt.ge/default.aspx>).

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით თ. კ-ა – ძებნილი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის – ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შექმნა, შენახვისა და ტარებისათვის; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – ხულიგნობისათვის, ე.ი. ქმედებისათვის, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით და ძალადობის მუქარით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ და 19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის – განზრახ მკვლელობისათვის, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაზარალებულის უფლებამონაცვლის ადვოკატმა. იგი ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ თ. კ-ას მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი კვალიფიკაციის ნაწილში უცვლელად იქნა დატოვებული. სასჯელის ნაწილში განაჩენი შეიცვალა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე.

აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს დაზარალებულის უფლებამონაცვლემ და მისმა ადვოკატმა, რომლებიც კვლავ ითხოვდნენ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ თ. კ-ას მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე არ იყო წარმოდგენილი არც ერთი უტყუარი, პირდაპირი ხასიათის მტკიცებულება, რომელიც პალატას საშუალებას მისცემდა, დაედგინა თ. კ-ას მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან ს. გ-ის, ზ. ტ-ის, დ. და ლ. რ-ების მისამართით მრავალჯერადი გასროლის ფაქტი. შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მტკიცებულებების არასაკმარისობის გამო თ. კ-ას მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ და 19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მსჯავრდების ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს 13.10.2014 წლის განაჩენი უნდა გაუქმდეს და შეწყდეს საქმე. პალატამ ასევე მიიჩნია, რომ არც ერთი პირდაპირი მტკიცებულებით უტყუარად არ დასტურდებოდა ის, თუ რაში გამოიხატა თ. კ-ას მხრიდან ხულიგნობის ჩადენის ფაქტი და შემთხვევის ადგილზე რა მოქმედებები განახორციელა მან, რის გამოც, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს ასევე თ. კ-ას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით მსჯავრდების ნაწილში და შეწყდეს საქმე. რაც შეეხება თ. კ-ას მსჯავრდებას საქართველოს სისხლის

სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, ვინაიდან ამოღებული არ არის ცეცხლსასროლი იარაღი, მისი ვარგისიანობა ვერ დადგინდა, ისევე როგორც მის მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ს.გ-ის მოკვლისა და სხვა დაზარალებულების სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანების ფაქტები, რაც უტყუარად მიუთითებდა იარაღის კუთვნილებას ცეცხლსასროლი იარაღის კატეგორიისადმი და მის ვარგისიანობას, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ თ. კ-ას მსჯავრდება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შექმნა, შენახვისა და ტარების ნაწილში ასევე არასწორია და ამ ნაწილშიც (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები) მისი მსჯავრდების თაობაზე გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და შეწყდეს საქმე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზარალებულის უფლებამონაცვლის ი. გ-ისა და მისი წარმომადგენლის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 13.10.2014 წლის განაჩენი თ. კ-ას მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ და 19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებითა და სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში მსჯავრდების თაობაზე გაუქმდა და საქმე შეწყდა.

## ახლად გამოვლენილი გარემოებები

### ახლად გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით საკასაციო საჩივრის განხილვის ფარგლები

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-300 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 25 იანვრის განმარტება საქმეზე № 142აგ-12 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba34.pdf>).

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 24 აპრილის განაჩენით მ. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. მსჯავრდებულმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის შესახებ და მოითხოვა თავისი ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან იმავე მუხლის 1-ლ ნაწილზე გადაკვალიფიცირება, რაც დაკმაყოფილდა. საკასაციო საჩივარში მსჯავრდებულმა გაზარდა მოთხოვნა და განაცხადა, რომ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი ეყრდნობა ყალბ მტკიცებულებებს, ხოლო ჩადენილ ქმედებებს არასწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა.

საკასაციო პალატამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ შუამდგომლობით მ. გ. ითხოვდა თავისი ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან იმავე მუხლის 1-ელ ნაწილზე გადაკვალიფიცირებას და შესაბამისი სასჯელის განსაზღვრას, ხოლო მსჯავრდებულის დამატებით მოთხოვნებთან დაკავ-

შირებით – სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე და 362-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებთან მიმართებით, განმარტა, რომ საკასაციო პალატა მსჯელობს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, კანონის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ უმსჯელია მსჯავრდებულ მ. გ-ის ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესახებ, ვინაიდან მსჯავრდებულს ასეთი მოთხოვნით სააპელაციო პალატისთვის არ მიუმართავს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, სამართლებრივი შეფასება მისცეს მსჯავრდებულ მ. გ-ის საკასაციო საჩივარში მითითებულ იმ საკითხებს, რომლებზეც სააპელაციო პალატას თავის გადაწყვეტილებაში კანონის შესაბამისად არ უმსჯელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

### ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ფარგლები

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-310 მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მარტის განმარტება საქმეზე №83აგ-14 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n76-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>).

მსჯავრდებულებმა ნ. ჩ-მ და გ. გ-მ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე შუამდგომლობით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მათ მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ შუამდგომლობები დაუშვა განსახილველად და საქმე გადასინჯა სრული მოცულობით, რასაც მოჰყვა საქმეზე ახალი მტკიცებულებების გამოკვლევა (ექსპერტების დაკითხვა), რომელთაც შემხებლობა არ ჰქონიათ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის საფუძველთან – ახალ გარემოებასთან. სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულთა საჩივრები არ დააკმაყოფილა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა საკასაციო წესით.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის განხილვისას განაჩენი უნდა გადასინჯოს ახლად გამოვლენილი გარემოების ფარგლებში, ახალი მოცემულობისა და საქმეში არსებული დანარჩენი მტკიცებულებების ურთიერთქმედების კონტექსტში. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა, თუ რა სახის გავლენა მოახდინა ახალმა გარემოებამ (შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში, რომელიც საფუძველად დაედო განაჩენს, არასწორი მონაცემი გამოვლინდა) წინაგანმხილველი სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, ანუ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის ნაწილის მხედველობაში მიუღებლად უნდა შეეფასებინა საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა საკმარისობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. შესაბამისად, ახალი მტკიცებულებებიც (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დაშვებულიყო და გამოკვლეულიყო მხოლოდ ახლად გამოვლენილი გარემოების კონტექსტში.

საკასაციო პალატის 2015 წლის 13 მარტის განაჩენით გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნის უფლებამოსილ პირთა წრე**

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლი
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლი
- საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 11 იანვრის განმარტება საქმეზე №1აგ-12 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba6.pdf>).

მსჯავრდებულმა ა. ლ-მ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიერ ჩადენილი ქმედების მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. იგი აღნიშნავდა, რომ გაასამართლეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, რომელიც ამჟამად განეკუთვნება მძიმე კატეგორიის დანაშაულს.

საკასაციო პალატამ არასწორად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს განმარტება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილთან მიმართებით, – რომ მსჯავრდებულში არ იგულისხმება სასჯელმთბობილი პირი. ასეთი განმარტებით ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლი, რომლის თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ვადა შეუზღუდავია, მაშინ აღნიშნული ნორმა ისე უნდა განმარტებულიყო, რომ მითითებული განაჩენის გადასინჯვის ვადა შეუზღუდავია მხოლოდ პროკურორისათვის – მსჯავრდებულის ინტერესების საწინააღმდეგოდ, რაც იქნებოდა სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევა. გარდა ამისა, ასეთი პოზიცია ეწინააღმდეგება ნასამართლობის მოხსნისა და გაქარწყლების ინსტიტუტს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელმაც სასჯელი მოიხადა, ნასამართლობის გაქარწყლებამდე და მოხსნამდე ითვლება მსჯავრდებულად და უფლება აქვს, თხოვნით მიმართოს სასამართლოს – მოუხსნას მას ნასამართლობა. სრულიად ნათელია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის ჩამონათვალში მითითებული მსჯავრდებული გულისხმობს არა მხოლოდ იმ პირს, რომელიც იხდის რეალურ ანდა პირობით სასჯელს, არამედ იმ პირსაც, რომელმაც უკვე მოიხადა ასეთი სასჯელი, მაგრამ მას ნასამართლობა გაქარწყლებული ან მოხსნილი ჯერ კიდევ არა აქვს, რის გამოც იგი, როგორც მსჯავრდებულის სტატუსის მქონე პირი, სარგებლობს აგრეთვე უფლებით – მიმართოს სასამართლოს ახლად გამოვლენილი გარემოების გამო მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის თაობაზე. საკასაციო პალატამ აღნიშნულ საქმეში მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებული უფლების – თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად პირმა მიმართოს სასამართლოს და აგრეთვე საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლითა და 312-ე მუხლის მე-2 ნაწილით მინიჭებული უფლების – ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს – დარღვევაზე. საკასაციო პალატამ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დააბრუნა საქმე ხელახალი განხილვისათვის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის კანონიერად გადასაწყვეტად.



**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას  
„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული  
შელავათების მსჯავრდებულთა მიმართ გავრცელება/გამოყენება**

**– „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა  
პალატის 2012 წლის 17 სექტემბრის განმარტება საქმეზე №31აგ-12  
(<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba31.pdf>).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 22 აგვისტოს განაჩენით დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ გ. კ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ არსებული განაჩენის გადასინჯვის თაობაზე და მისი ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა 260-ე მუხლის პირველ ნაწილზე, თუმცა სასამართლომ მის მიმართ არ გამოიყენა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონით დაწესებული შელავათი. მსჯავრდებულმა გ. კ-მ სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სწორედ იმ მოტივით, რომ მის მიმართ არ ყოფილა გამოყენებული „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ ამ საკითხზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერია და განმარტა, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრისა და 2009 წლის 20 ნოემბრის კანონების გამოყენების წესი და პირობები განსაზღვრულია ამავე კანონებში მითითებული სპეციალური ნორმებით, რომელთა მიხედვით მოცემულ შემთხვევაში (ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას) სასამართლო ვერ იმსჯელებს აღნიშნულ კანონთა გამოყენების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა, რის გამოც უცვლელად დატოვა იგი.



საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32 ტელ.: (995 32) 299 04 18  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

The Supreme Court of Georgia  
32, Br. Zubalashvili str., Tbilisi 0110, Tel.: (995 32) 299 04 18  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)